აგათა კრისტი

იდუმალი მონიაულმდეგი

ნიკოლოზ ფეფელაშვილი

აგათა კრისტი

იდუმალი მოწინააღმდეგე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ინგლისურიდან თარგმნა
პაატა ჩხეიძემ

გამომცემლობა პალიტრა L
თბილისი
2018

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომი და ტაპენსი

საერთაშორისო ჯაშუშობა, ორი მსოფლიო ომი, მკვლელობა, ქურდობა, ქორწინებაც კი... ტომი და ტაპენსი ყველაფერს აზარტულად უდგებიან. ტაპენსი ქარიზმატული ხასიათით გამოირჩევა, დინჯი და აუჩქარებელი ტომი კი მისგან მკვეთრად განსხვავდება. ისინი ერთად ქმნიან „ახალგაზრდა ავანტიურისტების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას“ და თავგადასავალიც იწყება...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეძღვნება ყველას, ვინც მონოტონური ცხოვრების წესს მისდევს, იმის იმედით, რომ ასე მაინც განიცადოს თავგადასავლებით გამოწვეული საფრთხე და სიამოვნება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პროლოგი

1915 წლის 7 მაისის შუადღის ორ საათზე „ლუზიტანიას[1]“ ზედიზედ ორი ტორპედო მოხვდა. გემმა სწრაფად დაიწყო ჩაძირვა. მეზღვაურებმა სასწრაფოდ ჩაუშვეს კანჯოები, ქალები და ბავშვები კი რიგში ჩაამწკრივეს. სასოწარკვეთილი ცოლები და გოგონები ქმრებსა და მამებს ჩაჰფრენოდნენ, ახალგაზრდა დედები ჩვილებს მკერდში იკრავდნენ. თვრამეტიოდე წლის ქალიშვილი სხვებს გამოცალკევებოდა, შიშის ნატამალი არ ეტყობოდა, სერიოზული და მტკიცე მზერით სივრცეს გასცქეროდა.

– მაპატიეთ, – გაისმა მამაკაცის ხმა მის ზურგს უკან.

ქალიშვილი შეკრთა და შეტრიალდა. ეს კაცი არაერთხელ შეემჩნია პირველი კლასის მგზავრებს შორის. იყო მასში რაღაც იდუმალი, რაც ქალიშვილის ფანტაზიას გასაქანს აძლევდა – უცნობი არავის ელაპარაკებოდა. თუკი ვინმე მასთან საუბრის გაბმას დააპირებდა, თავს მყისვე შორს იჭერდა. მხარზემოდან ნერვიულად და ეჭვიანად იყურებოდა.

ქალიშვილმა მას ძლიერი აღელვება შეამჩნია – შუბლი ოფლით დასცვაროდა. ისეთ კაცს არ ჰგავდა, სიკვდილს ვაჟკაცურად ვერ შეხვედროდა, თუმცა მაინც შიში დაუფლებოდა.

– დიახ? – თქვა ქალმა და უცნობს კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

– რა გაეწყობა! ჰო, ეს ერთადერთი გზაა, – თითქოს საკუთარ თავს უთხრა კაცმა და ხმამაღლა განაგრძო: – ამერიკელი ხართ?

– დიახ.

– და პატრიოტი?

ქალიშვილს სახე წამოენთო.

– ასეთი შეკითხვის დასმის უფლება არა გაქვთ! ცხადია, პატრიოტი ვარ.

---

[1] *ლუზიტანია – პირველი მსოფლიო ომის დროს მოკავშირეთა სამგზავრო გემი, რომელიც გერმანელებმა ჩაძირეს.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნუ გწყინთ. რომ იცოდეთ, რას ეხება საქმე, ასე არ გაფიცხდებოდით. ვინმეს უნდა მივენდო, თანაც აუცილებლად – ქალს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ „ნავებში ჯერ ქალები და ბავშვები ჩასხდებიან," – კაცმა მიიხედ-მოიხედა და ხმას დაუწია, – დოკუმენტები მაქვს თან – უაღრესად მნიშვნელოვანი. შესაძლოა, მათ ამ ომში მოკავშირეებისთვის გადამწყვეტი როლი შეასრულონ. ხვდებით? ეს დოკუმენტები უნდა გადარჩეს! თქვენ კი ამის გასაკეთებლად ჩემზე მეტი შანსი გაქვთ. აბა, წაიღებთ მათ?

ქალიშვილმა ხელი გაუწოდა.

– მოითმინეთ, უნდა გაგაფრთხილოთ. ეს შესაძლოა, სახიფათო იყოს... თუ ჩემს კვალზე გამოვიდნენ. ვფიქრობ, მათ თავი დავაღწიე, მაგრამ დანამდვილებით თქმა ძნელია. თუ მითვალთვალებენ, თქვენც საფრთხე დაგემუქრებათ. გაუძლებთ ამ ყველაფერს?

ქალიშვილს გაეღიმა.

– გავუძლებ. ვამაყობ, რომ მე ამირჩიეთ! რა უნდა გავაკეთო?

– გაზეთებს მიადევნეთ თვალი! „თაიმსში", განცხადებების სვეტში, ჩემი შეტყობინება „გემის თანამგზავრით" დაიწყება. თუ სამი დღის განმავლობაში არ გამოქვეყნდა... მაშასადამე, ვერ გადავრჩი. ამ შემთხვევაში პაკეტი ამერიკის საელჩოში წაიღეთ და პირადად ელჩს გადაეცით. გასაგებია?

– სრულიად.

– თუ ასეა, დამშვიდობების დროა, – მან ქალიშვილის ხელი თავისაში მოიქცია და ხმამაღლა დაამატა, – ნახვამდის, წარმატებას გისურვებთ.

ქალიშვილის თითები მამაკაცის ხელისგულში დამალულ მუშამბის პაკეტს შეეხო.

„ლუზიტანია" სულ უფრო მეტად იხრებოდა მარჯვენა გვერდზე. გაისმა სწრაფი ბრძანება. ქალიშვილი წინ გაიჭრა და ნავში ჩაჯდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი პირველი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ახალგაზრდა პვანტიურისტები

– ტომი, შე ბებერო!

– ტაპენს, ძველო!

ახალგაზრდები ერთმანეთს მეგობრულად მიესალმნენ და წამით ჩახერგეს მეტროდან დუვრ-სტრიტზე გამოსასვლელი. სიტყვები „ბებერი“ და „ძველი“ სინამდვილეს არ ასახავდა – წყვილის ერთობლივი ასაკი ორმოცდახუთ წელსაც არ აღწევდა.

– საუკუნეა, არ მინახავხარ, – განაგრძო ჭაბუკმა, – საით გაგიწევია? სადმე ხომ არ წაგვეხემსა? მოდი, წავიდეთ, თორემ გზა გადავკეტეთ და ერთ ამბავს დაგვაწევენ.

ქალიშვილი დაეთანხმა და ისინი დუვრ-სტრიტს გაუყვნენ პიკადილის მიმართულებით.

– აბა, – თქვა ტომიმ, – საით ავიღოთ გეზი?

მის ხმაში ძლივს შესამჩნევმა წუხილმა გაიჟღერა, რაც მყისვე დაიჭირა ყურმახვილმა პრუდენს კაულიმ, რომელსაც ახლო მეგობრები, მხოლოდ მათთვის ცნობილი საიდუმლო მიზეზის გამო, „ტაპენსს“ ეძახდნენ.

– ტომი, მგონი, ჯიბეგაფხეკილი ხარ! – აღარ დაახანა მან.

– სულაც არა, – არცთუ დამაჯერებლად შეეპასუხა ტომი, – საფულე სავსე მაქვს.

– ტყუილი არასდროს გეხერხებოდა, – მკაცრად მიუგო ტაპენსმა, – თუმცა ერთხელ კი დაარწმუნე მედდა გრინბენკი, რომ ექიმმა ლუდი ტონუსის ასამაღლებლად დაგინიშნა, ოღონდ ამის ბარათში ჩაწერა დაავიწყდა. გახსოვს?

– მაგას რა დამავიწყებს! – გაეცინა ტომის, – როდესაც ყველაფერი გაირკვა, ბებერ კატასავით ასისინდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეჰ, მაინც კარგი ქალი იყო მოხუცი დედილო გრინბენ-კი. ჩვენს ჰოსპიტალსაც არა უშავდა. ალბათ, ისიც გაა-უქმეს, როგორც ყველაფერი, არა?

ტაპენსმა ამოიოხრა.

– ჰო. შენც დემობილიზებული ხარ?

– უკვე ორი თვეა.

– ფულადი შემწეობა? – გადაუკრა ტაპენსმა.

– დახარჯულია.

– ოჰ, ტომი!

– არა, მოხუცო, ორგიები არ მომიწყვია. მაგის იღ-ბალი ვინ მომცა! თუ არ იცი, გეტყვი, რომ საარსებო მინიმუმი, ყველაზე ჩვეულებრივი...

– ჩემო პატარავ, – გააწყვეტინა ტაპენსმა, – ყველა-ფერი მშვენივრად ვიცი, რაც საარსებო მინიმუმს შეე-ხება. ესეც „ლაიონსი“. თითოეული ჩვენგანი თავისას იხდის. წავედით! – და ტაპენსი კიბეს აუყვა.

დარბაზი სავსე დახვდათ. სანამ თავისუფალ მაგი-დას ეძებდნენ, უნებურად, სხვათა საუბრების ნაწყვე-ტები ესმოდათ.

– და... უნდა გითხრა, რომ დაჯდა და ატირდა, როცა ვუთხარი, რომ ბინის იმედი არ უნდა ჰქონოდა...

– ...მუქთად იყო ნაშოვნი, ძვირფასო! სწორედ ისე-თი, მეიბლ ლუისმა რომ ჩამოიტანა პარიზიდან...

– რას არ მოისმენს კაცი, – ჩაიჩურჩულა ტომიმ, – დილას ორ ტიპს ჩავუარე, რომლებიც ვიღაც ჯეინ ფი-ნის შესახებ საუბრობდნენ. ოდესმე თუ გსმენია ასეთი გვარი?

სწორედ ამ დროს ორი ხანში შესული ქალი წამოდ-გა და თავისი ბარგი-ბარხანის აღებას შეუდგა. ტაპენ-სი მარჯვედ მოკალათდა ერთ-ერთ გამოთავისუფლე-ბულ სკამზე.

ტომიმ ჩაი და ფუნთუშები შეუკვეთა, ტაპენსმა – ჩაი და შემწვარი პური კარაქით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩაი ცალ-ცალკე ჩაიდნით მოგვიტანეთ! – მკაცრად დაამატა მან.

ტომი მის პირდაპირ დაჯდა. წითური თმა საგულდაგულოდ დაეტკეპნა. ულამაზო, თუმცა სიმპათიური სახე აშკარად მეტყველებდა, რომ თქვენ წინ ჯენტლმენი და სპორტის მოყვარული იჯდა. კარგად მორგებული ყავისფერი კოსტიუმი აშკარად სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

ძალზე თანამედროვე წყვილს ჰგავდნენ. ტაპენსი სილამაზეზე პრეტენზიას არ აცხადებდა, თუმცა მის პატარა სახეს ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპითა და დიდი, ფართოდ გახელილი ნაცრისფერი თვალებით, ჩაფიქრებით რომ იყურებოდნენ სწორი შავი წარბების ქვეშიდან, მომხიბვლელობა ნამდვილად არ აკლდა. მოკლედ შეკრეჭილ შავ თმაზე კოხტა მწვანე ქუდი ეხურა, არცთუ ახალი და ძალზე მოკლე ქვედაწელიდან არაჩვეულებრივად მოხდენილი ფეხები მოუჩანდა. ქალიშვილის გარეგნობა მის მოხერხებულობასა და გამჭრიახობაზე მეტყველებდა.

როგორც იქნა, ჩაიც მოიტანეს. ტაპენსი მედიტაციიდან გამოერკვა და ფინჯნები გაავსო.

– მაშ, ასე, – თქვა ტომიმ და ფუნთუშას გვარიანი ნაწილი მოაკბიჩა, – მოდი, ინფორმაცია გავცვალოთ. გაითვალისწინე, რომ ერთმანეთს 1916 წლის შემდეგ აღარ შევხვედრივართ.

– კარგი, – ტაპენსმა შემწვარ პურს გემო გაუსინჯა, – აი, სუფოლკის საგრაფოს სოფელ ლითლ მისენდელის არქიდიაკონ კოულის მეხუთე ქალიშვილის, მის პრუდენს კოულის, მოკლე ბიოგრაფია: ომის დასაწყისში სახლში ცხოვრების ყველა სიამოვნებაზე (და მომაბეზრებელ მოვალეობაზე) უარი თქვა და ლონდონში გაემგზავრა, სადაც ოფიცერთა ჰოსპიტალში დაიწყო მუშაობა. პირველი თვე: ყოველდღე ექვსას ორმოც თეფშს რეცხავდა. მეორე თვე: დააწინაურეს და ზემოთ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აღნიშნულ თეფშებს ამშრალებდა. მესამე თვე: დააწინაურეს და კარტოფილის გათლა დაავალეს. მეოთხე თვე: დააწინაურეს და მის მიერვე დაჭრილ პურზე კარაქს უსვამდა. მეხუთე თვე: დააწინაურეს, ერთი სართულით მაღლა გადაიყვანეს, ტილო და ვედრო მისცეს და სანიტრის მოვალეობა დააკისრეს. მეექვსე თვე: დააწინაურეს მაგიდის მომსახურე პერსონალად. მეშვიდე თვე: არაჩვეულებრივი გარეგნობისა და სასიამოვნო მანერების წყალობით, მედდებისთვის სუფრას აწყობს! მერვე თვე: მცირედი შეფერხება კარიერაში. მედდა ბონდმა მედდა უესტჰევენის კვერცხი შეჭამა! გრანდიოზული სკანდალი! ცხადია, დამნაშავე სანიტარია! დაუდევრობა ასეთ სერიოზულ საქმეში? ტილოსა და ვედროსთან დააბრუნეთ! რა მწარეა ძლევამოსილების კვარცხლბეკიდან ძირს დაცემა! მეცხრე თვე: კვლავ დაწინაურება – პალატების დამგველად გადამიყვანეს, სადაც ბავშვობის მეგობარს, ხუთი წლის უნახავ ლეიტენანტ ტომას ბერესფორდს წავაწყდი (თავის დაკვრა, ტომი!). ამაღელვებელი შეხვედრა! მეათე თვე: საყვედური უფროსისგან, რადგან კინოს ვუყურებდი ერთ-ერთ პაციენტთან, ზემოთ აღნიშნულ ლეიტენანტ ტომას ბერესფორდთან ერთად. მეთერთმეტე და მეთორმეტე თვე: კვლავ დამლაგებლის მოვალეობის შესრულება. სრული წარმატება. წლის ბოლოს ჰოსპიტალი დიდების ზენიტში მყოფმა დავტოვე. ამის შემდეგ მრავალი ნიჭით დაჯილდოებული მის კოული მძღოლი გახდა და ჯერ პროდუქტების გადასატან ფურგონს და სატვირთოს მართავდა, შემდეგ კი გენერალს დაატარებდა. ეს ბოლო სამუშაო ყველაზე სასიამოვნო აღმოჩნდა. გენერალი საკმაოდ ახალგაზრდა იყო!

– ნეტა, რომელი გენერალი? – ჰკითხა ტომიმ, – გული მერეოდა იმის დანახვაზე, თუ როგორ დასეირნობდნენ ეს ქარაფშუტები თავდაცვის სამინისტროდან „სავოიში[1]“ და „სავოიდან“ თავდაცვის სამინისტროში.

---

[1] *სავოი – იმ დროის ლონდონის ფეშენებელური რესტორანი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გვარი უკვე დამავიწყდა, – გამოტყდა ტაპენსი, – რომ შევაჯამოთ, ეს ჩემი კარიერის ერთგვარი მწვერვალი გამოდგა. შემდეგ სამთავრობო დაწესებულებაში შევედი. რამდენჯერმე ძალზე სასიამოვნო ჩაის სმა მოვაწყვეთ. ვაპირებდი, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამომეცადა თავი, ფოსტალიონად მემუშავა, ბოლოს კი კარიერა ავტობუსის კონდუქტორად დამესრულებინა, მაგრამ ზავმა მომისწრო! ამიტომ წურბელასავით მივეკარი ჩემს დაწესებულებას, თუმცა იქიდანაც დამითხოვეს. მას შემდეგ ველარსად მოვეწყვე. კარგი, ახლა შენი რიგია.

– ჩემს კარიერაში გაცილებით ნაკლები დაწინაურება და მრავალფეროვნებაა, – დანანებით წარმოთქვა ტომიმ, – როგორც იცი, კვლავ საფრანგეთში გავემგზავრე, იქიდან – მესოპოტამიაში, სადაც მეორეჯერ დავიჭერი და იქაურ ჰოსპიტალში მოვხვდი. შემდეგ ეგვიპტეში გავიჭედე, სადაც მეც დაზავებამ მომისწრო. ერთხანს იქ ვიყიალე, სანამ დემობილიზაციაში არ მოვყევი, როგორც უკვე გითხარი. ასე რომ, ათი თვეა, რამე ადგილს ვეძებ! არადა, არაფერი ჩანს. უფრო სწორად, ჩანს, მაგრამ მე არ მიღებენ. ვის რაში ვჭირდები? რა ვიცი ბიზნესში? არაფერი.

ტაპენსი პირქუშად დაეთანხმა.

– კოლონიებზე რას იტყვი? – ჰკითხა მან.

ტომიმ თავი გადააქნია.

– არა მგონია, იქაურობა მომეწონოს. დარწმუნებული ვარ, არც მე მოვეწონები ვინმეს.

– მდიდარი ნათესავები?

ტომიმ კვლავ თავი გადააქნია.

– ოჰ, ტომი, ნუთუ არც ბებიდა?

– მოხუცი ბიძია მყავს, რომელიც, ასე თუ ისე, ფეხზე დგას, მაგრამ ის არ გამოდგება.

– რატომ?

– ჩემი შვილად აყვანა უნდოდა, მე კი უარი ვუთხარი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მგონი, მსმენია ამის შესახებ, – ჩაფიქრებით წარმოთქვა ტაპენსმა, – შენ ეს დედაშენის გამო გააკეთე...

ტომი გაწითლდა.

– ჰო, აბა, ეგ როგორ იქნებოდა. მას ხომ ჩემ გარდა არავინ ჰყავდა. ბერიკაცს კი სძულდა. მის ჯიბრზე უნდოდა ჩემი წაყვანა.

– დედაშენი გარდაიცვალა, არა? – ფრთხილად ჰკითხა ტაპენსმა.

ტომიმ თავი დაუქნია.

ტაპენსს დიდი ნაცრისფერი თვალები დაებინდა.

– კარგი ადამიანი ხარ, ტომი. ეს ყოველთვის ვიცოდი.

– სისულელეა! – ნაჩქარევად მიუგო ტომიმ, – აი, ასეა ჩემი საქმე. სასოწარკვეთილებას არაფერი მიკლია.

– მეც! ცდა არ დამიკლია. ყველაფერი მოვიარე. სარეკლამო განცხადებებს გამოვეხმაურე. რას აღარ ჩავეჭიდე. ეკონომიაც ვცადე, ბევრ რამეზე ვთქვი უარი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მშობლიურ სახლში მომიწევს დაბრუნება!

– არ გინდა?

– ცხადია, არ მინდა! რა საჭიროა სენტიმენტალობა? მამაჩემი მშვენიერი ადამიანია, ის ძალიან მიყვარს, თუმცა ვერც კი წარმოიდგენ, რამხელა ტვირთი ვიქნები მისთვის! ადრეული ვიქტორიანული ეპოქის ყაიდის კაცია და დარწმუნებულია, რომ მოკლე ქვედაწელი და სიგარეტის მოწევა ამორალურია. ხიჭვივით შეევერჭობი! როცა ომმა სახლს დამაცილა, შვებით ამოისუნთქა. მას ხომ შვიდნი ვყავდით. საშინელებაა! მუდმივად შინ ფუსფუსი და დედების შეხვედრებზე სიარული! ყოველთვის მეცამეტე გოჭი ვიყავი. არ მინდა დაბრუნება, მაგრამ... ოჰ, ტომი, სხვა რა დამრჩენია?

ტომიმ სევდიანად დაუქნია თავი. ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა, შემდეგ კი ტაპენსმა იფეთქა:

– ფული, ფული, ფული! დილიდან დაღამებამდე მხოლოდ ფულზე ვფიქრობ! ალბათ, ძალიან მერკანტილურად ვაზროვნებ, მაგრამ რა ვქნა?!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მეც შენს დღეში ვარ, – გრძნობით დაეთანხმა ტომი.

– რა აღარ ვიფიქრე ფულის საშოვნელად, – განაგრძო ტაპენსმა, – ამისთვის მხოლოდ სამი გზა არსებობს! მემკვიდრეობის მიღება, მილიონერზე დაქორწინება და გამომუშავება. პირველი გამორიცხულია. მდიდარი დაჩაჩანაკებული ნათესავები არა მყავს. ჩემი ყველა ხანდაზმული ქალი მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს! მოხუც ქალებს გზაზე გადასვლაში ყოველთვის ვეხმარები, ბერიკაც ჯენტლმენებს ძირს დავარდნილ პაკეტებს ვაწვდი იმის იმედით, რომ ექსცენტრიკული მილიონერები აღმოჩნდებიან, მაგრამ სახელი ერთსაც არ უკითხავს, ბევრს მადლობაც კი არ უთქვამს.

გაჩუმდნენ.

– ბუნებრივია, – განაგრძო ტაპენსმა, – ჩემთვის საუკეთესო შანსი ქორწინებაა. ფულიანზე გათხოვება თავიდანვე მინდოდა. ეს ყოველ გონიერ ქალიშვილს უნდა! ხომ იცი, სენტიმენტალური არა ვარ, – იგი შეყოყმანდა, – მითხარი, განა სენტიმენტალური ვარ? – დაამატა მკვეთრად.

– ცხადია, არა, – სასწრაფოდ დაეთანხმა ტომი, – ამას შენზე არავინ იფიქრებს.

– არცთუ თავაზიანად გამოგივიდა, – მიუგო ტაპენსმა, – მაგრამ შენ, ალბათ, მხოლოდ კარგს გულისხმობდი. დიახაც რომ მზად ვარ და მინდა კიდეც, თუმცა მდიდარი კაცი არასდროს შემხვედრია! ვისაც ვიცნობ, ყველას ჩემსავით უჭირს.

– გენერალზე რას იტყვი? – ჰკითხა ტომიმ.

– ვფიქრობ, მშვიდობიანობის პერიოდში ველოსიპედებით ვაჭრობს, – უთხრა ტაპენსმა, – აი, ასეა საქმე! მაგრამ შენ ხომ მაინც შეგიძლია მდიდარ ქალიშვილზე დაქორწინება?

– მეც შენსავით ვარ. ასეთს არავის ვიცნობ.

– მერე რა? ყოველთვის შეგიძლია ვინმეს გაცნობა. მე კი, სასტუმრო „რიციდან“ გამოსული, ქურქში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოწყობილი კაცი რომ დავინახო, ვერ მივალ და ვერ ვეტყვი: „მომისმინეთ, თქვენ მდიდარი ხართ. ძალიან მინდა თქვენი გაცნობა.“

– შენი აზრით, ასე ჩაცმულ ქალთან მისვლა შემიძლია?

– ნუ სულელობ. შეგიძლია, ვითომ შემთხვევით ფეხი დააბიჯო, ძირს დავარდნილი ცხვირსახოცი მიაწოდო ან რამე ამგვარი. მიხვდება, რომ მისი გაცნობა გინდა, ესიამოვნება და დანარჩენს თვითონ მიხედავს.

– ვფიქრობ, ჩემს მამაკაცურ მომხიბვლელობას გადაჭარბებით აფასებ, – ჩაიბურტყუნა ტომიმ.

– მეორე მხრივ, – განაგრძო ტაპენსმა, – ჩემი მილიონერი, ალბათ, უკანმოუხედავად გაიქცეოდა! არა, ქორწინებას მრავალი სირთულე ახლავს თან. მაშასადამე, ფულის გაკეთებაღა რჩება!

– ჩვენ უკვე ვცადეთ და არაფერი გამოგვივიდა, – შეახსენა ტომიმ.

– ჩვენ ყველა ორთოდოქსული ხერხი ვცადეთ. იქნებ, არაორთოდოქსული გვეცადა? ტომი, მოდი, ავანტიურისტები გავხდეთ!

– შესანიშნავია! – მხიარულად მიუგო ტომიმ, – რით დავიწყოთ?

– სწორედ ესაა რთული. ჩვენ რომ საკუთარი თავის წარმოჩენა შევძლოთ, ხალხი სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩასადენად დაგვიქირავებდა.

– ჩინებულად ჟღერს, – შენიშნა ტომიმ, – განსაკუთრებით, მღვდლის შვილის პირიდან.

– ზნეობრივი პასუხისმგებლობა დამქირავებელს დაეკისრება, – შეეპასუხა ტაპენსი, – დამეთანხმე, მნიშვნელოვანი განსხვავებაა, ბრილიანტის ყელსაბამს შენთვის იპარავ თუ მისთვის, ვინც დაგიქირავა, არა?

– თუ დაგიჭერენ, ამას მნიშვნელობა აღარ ექნება!

– შესაძლოა. მაგრამ ვერ უნდა დამიჭირონ. მე ხომ ძალიან ჭკვიანი ვარ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენი უმთავრესი ცოდვა ყოველთვის თავმდაბლობა იყო, – უთხრა ტომიმ.

– ნუ იკბინები. მომისმინე, ტომი, იქნებ მართლა გვეცადა? იქნებ, რამე კომპანია შეგვექმნა?

– ბრილიანტის ყელსაბამების მოპარვის კომპანია დავაფუძნოთ?

– ეს მხოლოდ საილუსტრაციოდ ვთქვი. მოდი... რა ჰქვია ამას ბუღალტერიაში?

– არ ვიცი. ეს არასდროს გამიკეთებია.

– ჩემგან განსხვავებით... მაგრამ ყოველთვის ვიბნეოდი და დანაკლისი შემოსავლის გრაფაში შემქონდა, შემოსავალი კი – დანაკლისის გრაფაში, რისთვისაც დამითხოვეს კიდეც. ოჰ, ვიცი... ერთობლივი საწარმო! როდესაც ამ სახელწოდებას მოსაწყენ ციფრებს შორის წავაწყდი, საოცრად რომანტიკულად მომეჩვენა. მასში ელისაბედისდროინდელი სურნელი იგრძნობა – გალეონებსა[1] და დუბლონებს[2] გახსენებს. ერთობლივი საწარმო!

– ახალგაზრდა ავანტიურისტების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება? ეს არის შენი იდეა, ტაპენს?

– იცინე, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამაში რაღაც არის.

– მერედა, როგორ აპირებ დამქირავებლის პოვნას?

– განცხადების გამოქვეყნების საშუალებით, – დაუფიქრებლად მიუგო ტაპენსმა, – ქაღალდი და ფანქარი ხომ არა გაქვს? ვფიქრობ, მამაკაცები მათ, ჩვეულებრივ, ყოველთვის თან დაატარებენ, როგორც ჩვენ – თმის სამაგრებსა და საპუდრეს.

ტომიმ საკმაოდ შელახული მწვანე უბის წიგნაკი გაუწოდა და ტაპენსი გულმოდგინედ შეუდგა რაღაცის წერას.

---

[1] *გალეონი – მრავალგემბანიანი იალქნიანი გემი საარტილერიო შეიარაღებით.*

[2] *დუბლონი – ძველებური ოქროს ფული ესპანეთსა და საფრანგეთში.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ასე დავიწყოთ: „ახალგაზრდა ოფიცერი, ფრონტზე ორჯერ დაჭრილი...“

– არა, არა!

– ოჰ, კარგი, ჩემო ბიჭუნი. მაგრამ გარწმუნებ, ამ ფრაზამ შესაძლოა, გული აუჩუყოს მდიდარ ხანდაზმულ შინაბერას, ის გიშვილებს და ახალგაზრდა ავანტიურისტობა აღარ დაგჭირდება.

– არ მინდა, რომ მიშვილონ.

– დამავიწყდა, რომ ამასთან დაკავშირებით წინასწარაკვიატებული აზრი გაქვს. მე მხოლოდ გაგეხუმრე. გაზეთები სავსეა ამგვარი ამბებით. მომისმინე, ასე რომ შევადგინოთ? „ორი ახალგაზრდა ავანტიურისტი მზადაა, ყველაფერი გააკეთოს, ნებისმიერ ადგილას გაემგზავროს. კარგი ანაზღაურების სანაცვლოდ.“ ეს თავიდანვე მკაფიოდ უნდა განვაცხადოთ. შეგვიძლია დავამატოთ: „გონივრულ შეთავაზებაზე უარს არ ვიტყვით“ – როგორც ბინებისა და ავეჯის შემთხვევაში.

– ჩემი აზრით, ასეთი განცხადების პასუხად, ნებისმიერი შეთავაზება მხოლოდ ძალზე არაგონივრული თუ იქნება!

– ტომი! შენ გენიოსი ხარ! ეს გაცილებით აჯობებს. „მივიღებთ ნებისმიერ არაგონივრულ შეთავაზებას – შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ.“ აბა, რას იტყვი?

– საფასურს მეტჯერ აღარ ვახსენებდი. ძალზე მომაბეზრებლად ჟღერს.

– ასეც უნდა ჟღერდეს! თუმცა, შესაძლოა, მართალი ხარ. ახლა კი წაგიკითხავ, რა გამოვიდა: „ორი ახალგაზრდა ავანტიურისტი მზადაა, ყველაფერი გააკეთოს და ნებისმიერ ადგილას გაემგზავროს, კარგი ანაზღაურების სანაცვლოდ. მივიღებთ ნებისმიერ არაგონივრულ შეთავაზებას.“ ასეთ განცხადებას როგორ აღიქვამდი?

– როგორც გათამაშებას ან შეშლილის ბოდვას.

– განა ეს ბოდვაა? ვერც კი შევადარებ იმ ბოდვას, რომელიც დღეს დილას წავიკითხე. ის „პეტუნიათი“

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იწყებოდა, ხელს კი „საუკეთესო ბიჭი“ აწერდა, – მან ფურცელი ამოხია და ტომის გაუწოდა, – აჰა. ვფიქრობ, აჯობებს, „თაიმსში“ გამოვაქვეყნოთ. მისამართი: საფოსტო ყუთის ნომერი. ხუთი შილინგი დაგვიჯდება. აი, ჩემი ნახევარი კრონი.

ტომის ქაღალდი ეჭირა და რაღაცაზე ფიქრობდა. მოულოდნელად სახე წამოუჭარხლდა.

– იქნებ, მართლა გვეცადა? – თქვა ბოლოს, – ვცადოთ, ტაპენს? გავერთობით მაინც.

– მაგარი ხარ, ტომი! ვიცოდი, რომ ასე მოიქცეოდი! მოდი, ჩვენი წარმატების სადღეგრძელო შევსვათ, – მან დარჩენილი გაცივებული ჩაი ფინჯნებში ჩამოასხა, – ჩვენს ერთობლივ საწარმოს გაუმარჯოს! წარმატება არ მოჰკლებოდეს!

– შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალგაზრდა ავანტიურისტები!“ – მხარი აუბა ტომიმ.

მათ ფინჯნები დადგეს და ოდნავ დარცხვენით გაიღიმეს. ტაპენსი წამოდგა.

– ახლა ჩემი საერთო საცხოვრებლის მდიდრულ ნომერში უნდა დავბრუნდე.

– მე კი, ალბათ, „რიცისკენ“ გავისეირნებ, – სიცილით უთხრა ტომიმ, – სად შევხვდეთ? და როდის?

– ხვალ, თორმეტ საათზე მეტროში, პიკადილიზე. გაწყობს?

– მთელი დრო ჩემს განკარგულებაშია, – ღირსების შეგრძნებით მიუგო მისტერ ბერესფორდმა.

– თუ ასეა, დროებით.

– ნახვამდის, მოხუცო.

ორი ახალგაზრდა ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით გაემართა. ტაპენსის საერთო საცხოვრებელი იმ რაიონში მდებარეობდა, რომელსაც დიდსულოვნად „სამხრეთ ბელგრავიას[1]“ უწოდებდნენ. მომჭირნეობის

---

[1] *ბელგრავია – ლონდონის ფეშენებელური რაიონი ჰაიდ-პარკის მახლობლად.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამო ავტობუსში არ ჩაჯდა. სენტ-ჯეიმზის პარკის ნახევარი ექნებოდა გავლილი, როდესაც უკნიდან მამაკაცის ხმა შემოესმა:

– მაპატიეთ, შეიძლება, რაღაც გითხრათ?

თავი მეორე
მისტერ უიტინგტონის შეთავაზება

ტაპენსი მკვეთრად შეტრიალდა, მაგრამ ენის წვერზე მომდგარი სიტყვების წარმოთქმისგან თავი შეიკავა, რადგან იმ კაცის გარეგნობამ და ქცევის მანერამ, რომელმაც დაუძახა, მისი ვარაუდი პირწმინდად გააქარწყლა. გაოცებული ქალიშვილი დუმდა, უცნობმა კი, თითქოს მისი აზრები წაიკითხაო, სწრაფად დაამატა:

– გარწმუნებთ, ჩემი არ უნდა გეშინოდეთ.

ტაპენსმა დაუჯერა. მართალია, წესით, მამაკაცს მასში უნდობლობა და მტრობა უნდა გამოეწვია, მაგრამ იგრძნო, რომ უცნობს ის განზრახვა არ ამოძრავებდა, რომელიც მან თავდაპირველად ივარაუდა. ახედ-დახედა. მაღალი იყო, სუფთად გაპარსული, მძიმე ყბებით. ტაპენსის დაჟინებულ მზერას პატარა, ეშმაკური თვალები გაუსწორა.

– აბა, რა გინდოდათ? – ჰკითხა ქალიშვილმა.

კაცს გაელიმა.

– „ლაიონსში“ შემთხვევით თქვენი და ახალგაზრდა ჯენტლმენის საუბრის ნაწილს მოვკარი ყური.

– კარგი... მერე?

– არაფერი. გავიფიქრე, რომ შესაძლოა, გამოგადგეთ.

ტაპენსმა ნათქვამი სწრაფად გადახარშა.

– მაშასადამე, მთელი ეს დრო უკან მომყვებოდით?

– საკუთარ თავს ამის უფლება მივეცი.

– თქვენი აზრით, რაში შეიძლება გამომადგეთ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კაცმა ჯიბიდან სავიზიტო ბარათი ამოიღო, გაუწოდა და თავი დაუკრა. ტაპენსმა ყურადღებით წაიკითხა: „მისტერ ედვარდ უიტინგტონი“. გვარის ქვეშ „ესტონური შუშა“ და ლონდონის ოფისის მისამართი ეწერა. მისტერ უიტინგტონმა თქვა:

– ხვალ, დილის თერთმეტ საათზე შემომიარეთ და ჩემს წინადადებას გაგაცნობთ.

– თერთმეტზე? – დაეჭვდა ტაპენსი.

– თერთმეტზე.

– კარგი, მოვალ, – გადაჭრით მიუგო ქალმა.

– გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ, – კაცმა ელეგანტური მოძრაობით შლაპა ასწია და წავიდა. ტაპენსმა ერთხანს თვალი გააყოლა, შემდეგ მხრები შეარხია, როგორც ამას ტერიერი აკეთებს.

– თავგადასავალი იწყება, – ჩაიბურტყუნა მან, – საინტერესოა, რა უნდა ჩემგან? არის თქვენში რაღაც ისეთი, მისტერ უიტინგტონ, რაც ძალიან არ მომწონს. და მაინც, თქვენი ოდნავაც არ მეშინია. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ პატარა ტაპენსს საკუთარი თავის მიხედვა შეუძლია, გმადლობ!

მან თავი გადააქნია და სწრაფად დაიძრა, მაგრამ, რაღაც მოსაზრების გამო, გზიდან გადაუხვია და ფოსტაში შეიარა. იქ რამდენიმე წუთის განმავლობაში ხელში დეპეშის ბლანკი ეჭირა და ფიქრობდა. აზრმა, რომ შესაძლოა, ხუთი შილინგი წყალში გადაეყარა, ყველა დანარჩენი მოსაზრება გადაწონა. გადაწყვიტა, მხოლოდ ცხრა პენსით გაერისკა.

ტაპენსმა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული წრიპინა კალამი და სქელი შავი მელანი ზიზღით უარყო, ტომის ფანქარი ამოიღო, რომელიც უნებლიეთ მიითვისა და სწრაფად დაწერა: „განცხადება არ გამოაქვეყნო. ხვალ აგიხსნი.“ ტომის კლუბის მისამართი მიუთითა, რომელსაც ის მომდევნო თვეს, სავარაუდოდ, დაემშვიდობებოდა – თუკი ბედი არ გაუღიმებდა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყოველწლიური შენატანისთვის ფულს არ გამოუგზავნიდა.

– იქნებ მოასწროს და მიიღოს, – ჩაიბურტყუნა ტაპენსმა, – იქნებ გამიმართლოს.

ფული გადაიხადა და აჩქარებით გაემართა შინისკენ, გზად მხოლოდ საფუნთუშეში შეიარა, რათა სამ პენსად ახალი ფუნთუშები შეეძინა. მოგვიანებით სახურავქვეშ მდებარე თავის ნამცეცა ოთახში თან ჭამდა და თან მომავალზე ფიქრობდა. რას წარმოადგენდა „ესტონური შუშა“ და რისთვის დასჭირდათ მისი მომსახურება? სასიამოვნო მღელვარება დაეუფლა. ნებისმიერ შემთხვევაში, მშობლიურმა სახლმა კვლავ უკანა პლანზე გადაიწია. ახლა მომავალი არცთუ უიმედოდ ეჩვენებოდა.

ღამით ტაპენსმა დიდხანს ვერ დაიძინა, შემდეგ დაესიზმრა, რომ მისტერ უიტინგტონმა ესტონური შუშისგან გაკეთებული ნივთების (რომლებიც საოცრად ჰგავდნენ ჰოსპიტლის თეფშებს) გროვის გარეცხვა დაავალა.

თერთმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა, როდესაც ტაპენსი იმ შენობას მიუახლოვდა, რომელშიც ფირმის ოფისი მდებარეობდა. ადრე მისვლა არადიპლომატიურ დაინტერესებად ჩაეთვლებოდა. გადაწყვიტა, ქუჩის ბოლომდე გაესეირნა და მხოლოდ ზუსტად თერთმეტ საათზე შევიდა სადარბაზოში. ფირმა „ესტონური შუშა“ ზედა სართულზე განეთავსებინათ. შენობაში ლიფტიც იყო, მაგრამ ტაპენსმა კიბით ასვლა ამჯობინა. ოდნავ აქოშინებული გაჩერდა კარის წინ, რომლის მქრქალ მინაზე საღებავით ეწერა: „ესტონური შუშის კომპანია.“

ტაპენსმა დააკაკუნა. როცა შიგნიდან ხმა გაისმა, სახელური გადაატრიალა და მომცრო, საკმაოდ ჭუჭყიან მისაღებში აღმოჩნდა.

ხანში შესული კლერკი ფანჯარასთან მდგარი მაღა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი სკამიდან ჩამოცურდა და შემოსულს კითხვის გამომხატველი მზერით შეეგება.

– შეხვედრა მაქვს დანიშნული მისტერ უიტინგტონთან, – უთხრა ტაპენსმა.

– აქეთ მობრძანდით, თუ შეიძლება, – კლერკი შიდა კარს მიუახლოვდა, დააკაკუნა, გამოაღო, გვერდზე გადგა და ტაპენსი შიგნით შეუშვა.

მისტერ უიტინგტონი ქაღალდებით მოფენილ დიდ საწერ მაგიდასთან იჯდა. ტაპენსი მიხვდა, რომ მისი პირველი შთაბეჭდილება დასტურდებოდა – მისტერ უიტინგტონი რაღაცით ეჭვს აღუძრავდა: წარმატებული საქმოსნის იერისა და ეშმაკური თვალების კომბინაცია ანტიპათიას იწვევდა.

კაცმა ქაღალდებს მზერა მოსწყვიტა და თავი დააქნია.

– მაშასადამე, მოხვედით, არა? ეს კარგია. დაბრძანდით, გეთაყვა.

ტაპენსი მისტერ უიტინგტონის პირდაპირ მდგარ სკამზე დაჯდა. ამ დილით ქალიშვილი განსაკუთრებით პატარა და სერიოზული ჩანდა. თვინიერად იჯდა თავდახრილი, სანამ კაცი ქაღალდებს აშრიალებდა. ბოლოს მან ისინი განზე გასწია და წინ გადაიხარა.

– ახლა კი საქმეზე გადავიდეთ, ჩემო ძვირფასო ახალგაზრდა ლედი, – მისტერ უიტინგტონმა ფართოდ გაიღიმა, – სამუშაო გინდათ? შემიძლია, რაღაც შემოგთავაზოთ. 100 გირვანქა წინასწარ და ყველა სხვა ხარჯის ანაზღაურება. აბა, რას იტყვით? – მისტერ უიტინგტონი სავარძლის საზურგეზე გადაწვა და ცერა თითები ჟილეტს იღლიებთან გამოსდო.

ტაპენსმა ფრთხილად შეხედა მას.

– რა უნდა გავაკეთო?

– არაფერი – თითქმის არაფერი. მხოლოდ სასიამოვნო მგზავრობა გელით.

– სად?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისტერ უიტინგტონმა კვლავ გაიღიმა.

– პარიზში.

– ოჰ! – ჩაფიქრებული სახით წარმოთქვა ტაპენსმა, გულში კი გაივლო: „წარმომიდგენია, რა დაემართებოდა მამაჩემს ამის გაგონებაზე! მაგრამ მისტერ უიტინგტონს გეი თაღლითს ვერაფრით ვამსგავსებ.“

– დიახ, – განაგრძო მისტერ უიტინგტონმა, – რა უნდა იყოს ამაზე საუცხოო? საათის ისრების რამდენიმე – დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ორიოდე – წლით უკან გადაწევა და კვლავ შესვლა ახალგაზრდა ქალიშვილებისთვის განკუთვნილ ერთ-ერთ პანსიონში, რომლებიც ასე მრავლადაა პარიზში...

– პანსიონში? – გააწყვეტინა ტაპენსმა.

– სწორედაც რომ. მადამ კოლომბიეს პანსიონი ნეიის ავენიუზე.

ტაპენსმა კარგად იცოდა ეს სახელი. პანსიონი რჩეულთათვის. იქ მისი რამდენიმე ამერიკელი მეგობარი სწავლობდა. ამ ყველაფერმა უსაზღვროდ გააოცა.

– თქვენ გინდათ, რომ მადამ კოლომბიეს პანსიონში შევიდე? რამდენი ხნით?

– ჯერ არ ვიცი, შესაძლოა, სამი თვით.

– სულ ესაა? სხვა პირობა არა გაქვთ?

– არა. ცხადია, იქ ჩემი სამეურვეოს სახით შეხვალთ და მეგობრებთან ყოველგვარ კავშირს გაწყვეტთ. პანსიონში ცხოვრებისას არავინ უნდა იცოდეს, სად იმყოფებით. ჰო, მართლა, მგონი, ინგლისელი ხართ, არა?

– დიახ.

– მაგრამ თქვენში მსუბუქი ამერიკული აქცენტი იგრძნობა.

– ჰოსპიტალში ამერიკელ გოგონასთან ვმეგობრობდი. შესაძლოა, მისგან გადმომედო. მაგრამ ამას სწრაფად დავივიწყებ.

– პირიქით, აჯობებს, თუ ამერიკელი ეგონებით. ინგლისში თქვენი წარსული ცხოვრების შესახებ დეტა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლების შეთხზვა აღარ დაგვჭირდება. დიახ, ნამდვილად ასე აჯობებს. შემდეგ...

– ერთი წუთით, მისტერ უიტინგტონ! თქვენ მგონი დაასკვენით, რომ უკვე დაგეთანხმეთ?

უიტინგტონს სახეზე გაოცება გამოეხატა.

– უარის თქმას ხომ არ აპირებთ? გარწმუნებთ, მადამ კოლომბიეს პანსიონი პირველხარისხოვანი და ორთოდოქსული დაწესებულებაა. ანაზღაურებაც გულუხვია.

– მართალს ბრძანებთ, – მიუგო ტაპენსმა, – და მთავარიც ესაა. ანაზღაურება ძალზე გულუხვია, მისტერ უიტინგტონ. ვერ ვხვდები, რატომ მიხდით ამხელა თანხას.

– ვერ ხვდებით? – ხმადაბლა ჩაილაპარაკა მისტერ უიტინგტონმა, – კარგი, გეტყვით. ცხადია, ვინმეს უფრო ნაკლებ ფასადაც ვიშოვიდი. მაგრამ მე ზრდილობიანი, გონიერი და მოხერხებული ახალგაზრდა ლედი მჭირდება, რომელიც თავის როლს კარგად შეასრულებს და ბევრ შეკითხვასაც არ დასვამს. სწორედ ამაში ვიხდი.

ტაპენსმა ოდნავ გაიღიმა. იგრძნო, რომ უიტინგტონმა მიზანში მოარტყა.

– კიდევ არის რაღაც. თქვენ მისტერ ბერესფორდი ჯერ არ გიხსენებიათ. მისი საქმე როგორ იქნება?

– მისტერ ბერესფორდის?

– ჩემი პარტნიორის, – ამაყად მიუგო ტაპენსმა, – გუშინ თქვენ ერთად გვნახეთ.

– აჰ, დიახ. მაგრამ ვშიშობ, მისი სამსახური არ დაგვჭირდება.

– თუ ასეა, სალაპარაკოც არაფერია! – ტაპენსი წამოდგა, – ან ორივე, ან არც ერთი. ვწუხვარ... მაგრამ ასეა. კარგად ბრძანდებოდეთ, მისტერ უიტინგტონ.

– მოითმინეთ. იქნებ რამე მოვიფიქრო. დაბრძანდით, მის... – კაცმა ქალიშვილს კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტაპენსს არქიდიაკვანი გაახსენდა და შერცხვა. ამიტომ სასწრაფოდ წარმოთქვა პირველივე სახელი, რაც თავში მოუვიდა:

– ჯეინ ფინი... – თქვა და პირდაღებული დარჩა იმ რეაქციით, რაც ამ ორმა უბრალო სიტყვამ გამოიწვია.

უიტინგტონის სახიდან გულკეთილობა პირწმინდად გაქრა. იგი წამოჭარხალდა, შუბლზე ძარღვები დაებერა. მაგრამ ამ გაშმაგების მიღმა ერთგვარი შიში იგრძნობოდა. წინ გადაიხარა და მრისხანედ წაისისინა:

– მეთამაშებით, არა?

განცვიფრების მიუხედავად, ტაპენსის ტვინი გამალებით მუშაობდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, კაცი რას გულისხმობდა, თუმცა წამსვე მიხვდა, რომ არაფერი უნდა შეემჩნია. უიტინგტონმა კი განაგრძო:

– მაშასადამე, მთელი ამ დროის განმავლობაში კატათაგვობანას მეთამაშებოდი? თავიდანვე იცოდი, რა მინდოდა და ეს კომედია მომიწყვე, არა? – კაცი ოდნავ დაცხრა, სახეზე ჩვეული ფერი დაუბრუნდა, – ვინ წამოაყრანტალა? რიტამ?

ტაპენსმა თავი გადააქნია. ხვდებოდა, რომ ეს უნებლიე გათამაშება დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მასში უცნობი რიტას შემოყვანა არ ღირდა.

– არა, – აღიარა მან, – რიტამ ჩემ შესახებ არაფერი იცის.

კაცი თვალებით მის ბურღვას განაგრძობდა.

– ბევრი იცი? – ჰკითხა სულმოუთქმელად.

– ძალიან ცოტა, – მიუგო ტაპენსმა და კმაყოფილებით შეამჩნია, რომ მისტერ უიტინგტონის შეშფოთებამ, მოკლების ნაცვლად, იმატა. წაიტრაბახებდა, ყველაფერი ვიციო, მაგრამ ამით კაცს ეჭვს აღუძრავდა.

– ნებისმიერ შემთხვევაში, – დაიღრინა უიტინგტონმა, – საკმარისი გცოდნია, რადგან აქ მოხვედი და ეს სახელი მომახალე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იქნებ მართლა ასე მქვია?.. – თქვა ტაპენსმა.

– ჰო, ორ ქალიშვილს სწორედ ეს სახელი და გვარი გაქვთ, არა?

– ან იქნებ შემთხვევით მოვარტყი, – განაგრძო სიმართლის თქმით გამოწვეული წარმატებით გაბრუებულმა ტაპენსმა.

მისტერ უიტინგტონმა მაგიდას მუშტი დაარტყა.

– გეყოფა ჩემი გასულელება! რა იცი? და რამდენი გინდა?

ბოლო ორმა სიტყვამ ტაპენსს წარმოსახვა გაუმძაფრა, რასაც მწირი საუზმე და ფუნთუშებით წუხანდელი ვახშმობაც უწყობდა ხელს. ახლა თავს ავანტიურისტად უფრო გრძნობდა, ვიდრე თავგადასავლების მაძიებლად, მაგრამ ხვდებოდა, რომ ეს მას ახალ შესაძლებლობებს აძლევდა. მხრებში გასწორდა და იმ ადამიანივით გაიღიმა, რომელიც ყველაფერში კარგად ერკვევა. – ძვირფასო მისტერ უიტინგტონ, – თქვა მან, – მოდი, ყველა კარტი გავხსნათ. და ძალიან გთხოვთ, ასე ნუ ბრაზობთ. ხომ გაიგონეთ, როგორ ვთქვი გუშინ, რომ საკუთარი ჭკუით ვაპირებ ცხოვრებას. ვფიქრობ, დავამტკიცე, რომ ჭკუა მაქვს, რომლითაც ცხოვრებას შევძლებ! ვაღიარებ, რომ მართლა მსმენია ეს სახელი, მაგრამ იქნებ ჩემი ცოდნა ამით ამოიწურება.

– დიახ... და იქნებ არც ამოიწურება, – ჩაიბუზღუნა უიტინგტონმა.

– კვლავაც დაჟინებით არ გსურთ ჩემი გაგება, – თქვა ტაპენსმა და ოდნავ ამოიოხრა.

– გიმეორებთ, – გაბრაზებით თქვა უიტინგტონმა, – მორჩი სისულელეს და საქმეზე გადავიდეთ. გულუბრყვილო გოგოს როლს ნუ თამაშობ. იმაზე მეტი იცი, ვიდრე ამბობ.

ტაპენსი ერთხანს დუმდა და საკუთარი საზრიანობით ტკბებოდა, შემდეგ კი ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– სულაც არ მინდა თქვენი გაღიზიანება, მისტერ უიტინგტონ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშასადამე, ჩვეულებრივ შეკითხვას მივადექით – რამდენი?

ტაპენსი დილემის წინაშე აღმოჩნდა. აქამდე მარჯვედ ასულელებდა უიტინგტონს. მაგრამ თუ ახლა შეუფერებელ თანხას დაასახელებდა, კაცს მყისვე ეჭვი გაუჩნდებოდა. უეცრად თავში ერთი აზრი მოუვიდა.

– თავდაპირველად მცირე ავანსი იყოს, დანარჩენზე კი მოგვიანებით ვიმსჯელოთ. რას იტყვით?

უიტინგტონმა განრისხებით შეხედა.

– შანტაჟს მიწყობ, ჰა?

ტაპენსმა ტკბილად გაიღიმა.

– ოჰ, არა! უბრალოდ, მომავალი მომსახურების საფასურზე წინასწარ ვმსჯელობთ.

უიტინგტონმა რაღაც გაუგებრად ჩაიბურტყუნა.

– თავხედი ხარ, მეტი არაფერი, – უნებური აღფრთოვანებით წარმოთქვა უიტინგტონმა, – მეგონა, ჩვეულებრივ ჩუმჩუმელასთან მქონდა საქმე, რომელსაც სწორედ იმდენი ტვინი ჰქონდა, რამდენიც მჭირდებოდა.

– ცხოვრება სიურპრიზებითაა სავსე, – დამრიგებლური კილოთი მიუგო ტაპენსმა.

– და მაინც, – განაგრძო უიტინგტონმა, – ვილაცამ ზედმეტი წამოროშა. ამბობ, რიტას არაფერი უთქვამსო, აბა, ეს... ოჰ, შემოდით!

ოთახში კლერკი შემოვიდა და პატრონს წინ რაღაც ფურცელი დაუდო.

– სატელეფონო შეტყობინებაა თქვენთვის, სერ.

უიტინგტონმა ქაღალდს ხელი სტაცა, წაიკითხა და მოიღუშა.

– კარგი, ბრაუნ. შეგიძლიათ, წახვიდეთ.

კლერკი გავიდა და კარი გაიხურა. უიტინგტონმა ტაპენსს შეხედა.

– ხვალ ამავე დროს მოდი. ახლა არ მცალია. დასაწყისისთვის ორმოცდაათი ფუნტი აიღე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მან სწრაფად გადათვალა ბანკნოტები და მაგიდაზე ტაპენსისკენ გააცურა, შემდეგ მოუთმენლად წამოდგა და მის წასვლას დაელოდა.

ტაპენსმა თანხა საქმიანი სახით გადაამოწმა, ხელჩანთაში შეინახა და წასასვლელად მოემზადა.

– კარგად ბრძანდებოდეთ, მისტერ უიტინგტონ, – უთხრა თავაზიანად, – თუმცა, აჯობებს, au revoir[1] გითხრათ.

– მართალია. Au revoir! – უიტინგტონმა კვლავ გულკეთილი სახე მიიღო და ტაპენსს გულის სიღრმეში ცუდი წინათგრძნობა გაუჩნდა, – au revoir, ჩემო ჭკვიანო და მშვენიერო ახალგაზრდა ლედი.

ტაპენსმა სწრაფად ჩაიარა კიბე. აღტაცებას გულში ველარ იტევდა. ქუჩის საათზე თორმეტს ხუთი წუთი აკლდა.

– ტომის სიურპრიზი მოვუწყოთ! – ჩაიჩურჩულა და ტაქსი გააჩერა.

როდესაც მანქანა მეტროს შესასვლელთან გაჩერდა, ტომი უკვე იქ იყო. მან გაოცებისგან თვალები დააჭყიტა და კარის გასაღებად გაქანდა. ტაპენსმა ალერსიანად გაუღიმა და ხაზგასმული უდარდელობით უთხრა:

– გადაუხადე, ბებერო, კარგი? ხუთგირვანქიან ბანკნოტზე წვრილი ფული არა მაქვს!

თავი მესამე
დაბრკოლება

საზეიმო მომენტი კინაღამ უბრალო წვრილმანმა გააფუჭა. ტომის ჯიბეებში ძალზე მცირე თანხა ედო. ბოლოს, ლედი იძულებული გახდა, ხელჩანთიდან პლე-

[1] *ნახვამდის (ფრ.).*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბეური ორპენსიანი ამოეღო და მძღოლისთვის ნაირგვარი ხურდით სავსე ხელში ჩაედო. ამით უკმაყოფილო ტაქსისტი მანქანაში ბუზღუნით შეძვრა.

– მგონი, საჭიროზე მეტი გადაუხადე, – უწყინარი ხმით წარმოთქვა ტაპენსმა, – ალბათ, ხურდის დაბრუნება სურს.

როგორც ჩანს, ამ შენიშვნამ ტაქსის მძღოლზე სათანადოდ იმოქმედა და იგი იქაურობას გაეცალა.

– აბა, – დაიწყო ტომიმ, რომელსაც გრძნობების გამოხატვის შესაძლებლობა მიეცა, – რა ჯანდაბა... რამ მოგაფიქრებინა ტაქსით მოსვლა?

– მეშინოდა, დამაგვიანდება და ლოდინი მოუწევსმეთქი, – მშვიდად მიუგო ტაპენსმა.

– გეშინოდა... რომ... დაგაგვიანდებოდა! ო, ღმერთო, არც კი ვიცი, რა ვთქვა! – შესძახა მისტერ ბერესფორდმა.

– მართლა ასეა, – განაგრძო ტაპენსმა და თვალები უფრო ფართოდ გაახილა, – ხუთგირვანქიანზე ნაკლები არა მაქვს.

– მშვენივრად ითამაშე, მოხუცო, მაგრამ მან მაინც არ დაგიჯერა – წამითაც კი.

– ჰო, – ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა ტაპენსმა, – არ დამიჯერა. უცნაურია – როდესაც სიმართლეს ამბობ, არავინ გიჯერებს. ამაში დღეს დილას დავრწმუნდი. ახლა კი წავიდეთ და ვისადილოთ. „სავოიზე“ რას იტყვი?

ტომი გაიკრიჭა.

– „რიცი“ ხომ არ აჯობებს?

– არა, დავფიქრდი და „პიკადილი“ მირჩევნია. უფრო ახლოსაა. კვლავ ტაქსიში ჩაჯდომა აღარ დაგვჭირდება. წავედით.

– ეს რა, ახალი იუმორია? თუ მართლა ჭკუაზე შეიშალე? – ჰკითხა ტომიმ.

– სწორი შენი მეორე ვარაუდია. იმდენი ფული ჩამივარდა ხელში, რომ ვეღარ გავუძელი და გავაფრინე!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამგვარი დაავადებისგან განსაკურნავად ერთი სახელგანთქმული ექიმი გვირჩევს, მივირთვათ განუსაზღვრელი რაოდენობის საუზმეული, ასთაკვი ამერიკულად, ნიუბერგული წიწილა და „ატამი მელბა.“ წამოდი, ვიმკურნალოთ.

– ტაპენს, ბებერო, აღარ იტყვი, რა დაგემართა?

– ოჰ, რა ურწმუნობაა! – ტაპენსმა ხელჩანთა გახსნა, – აჰა, შეხედე და დატკბი!

– ჩემო ძვირფასო, გირვანქიან ბანკნოტებს ცოტა ფრთხილად მოექეცი.

– ეს გირვანქიანი ბანკნოტები არაა. ხუთჯერ უკეთესია. ეს კი – ათჯერ უკეთესი!

ტომიმ დაიკვნესა.

– როგორც ჩანს, ზედმეტი დავლიე! ტაპენს, მესიზმრება თუ მართლა ვხედავ უამრავ ხუთგირვანქიან ბანკნოტს, რომლებსაც ასე უდიერად ექცევიან? – ჭეშმარიტებას ღაღადებ, მეფეო! აბა, წამოხვალ, რომ ვისადილოთ?

– სადაც გინდა, იქ წამოგყვები. მაგრამ რა ჩაიდინე? ბანკი გაძარცვე?

– ყველაფერს თავისი დრო აქვს. არა, მაინც რა საშინელი ადგილია ეს „პიკადილი სერქესი.“ ამ უზარმაზარმა ავტობუსმა არ გაგვიტანოს. ნამდვილი უბედურება იქნება, ეს ხუთგირვანქიანი ბანკნოტები რომ განადგურდეს!

– „გრილზე“ რას იტყვი? – ჰკითხა ტომიმ, როცა ტროტუარს მშვიდობიანად მიაღწიეს.

– უფრო ძვირიანი დაწესებულებაც არსებობს, – გაჯიუტდა ტაპენსი.

– ეს ხომ ფულის უაზრო და უგუნური ფლანგვაა. აქეთ წამოდი.

– დარწმუნებული ხარ, რომ იქ შევძლებ, ყველაფერი შევუკვეთო, რაც მინდა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იმ გიჟურ მენიუს გულისხმობ, ახლახან რომ მითხარი? ცხადია, შეძლებ. ყოველ შემთხვევაში, იმ-დენს, რაც ჩაგეტევა.

– ახლა კი მითხარი, – ველარ მოითმინა ტომიმ, რო-დესაც ტაპენსს საოცნებო კერძები მოუტანეს და მაგი-დაზე დაუწყვეს.

მის კოულიმ ყველაფერი უამბო.

– ყველაზე საინტერესო ისაა, – დაასრულა მან, – რომ ჯეინ ფინი სრულიად შემთხვევით დავასახელე. უეცრად მომადგა ენაზე. ნამდვილი გვარი საბრალო მამაჩემის გამო არ დავასახელე – იმ შემთხვევისთვის, თუ რამე ბნელ საქმეში გავეხვეოდი.

– შესაძლოა, ასეცაა, – გაწელვით ჩაილაპარაკა ტო-მიმ, – მაგრამ ის შენ არ მოგიგონია.

– რა?

– ჰო, ის ჩემგან გაიგონე. ნუთუ არ გახსოვს, გუშინ გითხარი, ორი კაცი ვიღაც ქალზე ლაპარაკობდა, რო-მელსაც ჯეინ ფინი ერქვა-მეთქი? ამიტომაც მოგივიდა თავში.

– მართალი ხარ. გამახსენდა. რა უცნაურია... – ტა-პენსი მცირე ხნით დუმდა, შემდეგ კი შესძახა: – ტომი!

– ჰო!

– როგორ გამოიყურებოდა ის ორი მამაკაცი?

ტომიმ შუბლი შეიჭმუხნა და გახსენება სცადა.

– ერთი ზორბა და მსუქანი იყო, სუფთად გაპარსუ-ლი. მგონი... შავთმიანი.

– ის არის! – შესძახა ტაპენსმა, – უიტინგტონი! მე-ორე?

– არ მახსოვს. მეორისთვის ყურადღება თითქმის არ მიმიქცევია. მხოლოდ ქალიშვილის უცნაური სახე-ლი დამამახსოვრდა.

– მერე იტყვიან, დამთხვევა არ არსებობსო! – ტა-პენსი ხალისით შეუდგა ატმის ნაყინის ჭამას.

უეცრად ტომი დასერიოზულდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მომისმინე, ტაპენს, ძველო, ამას რა მოჰყვება?

– უფრო მეტი ფული, – მიუგო კომპანიონმა.

– ეს გასაგებია. თავში მხოლოდ ერთი აზრი გიტრიალებს. მე კი მომდევნო ნაბიჯზე გეკითხები. როგორ აპირებ თამაშის გაგრძელებას?

– ოჰ! – ტაპენსმა კოვზი დადო, – მართალი ხარ. ეს გვარიანი თავსატეხია.

– ხომ იცი, ბლეფი უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. ადრე თუ გვიან, ფეხი დაგიცდება. დარწმუნებული არა ვარ, რომ რამე შარში არ გაეხვევი. ალბათ, ხვდები, რომ ეს შანტაჟია.

– სისულელეა. შანტაჟი მაშინაა, როცა ვინმეს ემუქრები, რომ ყველაფერს მოჰყვები, თუ ფულს არ გადაგიხდიან. მე კი ვამტკიცებ, რომ მოსაყოლი არაფერი მაქვს, რადგან არაფერი ვიცი.

– ჰმ, – დაეჭვებით თქვა ტომიმ, – და მაინც, როგორ უნდა მოვიქცეთ? ამ დილას მას ეჩქარებოდა და ამიტომ მოგიცილა თავიდან. შემდეგ ჯერზე კი, სანამ ფულს მოგცემს, რამის გარკვევას მოინდომებს. კერძოდ, რა იცი, და თუ იცი, როგორ შეიტყვე, და კიდევ ვინ იცის, რა, რაზეც წარმოდგენაც კი არა გაქვს. აბა, რას იტყვი ამ ყველაფერზე?

ტაპენსი მოიღუშა.

– უნდა მოვიფიქროთ. თურქული ყავა შეუკვეთე, ტომი. მაგარი ყავა ტვინის მუშაობას ააქტიურებს. ო, ღმერთო ჩემო, რამდენი მიჭამია!

– ჰო, ღორივით შეთქვლიფე! თუმცა მეც ასე მოვიქეცი, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ კერძები შენზე უფრო გონივრულად შევარჩიე. ორი ყავა (ეს ოფიციანტს უთხრა), ერთი თურქულად, ერთიც ფრანგულად.

ღრმად ჩაფიქრებული ტაპენსი ყავას წრუპავდა. როდესაც ტომიმ რაღაცის თქმა დააპირა, გაუბრაზდა:

– ჩუმად იყავი. ვფიქრობ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ოჰ, ეს პელმანიზმი[1]! – ჩაილაპარაკა ტომიმ და გაჩუმდა.

– აჰა! – თქვა ბოლოს ტაპენსმა, – გეგმა შევადგინე. პირველ ყოვლისა, ამ ყველაფრის შესახებ უფრო მეტი უნდა შევიტყოთ.

ტომიმ ტაში დაუკრა.

– ნუ დამცინი. რამის გაგება მხოლოდ უიტინგტონის საშუალებით შეგვიძლია. უნდა დავადგინოთ, სად ცხოვრობს, რას საქმიანობს... ერთი სიტყვით, უნდა ვუთვალთვალოთ! ამას მე ვერ გავაკეთებ, რადგან უკვე კარგად მიცნობს. შენ კი მხოლოდ ერთხელ მოგკრა თვალი „ლაიონსში“ და არა მგონია, დაემახსოვრებინე. ბოლოს და ბოლოს, ყველა ახალგაზრდა კაცი ერთმანეთს ჰგავს.

– ამაში კატეგორიულად ვერ დაგეთანხმები. დარწმუნებული ვარ, ჩემი სასიამოვნო გარეგნობა და მანერები ნებისმიერ ბრბოში გამომარჩევს.

– ჩემი გეგმა ასეთია, – მშვიდად განაგრძო ტაპენსმა, – ხვალ მარტო წავალ. და კვლავ გავასულელებ, როგორც დღეს. დიდი ამბავი, თუ მთელ ფულს ერთბაშად ვერ მივიღებ. ორმოცდაათი გირვანქა რამდენიმე დღე მაინც გვეყოფა.

– ან უფრო მეტხანს!

– შენ ქუჩაში დამელოდები. როდესაც გამოვალ, შენკენ არც გამოვიხედავ – იმ შემთხვევისთვის, თუ თვალთვალს დააპირებს. შორიახლო დავდგები. გამოვა თუ არა, ან ცხვირსახოცს დავაგდებ, ან სხვაგვარად გაგაგებინებ. სწორედ მაშინ შეუდგები საქმეს.

– რომელ საქმეს?

– მას გაჰყვები, სულელო. აბა, რას იტყვი? როგორი გეგმაა?

– ისეთია, როგორიც წიგნებში წერია. მაგრამ რეა-

---

[1] *პელმანიზმი – გონების ვარჯიშის სისტემა, რომელიც პოპულარული იყო დიდ ბრიტანეთში XX საუკუნის I ნახევარში.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლურ ცხოვრებაში თუ საათობით უსაქმოდ იდგები ქუ-ჩაში, თავს იდიოტად იგრძნობ. თანაც შესაძლოა, გამვ-ლელებმაც იეჭვონ რამე.

– ოღონდ, არა ქალაქში. ყველა თავის საქმეზე მიიჩ-ქარის, ასე რომ, ყურადღებას არავინ მოგაქცევს.

– უკვე მეორეჯერ მეუბნები მსგავს რამეს. მაგრამ არა უშავს, გაპატიებ. დღეს რას აპირებ?

– რას და... – ჩაფიქრებით დაიწყო ტაპენსმა, – შლა-პებზე ვფიქრობდი! აბრეშუმის წინდებზე! შესაძლოა...

– თავი შეიკავე, – ურჩია ტომიმ, – ორმოცდაათი გირვანქისთვისაც არსებობს ზღვარი! მოდი, ერთად ვივახშმოთ, საღამოს კი თეატრში წავიდეთ.

– ეგრე იყოს.

დღემ სასიამოვნოდ ჩაიარა, საღამომ – უფრო უკეთ. ორი ხუთგირვანქიანი ბანკნოტი სამუდამოდ გაქრა.

მომდევნო დილას, შეთანხმებისამებრ, ერთმანეთს შეხვდნენ და სიტისკენ გაემართნენ. ტომი მოპირდა-პირე მხარეს დარჩა, ტაპენსმა კი ქუჩა გადაჭრა და სა-დარბაზოში შევიდა.

თავდაპირველად ტომიმ ქუჩის ბოლომდე გაისეირ-ნა, შემდეგ უკან დაბრუნდა. შუა გზაზე ტაპენსი შეე-ჩეხა.

– ტომი!

– რა მოხდა?

– კარი დაკეტილია. არავინ პასუხობს.

– უცნაურია.

– შენც ასე ფიქრობ? მოდი, წავიდეთ და ერთად ვცა-დოთ.

ტომი სიტყვის უთქმელად გაჰყვა უკან. როდესაც მესამე სართულზე ავიდნენ, რომელიღაც ოფისიდან ახალგაზრდა კლერკი გამოვიდა. იგი წამით შეყოყმან-და, შემდეგ კი ტაპენსს მიმართა:

– „ესტონურ შუშაში“ მობრძანდით?

– დიახ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ისინი დაიხურნენ. ჯერ კიდევ გუშინ. ამბობენ, არსებობა შეწყვიტაო. პირადად არაფერი ვიცი. მაგრამ შენობა დაცალეს.

– გ... გმადლობთ, – უთხრა ტაპენსმა, – შემთხვევით, მისტერ უიტინგტონის ბინის მისამართი ხომ არ იცით?

– ვშიშობ, არა. ყველაფერი ძალზე მოულოდნელად მოხდა.

– დიდი მადლობა, – თქვა ტომიმ, – წავიდეთ, ტაპენს.

ქუჩაში გავიდნენ და ერთმანეთს გაოცებით გადახედეს.

– ესეც ასე... – ჩაილაპარაკა ტომიმ.

– ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი, – წარმოთქვა ტაპენსმა.

– ცხვირს ნუ ჩამოუშვებ, მოხუცო, ამას აღარაფერი ეშველება.

– მართლა? – ტაპენსმა პატარა ნიკაპი ამაყად შემართა, – შენი აზრით, ეს დასასრულია? თუ ასეა, ძალიან ცდები. ეს მხოლოდ დასაწყისია.

– რისი დასაწყისი?

– ჩვენი თავგადასავლის! ტომი, როგორ ვერ ხვდები? თუ ისე შეეშინდათ, რომ მყისვე გაიქცნენ, მაშასადამე, ჯეინ ფინის ამბის უკან რაღაც იმალება! არა უშავს, ყველაფერს დავადგენთ. ჩვენ მათ მივაგნებთ! ნამდვილი მაძებრებივით დავიწყებთ თვალთვალს!

– ჰო, მაგრამ არავინ დარჩა, რომ ვუთვალთვალოთ.

– ამიტომ ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწევს. ფანქარი მომეცი. გმადლობ. მოიცა... ოღონდ არ გამაწყვეტინო. აჰა! – ტაპენსმა ფანქარი ტომის დაუბრუნა და ხელისგულში მოქცეულ ქაღალდის ფურცელს კმაყოფილებით დახედა.

– ეს რა არის?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– განცხადება.

– ნუთუ მაინც გადაწყვიტე იმ სისულელის გამოქვეყნება?

– არა, ეს სრულიად სხვაა.

ტაპენსმა ფურცელი გაუწოდა და ტომიმ წაიკითხა:

„ვეძებთ ნებისმიერ ინფორმაციას ჯეინ ფინის შესახებ. მიმართეთ ი.ა.-ს.“

თავი მეოთხე
ვინ არის ჯეინ ფინი?

მომდევნო დილა გვარიანად გაიწელა. ხარჯის შემცირება მართებდათ. თუ ხელმომჭირნეობას გამოიჩენდნენ, ორმოცი გირვანქა კარგა ხანს ეყოფოდათ. საბედნიეროდ, საუცხოო ამინდი იდგა და როგორც ტაპენსმა განაცხადა, „ფეხით სიარული იაფი ჯდებოდა.“ საღამოს იაფფასიან კინოში წავიდნენ.

იმედგაცრუების დღე ოთხშაბათს დაემთხვა. განცხადება ხუთშაბათს გამოქვეყნდა, ახლა კი, პარასკევს, ტომის მისამართზე წერილების მოსვლას ელოდებოდნენ. მან პირობა დადო, რომ მათ არ გახსნიდა და ნაციონალურ გალერეაში მიიტანდა, სადაც ათ საათზე კომპანიონი შეხვდებოდა.

პაემანზე პირველი ტაპენსი მივიდა. იგი წითელხავერდგადაკრულ დივანზე მოკალათდა და ტერნერის[1] სურათებს მიაჩერდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, სანამ დარბაზში შემოსულ ნაცნობ ფიგურას არ მოჰკრა თვალი.

– აბა?

– აბა? – იქედნურად გაიმეორა მისტერ ბერესფორდმა, – რომელია შენი საყვარელი ნახატი?

---

[1] *უილიამ ჯოზეფ ტერნერი (1775-1852 წწ.) – ინგლისელი მხატვარი, ცნობილი პეიზაჟისტი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნუ ხარ ასეთი საძაგელი! მოვიდა რამე პასუხი?

ტომიმ თავი გადააქნია. ღრმად, თუმცა ოდნავ არაბუნებრივად დამწუხრებული ჩანდა.

– არ მინდოდა, პირდაპირ მომეხალა და იმედი გამეცრუებინა, მოხუცო. ცუდადაა საქმე. ფული გადავყარეთ, – მან ამოიოხრა, – ჰო, ასეა. განცხადება გამოქვეყნდა და... მხოლოდ ორი პასუხი მოვიდა!

– ტომი, შე ეშმაკო! – ლამის შეჰყვირა ტაპენსმა, – ახლავე მომეცი. რა საძაგელი ხარ!

– სიტყვები შეარჩიე, ტაპენს, სიტყვები შეარჩიე. ეს ნაციონალური გალერეაა, სახელმწიფო დაწესებულება. და გახსოვდეს, უკვე გითხარი კიდეც, რომ როგორც მღვდლის შვილი...

– მსახიობი უნდა გამოვსულიყავი! – მკვეთრად დაასრულა ტაპენსმა.

– სხვა რამის თქმა მინდოდა. მაგრამ თუ სრულად დატკბი ჩემგან სრულიად უფასოდ მოვლენილი სიხარულით, რომელიც იმედგაცრუების შემდეგ განიცადე, მოდი, ფოსტას მივხედოთ.

ტაპენსმა უცერემონიოდ გამოსტაცა ორივე ძვირფასი კონვერტი და საგულდაგულოდ შეათვალიერა.

– ამაში სქელი ქაღალდია. მდიდრულად გამოიყურება. გადავდოთ და ჯერ მეორე გავხსნათ.

– იყოს ნება შენი. ერთი, ორი, სამი, მიდი!

ტაპენსმა კონვერტი გახია და ფურცელი ამოიღო.

„ძვირფასო სერ,

დილის გაზეთში თქვენ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, რამეში გამოგადგეთ. თუ არ შეწუხდებით, მითითებულ მისამართზე მეწვიეთ ხვალ, დილის თერთმეტ საათზე.

გულწრფელად თქვენი ა. კარტერი“

– კარშელტონ-ტერასის 27, – წაიკითხა მისამართი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტაპენსმა, – ეს გლოსტერ-როუდის გზაზეა. თუ მეტროთი წავალთ, უამრავი დრო დაგვეხარჯება.

– აი, კამპანიის გეგმა, – თქვა ტომიმ, – ახლა ჩემი დროა, რომ ინიციატივა გამოვიჩინო. მისტერ კარტერთან შემიყვანენ და მე და ის, როგორც მიღებულია, ერთმანეთს მშვიდობიან დილას ვუსურვებთ. ის მეტყვის: „გთხოვთ, დაბრძანდით, მისტერ...?“, რაზეც დაუყოვნებლივ და მრავალმნიშვნელოვნად ვუპასუხებ: „ედვარდ უიტინგტონი!“ რის შემდეგაც მისტერ კარტერი გალურჯდება და ამოიხრიალებს: „რამდენი?“ სტანდარტულ ჰონორარს (ანუ მორიგ ორმოცდაათ გირვანქას) ჯიბეში ჩავიდებ, ქუჩაში შემოგიერთდები, მეორე მისამართზე წავალთ და სპექტაკლს გავიმეორებთ.

– ნუ სულელობ, ტომი. ახლა მეორე წერილი. ოჰ, ის „რიციდანაა“!

– ასი გირვანქა ორმოცდაათის ნაცვლად!

– წავიკითხავ.

„ძვირფასო სერ,

თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით, მოხარული ვიქნები, თუ ჩემთან ორი საათისთვის გიხილავთ.

პატივისცემით, ჯულიუს ფ. ჰერსჰაიმერი.“

– ჰა! – თქვა ტომიმ, – ბოშის[1] სუნი მცემს? თუ ეს მხოლოდ წარუმატებელი გენეალოგიის მქონე ამერიკელი მილიონერია? ვინც უნდა იყოს, შუადღის ორ საათზე უნდა ვეწვიოთ. ჩინებული დროა: იქნებ უფასოდ გაგვიმასპინძლდეს კიდეც.

ტაპენსმა თავი დაუქნია.

– მაგრამ ჯერ კარტერის ჯერია. უნდა ავჩქარდეთ.

კარშელტონ-ტერასი, როგორც ტაპენსმა თქვა, უზადო, „ქალბატონების მსგავსი სახლების“ მწკრი-

[1] *ბოში – ხალხურ მეტყველებაში გერმანელი ჯარისკაცის ან, ზოგადად, გერმანელის დამცინავი მეტსახელი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვისგან შედგებოდა. მათ ზარი დარეკეს №27 სახლის კარზე, რომელიც აკურატულად ჩაცმულმა მოახლემ გაუღო. ისე რესპექტაბელურად გამოიყურებოდა, რომ ტაპენსს გული შეეკუმშა. როდესაც ტომიმ აუხსნა, რომ მისტერ კარტერის ნახვა უნდოდათ, პირველ სართულზე მომცრო კაბინეტში შეიყვანა და წავიდა. დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ კარი გაიღო და მაღალი მამაკაცი შემოვიდა გამხდარი, ქორივით სახით. დაღლილობა ეტყობოდა.

– მისტერ ი.ა.? – თქვა და მომხიბლავად გაიღიმა, – ორივეს გთხოვთ, დაბრძანდეთ.

ისინი დასხდნენ. მისტერ კარტერი ტაპენსის პირდაპირ მდგარ სავარძელში მოკალათდა და ქალიშვილს გამამხნევებლად გაუღიმა. იყო მის ღიმილში რაღაც ისეთი, რამაც ტაპენსს მისთვის ჩვეული საზრიანობა დაუთრგუნა.

ვინაიდან კაცი ლაპარაკის დაწყებას არ ჩქარობდა, ეს მისია, ძალაუნებურად, ტაპენსმა იტვირთა.

– გვაინტერესებს... ანუ... იქნებ სულგრძელობა გამოიჩინოთ და გვიამბოთ, რაც ჯეინ ფინის შესახებ იცით?

– ჯეინ ფინის შესახებ? აჰ! – მისტერ კარტერი თითქოს ჩაფიქრდა, – კარგი, მაგრამ მთავარია, თქვენ რა იცით მასზე.

ტაპენსი წელში გაიმართა.

– ვერ ვხვდები, ამას რა მნიშვნელობა აქვს.

– მართლა? არადა, იცით, რომ აქვს, მართლა დიდი მნიშვნელობა აქვს, – მან დაღლილი სახით გაიღიმა და რბილად განაგრძო: – აბა, მაინც რა იცით ჯეინ ფინის შესახებ? მითხარით, – დაჟინებით განაგრძობდა იგი, რადგან ტაპენსი დუმდა, – რადგან ეს განცხადება გამოაქვეყნეთ, მაშასადამე, იცით, არა? – იგი ოდნავ მისკენ დაიხარა და დაღლილი ხმა შემპარავით შეეცვალა, – ჰოდა, მიამბეთ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისტერ კარტერს ერთგვარი მაგნეტიზმი გააჩნდა. ტაპენსმა თავს ძალა დაატანა და თქვა:

– ეს შეუძლებელია, არა, ტომი?

მისდა გასაოცრად, პარტნიორმა მხარი არ აუბა. ახალგაზრდა კაცი ყურადღებით შეჰყურებდა მისტერ კარტერს და როცა ალაპარაკდა, მის კილოში უჩვეულო მოწიწებამ გაიჟღერა:

– არა მგონია, თქვენთვის საინტერესო იყოს ის მცირედი ინფორმაცია, რაც ჩვენ ვიცით, სერ. მაგრამ, ცხადია, ყველაფერს გიამბობთ.

– ტომი! – გაოცებით შესძახა ტაპენსმა.

მისტერ კარტერი შეტრიალდა და ახალგაზრდა კაცს კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

ტომიმ თავი დააქნია.

– დიახ, სერ, მაშინვე გიცანით. საფრანგეთში გნახეთ, როდესაც დაზვერვასთან მქონდა შეხება. როგორც კი შემოხვედით, წამსვე მივხვდი...

მისტერ კარტერმა, გაფრთხილების ნიშნად, ხელი ასწია.

– თუ შეიძლება, სახელების გარეშე. აქ მისტერ კარტერად მიცნობენ. სხვათა შორის, ეს ჩემი ბიძაშვილის სახლია. იგი ყოველთვის ხალისით მითმობს მას, როდესაც გამოძიება მკაცრად გასაიდუმლოებულია. ახლა კი... – მან ჯერ ტაპენსს შეხედა, შემდეგ კი – ტომის, – რომელი თქვენგანი მოჰყვება?

– მიდი, ტაპენს, – თქვა ტომიმ, – ეს შენი უფლებაა.

– დიახ, პატარა ქალბატონო, ბრძანეთ.

და ტაპენსმა მორჩილად უამბო ყველაფერი ახალგაზრდა ავანტიურისტების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და მისთანების შესახებ.

მისტერ კარტერი ჩუმად უსმენდა. კვლავაც დაღლილი სახე ჰქონდა. ზოგჯერ ხელი პირთან მიჰქონდა, თითქოს ღიმილს მალავდა. მაგრამ როდესაც ქალიშვილმა მოყოლა დაასრულა, თავი ძალზე სერიოზულად დააქნია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ცოტაა, მაგრამ განსჯის შესაძლებლობას იძლევა. არის რაღაც, რაზეც დაფიქრება ღირს. ნება მომეცით გითხრათ, რომ საინტერესო ახალგაზრდები ხართ. არ ვიცი, მიაღწევთ თუ არა წარმატებას იქ, სადაც სხვებმა წარუმატებლობა განიცადეს... უნდა გითხრათ, რომ მჯერა იღბლის, ყოველთვის მჯეროდა... – იგი გაჩუმდა, – მაშ, ასე: თქვენ თავგადასავალს ეძებთ. გინდათ ჩემთან მუშაობა? ცხადია, არაოფიციალურად. ყველა ხარჯს აგინაზღაურებთ და მოკრძალებულ ჰონორარსაც მოგართმევთ.

ტაპენსი პირდაღებული და თვალებგაფართოებული შესცქეროდა მას.

– რა უნდა გავაკეთოთ? – იკითხა ერთი ამოსუნთქვით.

მისტერ კარტერს გაეღიმა.

– ის, რასაც უკვე აკეთებთ. ჯეინ ფინი უნდა მოძებნოთ.

– დიახ, მაგრამ... ვინ არის ჯეინ ფინი?

მისტერ კარტერმა თავი მძიმედ დააქნია.

– დიახ, ვფიქრობ, ამის გაგების უფლება გაქვთ.

იგი სავარძლის საზურგეზე გადაწვა, ფეხი ფეხზე გადაიდო, თითების დაბოლოებები ერთმანეთს მიადო და ხმადაბლა, მონოტონური ხმით შეუდგა მოყოლას:

– საიდუმლო დიპლომატია (რომელიც, სხვათა შორის, ყოველთვის ცუდი პოლიტიკაა!) თქვენი საქმე არაა. საკმარისია ითქვას, რომ 1915 წლის დასაწყისში ერთი დოკუმენტი შეადგინეს: საიდუმლო შეთანხმების თუ ხელშეკრულების – რაც გნებავთ, ის უწოდეთ – პროექტი. ეს ამერიკაში მოხდა, მაშინ ჯერ კიდევ ნეიტრალურ ქვეყანაში. მხოლოდ რამდენიმე პირის ხელმოწერაღა რჩებოდა. იგი ინგლისში საგანგებო კურიერს გამოატანეს – ახალგაზრდა კაცს, გვარად დენვერსს. იმედოვნებდნენ, რომ საიდუმლოს შესახებ ვერავინ შეიტყობდა. ჩვეულებრივ, ამას ყოველთვის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმედგაცრუება მოსდევს. საიდუმლოს რომელიღაც თანამონაწილეს აუცილებლად წამოსცდება რამე.

დენვერსი ინგლისში „ლუზიტანიით“ გაემგზავრა. მუშამბის პაკეტში მოთავსებული ძვირფასი დოკუმენტი მუდამ თან ჰქონდა. მოხდა ისე, რომ „ლუზიტანიას“ ტორპედო მოარტყეს და ჩაძირეს. დენვერსი დაღუპულთა სიაში აღმოჩნდა. რაღაც დროის შემდეგ მისი გვამი ნაპირზე გამოირიყა და ის ამოიცნეს. მაგრამ პაკეტს ვერ მიაგნეს!

ახლა უნდა გამოეცნოთ, პაკეტი წაართვეს თუ თვითონ გადასცა ვინმეს. უფრო მეორე იყო მოსალოდნელი. ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, დენვერსი ახალგაზრდა ამერიკელ ქალიშვილს ესაუბრებოდა. არავის დაუნახავს, გადასცა მას რამე თუ არა. მაგრამ, ვფიქრობ, სრულიად შესაძლებელია, რომ მან დოკუმენტი იმ ამერიკელს მიანდო, ვინაიდან ქალიშვილს, სქესის გამო, ნაპირამდე მშვიდობიანად მიღწევის მეტი შანსი ჰქონდა. მაგრამ თუ ასე მოხდა, სად არის ეს ქალიშვილი და რა დაემართა დოკუმენტს? მოგვიანებით ამერიკიდან შეგვატყობინეს, რომ დენვერსს თავიდანვე განუწყვეტლივ უთვალთვალებდნენ. იქნებ ის ქალიშვილი მისი მტრების თანამზრახველი იყო? იქნებ მასაც დაუწყეს თვალთვალი, შემდეგ კი პაკეტი მოტყუებით ან ძალით წაართვეს?

ქალიშვილის მოსაძებნად ყველა ზომას მივმართეთ, მაგრამ მოულოდნელად სირთულეს წავაწყდით. მას ჯეინ ფინი ჰქვია და ეს გვარი გადარჩენილთა სიაში აღმოჩნდა, თუმცა ქალიშვილი უკვალოდ გაქრა. მისი წარსულის შესახებ მოძიებულმა ცნობებმა, არსებითად, არაფერი მოგვცა. იგი ობოლი იყო და შეერთებული შტატების დასავლეთის პატარა სკოლის დაბალ კლასებში ასწავლიდა. პასპორტის მიხედვით, პარიზში მიემგზავრებოდა, სადაც ჰოსპიტალში აპირებდა მუშაობას. ეს თვითონ მოისურვა და შესაბამისი ფორმალო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბების შემდეგ შტატში ჩარიცხეს. როდესაც მისი გვარი „ლუზიტანიიდან“ გადარჩენილთა სიაში აღმოაჩინეს, ჰოსპიტლის ხელმძღვანელობა, ბუნებრივია, ძალზე გაოცდა, რადგან იგი არც სამსახურში გამოცხადდა და არც რამე შეატყობინა მათ.

მოკლედ, ყველაფერი ვიღონეთ ამ ახალგაზრდა ლედის მოსაძებნად, თუმცა – უშედეგოდ. დავადგინეთ, რომ ირლანდია გამოიარა, მაგრამ ინგლისში მისი კვალი იკარგება. დოკუმენტი ჯერ არავის გამოუყენებია, არადა, ამის გასაკეთებლად საკმარისზე მეტი ხელსაყრელი მომენტი იყო. საბოლოოდ, დავასკვენით, რომ დენვერსმა ის მაინც გაანადგურა. ამასობაში სამხედრო და, მასთან ერთად, დიპლომატიური ვითარება შეიცვალა, ასე რომ, ხელშეკრულების საჭიროება დღის წესრიგში აღარ იდგა. ხმები მისი წინასწარი ვარიანტების არსებობის შესახებ კატეგორიულად უარყოფილ იქნა, ჯეინ ფინი დავიწყებას მიეცა, ისევე, როგორც ყველაფერი, რაც ამ საქმეს უკავშირდებოდა.

მისტერ კარტერი გაჩუმდა. ტაპენსმა ველარ მოითმინა და ჰკითხა:

– თუ ასეა, რატომ წამოიწია კვლავ ამ საქმემ? ომი ხომ დამთავრდა.

მისტერ კარტერის დაღლილობა წამსვე სადღაც გაქრა.

– იმიტომ, რომ, როგორც აღმოჩნდა, დოკუმენტი გადარჩა და დღესაც შეიძლება მისი გამოყენება, მაგრამ ამჯერად – ჩვენთვის ძალიან ცუდი შედეგით.

ტაპენსი გაოცებით მიაჩერდა მას, მისტერ კარტერმა კი თავი დააქნია და განაგრძო:

– დიახ, ხუთი წლის წინათ ხელშეკრულება ჩვენი იარაღი იყო, ახლა კი ის, პირიქით, ჩვენკენაა მომართული. თვითონ იდეა აღმოჩნდა მცდარი. უპატიებელი შეცდომა დავუშვით! თუ ეს პირობები გამჟღავნდება, მას შესაძლოა, დამღუპველი შედეგი მოჰყვეს... ახალი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ომის დაწყების ჩათვლით, ოღონდ უკვე არა გერმანიასთან! ეს, ცხადია, უკიდურეს შემთხვევაში მოხდება, თუმცა, ვფიქრობ, საქმე აქამდე არ მივა. მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ დოკუმენტი სახელს გაუტეხს ჩვენს რამდენიმე სახელმწიფო მოღვაწეს, რაც ამჟამად სრულიად დაუშვებელია, ვინაიდან ამ ვითარებაში ხელისუფლების სათავეში შესაძლოა, ლეიბორისტები მოვიდნენ, რაც, ჩემი აზრით, ძალზე უარყოფითად აისახება ინგლისის ვაჭრობაზე. მაგრამ არც ესაა ყველაზე საშინელი.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ მან ხმადაბლა დაამატა:

– იქნებ გსმენიათ ან წაგიკითხავთ, რომ მუშათა ამჟამინდელი უკმაყოფილება დიდწილად ბოლშევიკთა გავლენის შედეგია?

ტაპენსმა თავი დააქნია.

– ასეცაა. ბოლშევიკთა ოქრო ულევად მოედინება ჩვენს ქვეყანაში, რათა რევოლუცია გამოიწვიოს. ერთი პიროვნება კი – მისი ნამდვილი სახელი ჩვენთვის უცნობია – მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ცდილობს. მუშათა მღელვარების უკან ბოლშევიკები დგანან... ბოლშევიკების უკან კი ეს კაცი დგას. ვინ არის? არ ვიცით. მას „მისტერ ბრაუნით“ მიმართავენ. ერთი რამე უდავოა: იგი ჩვენი საუკუნის უდიდესი დამნაშავეა. მან ბრწყინვალე ორგანიზაცია შექმნა. ომის დროს პაციფისტური პროპაგანდის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ის აფინანსებდა და წარმართავდა. მას ყველგან ჰყავს აგენტები.

– ნატურალიზებული გერმანელია? – ჰკითხა ტომიმ.

– პირიქით, სრული საფუძველი მაქვს ვივარაუდო, რომ ინგლისელია. პროგერმანელი იყო, მაგრამ შეუძლია, პრობურიც გახდეს. არ ვიცით, რა მიზანი ამოძრავებს. შესაძლოა, ისეთი ძალაუფლება მოიპოვოს, როგორიც ჯერ არც ერთ პოლიტიკოსს არ ჰქონია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩვენ კი მის შესახებ, ჯერჯერობით, ვერაფერი დავადგინეთ. ეს, როგორც ჩანს, მისმა დამქაშებმაც არ იციან. ყოველთვის, როცა კი მის კვალზე გავდივართ ხოლმე, უკანა პლანზე მოქმედებს, ხელმძღვანელის როლში კი სხვა გამოდის. და ყოველ ჯერზე ისე ხდება, რომ მოქმედ პირებს შორის ყურადღებას არ ვაქცევთ ვიღაც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო პიროვნებას... მოსამსახურეს თუ კლერკს... მისტერ ბრაუნი კი კვლავ ხელიდან გვისხლტება.

– ოჰ! – შესძახა ტაპენსმა, – იქნებ...

– დიახ?

– მისტერ უიტინგტონის კაბინეტი გამახსენდა. კლერკი... მას ბრაუნი ერქვა. ხომ არ ფიქრობთ...

მისტერ კარტერმა თავი დააქნია.

– სრულიად შესაძლებელია. საინტერესოა, რომ ეს გვარი ხშირად მოიხსენიება. გენიოსის იდიოსინკრაზიაა[1]. მის გარეგნობას ხომ არ აღმიწერდით?

– მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ჩვეულებრივი ადამიანი იყო. არაფრით გამორჩეული.

მისტერ კარტერმა კვლავ დაღლილი სახით ამოიოხრა.

– მას სწორედ ასე აღგვიწერენ. უიტინგტონს სატელეფონო შეტყობინება მოუტანა? მისაღებში ტელეფონისთვის ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

ტაპენსი დაფიქრდა.

– მგონი, იქ ტელეფონი არ იყო.

– საქმეც ესაა. „შეტყობინების“ საშუალებით მისტერ ბრაუნმა აუცილებელი განკარგულება მისცა თავის ხელქვეითს. რასაკვირველია, მან მთელი თქვენი საუბარი მოისმინა. უიტინგტონმა „სატელეფონო შეტყობინების“ წაკითხვის შემდეგ მოგცათ ფული და მეორე დღეს მისვლა გიბრძანათ?

---

[1] *იდიოსინკრაზია – ზოგიერთი ადამიანის ავადმყოფური რეაქცია არასპეციფიკურ გამღიზიანებლებზე.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტაპენსმა თავი დაუქნია.

– დიახ, ეს მისტერ ბრაუნის დამახასიათებელი ხელწერაა! – მისტერ კარტერი წამით გაჩუმდა, – ახლა ხომ ხედავთ, ვის გადაეყარეთ? შესაძლოა, მსოფლიოში ყველაზე ეშმაკ დამნაშავეს. ეს ძალიან არ მომწონს. ორივენი ახალგაზრდები ხართ და არ მინდა, რამე შეგემთხვეთ.

– არც შეგვემთხვევა! – მტკიცედ განაცხადა ტაპენსმა.

– მას მე მივადევნებ თვალს, სერ, – თქვა ტომიმ.

– მე კი შენ მოგხედავ, – მოუჭრა მამაკაცური თვითკმაყოფილებით აღშფოთებულმა ტაპენსმა.

– კარგი, რადგან ასეა, ერთმანეთს მიხედეთ, – ღიმილით თქვა მისტერ კარტერმა, – ახლა კი საქმეს მივუბრუნდეთ. ამ დაკარგული ხელშეკრულების პროექტში არის რაღაც საიდუმლო, რაც ვერ დავადგინეთ. ჩვენ მისი საშუალებით დაგვემუქრნენ – პირდაპირ და ღიად. შეთქმულებმა, ფაქტობრივად, განგვიცხადეს, რომ ის მათ ხელშია და საჭირო მომენტში გამოქვეყნდება. მაგრამ მათ ნამდვილად არ იციან დეტალები. მთავრობის აზრით, ეს მხოლოდ და მხოლოდ ბლეფია და, სწორია თუ არასწორი, აბსოლუტური უარყოფის პოლიტიკა აირჩიეს. მე კი ასე დარწმუნებული არა ვარ. განსაზღვრული ირიბი მინიშნებები მიუთითებს, რომ მუქარა საკმაოდ რეალურია. მათ გადმოგვიკრეს, რომ სახიფათო დოკუმენტი მათ ხელშია, თუმცა მათი წაკითხვა არ შეუძლიათ, რადგან ის დაშიფრულია. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ხელშეკრულება დაშიფრული არ იყო – ამის გაკეთება მისი შინაარსის გამო ვერ მოხერხდებოდა. აქედან გამომდინარე, აქ რაღაც სხვაა. ცხადია, შესაძლოა, ჯეინ ფინი კარგა ხანია, დაიღუპა, მაგრამ ეს, რატომღაც, არ მჯერა. ყველაზე უცნაური ისაა, რომ მის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ჩვენგან ცდილობენ.

– რა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ. ერთი-ორი დეტალი სწორედ ამით აიხსნება. ჩემს მოსაზრებას თქვენი ამბავიც ადასტურებს, პატარა ლედი. მათ იციან, რომ ჯეინ ფინს ვეძებთ. ჰოდა, საკუთარ ჯეინ ფინს წარადგენენ... მაგალითად, პარიზის პანსიონში, – ტაპენსი გაშტერდა, მისტერ კარტერს კი გაელიმა, – არავინ იცის, როგორ გამოიყურებოდა ის ქალიშვილი. მას დამაჯერებელ ლეგენდას შეუქმნიან, მისი ნამდვილი ამოცანა კი ჩვენთვის, შეძლებისდაგვარად, მეტი ინფორმაციის დაცინცვლა იქნება. გასაგებია?

– მაშასადამე, თქვენი აზრით... – ტაპენსი გაჩუმდა, მთელი ამ გეგმის წარმოდგენა სცადა, – ...ისინი პარიზში ჩემს გაგზავნას ჯეინ ფინის სახით აპირებდნენ?

მისტერ კარტერს სახეზე კიდევ უფრო მეტად დაღლილი ღიმილი გამოესახა.

– უნდა გითხრათ, რომ მჯერა გარემოებათა დამთხვევის, – თქვა მან.

თავი მეხუთე
მისტერ ჯულიუს ფ. ჰერსჰაიმერი

– მაშასადამე, – თქვა გონზე მოსულმა ტაპენსმა, – ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

კარტერმა თავი დააქნია.

– ვიცი, რასაც გულისხმობთ. თვითონაც ცრუმორწმუნე ვარ. მჯერა იღბლის და მისთანების. ბედმა თქვენ აგირჩიათ.

ტომის გაეცინა.

– დალახვროს ეშმაკმა! რა გასაკვირია უიტინგტონის ასეთი აღელვება, როდესაც ტაპენსმა ეს სახელი ახსენა! მის ადგილას მეც იგივე დამემართებოდა. მაგრამ, სერ, ჩვენ უკვე ძალზე ბევრი დრო წაგართვით. დამშვიდობებისას რამეს ხომ არ გვირჩევდით?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა. ჩემმა სპეციალისტებმა, რომლებიც ჩვეულებრივი მეთოდებით მოქმედებდნენ, წარუმატებლობა განიცადეს. თქვენ კი წარმოსახვა გაქვთ და პროფესიული შაბლონები ხელს არ შეგიშლით. მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, თუ არაფერი გამოგივათ. მით უმეტეს, რომ მომავალში მოვლენები, სავარაუდოდ, ძალზე სწრაფად განვითარდება.

ტაპენსმა შუბლი უნდობლად შეიჭმუხნა.

– როდესაც უიტინგტონს ელაპარაკებოდით, მათ ჯერ კიდევ ბევრი დრო ჰქონდათ. ჩემი მონაცემებით, დარტყმას მომდევნო წლის დასაწყისში გეგმავდნენ, მაგრამ მთავრობა კანონის შემოღებას აპირებს, რომელიც გაფიცვებისთვის სერიოზული დაბრკოლება გახდება. მალე ამას ისინიც შეიტყობენ, თუ უკვე არ შეიტყვეს, და მოქმედებასაც დაიწყებენ. ყოველ შემთხვევაში, ამას უნდა ველოდოთ. რაც ნაკლები დრო დარჩებათ მოსამზადებლად, მით უკეთესი. თქვენ კი დრო თითქმის არა გაქვთ, წარუმატებლობის შემთხვევაში საკუთარი თავის სასაყვედურო არაფერი გექნებათ. ასეა თუ ისე, თქვენ წინაშე ურთულესი ამოცანაა. სულ ეს არის.

ტაპენსი წამოდგა.

– ვფიქრობ, დროა, საქმეს შევუდგეთ. მისტერ კარტერ, თქვენგან რა სახის დახმარების იმედი უნდა გვქონდეს?

მისტერ კარტერს ტუჩები ოდნავ შეუტოკდა, მაგრამ მისი პასუხი სრულიად მკაფიო იყო:

– ფინანსურის – გონივრულ საზღვრებში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების, ერთი სიტყვით, სრულიად კონფიდენციალური დახმარების. სხვა სიტყვებით, თუ პოლიციასთან უსიამოვნება შეგემთხვევათ, ვერ ჩავერევი. აქ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეთ.

ტაპენსი თავის დაქნევით დაეთანხმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გასაგებია. როცა დროს მოვიხელთებ, იმის სიას შევადგენ, რისი ცოდნაც ჩემთვის აუცილებელია. ახლა ფულის შესახებ...

– დიახ, მის ტაპენს. იმის გაგება გსურთ, რამდენს მიიღებთ?

– არა. ჯერჯერობით გვაქვს თანხა, მაგრამ როცა კიდევ დაგვჭირდება...

– თქვენ მას მიიღებთ.

– დიახ, ოლონდ... არ მინდა, მთავრობაზე რამე ცუდი ვთქვა, რადგან თქვენ მასთან რაღაც ურთიერთობა გაქვთ. მაგრამ ხომ იცით, რამდენი დროა საჭირო, რომ მას რაღაც მაინც წაგლიჯო! თავდაპირველად ცისფერ ანკეტას შეგვავსებინებენ, სამი თვის შემდეგ – მწვანეს, და ასე გაგრძელდება... აქედან კი სახეირო არაფერი გამოვა, არა?

მისტერ კარტერს გაეცინა.

– ნუ წუხხართ, მის ტაპენს. პირადად მე მომმართეთ და აღნიშნულ თანხას ფოსტითვე მიიღებთ. რაც შეეხება ხელფასს, ვთქვათ, სამასი გირვანქა წელიწადში. ამდენივე მისტერ ბერესფორდს, რასაკვირველია.

ტაპენსმა მას გაცისკროვნებული თვალებით შეხედა.

– ჩინებულია! ძალიან კეთილი ხართ. მე ხომ საშინლად მიყვარს ფული! ჩვენს ხარჯს წესების სრული დაცვით ვაწარმოებ: დებეტი, კრედიტი, ნაშთი მარჯვნივ და წითელი ხაზი, მის ქვემოთ კი ჯამი. არა, ეს ყველაფერი ვიცი... თუ მოვინდომებ.

– ეჭვი არ მეპარება. აბა, ნახვამდის და ორივეს წარმატებას გისურვებთ.

მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ერთი წუთის შემდეგ ტაპენსმა და ტომიმ აჩქრებით დატოვეს კარშელტონ-ტერასზე მდებარე სახლი ნომერი ოცდაშვიდი.

– ტომი! ახლავე მითხარი, ვინ არის „მისტერ კარტერი“?

ტომიმ ყურში ჩასჩურჩულა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ოჰ! – შესძახა გაოცებულმა ტაპენსმა.

– და დამიჯერე, მოხუცო, ის ძალიან მაგარია!

– ოჰ! – გაიმეორა ტაპენსმა, შემდეგ კი დაამატა: – მე მომეწონა, შენ? საშინლად დაღლილი და მოწყენილი ჩანს, მაგრამ ეტყობა, რომ შიგნიდან ფოლადივით მტკიცეა, ერთიანად ბასრი და მოლაპლაპე. ოჰ! – იგი ცალ ფეხზე შეხტა, – მიჩქმიტე, ტომი, გთხოვ, მიჩქმიტე. ვერ ვიჯერებ, რომ ეს ყველაფერი ცხადში ხდება!

მისტერ ბერესფორდმა თხოვნა აღარ გაამეორებინა.

– ოჰ! საკმარისია! ჰო, ნამდვილად არ გვძინავს, ჩვენ სამუშაო გვაქვს!

– თანაც როგორი სამუშაო! ერთობლივი საწარმო მუშაობას იწყებს.

– ეს იმაზე რესპექტაბელურია, ვიდრე ვფიქრობდი, – ჩაფიქრებული სახით თქვა ტაპენსმა.

– საბედნიეროდ, შენნაირი კრიმინალური მიდრეკილება არა მაქვს. რომელი საათია? მოდი, ვისადილოთ!

უეცრად ორივეს ერთი და იგივე აზრი მოუვიდა თავში.

– ჯულიუს ფ. ჰერსჰაიმერი!

– ჩვენ არაფერი გვითქვამს მის შესახებ მისტერ კარტერისთვის.

– რა უნდა გვეთქვა, როდესაც ის ჯერ არც გვინახავს. წამოდი, აჯობებს, ტაქსი გავაჩეროთ.

– ახლა ვინ ფლანგავს ფულს?

– არ დაგავიწყდეს, რომ ყველა ხარჯს გვინაზღაურებენ. ჩახტი.

– ნებისმიერ შემთხვევაში, ასე მისვლით უკეთეს ეფექტს მოვახდენთ, – თქვა ტაპენსმა და არხეინად გადაწვა სავარძელზე, – დარწმუნებული ვარ, შანტაჟისტები ავტობუსით არასდროს მგზავრობენ.

– ჩვენ შანტაჟისტები აღარ ვართ, – შენიშნა ტომიმ.

– დარწმუნებული არა ვარ, რომ ასეა, – უცნაური კილოთი მიუგო ტაპენსმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იკითხეს თუ არა მისტერ ჰერსჰაიმერი, ისინი დაუყოვნებლივ მიაცილეს მის ნომრამდე. მსახური ბიჭის დაკაკუნების პასუხად, მოუთმენელმა ხმამ „შემოდითო“, დაიყვირა. ბიჭი განზე გადგა და მოსულები გაატარა.

მისტერ ჯულიუს ფ. ჰერსჰაიმერი იმაზე ახალგაზრდა აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდნენ. ტაპენსის აზრით, ის ოცდათხუთმეტი წლის იქნებოდა. საშუალო სიმაღლის იყო, ჩასკვნილი, კვადრატულნიკაპიანი. ჩხუბისთავს ჰგავდა, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ გამოიყურებოდა. მასში მაშინვე იცნობდით ამერიკელს, თუმცა თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობდა.

– მიიღეთ ჩემი ბარათი? აბა, დაბრძანდით და ყველაფერი მიამბეთ, რაც ჩემი მამიდაშვილის შესახებ იცით.

– თქვენი მამიდაშვილის?

– რა თქმა უნდა. ჯეინ ფინის.

– ის თქვენი მამიდაშვილია?

– მამაჩემი და დედამისი და-ძმანი იყვნენ, – დაწვრილებით აუხსნა მისტერ ჰერსჰაიმერმა.

– ოჰ! – შესძახა ტაპენსმა, – მაშასადამე, იცით, სად არის იგი?

– არა, – მისტერ ჰერსჰაიმერმა მაგიდაზე მუშტი დაარტყა, – ეშმაკმა წამიღოს, თუ ვიცოდე! თქვენ?

– ჩვენ განცხადება გამოვაქვეყნეთ, რათა მის შესახებ ინფორმაცია მიგვეღო და არა – პირიქით, – მკაცრად განაცხადა ტაპენსმა.

– ვფიქრობ, ეს გავიგე. კითხვა ვიცი. მაგრამ მეგონა, რომ, შესაძლოა, მისი წარსული დაგაინტერესებდათ, თქვენგან კი მის ახლანდელ ადგილსამყოფელს შევიტყობდი.

– კარგი, მოგვიყევით მისი წარსულის შესახებ, – შემპარავად წარმოთქვა ტაპენსმა.

მაგრამ მოულოდნელად მისტერ ჰერსჰაიმერმა ეჭვიანი გამომეტყველება მიიღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მომისმინეთ, – თქვა მან, – აქ სიცილია არ გეგონოთ! გამოსასყიდი არც ახსენოთ, არც დამემუქროთ, რომ ყურებს დააჭრით, თუ უარს ვიტყვი. აქ ბრიტანეთის კუნძულებია, ასე რომ, მსგავს ხუმრობას არ გირჩევთ, თორემ იმ ლამაზ ბრიტანელ პოლიციელს დავუძახებ, რომელსაც პიკადილიზე ვხედავ.

– ჩვენ თქვენი მამიდაშვილი არ გაგვიტაცია, – სწრაფად ჩაილაპარაკა ტომიმ, – პირიქით, მის პოვნას ვცდილობთ. ასეთი დავალება მივიღეთ.

მისტერ ჰერსჰაიმერი სავარძელზე გადაწვა.

– აბა, გამათვითცნობიერეთ, – თქვა ლაკონიურად.

ტომიმ მას ჯეინ ფინის გაუჩინარების საგულდაგულოდ დამუშავებული ვერსია შესთავაზა, ახსენა, რომ შესაძლოა, შემთხვევით, რაღაც „პოლიტიკურ შოუში გაეხვა.“ საკუთარ თავსა და ტაპენსს „კერძო მაძებრებს“ უწოდებდა, რომლებსაც მისი მოძებნა დაავალეს, ამიტომაც მისტერ ჰერსმაიერის მიერ მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია დააკმაყოფილებდათ.

ჯენტლმენმა, მოწონების ნიშნად, თავი დააქნია.

– ვფიქრობ, ყველაფერი რიგზეა. უბრალოდ, ცოტათი ავჩქარდი. გამაწამა ლონდონმა. მე მხოლოდ ბებერ ნიუ-იორკს ვიცნობ. დამისვით თქვენი შეკითხვები და გიპასუხებთ.

ახალგაზრდა ავანტიურისტები წამით დაიბნენ, მაგრამ ტაპენსი მყისვე თამამად წავიდა შეტევაზე და დეტექტიური რომანებიდან ნასესხები შეკითხვა დასვა:

– როდის ნახეთ უკანასკნელად თქვენი განს... თქვენი მამიდაშვილი?

– მე ის არასდროს მინახავს, – მიუგო მისტერ ჰერსჰაიმერმა.

– რა? – შესძახა ტომიმ.

ჰერსჰაიმერი მისკენ შეტრიალდა.

– დიახ, არ მინახავს. უკვე მოგახსენეთ, რომ მამაჩემი და დედამისი და-ძმანი იყვნენ. აი, როგორც, შესაძ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლოა, თქვენ ხართ, – ტომის მისი გადარწმუნება არც უცდია, – მაგრამ ერთმანეთს ცუდად ეწყობოდნენ და როდესაც მამიდამ დასავლეთის რომელიღაც სკოლის მასწავლებელ ეიმოს ფინზე გათხოვება გადაწყვიტა, მამა გაბრაზდა და თქვა, რომ თუ გამდიდრდებოდა – იგი უკვე ამ გზაზე იდგა – მისგან ერთ ცენტსაც ვერ მიიღებდა. მოკლედ, მამიდა ჯეინი დასავლეთში გაემგზავრა და მის შესახებ მეტი არაფერი გაგვიგია. ბერიკაცი კი გამდიდრდა. ჯერ ნავთობით დაინტერესდა, შემდეგ – ფოლადით, რკინიგზასაც წაეთამაშა და დამიჯერეთ, გვარიანად შეაჯანჯღარა უოლ-სტრიტი! – მისტერ ჰერსჰაიმერი მცირე ხნით გაჩუმდა, – ბოლოს, მოკვდა. ეს შარშან შემოდგომაზე მოხდა და მისმა დოლარებმა ჩემკენ გადმოინაცვლა. გინდ დამიჯერეთ, გინდ – არა, სინდისის ქენჯნამ შემაწუხა. თითქოს ვიღაც ყურში ჩამსისინებდა: „ნეტა, როგორ არის დასავლეთში მყოფი მამიდაშენი?“ ეს საკითხი მაწუხებდა. ვხვდებოდი, რომ ეიმოს ფინი ვერაფერს მიაღწევდა. ის სხვა ცომისგან იყო მოზელილი. ბოლოს, მამიდის მოსაძებნად მაძებარიც დავიქირავე. გაირკვა, რომ გარდაცვლილიყო, აღარც ეიმოს ფინი ეწერა ცოცხლებში, მაგრამ მათ ქალიშვილი ჰყავდათ... ჯეინი... პარიზისკენ მიმავალი, კინაღამ ზღვის ფსკერზე აღმოჩნდა „ლუზიტანიასთან“ ერთად, რომელსაც გერმანელებმა ტორპედო მოარტყეს. ჯეინი ნავში ჩასვეს, რამაც გადაარჩინა, მაგრამ ინგლისში მის შესახებ თითქოს არავინ არაფერი იცოდა. გადავწყვიტე, რომ მისი დარდი არავის ჰქონდა. ჰოდა, აქ ჩამოვედი ყველაფრის გასარკვევად. თავდაპირველად სკოტლენდიარდსა და საადმირალო უწყებაში დავრეკე. საადმირალოდან მყისვე თავიდან მომიცილეს, სკოტლენდიარდში კი თავაზიანად დამპირდნენ ცნობების შეგროვებას. დილას მათი წარმომადგენელიც კი მოვიდა ფოტოსურათის წასაღებად. ხვალ პარიზში მივდივარ – გავარკვევ, რას აკე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თებს პრეფექტურა. თუ პარიზსა და ლონდონს ხშირ-ხშირად შევაწუხებ, ამოძრავდებიან!

მისტერ ჰერსჰაიმერს იმდენი ენერგია ჰქონდა, ახალგაზრდებმა მის წინაშე თავი დახარეს.

– ახლა თქვენი ჯერია, – დაასრულა მან, – რამე ხომ არ უნდა მიაკეროთ? სასამართლოსადმი უპატივცემულობა ან რამე ამგვარი, ბრიტანული? შესაძლოა, დამოუკიდებელმა ახალგაზრდა ამერიკელმა ქალიშვილმა არაფრად ჩააგდო თქვენი სამხედრო წესები და ინსტრუქცია. თუ გამოვიცანი და აქ, თქვენთან, ქრთამს იღებენ, მე მას გამოვისყიდი.

ტაპენსმა მისი დამშვიდება სცადა.

– ამას რა სჯობია. მაშასადამე, ერთად ვიმოქმედებთ. ხომ არ წაგვეხემსა? ნომერში შევუკვეთოთ თუ რესტორანში ჩავიდეთ?

ტაპენსმა რესტორანი აირჩია, ჯულიუსი არ შეწინააღმდეგებია.

როდესაც ხამანწკებს ბოლო მოუღეს და სოულ კოლბერზე[1] გადაერთნენ, ჰერსჰაიმერს ბარათი მოუტანეს.

– ინსპექტორი ჯეპია, კრიმინალური პოლიციიდან. კვლავ სკოტლენდიარდი. კიდევ ერთი პოლიციელი. ნეტა რისი გაგონება სურს, პირველს ხომ ყველაფერი ვუთხარი. ვიმედოვნებ, ფოტოსურათი მაინც არ დაკარგეს. ფოტოგრაფის სტუდია დაიწვა და ყველა ნეგატივი განადგურდა, ასე რომ, ეს ერთადერთი ფოტოსურათია. ის ადგილობრივი კოლეჯის დირექტორს გამოვართვი.

უეცრად ტაპენსი შეშფოთდა.

– თქვენ... იმ კაცის გვარი ხომ არ იცით, ამ დილას რომ მოვიდა?

– დიახ, მახსოვს. არა, არ მახსოვს. მოითმინეთ. ეს მის ბარათზე ეწერა. ოჰ, ვიცი! ინსპექტორი ბრაუნი. წყნარი, თავმდაბალი ადამიანი.

---

[1] *სოულ კოლბერი – ერთგვარი თევზის კერძი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეექვსე
ჯამპანიის გეგმა

იმას, რაც მომდევნო ნახევარი საათის განმავლობაში მოხდა, აჯობებს, ფარდა ჩამოვაფაროთ. საკმარისია აღინიშნოს, რომ სკოტლენდიარდში „ინსპექტორ ბრაუნს“ არავინ იცნობდა. ჯეინ ფინის ფოტოსურათი, ურომლისოდაც პოლიციას ქალიშვილის ძებნა ძალიან უჭირდა, უკვალოდ გაქრა. „მისტერ ბრაუნმა“ კვლავ გაიმარჯვა.

ამ წარუმატებლობის შედეგად ჯულიუს ჰერსჰაიმერი და „ახალგაზრდა ავანტიურისტები“ ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ყველა ბარიერი ერთბაშად გაქრა და ტომისა და ტაპენსს ისეთი შეგრძნება დაეუფლათ, თითქოს ახალგაზრდა ამერიკელს მთელი ცხოვრება იცნობდნენ. მათ „კერძო მაძებრების“ წინდახედული თავშეკავება გვერდზე გადადეს და მას თავიანთი ერთობლივი საწარმოს შესახებ ყველაფერი უამბეს, რაზეც ახალგაზრდა კაცმა განაცხადა, „ახლა სიცილით მოვკვდებიო.“

ბოლოს იგი ტაპენსს მიუბრუნდა და უთხრა:

– ყოველთვის მეგონა, რომ ინგლისელი ქალიშვილები, ერთგვარად, უფერულები არიან. ძველმოდურები, უაღრესად თავდაჭერილები, რომლებიც ნაბიჯსაც არ დგამენ ლაქიებისა და შინაბერა დეიდების გარეშე. როგორც ჩანს, დროს ჩამოვრჩი!

ამ ნდობით აღსავსე ურთიერთობამ ის მოიტანა, რომ ტომი და ტაპენსი მაშინვე „რიცში“ შესახლდნენ, რათა, როგორც ტაპენსმა თქვა, მუდმივი კავშირი ჰქონოდათ ჯეინ ფინის ერთადერთ ცოცხალ ნათესავთან.

– ამ შემთხვევაში, – გაანდო მან ტომის, – ვერავინ მოგვედავება, ამდენ ფულს რატომ ხარჯავთო!

არც არავინ მოდავებია, რაც დიდებული იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ახლა კი მუშაობას შევუდგეთ! – თქვა ახალგაზრდა ლედიმ მეორე დილასვე.

მისტერ ბერესფორდმა „დეილი მეილი“ გვერდზე გადადო და ისეთი ტაში დასცხო, რომ კოლეგამ თავაზიანად მოუწოდა, მორჩი მაგ სისულელესო.

– გეყოფა, ტომი, რამე უნდა გავაკეთოთ, რადგან ფულს გვიხდიან.

ტომიმ ამოიოხრა.

– ჰო, ვშიშობ, ჩვენი ძვირფასი ბებერი მთავრობა „რიცში“ უსაქმოდ დიდხანს არ შეგვინახავს.

– ამიტომაც გითხარი, რომ რამე უნდა გავაკეთოთ.

– კარგი, – მიუგო ტომიმ და კვლავ „დეილი მეილს“ სწვდა, – გააკეთე. არ შეგაჩერებ.

– იცი, – განაგრძო ტაპენსმა, – დიდხანს ვფიქრობდი...

ამ სიტყვებს ტაშის ახალი ტალღა მოჰყვა.

– ძალიან კი მოგწონს უსაქმურობა, ტომი. ტვინის დაძაბვა არ გაწყენდა.

– პროფკავშირი, ტაპენს, ჩემი პროფკავშირი! ის თერთმეტ საათამდე მუშაობის დაწყების უფლებას არ მაძლევს.

– ტომი, ხომ არ გინდა, რამე გესროლო? ახლავე კამპანიის გეგმა უნდა შევადგინოთ.

– ერთი ამას მოუსმინეთ!

– კარგი, მოდი, დავიწყოთ.

როგორც იქნა, ტომიმ გაზეთი გადადო.

– ტაპენს, შენში გენიოსებისთვის დამახასიათებელი უბრალოება იგრძნობა. მიდი, დაიწყე. გისმენ.

– პირველ ყოვლისა, – თქვა ტაპენსმა, – ვნახოთ, რა ინფორმაციას ვფლობთ.

– აბსოლუტურად არაფერს, – მხიარულად მიუგო ტომიმ.

– ტყუილია! – ტაპენსმა ენერგიულად დაუქნია მას თითი, – ორი განსაკუთრებული გასაღები გვაქვს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაინც რომელი?

– ჯერ ერთი, ბანდის ერთ-ერთ წევრს სახეზე ვიცნობთ.

– უიტინგტონს?

– ჰო. მე მას ყოველთვის ვიცნობ.

– ჰმ, – ეჭვნეულად წარმოთქვა ტომიმ, – ამას საიდუმლოს გასაღებს არ ვუწოდებდი. არც კი იცი, სად უნდა ეძებო, და თუ შემთხვევითი შეხვედრის იმედი გაქვს, ამის შანსი ათასიდან ერთია.

– ამას ასე გადაჭრით არ ვიტყოდი, – ჩაფიქრებული სახით მიუგო ტაპენსმა, – ხშირად შემიმჩნევია, რომ დამთხვევას დამთხვევა მოსდევს. ამ შემთხვევაში, ალბათ, ბუნების ჯერაც აღმოუჩენელი კანონი მოქმედებს. თუმცა მართალი ხარ: შემთხვევის იმედად ყოფნა არ ღირს. მაგრამ ლონდონში ბევრია ისეთი ადგილი, სადაც შეუძლებელია, ადამიანი ადრე თუ გვიან არ გამოჩნდეს. მაგალითად, პიკადილი სერქესი. იქ ყოველდღე ვიმორიგეევებ, დახლიდან ალმებს გავყიდი.

– საჭმელზე რას იტყვი? – ჰკითხა პრაქტიკულმა ტომიმ.

– აი, ნამდვილი მამაკაცი! თითქოს ჭამაზე მნიშვნელოვანი არაფერია.

– ამას ახლა ამბობ, როცა საუზმეზე მუცელი ამოივსე. ტაპენს, შენზე უკეთესი მადა არავის აქვს და ხუთი საათისთვის ალმებს, ქინძისთავებსა და სხვა ნივთებს მიადგები, რაც კი ხელში მოგხვდება. მაგრამ თუ მართლა გაინტერესებს ჩემი აზრი, შენი იდეა არ მომწონს. უიტინგტონი, შესაძლოა, გაემგზავრა კიდეც ლონდონიდან.

– მართალია. სხვათა შორის, ვფიქრობ, მეორე გასაღები უფრო პერსპექტიულია.

– აბა, მომასმენინე.

– განსაკუთრებული არაფერია. მხოლოდ ქრისტიანული სახელი – რიტა. ის უიტინგტონმა ახსენა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მესამე რეკლამას ხომ არ მთავაზობ: „ვეძებთ თაღლით ქალს, რომელიც რიტას დაძახებას გამოეხმაურება?“

– არა. მხოლოდ ლოგიკურად ვმსჯელობ. იმ კაცს, დენვერსს, მთელი გზა უთვალთვალებდნენ, არა? ეს ქალი უფრო იქნებოდა, ვიდრე კაცი...

– ვერ ვხვდები, რატომ.

– აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ქალი იყო, თანაც – ლამაზი ქალი, – მშვიდად მიუგო ტაპენსმა.

– ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა შენთვის მომინდვია, – ჩაიბურტყუნა მისტერ ბერესფორდმა.

– შემდეგ: ცხადია, რომ ის ქალი, ვინც უნდა იყოს იგი, გადარჩა.

– ეს როგორ დაასკვენი?

– რომ არ გადარჩენილიყო, როგორ ეცოდინებოდათ, რომ ხელშეკრულება ჯეინ ფინთან მოხვდა?

– მართალია. განაგრძე, შერლოკ!

– არსებობს შანსი, ვაღიარებ, მხოლოდ შანსი, რომ რიტა სწორედ ეს ქალია.

– ასეც რომ იყოს, მერე რა?

– ყველა მოვძებნოთ, ვინც „ლუზიტანიიდან“ გადარჩა, სანამ მას არ მივაგნებთ.

– თუ ასეა, გადარჩენილთა სია უნდა მოვიპოვოთ.

– უკვე მოვიპოვე. მისტერ კარტერს მივწერე, ყველაფერი ჩამოვთვალე, რისი ცოდნაც არ მაწყენდა. დღეს დილას მისი პასუხი მივიღე, მასში „ლუზიტანიიდან“ ყველა გადარჩენილის გვარია. ხომ ჭკვიანი გოგოა პატარა ტაპენსი?

– უმაღლესი შეფასება გულმოდგინებისთვის, უმდაბლესი – თავმდაბლობისთვის. მოკლედ, არის რიტა ამ სიაში?

– ეს კი არ ვიცი, – აღიარა ტაპენსმა.

– არ იცი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, აი, შეხედე, – მათ ერთად დახედეს სიას, – ხომ ხედავ, სახელები თითქმის არ წერია. მხოლოდ „მის“ ან „მისის“ და გვარი.

ტომიმ თავი დააქნია.

– ეს საქმეს ართულებს, – ჩაიბურტყუნა მან.

ტაპენსმა მხრები მისთვის დამახასიათებელი ტერიერისებური მოძრაობით შეარხია.

– მხოლოდ სიას უნდა მივყვეთ, მეტი არაფერი. ლონდონიდან და მისი შემოგარენიდან დავიწყოთ. სანამ შლაპას დავიხურავ, აქ ან გარეუბნებში მცხოვრები ყველა ქალის მისამართი ამოწერე.

ხუთი წუთის შემდეგ ახალგაზრდები პიკადილიზე გავიდნენ და რამდენიმე წამის შემდეგ ტაქსი მათ „ლორელსისკენ“, გლენდოუერ-როუდის 7 ნომრისკენ, მისის ედგარ კითის რეზიდენციისკენ მიაქროლებდა, ვისი გვარიც პირველი იყო იმ შვიდთაგან, რომლებიც ტომის უბის წიგნაკში ჩამოეწერა.

„ლორელსი“ ძველი კერძო სახლი აღმოჩნდა, რომელსაც ქუჩისგან ათამდე დამჭკნარი ბუჩქი ყოფდა, არადამაჯერებლად რომ ქმნიდა ბაღჩის ილუზიას. ტომიმ მძღოლს ფული გადაუხადა და ტაპენსს კარისკენ გაჰყვა. როდესაც ქალიშვილმა ზარის დარეკვა დააპირა, იდაყვში ხელი სტაცა.

– რის თქმას აპირებ?

– რის თქმას ვაპირებ? ვეტყვი, რომ... ღმერთო ჩემო, არ ვიცი! რა საშინელებაა.

– ასეც ვიცოდი, – კმაყოფილებით თქვა ტომიმ, – აი, ნამდვილი ქალი. არავითარი წინდახედულობა! ახლა მხოლოდ გვერდზე გადექი და შეხედე, რა ადვილად უმკლავდება მამაკაცი ვითარებას.

მან დარეკა. ტაპენსმა, ყოველი შემთხვევისთვის, უკან დაიხია. კარი ფეთხუმმა, ჭუჭყიანი სახის მქონე ელამმა მოსამსახურემ გააღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომის ჯიბიდან უკვე ამოელო უბის წიგნაკი და ფანქარი.

– დილა მშვიდობისა, – თქვა მკვირცხლად, – ჰემსტედის მუნიციპალიტეტიდან ვარ. ამომრჩეველთა სიებს ვამოწმებთ. მისის ედგარ კითი აქ ცხოვრობს, არა?

– აჰა, – მოუგო მოსამსახურემ.

– სახელი? – ჰკითხა ტომიმ და ფანქარი მოიმარჯვა.

– დიასახლისის? ელინორ ჯეინი.

– ელინორი, – დამარცვლა ტომიმ, – ოცდაერთ წელს გადაცილებული შვილები თუ ჰყავს?

– ა-არა.

– გმადლობთ, – ტომიმ უბის წიგნაკი დახურა, – კარგად ბრძანდებოდეთ.

მოსამსახურემ ინიციატივა გამოიჩინა:

– მე კი მეგონა, რომ გაზთან დაკავშირებით მოხვედით, – თქვა იმედგაცრუებულმა და კარი მიხურა.

ტომი თავის თანამზრახველთან დაბრუნდა.

– ხომ ხედავ, ტაპენს, – შენიშნა მან, – კაცის ტვინისთვის ბავშვური თამაში აღმოჩნდა.

– არ გეკამათები. ვაღიარებ, რომ მშვენივრად მოქმედებდი. ეს არასდროს მომივიდოდა აზრად.

– კარგი ტრიუკი იყო, ხომ? შეგვიძლია, სხვასთანაც გავიმეოროთ.

ლანჩის დროს ახალგაზრდები პატარა სასაუზმეში შევიდნენ და მადიანად შეუტიეს ბიფშტექსსა და შემწვარ კარტოფილს.

მათი კოლექცია გლედის მერიმ და მარჯორიმ შეავსეს, ერთ-ერთ ადრესატს საცხოვრებელი ადგილი შეეცვალა, რის გამოც მთელი ლექციის მოსმენა მოუხდათ ქალთა თანასწორობის შესახებ ენერგიული ამერიკელი ლედისგან, რომელსაც სედი ერქვა.

– აჰ! – თქვა ტომიმ და ლუდი მოსვა, – ასე ჯობია. ახლა საით?

ტაპენსმა მაგიდიდან უბის წიგნაკი აიღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მისის ვანდემაიერი, – წაიკითხა მან, – საუთ ოდლი მენშენსი, ნომერი ოცი. მის უილერი, ბეტერსი, კლეპინ-გტონ-როუდი, ნომერი ორმოცდასამი. როგორც მახსოვს, ლედის მოახლეა. ასე რომ, არა მგონია, ის იყოს.

– მაშასადამე, თავდაპირველად მეიფეარელ ლედის მივადგებით.

– ტომი, ვშიშობ, არაფერი გამოგვივა.

– ყურები არ ჩამოყარო, მოხუცო. თავიდანვე ვიცოდით, რომ წარმატების შანსი თითქმის არ გვქონდა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. თუ ლონდონში არაფერი გამოგვივა, საუცხოო მოგზაურობა გველის ინგლისში, ირლანდიასა და შოტლანდიაში.

– მართალია, – თქვა ტაპენსმა და კვლავ იგრძნო ენერგიის მოზღვავება, – ჩვენ ხომ ყველა ხარჯს გვინაზღაურებენ! მაგრამ მიყვარს, ტომი, როცა მოვლენა მოვლენას მოსდევს. აქამდე თავგადასავალი არ გვაკლდა, დღეს კი ყველაფერი მოსაწყენად ვითარდება.

– ტაპენს, დაიოკე სენსაციის ძებნის ვულგარული სურვილი და გახსოვდეს - თუ მისტერ ბრაუნი ისეთია, როგორიც აგვიწერეს, საკვირველია, რომ ჯერაც არ შეგვახვედრა სიკვდილს. კარგი წინადადება გამოვიდა, ლიტერატურის სურნელი ასდის.

– შენ ჩემზე მეტად პატივმოყვარე ყოფილხარ, არადა, ამის ნაკლები საფუძველი გაქვს! ჰმ! მაგრამ მართლა უცნაურია, რომ მისტერ ბრაუნის შურისძიებამ არ გვიწია (ხომ ხედავ, მეც შემიძლია ასე ლაპარაკი!). საღსალამათად განვაგრძობთ გზას.

– შესაძლოა, ფიქრობს, რომ ჩვენი გულისთვის თავის შეწუხება არ ღირს, – ივარაუდა ახალგაზრდა კაცმა.

ამ წინადადებამ ტაპენსი აღაშფოთა.

– რა აუტანელი ხარ, ტომი. ისე ლაპარაკობ, თითქოს არაფერს წარმოვადგენთ.

– მაპატიე, ტაპენს. იმას ვგულისხმობდი, რომ თხუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნელებივით სიბნელეში ვმუშაობთ, მას კი ჩვენი მზაკვრული სქემების შესახებ ეჭვიც არ აღძვრია. ჰა-ჰა!

– ჰა-ჰა, – ექოსავით გამოეხმაურა ტაპენსი და წამოდგა.

საუთ ოდლი მენშენსი შთამბეჭდავი მრავალბინიანი სახლი აღმოჩნდა პარკ-ლეინის სიახლოვეს. ბინა №20 მეორე სართულზე მდებარეობდა.

ამ დროისთვის ტომის უკვე კარგად აეთვისებინა თავისი ახალი როლი. მან ჩვეული სიტყვებით მიმართა ხანში შესულ ქალს, რომელმაც კარი გააღო. ეკონომს უფრო ჰგავდა, ვიდრე მოახლეს.

– სახელი?

– მარგარეტი.

ტომი წერას შეუდგა, მაგრამ ქალმა შეაჩერა.

– არა, მარგარიტა იწერება.

– აჰ, მარგარიტა! გასაგებია, – მან ორწამიანი პაუზა აიღო, შემდეგ კი გაბედული სვლა გააკეთა: – ჩვენს სიაში იგი რიტა ვანდემაიერადაა ჩაწერილი, მაგრამ, ალბათ, ეს უფრო სწორია, არა?

– ჩვეულებრივ, ასე ეძახიან, სერ, მაგრამ სრული სახელი მარგარიტაა.

– გმადლობთ. სულ ეს იყო. კარგად ბრძანდებოდეთ.

ტომი აჩქარებით ჩაუყვა კიბეს. აღელვებული იყო. ტაპენსი მეორე სართულის უჯრედზე ელოდებოდა.

– გაიგონე?

– გავიგონე. ოჰ, ტომი!

ტომიმ ხელზე ხელი გრძნობით მოუჭირა.

– ვიცი, ძველო. მეც იმავეს ვგრძნობ.

– ეს... რა კარგია, როცა რაღაცას გაიფიქრებ და მოულოდნელად აგიხდება, – აღფრთოვანებით შესძახა ტაპენსმა.

ისინი ხელიხელჩაკიდებულნი დაეშვნენ ვესტიბიულში. კიბეზე ვიღაცის ნაბიჯებისა და ლაპარაკის ხმა გაისმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უეცრად, ტომის გასაოცრად, ტაპენსმა იგი ლიფტის გვერდით, ჩაბნელებულ პატარა სივრცეში შეათრია.

– რას...

– ჩუ-უ!

კიბეზე ორი მამაკაცი ჩამოვიდა და გარეთ გავიდა. ტაპენსი ტომის იდაყვში ჩააფრინდა.

– სწრაფად... მათ გაჰყევი. მე არ შემიძლია, რადგან მიცნობს. მეორე კაცის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ უფრო მაღალი – უიტინგტონია.

თავი მეშვიდე
სახლი სოჰოში

უიტინგტონი და მისი თანამგზავრი საკმაოდ სწრაფად მიდიოდნენ, მაგრამ ტომიმ იმარჯვა და დაინახა, როგორ შეუხვიეს კუთხეში. იგი ენერგიული ნაბიჯებით დაედევნა მათ და როდესაც თვითონაც გასცდა იმ ადგილს, მათგან საკმაოდ ახლოს აღმოჩნდა. მეიფეარის ვიწრო ქუჩებში გამვლელები კანტიკუნტად მოჩანდნენ, ამიტომ ამჯობინა, ცოტა შორიდან ეთვალთვალა.

ეს საქმიანობა მისთვის ახალი იყო. მართალია, რომანებიდან ზედმიწევნით იცოდა, როგორ უნდა ეთვალთვალა ვინმესთვის, რეალურ ცხოვრებაში დადევნება და შეუმჩნევლად დარჩენა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. იქნებ ტაქსი გაეჩერებინათ? რომანში მთავარი გმირი სხვა მანქანას აჩერებს, მძღოლს სოვერენს[1] (ან უფრო ცოტას) ჰპირდება და საქმეც მოგვარებულია. მაგრამ ტომიმ გაითვალისწინა, რომ გადამწყვეტ მომენტში თავისუფალი ტაქსი, სავარაუდოდ, არ გამოჩნდებოდა და სირბილით დადევნება მოუწევდა. მაგრამ რა დაე-

[1] *სოვერენი – ერთი გირვანქა სტერლინგის ღირებულების ოქროს მონეტა.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მართება ახალგაზრდა კაცს, რომელიც ლონდონის ქუჩებში თავქუდმოგლეჯით სირბილს გადაწყვეტს? მთავარ ქუჩაზე გამვლელებს შეეძლოთ ეფიქრათ, რომ ავტობუსის გაჩერებისკენ გარბოდა, მაგრამ ამ არისტოკრატიულ მიხვეულ-მოხვეულებში რომელიმე პოლიციელი აუცილებლად გააჩერებდა და ახსნა-განმარტებას მოსთხოვდა.

სწორედ ამ დროს კუთხიდან თავისუფალმა ტაქსიმ შემოუხვია. ტომის სუნთქვა შეეკრა. ვაითუ ხელი აეწიათ?

არა, არ ასწიეს. სული მოითქვა. მამაკაცებს, როგორც ჩანს, უმოკლესი მარშრუტით სურდათ ოქსფორდ-სტრიტამდე მისვლა. როდესაც მიაღწიეს კიდეც მას და აღმოსავლეთისკენ გაემართნენ, ტომიმ ნაბიჯს მოუჩქარა და მანძილი საგრძნობლად შეამცირა. გამვლელების ბრბოში ყურადღებას არ მიიქცევდა. კარგი იქნებოდა, მათი საუბარი მოესმინა. მართალია, დაეწია, მაგრამ იმედგაცრუება ელოდა: ისინი ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ქუჩის ხმაური კი მათ სიტყვებს ახშობდა.

მეტროს სადგურ „ბონდ-სტრიტთან“ ქუჩა გადაჭრეს (ტომი უკან მიჰყვა), „ლაიონსში“ შევიდნენ, მეორე სართულზე ავიდნენ და ფანჯარასთან მოკალათდნენ. ამ დროს დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო და ტომი, იმის შიშით, რომ არ ეცნოთ, მეზობელ თავისუფალ მაგიდასთან, უიტინგტონის ზურგს უკან დაჯდა. იმავდროულად, მშვენივრად ხედავდა უიტინგტონის თანამგზავრს – ქერათმიან მამაკაცს არასასიამოვნო, უნებისყოფო სახით. ტომის აზრით, ის ორმოცდაათიოდე წლის რუსი ან პოლონელი იქნებოდა; მხრებში მოხრილი, ლაპარაკის დროს პატარა და ეშმაკურ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

გვარიანად დანაყრებული ტომი შებრაწული პურით, ყველითა და ფინჯანი ყავით დაკმაყოფილდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უიტინგტონმა თავისთვის და თანამგზავრისთვის სრული სადილი შეუკვეთა, ოფიციანტის წასვლის შემდეგ კი მაგიდისკენ მიიწია და სერიოზული სახით ხმადაბლა შეუდგა ლაპარაკს. კომპანიონიც ასევე პასუხობდა. ტომიმ სმენა დაძაბა, მაგრამ მხოლოდ ცალკეული სიტყვები ესმოდა. როგორც ჩანს, უიტინგტონი ქერათმიანს მითითებებს აძლევდა, ის კი მას ზოგჯერ ეპასუხებოდა. უიტინგტონი მას ბორისს უძახდა.

ტომიმ რამდენჯერმე მოჰკრა ყური სიტყვა „ირლანდიას“, შემდეგ – „პროპაგანდას“, მაგრამ ჯეინ ფინი ერთხელაც არ უხსენებიათ. მოულოდნელად დარბაზში ხმაურმა იკლო და მან ზედიზედ რამდენიმე ფრაზა გაარჩია. უიტინგტონი ლაპარაკობდა:

– მაგრამ თქვენ ფლოსის არ იცნობთ! ნამდვილი სასწაულია. არქიეპისკოპოსი იფიცება, რომ დედამისია. საჭირო ტონის შერჩევა ეხერხება, ეს კი პრინციპული საკითხია.

ტომიმ ბორისის პასუხი ვერ გაიგონა, უიტინგტონმა კი დაამატა:

– არა, ცხადია, უკიდურეს შემთხვევაში...

ამის შემდეგ ტომის კვლავ არაფერი ესმოდა, მაგრამ მალე ან იმ ორმა აუწია ხმას, ან ტომი მიეჩვია მათ ჩურჩულს და სიტყვებიც გაარჩია. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მასზე ბორისის წარმოთქმულმა ორმა სიტყვამ მოახდინა – „მისტერ ბრაუნმა“.

უიტინგტონი თითქოს შეეპასუხა, მაგრამ ქერათმიანმა სიცილით უთხრა:

– რატომაც არა, ჩემო მეგობარო. ძალზე რესპექტაბელური და გავრცელებული გვარია! ამიტომაც ხომ არ აირჩია მან ის? ძალიან კი მინდა, შევხვდე მას... მისტერ ბრაუნს!

უიტინგტონს ხმა გაუმკაცრდა.

– ვინ იცის? იქნებ უკვე შეხვედრიხართ კიდეც.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ოჰო! – შესძახა ბორისმა, – ბავშვური ლაპარაკია, ზღაპარია პოლიციისთვის. იცით, რას ვეკითხები ხოლმე საკუთარ თავს? ეს ყველაფერი ადგილობრივი პატრიოტების მოგონილი ხომ არაა? ჩვენს დასაშინებლად? მართლა ასე რომ იყოს?

– და რომ არ იყოს?

– კარგი იქნება, ვიცოდეთ... მართალია თუ არა, რომ ის ჩვენთანაა, ჩვენ შორის, მაგრამ მას მხოლოდ რჩეულები იცნობენ? თუ ასეა, კარგად სცოდნია საიდუმლოს შენახვა. ცხადია, იდეაც მშვენიერია! ბოლომდე ვერასდროს ვერაფერში დავრწმუნდებით. შევყურებთ ერთმანეთს და ვფიქრობთ: ერთ-ერთი ჩვენგანი მისტერ ბრაუნია. მაგრამ ვინ? ის ბრძანებას იძლევა და მას თვითონვე ასრულებს. ის ჩვენ შორისაა, ერთ-ერთი ჩვენგანია, და არავინ იცის, ვინ არის ის...

რუსი გაჩუმდა, ფანტაზიას თავი დაანება და საათს დახედა.

– დიახ, – თქვა უიტინგტონმა, – ჩვენი წასვლის დროა.

მან ოფიციანტს უხმო და ანგარიშის მოტანა სთხოვა. ტომიმაც მას მიჰბაძა და ერთი წუთის შემდეგ უკვე კიბეზე ეშვებოდა.

ქუჩაში გასულმა უიტინგტონმა ტაქსი გააჩერა და მძღოლს ვატერლოოს სადგურზე წასვლა უბრძანა.

აქ უამრავი ტაქსი მიდი-მოდიოდა და სანამ უიტინგტონის მანქანა თვალს მიეფარებოდა, ტომის აწეული ხელის დანახვაზე სხვა ტაქსის მძოლმა მის გვერდით დაამუხრუჭა.

– იმ მანქანას მიჰყევით, – უთხრა ახალგაზრდა კაცმა, – და არ ჩამორჩეთ.

ხანში შესულმა მძღოლმა მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, რაღაც ჩაიბურტყუნა და ალამი დაუშვა. ყველაფერი მშვენივრად წარიმართა და ტომის ტაქსი სადგურის შესასვლელთან უიტინგტონის მანქანას უკ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნიდან მიადგა. ტომიმ სალაროსთანაც უიტინგტონის შემდეგ დაიკავა რიგი. მან ბორნმუთამდე აიღო პირველი კლასის ბილეთი. ტომიც ასე მოიქცა. სალაროს რომ მოსცილდა, დაინახა, როგორ შეხედა ბორისმა სადგურის საათს და თქვა:

– ჯერ ადრეა, ნახევარი საათი კიდევ გაქვთ.

ტომი ჩაფიქრდა. მიხვდა, რომ უიტინგტონი მარტო აპირებდა გამგზავრებას, ბორისი კი ლონდონში რჩებოდა. სხვა სიტყვებით, უნდა აერჩია, ვის გაჰყოლოდა. ვერ გაორდებოდა... თუმცა... მან ჯერ საათს შეხედა, შემდეგ – ტაბლოს. ბორნმუთის მატარებელი 15:30-ზე გადიოდა. საათის ისრები ოთხის ათ წუთს აჩვენებდა. უიტინგტონი და ბორისი გაზეთის კიოსკის სიახლოვეს მიდი-მოდიოდნენ. ტომიმ შეშფოთებით გახედა მათ და უახლოეს სატელეფონო ჯიხურში დურთა თავი. ტაპენსის ძებნაზე დრო აღარ დაუკარგავს – ის, ალბათ, ჯერ დაბრუნებული არ იქნებოდა. მაგრამ მას კიდევ ერთი მოკავშირე ჰყავდა. „რიცში“ დარეკა და ჯულიუს ჰერსჰაიმერთან დაკავშირება ითხოვა. ყურმილში რაღაც გატკაცუნდა და აშიშინდა. ვაითუ ამერიკელი ნომერში არ დახვედროდა? კიდევ ერთი ტკაცუნი გაისმა და ნაცნობმა ხმამ „ალო“ წარმოთქვა.

– თქვენ ხართ, ჰერსჰაიმერ? ბერესფორდი გელაპარაკებათ. ახლა ვატერლოოს სადგურზე ვიმყოფები. უიტინგტონსა და კიდევ ერთ კაცს ვუთვალთვალებ. ახსნის დრო არა მაქვს. უიტინგტონი ბორნმუთში მიემგზავრება. მატარებელი 15:30-ზე გადის. მოასწრებთ?

ყურმილში იმედის მომცემი პასუხი გაისმა.

– რა თქმა უნდა. მალე მანდ გავჩნდები.

ტელეფონი გაითიშა. ტომიმ ყურმილი დაკიდა და შვებით ამოისუნთქა. იცოდა ამერიკელის მოხერხებულობის ამბავი და გრძნობდა, რომ ჯულიუსი არ დააგვიანებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უიტინგტონი და ბორისი კვლავაც ჯიხურის სიახლოვეს დასეირნობდნენ. თუ ბორისს თავისი მეგობრის გაცილება გადაეწყვიტა, ყველაფერი რიგზე იყო. ტომიმ ჩაფიქრებული სახით ჩაიყო ხელი ჯიბეში. მიუხედავად იმისა, რომ მას კარტბლანშს დაჰპირდნენ, ჯერაც ვერ მისჩვეოდა, რომ თან მნიშვნელოვანი თანხა უნდა ჰქონოდა. ბორნმუთამდე პირველი კლასის ბილეთის აღების შემდეგ რამდენიმე შილინგიღა დარჩენოდა. მაგრამ იქნებ ჯულიუსი მოსულიყო გატენილი საფულით.

დიდი ისარი ციფერბლატზე შეუსვენებლად მიცოცავდა: 15:15, 15:20, 15:25, 15:27... ნუთუ ვერ მოასწრებდა? 15:29... კუპეების კარები ხმაურით იხურებოდა. ტომის სასოწარკვეთილება დაეუფლა. სწორედ ამ დროს ვილაცამ მხარზე მძიმე ხელისგული დაადო.

– აი, მეც მოვედი, შვილო. ბრიტანული საგზაო წესები ნამდვილი საშინელებაა! აბა, სად არიან ის ბანდიტები?

– აი, უიტინგტონი... ახლა შედის, ზორბა შავგვრემანი კაცი. მეორე – უცხოელია, რომელსაც ელაპარაკება.

– გასაგებია. ჩემი რომელია?

ტომი ელოდა ამ შეკითხვას და შემხვედრი შეკითხვა შეაგება:

– ფული თუ გაქვთ თან?

ჯულიუსმა თავი გადააქნია. ტომის გული გადაუცივდა.

– მხოლოდ ოთხასიოდე დოლარი, მეტი არა, – დამნაშავის კილოთი დაამატა ამერიკელმა.

ტომიმ შვებით ამოისუნთქა.

– ღმერთო ჩემო, ოჰ, ეს მილიონერები! სხვა ენაზე ლაპარაკობთ. მატარებელში ადით. აი, ბილეთი. თქვენი – უიტინგტონია.

– უიტინგტონი ჩემია! – პირქუშად ჩაილაპარაკა ჯულიუსმა და დაძრულ მატარებელს შეახტა, – ნახვამდის, ტომი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მატარებელმა სვლას უმატა. ტომიმ სული მოითქვა და ალმაცერად გახედა ბორისს, რომელიც ახლა მისკენ მოემართებოდა. ტომიმ გაატარა, შებრუნდა და თვალთვალი განაგრძო.

ბორისი მეტროში ჩავიდა და პიკადილი სერქესამდე მივიდა. იქ შეფთსბერი-ავენიუზე შეუხვია და სოჰოს ლაბირინთებისკენ გაემართა. ტომი მოშორებით მისდევდა. ბოლოს საკმაოდ ჭუჭყიან მოედანს მიაღწიეს. შელახული ძველი სახლები პირქუშად გამოიყურებოდა. ბორისმა მიიხედ-მოიხედა. ტომიმ უახლოეს სადარბაზოს შეაფარა თავი. მოედანზე არავინ ჩანდა. იქ მხოლოდ ერთი ქუჩით შეიძლებოდა მოხვედრა და მანქანები აქეთ არ უხვევდნენ. ბორისის ფრთხილმა მზერამ ტომის წარმოსახვა გაუმძაფრა. სადარბაზოში შეყუჟულმა დაინახა, როგორ ავიდა ის ყველაზე პირქუში სახლის კიბეებზე და კარზე რამდენჯერმე, მაგრამ დაყოვნებით, მკვეთრად დააკაკუნა. კარი მაშინვე გაიღო, ბორისმა რაღაც თქვა და შევიდა. კარი მყისვე დაიხურა.

აზარტში შესულმა ტომიმ შეცდომა დაუშვა. მის ადგილას ყოველი გონიერი ადამიანი მოთმინებით დაელოდებოდა კაცის ქუჩაში გამოსვლას. დიახ, ტომიც სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო. ის კი, ჩვეული კეთილგონიერების საპირისპიროდ, წინ გაიჭრა. თავში (როგორც მოგვიანებით ახსნა) თითქოს რაღაც გაუტკაცუნდა: დაუფიქრებლად აირბინა კიბეზე და საჭირო დაყოვნებით დააკაკუნა.

კარი კვლავ დაუყოვნებლივ გაიღო. მის წინ სახემოღუშული, მოკლედ თმაშეკრეჭილი კაცი აღიმართა.

– აბა? – ჩაიბუზღუნა მან.

ტომი ახლაღა მიხვდა, რა სულელურად მოიქცა. მაგრამ ფიქრის დრო აღარ ჰქონდა და ის თქვა, რაც ენის წვერზე პირველად მოადგა.

– მისტერ ბრაუნ? – იკითხა მან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისდა გასაოცრად, მოკლედ თმაშეკრეჭილი კაცი განზე გადგა.

– მაღლა! – თქვა მან და ცერით მხარზემოთ მიუთითა, – მეორე კარი ხელმარცხნივ.

თავი მერვე
ტომის თავგადასავალი

ტომი კაცის სიტყვებმა განაცვიფრა, მაგრამ წამითაც არ შეყოყმანებულა. თუ მისმა უგუნურმა საქციელმა ასე გაამართლა, შესაძლოა, მომავალშიც ასე გაგრძელებულიყო. მან მშვიდად შეაბიჯა შიგნით და მორყეულ კიბეს აუყვა. სახლში საშინელი უსუფთაობა სუფევდა. შპალერი ჭვარტლს დაეფარა და მისი მოხატულობა აღარ ჩანდა, ამძვრალი კიდეები კი ფესტონებივით ეკიდა. ყოველ კუთხეში აბლაბუდებს დაედო ბინა.

ტომი აუჩქარებლად მიდიოდა. სანამ ზედა უჯრედს მიაღწევდა, ხმების მიხედვით დაასკვნა, რომ მეკარე კიბის ქვეშ მდებარე სენაკში შევიდა. მაშასადამე, ეჭვი არ აღუძრავს. როგორც ჩანს, პაროლიც გამოიცნო და პირობითი კაკუნიც სწორად დაიმახსოვრა.

ზედა უჯრედზე ტომი გაჩერდა და დაფიქრდა, როგორ მოქცეულიყო. ვიწრო დერეფნის ორივე მხარეს კარები მოჩანდა. უახლოესი მარცხენიდან ხმები მოისმოდა. სწორედ აქეთ გამოუშვა იგი მეკარემ. მონუსხულივით მიაჩერდა დაგლეჯილი ხავერდის ფარდით ნახევრად დაფარულ ნიშას მარჯვნივ. ნიშა მისთვის საჭირო ოთახის პირდაპირ მდებარეობდა, მაგრამ იქიდან კიბის ზედა ნაწილიც კარგად მოჩანდა. ორი ფუტი სიღრმეში, სამი – სიგანეში: ამ იდეალურ სამალავში ერთი კი არა, ორი ადამიანიც თავისუფლად დაეტეოდა. სამალავი ტომის თავისკენ უხმობდა. როგორც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სჩვეოდა, ვითარების შესახებ გულმოდგინედ და მეთოდურად ფიქრობდა. ეტყობოდა, „მისტერ ბრაუნი“ მხოლოდ პაროლი იყო და არა კონკრეტული პიროვნება. მან ალალბედზე დაასახელა ეს გვარი და სახლშიც შეაღწია. ჯერჯერობით, არც ეჭვი აღუძრავს ვინმეში. მაგრამ დაუყოვნებლივ უნდა ემოქმედა.

დავუშვათ, დერეფნის მარცხენა ოთახში შესვლა გადაეწყვიტა. ესეც სახლში შეღწევასავით ადვილად გამოუვიდოდა? იქნებ ახალი პაროლი ან პიროვნების დამადასტურებელი საბუთი მოეთხოვათ? მეკარე აშკარად არ იცნობდა ბანდის ყველა წევრს სახეზე, მაგრამ მაღლა შესაძლოა, გაცილებით გათვითცნობიერებული ადამიანები დახვედროდნენ. ჯერჯერობით, ცხადია, უმართლებდა, თუმცა ბედის გამოცდა არ ღირდა. ოთახში შესვლა უაღრესად დიდ რისკს უკავშირდებოდა. ალბათ, ვეღარც მათ გასულელებას შეძლებდა. ადრე თუ გვიან, საკუთარ თავს გასცემდა და, თავისი ქარაფშუტობის წყალობით, რამე მნიშვნელოვნის გაგების ბედნიერ შესაძლებლობას დაკარგავდა.

დაბლიდან კვლავ პირობითი კაკუნი გაისმა. ტომიმ მყისვე ნიშას შეაფარა თავი და ფარდა ფრთხილად მისწია. საიმედოდ დაიმალა, შელახული ხავერდის ნასვრეტებიდან კი მშვენივრად ჩანდა, გარეთ რა ხდებოდა. ახლა ვითარებაში კარგად გაერკვეოდა და გადაწყვეტდა, შეერთებოდა თუ არა შეგროვილ ხალხს.

ადამიანს, რომელიც ჩუმად, თითქოს მალვით ამოდიოდა კიბეზე, ტომი პირველად ხედავდა. აშკარად, საზოგადოების ნაკლებად პატივსაცემ ნაწილს მიეკუთვნებოდა. დაბალი შუბლი, ხშირი წარბები, კრიმინალისთვის დამახასიათებელი ყბები, მხეცური გამომეტყველება – ეს ყველაფერი სიახლეს წარმოადგენდა ახალგაზრდა კაცისთვის, თუმცა სკოტლენდიარდის ნებისმიერი თანამშრომელი მიხვდებოდა, ვისთან ჰქონდა საქმე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კაცმა მძიმე სუნთქვით ჩაუარა ნიშას, მის პირდაპირ მდებარე კართან შეჩერდა და ტომისთვის უკვე ნაცნობი წესით დააკაკუნა. ოთახიდან რაღაც დაიძახეს. ახლად მოსულმა კარი შეაღო. ტომიმ წამით შიგნით შეხედვა მოასწრო და გრძელი მაგიდა დაინახა, რომელსაც ოთახის თითქმის ნახევარი ეჭირა. მაგიდასთან ხუთი კაცი იჯდა. ტომის ყურადღება მაღალმა, ბუძგურად თმაშეკრეჭილმა კაცმა მიიპყრო, მოკლე, წაწვეტებული წვერით, როგორსაც საზღვაო ოფიცრები ატარებენ ხოლმე. მაგიდის თავში მოკალათებულს წინ რაღაც ქაღალდები ეწყო. მან შემოსულს შეხედა და გამართული, მკაფიო კილოთი, რომელმაც ტომის ყურადღება მიიპყრო, იკითხა:

– თქვენი ნომერი, ამხანაგო?

– თოთხმეტი, უფროსო, – ხრინწიანი ხმით მიუგო კაცმა.

– სწორია.

კარი კვლავ დაიკეტა.

„თუ ის გერმანელი არაა, მე ჰოლანდიელი ვყოფილვარ, – გაიფიქრა ტომიმ, – ყველაფერი ინსტრუქციის მიხედვით. წყეული გერმანული პედანტიზმი. კიდევ კარგი, შესვლა არ ვცადე. სხვა ნომერს დავასახელებდი და ამით ყველაფერი დასრულდებოდა. არა, ეს ადგილი სწორედ რომ საჩემოა. ოჰო, კვლავ აკაკუნებენ."

ეს კაცი წინა მომსვლელისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. ტომიმ მასში ირლანდიელი შინფეინერი[1] ამოიცნო. როგორც ჩანს, მისტერ ბრაუნის ორგანიზაცია ერთგვარი უნივერსალობით გამოირჩეოდა. ჩვეულებრივი დამნაშავე, თავაზიანი ირლანდიელი ჯენტლმენი, ფერმკრთალი რუსი და საქმიანი გერმანელი ცერემონმაისტერი! ჭეშმარიტად უცნაური და ავბე-

---

[1] *შინ ფეინი – ამავე სახელწოდების მემარცხენე ნაციონალისტური პარტიისგან წარმოქმნილი რიგი ირლანდიური პოლიტიკური ორგანიზაციები.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დითი ერთობა! ვინ იყო ის კაცი, რომელსაც ეს იდუმალებით მოცული ჯაჭვი უჩვეულოდ ჭრელი რგოლებით აეწყო?

ირლანდიელის მოსვლასთან ერთად პროცედურა განმეორდა: პირობითი კაკუნი, ნომრის დასახელების მოთხოვნა, მოწონების ნიშნად წარმოთქმული „სწორია“.

ქვევით, ხანმოკლე ინტერვალით, კიდევ ორჯერ დააკაკუნეს. თავდაპირველად ზევით ჯერ არაფრით გამორჩეული, ძალზე მოკრძალებულად ჩაცმული, ჭკვიანური შესახედაობის კაცი ამოვიდა, როგორც ჩანს, ქალაქში მომუშავე კლერკი, რომელსაც ტომი პირველად ხედავდა. მას მუშა მოჰყვა და ტომის მოეჩვენა, რომ ის სადღაც უკვე ენახა.

სამი წუთის შემდეგ კიდევ ერთი კაცი მოვიდა – წარმოსადეგი, ელეგანტურად ჩაცმული, არისტოკრატიული წარმოშობის. ტომის მისი სახეც ეცნო, თუმცა ვერაფრით გაიხსენა, სად შეეძლო მისი ნახვა.

ამ კაცის მოსვლის შემდეგ საკმაო ხანი გავიდა. ტომიმ დაასკვნა, რომ, ვისაც ელოდებოდნენ, ყველა მოვიდა, და თავისი სამალავის დატოვებას აპირებდა, როცა მოულოდნელად კარზე კვლავ დააკაკუნეს.

დაგვიანებული კიბეზე ისე ჩუმად ამოდიოდა, რომ ტომიმ იგი მხოლოდ ნიშასთან შეამჩნია.

დაბალი, ძალზე ფერმიხდილი კაცი იყო ნაზი, თითქმის ქალური გარეგნობით. ყვრიმალები მის სლავურ წარმოშობაზე მიუთითებდა, მაგრამ ტომიმ მისი ეროვნების უფრო ზუსტად განსაზღვრა ვერ შეძლო. ნიშასთან ჩავლისას უცნობმა ნელა მიაბრუნა თავი და უჩვეულოდ ღია ფერის თვალებით ფარდა ლამის ამოწვა. ტომი შეკრთა კიდეც. სასწაულად მიიღო ის, რომ ვერ შეამჩნიეს. მართალია, ტომის, მისი თანატოლების უმრავლესობის მსგავსად, მისტიციზმის არ სჯეროდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ეს ადამიანი უცნაურ ძალას ასხივებდა. რაღაცით შხამიან გველს აგონებდა.

წამის შემდეგ მიხვდა, რომ ტყუილუბრალოდ არ შეშფოთებულა. ახალმოსულმა სხვებივით დააკაკუნა კარზე, მაგრამ მას სრულიად განსხვავებულად შეხვდნენ. წვერიანი კაცი წამოხტა, მას დანარჩენებმაც მიჰბაძეს. გერმანელი წინ გამოვიდა და ხელი ჩამოართვა, თან ქუსლები ერთმანეთს მიარტყა.

– ჩვენთვის დიდი პატივია თქვენი ვიზიტი, – თქვა მან, – ძალიან დიდი პატივი. ვშიშობდი, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა.

მოსულმა ხმადაბლა, სისინა ხმით მიუგო:

– მრავალ სირთულეს წავაწყდი. არა მგონია, კვლავაც მოვახერხო აქ მოსვლა. თუმცა კიდევ ერთხელ მაინც უნდა შევხვდეთ... ჩემი პოლიტიკის განსასაზღვრავად. ვერაფერს გავაკეთებ... მისტერ ბრაუნის გარეშე. ის აქ არის?

სახეშეცვლილმა გერმანელმა ყოყმანით თქვა:

– გაგვაფრთხილეს, რომ ვერაფრით მოახერხებს მოსვლას... – იგი გაჩუმდა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ სათქმელი არ დაესრულებინა.

ახალმოსულმა ძლივს შესამჩნევად გაიღიმა და რკალად შემორტყმულ შეშფოთებულ სახეებს თვალი მოავლო.

– აჰ! გასაგებია. მსმენია მისი მეთოდების შესახებ. კონსპირაციულად მოქმედებს და არავის ენდობა. მაგრამ არ გამოვრიცხავ, ახლა ჩვენ შორის იყოს... – მან ერთხელაც მიიხედ-მოიხედა და იქ მყოფთ სახეზე კვლავ შიში აესახათ. ჩანდა, რომ ყველა ერთმანეთს უფრთხოდა.

რუსმა თითები ლოყაზე აათამაშა.

– კარგი. მოდი, განვაგრძოთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამასობაში გერმანელი თავს მოერია. ხელი მაგიდის თავში მდგარი თავისი სავარძლისკენ გაიშვირა. რუსმა თავი გადააქნია, მაგრამ გერმანელმა დაიჟინა.

– ეს ერთადერთი შესაძლო ადგილია... პირველი ნომრისთვის, – თქვა მან, – იქნებ მეთოთხმეტე ნომერმა კარი დაკეტოს?

წამის შემდეგ ტომის წინ კვლავ შელახული კარი აღიმართა, მის მიღმა კი ხმადაბალი და გაურკვეველი საუბარი გაისმა. ტომი დაიბნა. ცნობისმოყვარეობა გაუმძაფრდა. გრძნობდა, რომ ნებისმიერ ფასად უნდა გაეგო, რაზე ილაპარაკებდნენ იქ.

დაბლიდან ჩქამი აღარ ისმოდა. მეკარეს მაღლა საქმე თითქოს აღარ ჰქონდა. ტომიმ ფარდიდან თავი გამოყო და მიაყურადა. არავინ იყო. დაიხარა, ფეხსაცმელი გაიხადა და ნიშაში დატოვა. შემდეგ ფრთხილად გადაჭრა დერეფანი, კარის წინ მუხლებზე დაეშვა და ყური ღრეჩოს მიადო. გაღიზიანდა, როცა აღმოაჩინა, რომ ბევრი არაფერი ესმოდა – მხოლოდ ცალკეული სიტყვები, ისიც მაშინ, თუკი რომელიმე მოსაუბრე ხმას აუწევდა, რაც ცნობისმოყვარეობას კიდევ უფრო უმძაფრებდა.

მან კარის სახელურს შეხედა. იქნებ მსუბუქად დასწოლოდა, ისე, რომ შიგნით მყოფთ არაფერი შეემჩნიათ? თუ არ აჩქარდებოდა, რისკზე წასვლაც შეიძლებოდა. სუნთქვაშეკრული ნელა, ძალიან ნელა, სვენებ-სვენებით დააწვა სახელურს. ცოტა... კიდევ ცოტა... ნუთუ უსასრულოდ გაგრძელდება? როგორც იქნა! სახელური უფრო ქვემოთ აღარ მოძრაობდა.

ორიოდე წუთი ასე იდგა, შემდეგ ღრმად შეისუნთქა და მსუბუქად მიაწვა კარს. კარი არ შერხეულა. ტომი გაწიწმატდა. თუ უფრო ძლიერად დააწვებოდა, აუცილებლად გაიჭრიალებდა. დაელოდა, როცა ხმები უფრო ხმამაღლა გაისმა, და ხელმეორედ სცადა. კვლავ არაფერი გამოვიდა. ახლა ძლიერად დააწვა. ხომ არ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაიჭედა ეს წყეული კარი? ბოლოს, მოთმინებადაკარგული მთელი ძალით მიაწვა. კარი არც ამჯერად დაჰყვა და მიხვდა, რომ ის შიგნიდან ჩაეკეტათ.

წამით ტომი საშინლად აღშფოთდა.

– დალახვროს ეშმაკმა! – ჩაიბურტყუნა მან, – ეს რა ბინძური ხუმრობაა!

ცოტა რომ დამშვიდდა, ვითარებაში გასარკვევად დაფიქრდა. პირველ ყოვლისა, სახელური საწყის მდგომარეობაში უნდა დაებრუნებინა. ოღონდ თანდათან. თუ ერთბაშად გაუშვებდა ხელს, მის გადაადგილებას ვიღაც აუცილებლად შეამჩნევდა. უწინდელი სიფრთხილით შეუდგა მოქმედებას. ყველაფერი კარგად დასრულდა, შვებით ამოისუნთქა და წამოდგა. ბულდოგივით ჯიუტი იყო და დამარცხებას ასე ადვილად ვერ ურიგდებოდა. დანებებას არ აპირებდა. ნებისმიერ ფასად უნდა შეეტყო, რაზე საუბრობდნენ. რამე უნდა მოეფიქრებინა.

ტომიმ მიიხედ-მოიხედა. დერეფანში, ოდნავ მოშორებით, კიდევ ერთი კარი მოჩანდა. ფრთხილად მიიპარა და სახელურს დააწვა. კარი გაიღო და ტომი შიგნით შევიდა.

აქ საწოლი ოთახის ავეჯი იდგა. როგორც ყველაფერი ამ სახლში, ისიც, საცაა, დაიშლებოდა. მტვერი და ჭუჭყი იმაზე მეტი იყო, ვიდრე გარეთ.

მაგრამ ტომის აქეთ-იქით ყურების დრო არ ჰქონდა. რაც მთავარია, მისი გათვლა გამართლდა: მარცხნივ, ფანჯრის მხარეს, მეზობელ ოთახში გამავალ კარს მოჰკრა თვალი. დერეფანში გასასვლელი კარი მჭიდროდ მიხურა და მეორე კარის შესწავლას შეუდგა. მასზე ურდული იდო. ჟანგის მიხედვით ჩანდა, რომ მისთვის ხელი, კარგა ხანია, არ ეხლოთ. წინ და უკან ფრთხილად აამოძრავა და თითქმის უხმაუროდ გასწია. შემდეგ, სახელურთან დაკავშირებით, ნაცნობი მანევრი გაიმეორა – ამჯერად, წარმატებით. კარი ოდნავ შეიღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს საკმარისი აღმოჩნდა. ახლა ყოველი სიტყვა ესმოდა. კარს მიღმა ჩამოკიდებული ხავერდის ფარდა თათბირის მონაწილეთა სახეებს ფარავდა, თუმცა ტომი ხმების მიხედვით მათ ერთმანეთისგან ზუსტად განასხვავებდა. შინფეინერი ლაპარაკობდა. მისი მჟღერი ირლანდიური ბარიტონი სხვებისას არაფრით ჰგავდა.

– ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ მეტი ფულია საჭირო. არ არის ფული – არ არის შედეგი!

მეორე ხმამ, რომელიც, ტომის აზრით, ბორისს ეკუთვნოდა, უპასუხა:

– გარანტიას თუ იძლევით, რომ შედეგი იქნება?

– გარანტიას გაძლევთ, რომ ერთი თვის შემდეგ – ცოტათი ადრე ან გვიან, თუ მოისურვებთ – ირლანდიაში ისეთი ტერორი დაიწყება, რომ ბრიტანეთის იმპერიას ძირფესვიანად შეარყევს.

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს პირველი ნომრის სისინა ხმა გაისმა:

– ჩინებულია! მიიღებთ ფულს. ბორის, ამას მიხედეთ.

– როგორც ყოველთვის, ამერიკელი ირლანდიელებისა და მისტერ პოტერის საშუალებით? – ჰკითხა ბორისმა.

– ვფიქრობ, ყველაფერი გამოვა, – თქვა ახალმა ხმამ ტრანსატლანტიკური ინტონაციით, – თუმცა წინასწარ გაფრთხილებთ, რომ ახლა ყველაფერი ასე ადვილად აღარ ხდება. თანამგრძნობთა რიცხვი იკლებს, სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები, რომლებიც ითხოვენ, ირლანდიელებს თავი დაანებეთ, დაე, თვითონ, ამერიკელების ჩაურევლად, გაარკვიონ ყველაფერიო.

მას ბორისმა უპასუხა და ტომის მოეჩვენა, რომ მან მხრები აიჩეჩა:

– ამას რა მნიშვნელობა აქვს, სინამდვილეში ფული ხომ შტატებიდან არ მოდის. მხოლოდ ბანკია ამერიკული.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მთავარი სირთულე იარაღის ჩამოტანაა, – თქვა შინფეინერმა, – ფული ზედმეტი დაბრკოლების გარეშე მოედინება... ჩვენი აქაური კოლეგის დახმარებით.

კიდევ ერთმა ხმამ, ტომის აზრით, მაღალ, მბრძანებლური სახის მქონე ადამიანს რომ ეკუთვნოდა, რომლის სახეც ეცნო, განაცხადა:

– წარმომიდგენია, რა დაემართებოდათ ბელფასტში, თქვენი ლაპარაკი რომ მოესმინათ!

– მაშასადამე, ამ მიმართულებით ყველაფერი გავარკვიეთ, – წაისისინა პირველმა ნომერმა, – ახლა სესხის შესახებ ინგლისური გაზეთებისთვის: ამაზე უკვე იზრუნეთ, ბორის?

– დიახ.

– შესანიშნავია. საჭიროების შემთხვევაში, მოსკოვი საპროტესტო ნოტას გამოგზავნის.

ჩამოწოლილი სიჩუმე გერმანელის მკაფიო ხმამ დაარღვია:

– მითითება მივიღე... მისტერ ბრაუნისგან, რომ მოკლედ გაგაცნოთ შეტყობინებები სხვადასხვა პროფკავშირისგან. მეშახტეებისგან – საკმარისზე მეტად დამაკმაყოფილებელი. რკინიგზელებს ვაჩერებთ. პრობლემა შესაძლოა, მანქანათმშენებლებთან წარმოიშვას.

ამჯერად უფრო ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა, მხოლოდ ფურცლების შრიალი და გერმანელის ცალკეული ახსნა-განმარტება ისმოდა.

– თარიღი, ჩემო მეგობარო? – ჰკითხა პირველმა ნომერმა.

– ოცდაცხრა.

– ძალზე ადრე ხომ არაა? – დაეჭვდა რუსი.

– ალბათ. მაგრამ ასე დაადგინეს პროფკავშირების ლიდერებმა, ზედმეტად კი ვერ ჩავერევით. შთაბეჭდილება უნდა შეიქმნას, თითქოს ყველაფერი მათი ინიციატივით, სხვისი ზეგავლენის გარეშე ხდება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რუსმა ხმადაბლა გაიცინა, თითქოს რაღაცამ გაამ-ხიარულაო.

– დიახ, დიახ, – თქვა მან, – ეს სიმართლეა. მათ არ უნდა იცოდნენ, რომ საკუთარი ინტერესებისთვის ვიყენებთ. ისინი პატიოსანი ხალხია, ამიტომაც ვუფრთხილდებით. უცნაურია, მაგრამ პატიოსანი ხალხის გარეშე რევოლუციის მოხდენა შეუძლებელია. ხალხი მყისვე გრძნობს თაღლითებს, – იგი გაჩუმდა, შემდეგ კი აშკარად კმაყოფილმა გაიმეორა: – პატიოსანი ხალხი ყველა რევოლუციაში მონაწილეობდა. მოგვიანებით მათ სწრაფად იცილებდნენ თავიდან, – მის ხმაში ავბედითმა კილომ გაიჟღერა.

– კლაიმსი უნდა მოვიშოროთ, – განაგრძო გერმანელმა, – ის ძალზე შორსმჭვრეტელია. ამას მეთოთხმეტე ნომერი მიხედავს.

გაისმა ხრინწიანი ხმა.

– შესრულდება, უფროსო! – ორიოდე წამის შემდეგ კი: – რომ ჩამავლონ?

– საუკეთესო ადვოკატები დაგიცავენ, – მშვიდად მიუგო გერმანელმა, – მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ხელთათმანები გექნებათ, რომლებზეც ყველასთვის ცნობილი დამრბევის თითების ანაბეჭდს დავიტანთ. ნურაფრის გეშინიათ.

– მე არაფრის მეშინია, უფროსო. დიადი საქმისთვის ყველაფერზე წავალთ. ქუჩებში სისხლის მდინარეები წამოვა, – იგი პირქუში კმაყოფილებით ლაპარაკობდა, – უკვე სიზმარში ვხედავ, როგორ ცვივა წყალსადინრებში ბრილიანტები და მარგალიტები, რომლებსაც ყველა დაესევა, ვისაც არ დაეზარება.

ტომის დაძრული სავარძლის ჭრაჭუნი მოესმა, შემდეგ კი პირველმა ნომერმა თქვა:

– მაშასადამე, ყველაფერი მზადაა. დარწმუნებული ხართ წარმატებაში?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ... ასე მგონია, – გერმანელის ხმაში ნაკლები თავდაჯერებულობა იგრძნობოდა.

მოულოდნელად პირველ ნომერს ხმა გაუმკაცრდა:

– რამე ჩაიშალა?

– არაფერი, მაგრამ...

– მაგრამ რა?

– პროფკავშირების ლიდერები. მათ გარეშე, როგორც თვითონ ბრძანეთ, არაფერი უნდა გავაკეთოთ. და თუ ისინი ოცდაცხრაში საყოველთაო გაფიცვას არ გამოაცხადებენ...

– რატომ არ უნდა გამოაცხადონ?

– თვითონ თქვით, რომ ისინი პატიოსანი ხალხია, და როგორც არ ვცდილობთ მათ თვალში მთავრობის კომპრომეტირებას, ისინი მას, შესაძლოა, კვლავ ენდობიან.

– მაგრამ ისინი მას...

– დიახ, დიახ, ისინი მას მუდმივად ლანძღავენ. მაგრამ, საბოლოოდ, საზოგადოებრივი აზრი მთავრობის მხარეს იხრება, საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ კი ისინი არ წავლენ.

რუსმა კვლავ ააკაკუნა თითები მაგიდაზე.

– უფრო კონკრეტულად ილაპარაკეთ, ჩემო მეგობარო. მე გამაგებინეს (მაცნობეს), რომ არსებობს წარმატების უზრუნველმყოფი რაღაც დოკუმენტი.

– ასეა. თუ ამ დოკუმენტს პროფკავშირების ლიდერებს წარვუდგენთ, ჩათვალეთ, რომ საქმე გაკეთებულია. ისინი მას ინგლისის მთელ ტერიტორიაზე გამოაქვეყნებენ და უყოყმანოდ გადავლენ რევოლუციის მხარეს. აი, მაშინ დადგება მთავრობისთვის სრული და საბოლოო კრახი.

– თუ ასეა, რა გაკლიათ?

– თვითონ ეს დოკუმენტი, – მიკიბ-მოუკიბავად მიუგო გერმანელმა.

– მაშასადამე, ის თქვენ არა გაქვთ? ის თუ მაინც იცით, სად არის?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა.

– კიდევ ვინმემ თუ იცის?

– ერთმა ადამიანმა... შესაძლოა. ამაშიც კი არა ვართ დარწმუნებული.

– ვინ არის?

– ერთი ქალიშვილი.

ტომი გაინაბა.

– ქალიშვილი? – რუსმა ზიზღით აუწია ხმას, – და თქვენ მისი ალაპარაკება არ შეგიძლიათ? რუსეთში ამას შესანიშნავად ვახერხებთ.

– ეს სხვა შემთხვევაა, – კუშტად მიუგო გერმანელმა.

– რას ნიშნავს – სხვა? – იგი წამით გაჩუმდა, შემდეგ კი განაგრძო: – ახლა სად არის ის ქალიშვილი?

– ქალიშვილი?

– დიახ.

– ის...

ტომიმ მეტი ვერაფერი გაიგონა. თავში რაღაც მოხვდა და ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა.

თავი მეცხრე
ტაპენსი მოსამსახურედ დგება

როდესაც ტომი ორ მამაკაცს კვალში ჩაუდგა, ტაპენსმა მხოლოდ დიდი ძალისხმევის შედეგად მოახერხა, რომ თვითონაც მათ არ გაჰყოლოდა. თავს იმით ინუგეშებდა, რომ მისი მოსაზრება გამართლდა. ის ორნი აშკარად მესამე სართულზე მდებარე ბინიდან გამოვიდნენ და წვრილმა ძაფმა, სახელად „რიტამ“, „ახალგაზრდა ავანტიურისტები“ კვლავ დააყენა ჯეინ ფინის გამტაცებელთა კვალზე.

ახლა როგორ მოქცეულიყო? ტაპენსს უმოქმედობა ეჯავრებოდა. ტომის რთულ საქმეში ვერაფრით და-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეხმარებოდა და თავს ძალზე მოუსვენრად გრძნობდა. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ „საუთ ოდლის“ ვესტიბიულში დაბრუნდა. მელიფტე ბიჭი თითბრის ხვეულებს წმენდდა და ენერგიულად, თითქმის სუფთად უსტვენდა უკანასკნელ მოდურ სიმღერას.

მან ტაპენსს გამოხედა. ქალიშვილს ჯერაც შეენარჩუნებინა ბიჭური მანერები, რაც საპირისპირო სქესის პატარა ბიჭებთან ურთიერთობას უადვილებდა. მათ შორის ახლაც მყისვე გაჩნდა ურთიერთსიმპათია. ტაპენსმა გაიფიქრა, რომ კარგი იქნებოდა, თუ მტრის ბანაკში მოკავშირეს გაიჩენდა.

– აბა, უილიამ, – თქვა მან მხიარულად, როგორც ეს საავადმყოფოს სანიტრებს ახასიათებთ დილაადრიანად, – ყველაფერი ბზინავს?

პასუხად ბიჭი გაიკრიჭა.

– ალბერტი, მის, – შეუსწორა მან.

– იყოს ალბერტი, – მიუგო ტაპენსმა, იდუმალი გამომეტყველება მიიღო და განზრახ გულმოდგინედ მიიხედ-მოიხედა ჰოლში, რათა ალბერტს შეემჩნია. შემდეგ მისკენ დაიხარა და ჩასჩურჩულა: – რაღაც უნდა გითხრა, ალბერტ.

ალბერტმა ხვეულების წმენდას თავი მიანება და პირი ოდნავ გააღო.

– შეხედე! იცი, ეს რა არის?

ტაპენსმა ეფექტური ჟესტით გადაწია ჟაკეტის გადანაკეცი და ბიჭს ემალის სამკერდე ნიშანი უჩვენა. იმედოვნებდა, რომ ალბერტი მას პირველად ხედავდა – სხვაგვარად გეგმა ჩაეშლებოდა, – რადგან ეს ნიშანი არქიდიაკვანს ომის პირველ დღეებში შეეკვეთა ადგილობრივი სასწავლო კორპუსის წევრებისთვის. ტაპენსის ჟაკეტზე ის იმიტომ აღმოჩნდა, რომ ორიოდე დღის წინათ მისი საშუალებით გადანაკეცზე ყვავილი მიიმაგრა. ქალიშვილის მახვილ მზერას არ გამორჩენია შელახული წიგნი, კერძოდ, დეტექტიური რომანი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელიც ყმაწვილს ჯიბიდან ამოსჩროდა. ისიც შეამჩნია, როგორ ფართოდ გააღო მან თვალები, მაშასადამე სწორი ტაქტიკა აერჩია და თევზი, საცაა, ანკესზე წამოეგებოდა.

– ამერიკული სამძებრო პოლიცია! – წაისისინა ტაპენსმა.

სატყუარამ გაამართლა.

– ღმერთო ჩემო! – აღტაცებით ჩაილაპარაკა ბიჭმა.

ტაპენსმა მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია თავი და მიმნდობი კილოთი ჰკითხა:

– იცი, ვის ვუთვალთვალებ?

კვლავაც თვალებგაფართოებულმა ალბერტმა სუნთქვაშეკრულმა ჰკითხა:

– ერთ-ერთ მობინადრეს?

ტაპენსმა თავი დაუქნია და თითით მაღლა მიანიშნა.

– ბინა №20. საკუთარ თავს ვანდემაიერს უწოდებს. ვანდემაიერი. ჰა-ჰა!

– თაღლითია? – მოუთმენლად ჩაიჩურჩულა ბიჭმა.

– თაღლითი? მერედა, როგორი. შეერთებულ შტატებში „მარჯვე რიტას“ ეძახიან.

– მარჯვე რიტა, – აღტაცებით გაიმეორა ალბერტმა, – ოჰ, როგორც კინოში!

ბიჭი არ შემცდარა. ტაპენსი კინოს დიდი მოყვარული იყო.

– ენი ყოველთვის ამბობდა, ცუდი ქალიაო.

– ენი ვინ არის? – შეპარვით ჰკითხა ტაპენსმა.

– მოახლეა. დღეს მიდის სამსახურიდან. რამდენჯერ მითხრა: დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა, ალბერტ, ერთხელაც იქნება, პოლიცია მოაკითხავსო. სწორედ ასე ამბობდა. მაგრამ ძალიან ლამაზია, არა?

– ჰო, ლამაზია, – კვერი დაუკრა ტაპენსმა, – რომ იცოდე, ეს მას თავის საქმიანობაში ძალიან ეხმარება. ჰო, მართლა, ზურმუხტს თუ ატარებს?

– ზურმუხტს? ეს მწვანე ქვებია?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტაპენსმა თავი დაუქნია.

– სწორედ მათ გამო ვეძებთ. ბებერი რისდეილი თუ გაგიგია?

ალბერტმა თავი გადააქნია.

– პიტერ ბ. რისდეილი, ნავთობის მეფე!

– მგონი, მსმენია.

– მისი ქვებია. ზურმუხტების საუკეთესო კოლექცია მსოფლიოში. მილიონი დოლარი ღირს!

– ოჰო! – აღტაცება ვერ დამალა ალბერტმა, – ნამდვილი კინოა.

თავისი ძალისხმევით კმაყოფილ ტაპენსს გაეღიმა.

– ოღონდ პირდაპირი სამხილები ჯერ ვერ მოვიპოვეთ. მაგრამ ვუთვალთვალებთ და, – მან ბიჭს თვალი ჩაუკრა, – ამჯერად ვერსად წაგვივა.

ალბერტმა მხოლოდ აღფრთოვანების გამომხატველი რამდენიმე ბგერის წარმოთქმა მოახერხა.

– ოღონდ სიტყვა არავისთან წამოგცდეს, – თქვა მოულოდნელად ტაპენსმა, – შესაძლოა, შენთვის არ უნდა გამემხილა, მაგრამ ჩვენთან, შტატებში, მაშინვე ვხვდებით, ვინ არის ნამდვილად ჭკვიანი ბიჭი, ვისი ნდობაც შეიძლება.

– კრინტს არავისთან დავძრავ, – სასწრაფოდ ჩაილაპარაკა ალბერტმა, – ჩემი დახმარება არ დაგჭირდებათ? თვალთვალისთვის ან სხვა რამისთვის.

ტაპენსმა თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მის წინადადებაზე ფიქრობდა, შემდეგ თავი გადააქნია.

– ჯერჯერობით, არა. მაგრამ მემახსოვრება. რა თქვი იმ მოახლის შესახებ, რომელიც წასვლას აპირებს?

– ენიზე? უსიამოვნება შეემთხვათ. ენიმ თქვა, ჩვენს დროში მოსამსახურე ძალიან ფასობს, ამიტომ მას შესაფერისად უნდა მოექცნენ, თორემ ვნახავ, ადვილად თუ იპოვის შემცვლელსო.

– მაშ, ვერ იპოვისო? – ჩაფიქრებით გაიმეორა ტაპენსმა, – საინტერესოა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მას თავში ერთი იდეა მოუვიდა. მცირე ხნის შემდეგ ალბერტს მხარზე ხელი დაარტყა.

– აი, რა მოვიფიქრე, მეგობარო. რა მოხდება, თუ იტყვი, რომ ბიძაშვილი გყავს, ან შენს ამხანაგს ჰყავს, რომელიც სამუშაოს ეძებს? მიხვდი?

– რა თქმა უნდა, – უყოყმანოდ მიუგო ალბერტმა, – თუ ამ საქმეს მომანდობთ, ადვილად გაგიხერხებთ.

– რა ყოჩაღი ხარ! – შეაქო ტაპენსმა, – დაამატე, შეუძლია, ახლავე შეუდგეს მუშაობას-თქო. თუ ყველაფერი კარგად იქნება, შემატყობინე და ხვალ, თერთმეტ საათზე, აქ ვიქნები.

– სად მოგძებნოთ, თუ საქმე გამოვა?

– „რიცში“, – ლაკონიურად უთხრა ტაპენსმა, – კაულის გვარზე.

ალბერტმა შურით შეხედა მას.

– როგორც ვხედავ, დეტექტივად მუშაობა ძალზე ხელსაყრელია.

– აბა, რა, – მიუგო ტაპენსმა, – განსაკუთრებით მაშინ, როცა ფულს ბებერი რისდეილი გიხდის. ნუ ნაღვლობ, მეგობარო. თუ საქმე გამოვა, პირველ სართულზე გადაგიყვან.

ტაპენსი თავის ახალ მოკავშირეს დაემშვიდობა და თავისი საქმიანობით კმაყოფილმა ენერგიული ნაბიჯებით დატოვა „საუთ ოდლი მენშენსი“.

მაგრამ დასაკარგავი დრო არ ჰქონდა. დაუყოვნებლივ შეიარა „რიცში“ და კარტერს მოკლე ბარათი გაუგზავნა. შემდეგ, ვინაიდან ტომი ჯერ არ დაბრუნებულიყო – ასეც ელოდა – მაღაზიებში გაემართა საყიდლებზე. ეს ექსპედიცია, რომლის დროსაც ჩაი დალია და ღვეზელი მიირთვა, თითქმის შვიდის ნახევრამდე გაგრძელდა. სასტუმროში დაღლილი, მაგრამ შენაძენით კმაყოფილი დაბრუნდა. თავდაპირველად იაფფასიან ტანსაცმლის მაღაზიას ეწვია, შემდეგ – მე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ორადი საქონლის რამდენიმე დაწესებულებას, დღე კი მდიდრულ საპარიკმახერო სალონში დაასრულა.

სასტუმროს ნომრის სიწყნარესა და სიმყუდროვეში თავისი ბოლო შენაძენი გაშალა და ხუთი წუთის შემდეგ სიამოვნებით გაუღიმა საკუთარ გამოსახულებას სარკეში. საგრიმიორო ფანქრით წარბების ხაზი ოდნავ შეცვალა, რამაც, აფუებულ ოქროსფერ კულულებთან ერთად, ისე გარდაქმნა, რომ ახლა უიტინგტონი ვერაფრით იცნობდა, თუნდაც პირისპირ შესჩეხებოდა. ფეხსაცმელებში მაღალი სუპინატორები ჩააწყო. როცა წინსაფარს გაიკეთებდა და ჩაჩს დაიხურავდა, უფრო საიმედო შენიღბვას ვერც ინატრებდა. ჰოსპიტალში მუშაობისას არაერთხელ დარწმუნებულა, რომ პაციენტები თავიანთ მედდებსა და სანიტრებს ველარ ცნობდნენ, როდესაც ისინი თეთრ ხალათებსა და ქუდებს იხდიდნენ.

– ჰო, – ხმამაღლა მიმართა ტაპენსმა სარკიდან მომზირალ საკუთარ კოხტა გამოსახულებას, – ნამდვილად გამოდგება.

ამის შემდეგ სახიდან საღებავი მოიცილა და უწინდელ ტაპენსს დაემსგავსა.

მარტოკამ ისადილა. ტომის არყოფნა საკმაოდ აოცებდა. არც ჯულიუსი იყო თავის ადგილას, მაგრამ ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა. ის ხომ ძებნას მხოლოდ ლონდონის მასშტაბით არ ახორციელებდა და „ახალგაზრდა ავანტიურისტები“ უკვე მიეჩვივნენ ენერგიული ამერიკელის უეცარ გამოჩენასა და გაუჩინარებას. არ გაუკვირდებოდა, თუ გაიგებდა, რომ ჯულიუს ფ. ჰერსჰაიმერი მოულოდნელად კონსტანტინოპოლში[1] გაემგზავრა, რადგან გაიფიქრა, რომ სწორედ იქ მიაგნებდა მამიდაშვილის კვალს. ამ ენერგიულმა ახალგაზრდა კაცმა სიცოცხლე გაუმწარა სკოტლენდიარდის

[1] *კონსტანტინოპოლი – სტამბოლის ძველი სახელწოდება.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თანამშრომლებს, საადმირალო უწყების ტელეფონისტი ქალიშვილები მყისვე ცნობდნენ მის რიხიან „ალოს“ და შიშით კრთოდნენ. მან სამი საათი გაატარა პარიზის პრეფექტურაში და იქიდან დაბრუნებულს მტკიცედ სჯეროდა, რომ საიდუმლოს გასაღები ირლანდიაში უნდა ეძება (ეს იდეა გადაღლილმა ფრანგმა ჩინოვნიკმა მიუგდო).

„ალბათ, იქით გაემართა, – გაიფიქრა ტაპენსმა, – ეს, ცხადია, კარგია, მაგრამ მე რა ვქნა? ამდენი სიახლე მაქვს და ვერავის ვუზიარებ! ტომის მაინც გამოეგზავნა დეპეშა ან დაერეკა. სად დაიკარგა? ყოველ შემთხვევაში, როგორც დეტექტიურ მოთხრობებში წერენ, მცდარ კვალს არ დაადგებოდა. ჰო, მართლა...“ – მის კაულიმ მედიტაცია შეწყვიტა და დამტარებელ ბიჭს დაუძახა.

ათი წუთის შემდეგ საწოლში მოკალათებული სიგარეტს ეწეოდა და გარნაბი უილიამსის „ნორჩ დეტექტივს“ კითხულობდა – ამაღელვებელ ნაწარმოებს, რომელიც სხვა სამპენიან წიგნებთან ერთად მოუტანა დამტარებელმა. ქალიშვილი გრძნობდა და არც ცდებოდა, რომ ალბერტთან საუბრების გასაგრძელებლად საფუძვლიანად უნდა გასცნობოდა ახალი საქმიანობისთვის დამახასიათებელ ლექსიკას.

დილას წერილი მიიღო მისტერ კარტერისგან:

„ძვირფასო მის ტაპენს,

გილოცავთ – დიდებული სტარტი აიღეთ. მაგრამ ჩემს ვალდებულებად მიმაჩნია, კიდევ ერთხელ გაგაფრთხილოთ: ეს სახიფათო თამაშია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი გეგმის მიხედვით იმოქმედებთ. საქმე გვაქვს სასტიკ ადამიანებთან, რომლებისთვისაც უცხოა სიბრალული და გულმოწყალება. ვფიქრობ, სათანადოდ არ აფასებთ საფრთხეს. უნდა გაგიმეოროთ, რომ დახმარებასა და დაცვას ვერ დაგპირდებით. თქვენ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდეთ და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არავინ გაგკიცხავთ, თუ თამაშიდან გასვლას მოინდომებთ. მოგიწოდებთ, კარგად დაფიქრდეთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

თუ, ჩემი გაფრთხილების მიუხედავად, საქმის გაგრძელებას მოისურვებთ, ჩვენი მხრიდან ყველა აუცილებელ ზომას მივიღებთ. თქვენ ორი წელი მსახურობდით მის დაფერინთან, მღვდლის სახლში, ლონელიში. მისის ვანდემაიერმა მას შესაძლოა, რეკომენდაციისთვის მიმართოს.

ერთსაც გირჩევთ. ეცადეთ, შეძლებისდაგვარად, სიმართლე ილაპარაკოთ. ეს წვრილ-წვრილი შეცდომების საფრთხეს თავიდან აგაცილებთ. ნაცნობობის გაბმისას სიმართლე თქვით, კერძოდ, ის, რომ სანიტრად მსახურობდით მოხალისეთა რაზმში, ახლა კი მოსამსახურედ გინდათ მუშაობა. ასეთი ქალიშვილები ბევრნი არიან. მყისვე მიხვდებიან, რატომ საუბრობთ ასე გამართულად და რატომ გაქვთ კარგი მანერები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ეჭვი აღეძრათ.

ნებისმიერ შემთხვევაში, წარმატებას გისურვებთ!

გულწრფელად თქვენი, მისტერ კარტერი."

ტაპენსს გული მოეცა. მისტერ კარტერის გაფრთხილება, ბუნებრივია, სისულელედ მიიჩნია. ძალზე თავდაჯერებული იყო ასეთი წვრილმანების გასათვალისწინებლად.

ერთგვარი სინანულით თქვა უარი იმ საინტერესო როლზე, რომელიც უკვე მოეფიქრებინა. ის მას უზადოდ შეასრულებდა და იმდენ ხანს დარჩებოდა „როლში", რამდენსაც ვითარება მოითხოვდა. მაგრამ ვინაიდან ტაპენსი სალად მოაზროვნე ადამიანი იყო, მისტერ კარტერის მოსაზრებას დაეთანხმა.

ტომისგან კვლავაც არაფერი ისმოდა. სამაგიეროდ, დილას ფოსტით საკმაოდ ჭუჭყიანი ღია ბარათი მოვიდა ლაკონიური შეტყობინებით: „ყველაფერი კარგადაა."

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თერთმეტის ნახევარზე ტაპენსმა ამაყად შეათვალიერა თავისი ავლადიდებით სავსე ოდნავ შელახული თუნუქის სკივრი. ყველაფერი კოხტად ჩაეწყო და თოკით შეეკრა. ლოყებშეფაკლულმა ზარი დარეკა და ბრძანა, სკივრი ტაქსიში მოეთავსებინათ. პადინგტონის სადგურზე გაემგზავრა, ტვირთი შემნახველ საკანში შეინახა და მიუდგომელ ციხესიმაგრეში – ქალების ტუალეტში შევიდა. ათიოდე წუთში გარდასახული ტაპენსი სადგურის კარიდან გამოვიდა და ავტობუსში ჩაჯდა.

თორმეტი იწყებოდა, როდესაც კვლავ შეაბიჯა „საუთ ოდლი მენშენსში“. ალბერტს თავისი საქმიანობა თითქმის მიეტოვებინა და მას ელოდებოდა. თავდაპირველად ტაპენსი ვერც კი იცნო, მაგრამ ყველაფერს მიხვდა თუ არა, აღფრთოვანება ვერ დამალა.

– ვიფიქრე, ეს ვინ არის-მეთქი! აი, მესმის შენიღბვა.

– მიხარია, რომ მოგეწონა, ალბერტ, – თავდაჭერილად მიუგო ტაპენსმა, – აბა, ვინ ვარ, შენი ბიძაშვილი?

– თანაც სრულიად უაქცენტოდ, – შესძახა აღტაცებულმა ბიჭმა, ზუსტად ჩვენებური კილოა, ინგლისური! არა, ვუთხარი, რომ ჩემი მეგობრის ნაცნობი ხართ. ენი გაბრაზდა და გადაწყვიტა, ერთი დღე კიდევ დარჩეს – ვითომ ვალდებულების გამო, სინამდვილეში კი იმიტომ, რომ აქაურობას მოგაცილოთ.

– რა კარგი გოგო ყოფილა, – თქვა ტაპენსმა.

ალბერტი ირონიას ვერ მიუხვდა.

– ჰო, კარგი მოახლეა. ვერცხლსაც საუკეთესოდ წმენდს. მაგრამ ხასიათს ვერაფერს უხერხებს. მაღლა, მის? ლიფტში შემობრძანდით. ოცი ნომერი ბინა ბრძანეთ? – და თვალი ჩაუკრა.

ტაპენსმა მას მკაცრად შეხედა და ლიფტში შევიდა.

როდესაც მეოცე ბინის კარზე დარეკა, შეამჩნია, რომ ალბერტმა თავი დახარა და იატაკს ჩააცქერდა.

კარი კოპწია ახალგაზრდა ქალმა გააღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სამსახურთან დაკავშირებით მოვედი, – უთხრა ტაპენსმა.

– საშინელი ადგილია, ამაზე უარესს ვერსად ნახავთ, – მიახალა ქალმა, – ნამდვილი ბებერი კატაა, ყველაფერში ერევა. დამაბრალა, თითქოს მის წერილებს ვკითხულობ. მე! რა ჩემი ბრალია, თუ კონვერტი გაიხსნა? ნაგვის კალათა ყოველთვის ცარიელია – ყველაფერს წვავს. ერთი სიტყვით, ცუდი ქალია. დიდებულად იცვამს, მაგრამ მანერები... მზარეულმა მის შესახებ რაღაც იცის, თუმცა არაფერს ამბობს – მისი საშინლად ეშინია. ახლა ეჭვიანობას არ იკითხავთ? საკმარისია, ვინმეს რამე გადაულაპარაკოთ, მაშინვე ყველაფრის გაგებას ცდილობს. კიდევ ბევრი რამის მოყოლა შემიძლია...

მაგრამ ტაპენსმა ვეღარ გაიგო, კიდევ რის მოყოლას აპირებდა ენი, რადგან სწორედ ამ დროს წკრიალა ხმა გაისმა, რომელშიც ფოლადის კილო გამოსჭვიოდა:

– ენი!

კოპწია ახალგაზრდა ქალი ისე შეხტა, თითქოს ტყვია ესროლესო.

– დიახ, მემ!

– ვის ელაპარაკებით?

– ერთი ქალიშვილი მოვიდა სამსახურთან დაკავშირებით, მემ.

– ახლავე მომიყვანეთ.

– დიახ, მემ.

ტაპენსს გრძელ დერეფანში გაუძღვნენ. ბუხართან არცთუ ახალგაზრდა ქალი იდგა, წლებს მისი უდავო სილამაზე საკმაოდ გაეუფერულებინა. ახალგაზრდობაში ძალზე მომხიბლველი იქნებოდა. ღია ოქროსფერი თმა, მცირედი ოსტატობის წყალობით, კისერზე კულულებად ეშვებოდა. როდესაც ვინმეს უყურებდა, გამჭრიახი, თითქოს დაელექტროებული ცისფერი თვალებით ადამიანს სულში უძვრებოდა. საუცხოო

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლურჯი აბრეშუმის კაბა მის მოხდენილ ფიგურას ხაზგასმით წარმოაჩენდა. და მაინც, ამ გრაციისა და სილამაზის მიუხედავად, ინსტინქტურად იგრძნობოდა ერთგვარი მრისხანება და რკინის სიმტკიცე როგორც მის ხმაში, ისე გამჭოლ მზერაში.

პირველად მოხდა, რომ ტაპენსი დაფრთხა. უიტინგტონის არ შეშინებია, მაგრამ ეს ქალი მისგან სრულიად განსხვავდებოდა. ტაპენსი მონუსხულივით შეჰყურებდა ავბედითად მორკალულ წითელ ტუჩებს და კვლავ პანიკური შიში დაეუფლა, ჩვეული თავდაჯერებულობა სადღაც გაუქრა. მყისვე იგრძნო, რომ ამ ქალის მოტყუება უიტინგტონზე გაცილებით რთული იქნებოდა. მეხსიერებაში მისტერ კარტერის გაფრთხილება ამოუტივტივდა. დიახ, აქ მას არავინ დაინდობდა. ტაპენსმა შეტრიალებისა და უკან მოუხედავად გაქცევის დაუოკებელ სურვილს სძლია და მოწიწებით, მაგრამ მტკიცედ შეხედა ლედის.

პირველმა დათვალიერებამ მისის ვანდემაიერი, როგორც ჩანს, დააკმაყოფილა. მან ტაპენსს სკამზე მიუთითა.

– შეგიძლიათ, დაბრძანდეთ. როგორ შეიტყვეთ, რომ მოახლე მჭირდება?

– ნაცნობისგან, რომელიც აქაურ მელიფტე ბიჭთან მეგობრობს. გავიფიქრე, რომ ეს საჩემო ადგილი იქნებოდა.

კვლავაც ღიღილოსფერი თვალების მბურღავი მზერა.

– საუბრის მანერაზე გეტყობათ, რომ განათლება გაქვთ მიღებული, არა?

ტაპენსმა დამაჯერებლად უამბო თავისი ბიოგრაფია, რომელშიც მისტერ კარტერის მიერ ნაკარნახები დეტალები გამოიყენა. როდესაც გაჩუმდა, მოეჩვენა, რომ მისის ვანდემაიერი ოდნავ მოეშვა.

– გასაგებია, – თქვა ბოლოს, – ვინმეს ხომ ვერ დამისახელებთ, ვინც რეკომენდაციას გაგიწევდათ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ორი წლის განმავლობაში მის დაფერინთან ვცხოვრობდი, მღვდლის სახლში, ლონელიში.

– შემდეგ კი მიხვდით, რომ ლონდონში მეტს გადაგიხდიდნენ, არა? თუმცა ეს მე არ მეხება. მე თქვენ ორმოცდაათ... სამოც გირვანქას გადაგიხდით... მოგვიანებით შევთანხმდებით. შეგიძლიათ, დაუყოვნებლივ შეუდგეთ მოვალეობების შესრულებას?

– დიახ, მემ. თუ გნებავთ, დღეიდანვე. ნივთები პადინგტონის სადგურზე დავტოვე.

– თუ ასეა, ახლავე ჩაჯექით ტაქსიში და მოიტანეთ. მოვალეობები მძიმე ტვირთად არ დაგაწვებათ. სახლში იშვიათად ვარ. ჰო, მართლა, რა გქვიათ?

– პრუდენს კუპერი, მემ.

– ძალიან კარგი, პრუდენს. გაემგზავრეთ თქვენი ნივთების მოსატანად. მე მალე წავალ. მზარეული ყველაფერს აგიხსნით.

– გმადლობთ, მემ.

ტაპენსი დერეფანში გავიდა. კოპწია ენი არსად ჩანდა. ვესტიბიულში ბრწყინვალე შვეიცარმა დიდებულებით სრულიად დაჩრდილა ალბერტი. ტაპენსმა მორიდებით, თავდახრილმა ჩაიარა, თავისი მოკავშირისთვის არც კი შეუხედავს.

თავგადასავალი დაიწყო, მაგრამ დილანდელი აღფრთოვანება გაუქრა. გაიფიქრა, როგორ გაუჭირდებოდა უცნობ ჯეინ ფინს, მისის ვანდემაიერს რომ ჩავარდნოდა ხელში.

თავი მეათე
სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონის გამოჩენა

ტაპენსი ახალ მოვალეობას თავს ზედმეტი ძალისხმევის გარეშე ართმევდა. არქიდიაკვნის ქალიშვილებს სახლში ნებისმიერი სამუშაოს შესრულება შეეძლოთ. ამასთან, მშვენივრად ეხერხებოდათ „ახლების“ გაწ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვრთნა. შედეგად „ახალი“ დაუყოვნებლივ იყენებდა ახლად შეძენილ ჩვევებს, რათა გაცილებით მაღალხელფასიანი ადგილი ეშოვათ, სადაც იმაზე მეტს გადაუხდიდნენ, ვიდრე ამის საშუალებას არქიდიაკვნის მსუბუქი ქისა იძლეოდა. ამიტომაც ტაპენსს არ ეშინოდა, რომ საეჭვოდ მოუხერხებელი ადამიანის შთაბეჭდილებას მოახდენდა. მხოლოდ მზარეული ქალის საქციელი აშფოთებდა, რომელსაც, როგორც ჩანს, ძალიან ეშინოდა თავისი დიასახლისის. ტაპენსის აზრით, ლედი სწორედ ამ გზით იმორჩილებდა მას. საუცხოო კერძებს კი ამზადებდა, რაშიც ტაპენსი პირველსავე საღამოს დარწმუნდა. მისის ვანდემაიერი სადილად სტუმარს ელოდებოდა და ტაპენსმა გაკრიალებულ მაგიდაზე სუფრა ორ პიროვნებაზე გააწყო. სტუმრის გამოჩენას აღელვებით ელოდებოდა. მისტერ უიტინგტონი რომ მოსულიყო? ალბათ, ვერ იცნობდა, მაგრამ აჯობებდა, თუ უცნობი იქნებოდა. სხვა რა გზა ჰქონდა – ბედს უნდა მინდობოდა.

კარზე ცხრა საათზე დარეკეს. ოდნავ აღელვებული ტაპენსი გასაღებად წავიდა. გულზე მოეშვა, როდესაც ხმის მიხედვით სტუმარში უიტინგტონის თანამგზავრი ამოიცნო.

კაცმა განაცხადა, რომ დიასახლისისთვის გრაფ სტეპანოვის მოსვლა ეცნობებინათ. დაბალი დივნიდან წამომდგარმა მისის ვანდემაიერმა სიხარულით შესძახა:

– როგორ მიხარია თქვენი ნახვა, ბორის ივანოვიჩ!

– მე კი – თქვენი, მადამ, – მიუგო სტუმარმა და ხელზე ეამბორა.

ტაპენსი სამზარეულოში დაბრუნდა.

– ვიღაც გრაფი სტეპანოვია, – თქვა მან და გულუბრყვილო სახით დაინტერესდა, – ნეტა ვინ არის?

– მგონი, რუსი ჯენტლმენია.

– აქ ხშირად მოდის?

– ზოგჯერ. რატომ გაინტერესებს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვიფიქრე, დიასახლისის თაყვანისმცემელი ხომ არ არის-მეთქი, მეტი არაფერი, – აუხსნა ტაპენსმა და მოჩვენებითი წყენით დაამატა: – როგორ გიყვართ ჩაძიება!

– მე მხოლოდ ამ სუფლეს მომზადებაზე ვფიქრობ, – მოესმა პასუხად.

„რაღაც იცი," – გაიფიქრა ტაპენსმა, ხმამაღლა კი თქვა:

– წავიღო სუფრაზე თუ არა? ამას წამში გავაკეთებ.

მაგიდის სიახლოვეს ყოფნისას ტაპენსი ყოველ სიტყვას იჭერდა: ტომი ხომ ამ კაცის სათვალთვალოდაც წავიდა. საკუთარ თავს არ უტყდებოდა, თორემ თავისი კომპანიონის გამო შეშფოთება ემატებოდა. სად იყო ახლა? რატომ არაფერს იტყობინებოდა? „რიციდან" წასვლისას დაიბარა, რომ მის სახელზე მოსული წერილები და დეპეშები დაუყოვნებლივ მიეტანათ მეზობლად მდებარე პატარა საკანცელარიო მაღაზიაში, ალბერტს კი დაავალა, რომ ხშირად შეევლო იქ. საკუთარ თავს იმით ინუგეშებდა, რომ ერთმანეთს მხოლოდ გუშინ დაშორდნენ და ნაადრევად წუხილს აზრი არ ჰქონდა. მაგრამ მაინც უცნაურად ეჩვენებოდა, რომ მისგან არაფერი ისმოდა.

მაგრამ როგორც არ ძაბავდა სმენას, მნიშვნელოვანი არაფერი ესმოდა. ბორისი და მისის ვანდემაიერი წვრილმანებზე ლაპარაკობდნენ: მათ მიერ ნანახ სპექტაკლებზე, ახალ ცეკვებზე, საზოგადოებაში გავრცელებულ ჭორებზე. სადილის შემდეგ მათ პატარა ბუდუარში გადაინაცვლეს. მისის ვანდემაიერი დივანზე მიწვა. ახლა უფრო ავბედითად ლამაზი ჩანდა, ვიდრე ოდესმე. ტაპენსმა მათ ყავა და ლიქიორი მიუტანა და უხალისოდ გაეცალა. ბორისის ხმა მოესმა:

– ახალია, არა?

– დღეს მოვიდა. წინა ნამდვილი ეშმაკი იყო. ამას თითქოს არა უშავს. სუფრას კარგად ემსახურება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტაპენსი კართან შეყოვნდა, „შემთხვევით“ კარი მჭიდროდ არ მიხურა და კაცის ნათქვამი გაიგონა:

– ვიმედოვნებ, საფრთხეს არ წარმოადგენს, არა?

– კარგი რა, ბორის, სისულელეა ასეთი ეჭვიანობა. მჯერა, რომ შვეიცრის ბიძაშვილია თუ რაღაც ამგვარი. თანაც, ვის მოუვა თავში, რომ რაღაცით მაინც ვუკავშირდები ჩვენს... საერთო მეგობარ მისტერ ბრაუნს.

– რიტა, ფრთხილად, ღვთის გულისათვის, კარი დაკეტილი არაა.

– ჰოდა, დაკეტე, – სიცილით მიუგო ქალმა.

ტაპენსი აჩქარებით გაეცალა იქაურობას.

სახლის უკანა ოთახების დიდი ხნით მიტოვებას ვერ ბედავდა, სამაგიეროდ, ელვის სისწრაფით გარეცხა ჭურჭელი, რაშიც ჰოსპიტალში მიღებული გამოცდილება გამოადგა. შემდეგ ფრთხილად დაბრუნდა ბუდუარის კართან. მზარეული აუჩქარებლად ფუსფუსებდა სამზარეულოში და თუკი მის არყოფნას შეამჩნევდა, იფიქრებდა, რომ საწოლ ოთახებს ალაგებდა.

სამწუხაროდ, ბუდუარში ისე ხმადაბლა საუბრობდნენ, რომ ტაპენსს არაფერი ესმოდა. კარის ოდნავ შელებასაც ვერ ბედავდა: მისის ვანდემაიერი მისკენ თითქმის სახით იჯდა, ამ ქალის დაკვირვებულობაში კი ტაპენსს ეჭვი არ ეპარებოდა.

რას არ მისცემდა, რამე მაინც რომ გაეგონა. იქნებ ტომიზე დაეწყოთ ლაპარაკი? იქნებ მან მათ გეგმები ჩაუშალა? ტაპენსმა შუბლი შეიჭმუხნა, მაგრამ სახე მალევე გაუნათდა, სწრაფად შევიდა მისის ვანდემაიერის საწოლ ოთახში, ფრანგული კარიდან გრძელ აივანზე გასხლტა და უხმაუროდ მიაღწია ბუდუარის ფანჯრამდე. როგორც იმედოვნებდა, ოდნავ აწეული რაფიდან ყველაფრის გაგონება შეიძლებოდა. ტაპენსმა სმენა დაძაბა, მაგრამ საუბარი ტომის არაფრით უკავშირდებოდა. მისის ვანდემაიერი და რუსი რაღაცაზე კამათობდნენ. უეცრად კაცმა დანანებით შესძახა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენი ქარაფშუტობითა და სიჯიუტით ყველას დაგვლუპავ!

– ოჰო! – გაეცინა ქალს, – ზოგჯერ სკანდალური დიდება საუკეთესო საშუალებაა ეჭვის გასაფანტავად. ერთ მშვენიერ დღეს ამაში თვითონ დარწმუნდები. შესაძლოა, იმაზე ადრე, ვიდრე ფიქრობ.

– ამასობაში კი შენ ყველგან ფილ ედჯერტონთან ერთად ჩნდები. ის მთელ ინგლისში ყველაზე ცნობილი ადვოკატია, კრიმინოლოგია კი მისი ჰობია. ეს ნამდვილი სიგიჟეა!

– ვიცი, რომ თავისი მჭევრმეტყველებით ბევრი დაიხსნა სახრჩობელიდან, – მშვიდად მიუგო მისის ვანდემაიერმა, – ხომ ასეა? ვინ იცის, იქნებ მისი დახმარება მომავალში მეც დამჭირდეს? ასეთი მეგობრის ყოლა ძალზე ხელსაყრელია სასამართლოში, უფრო სწორად, სასამართლოსთვის.

ბორისი წამოხტა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, როგორც ჩანს, ძალიან ღელავდა.

– ჭკვიანი ქალი ხარ, რიტა, თუმცა, იმავდროულად, სულელიც! დამიჯერე, მიატოვე ფილ ედჯერტონი.

მისის ვანდემაიერმა თავი ოდნავ გადააქნია.

– ამას არ ვიზამ.

– უარს ამბობ? – ერთგვარი მუქარით ჰკითხა რუსმა.

– ჰო.

– კარგი, ღმერთმანი, – ჩაიბურტყუნა რუსმა, – მაგასაც ვნახავთ...

მისის ვანდემაიერიც წამოდგა, თვალები უელავდა.

– შენ გავიწყდება, ბორის, – თქვა მან, – რომ არავის ვემორჩილები. ბრძანებებს მხოლოდ... მისტერ ბრაუნისგან ვიღებ.

სასოწარკვეთილმა კაცმა ხელი ჩაიქნია.

– აუტანელი ხარ, – ჩაილაპარაკა მან, – აუტანელი! იქნებ უკვე გვიანაც კია. როგორც ამბობენ, ფილ ედჯერტონი დამნაშავეებს ყნოსვით გრძნობს. რა ვიცით,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რით აიხსნება მისი მოულოდნელი დაინტერესება შენით? იქნებ უკვე იეჭვა რამე? ხვდება...

მისის ვანდემაიერმა მას დამცინავად შეხედა.

– დამშვიდდი, ძვირფასო ბორის. ის არაფერს ეჭვობს. სად არის შენი ჩვეული რაინდობა? როგორც ჩანს, დაგავიწყდა, რომ ლამაზ ქალს მეძახიან. გარწმუნებ, ფილ ედჯერტონს მხოლოდ ეს აინტერესებს.

ბორისმა თავი ეჭვნეულად გადააქნია.

– მან ზედმიწევნით შეისწავლა დანაშაულის ანატომია. ამაში ბრიტანეთში ვერავინ შეედრება. და იმედი გაქვს, რომ ასეთ ადამიანს მოატყუებ?

მისის ვანდემაიერმა თვალები მოჭუტა.

– თუ ის მართლა ისეთია, როგორც ამბობ, მით უფრო საინტერესო იქნება მისი გაცუცურაკება!

– ღვთის გულისათვის, რიტა...

– თანაც, ძალიან მდიდარია, – დაამატა მისის ვანდემაიერმა, – მე კი მათ რიცხვს არ მივეკუთვნები, ვისაც ფული ეზიზღება. კარგად იცი, ბორის, რომ მას „ომის კუნთებსაც“ უწოდებენ!

– ფული... ფული! ეს ყოველთვის შენი სისუსტე იყო, რიტა. მჯერა, რომ ფულისათვის სულსაც გაყიდი. ვფიქრობ... – იგი გაჩუმდა, შემდეგ ხმადაბლა, პირქუშად, ნელა განაგრძო: – ზოგჯერ ასე მგონია, რომ ყველას გაგვყიდი!

მისის ვანდემაიერმა გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

– ყოველ შემთხვევაში, ამაში უზარმაზარი თანხა უნდა გადამიხადონ, – თქვა უდარდელად, – ეს კი მხოლოდ მილიონერს თუ შეუძლია.

– აჰა! – დაიღრინა რუსმა, – მაშასადამე, მართალი ვყოფილვარ.

– ძვირფასო ბორის, ხუმრობა არ იცი?

– ეს ხუმრობა იყო?

– რა თქმა უნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იმის თქმაღა შემიძლია, რომ უჩვეულო იუმორის გრძნობა გქონია, ძვირფასო რიტა.

მისის ვანდემაიერს გაეღიმა.

– ბორის, მოდი, ნუღარ ვიჩხუბებთ. ზარი დარეკე. რამე დავლიოთ.

ტაპენსი სასწრაფოდ წავიდა, მხოლოდ წამით შეყოვნდა მისის ვანდემაიერის სარკეში ჩასახედად, რათა შეემოწმებინა, ყველაფერი წესრიგში ჰქონდა თუ არა, შემდეგ კი მორიდებული კილოთი უპასუხა ზარს.

მართალია, მოსმენილი საუბარი ადასტურებდა, რომ რიტა და ბორისი ბნელ საქმეებში მონაწილეობდნენ, ის მისთვის საინტერესო საკითხს ნათელს ვერ ჰფენდა. ჯეინ ფინის სახელი ერთხელაც არ უხსენებიათ.

მომდევნო დილას ალბერტმა ამცნო, რომ საკანცელარიო მაღაზიაში მის სახელზე არაფერი მოსულა. არადა, ტომი, თუ ის ცოცხალი და ჯანმრთელი იყო, აუცილებლად შეატყობინებდა რამეს. ტაპენსი გულზე ცივი ხელის მოჭერას გრძნობდა... იქნებ... მან ვაჟკაცურად დათრგუნა შიში. ნერვიულობით საქმეს არაფერი ეშველებოდა. მაგრამ მყისვე ჩაებღაუჭა შანსს, რომელიც მისის ვანდემაიერმა შესთავაზა:

– პრუდენს, ჩვეულებრივ, რომელ დღეს შეგეძლოთ საღამოს თქვენს საქმეზე გასვლა?

– ჩვეულებრივ, პარასკევს, მემ.

მისის ვანდემაიერმა წარბები აზიდა.

– დღეს ხომ პარასკევია! თუმცა მუშაობას მხოლოდ გუშინ შეუდექით და დასვენება, ალბათ, არ გჭირდებათ.

– მე კი მინდოდა მეთხოვა, რომ გასვლის უფლება მოგეცათ, მემ.

მისის ვანდემაიერმა ყურადღებით შეხედა მას და გაიღიმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნეტა გრაფ სტეპანოვს მოესმინა თქვენთვის. გუშინ მან რაღაც ვარაუდი გამოთქვა თქვენთან დაკავშირებით, – მან უფრო ფართოდ გაიღიმა და კატას დაემსგავსა, – თქვენი თხოვნა ძალიან... ტიპურია. კმაყოფილი ვარ. თქვენ ცხადია, ამ ყველაფერს ვერ მიხვდით... მაგრამ შეგიძლიათ, წახვიდეთ. ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან შინ არ ვისადილებ.

– გმადლობთ, მემ.

ოთახიდან გასულ ტაპენსს გულზე მოეშვა. კვლავაც აშკარად იგრძნო, როგორ ეშინოდა, საშინლად ეშინოდა ამ სასტიკთვალებიანი ლამაზი ქალის.

როცა ვერცხლეულს წმენდდა, კარზე ვიღაცამ ზარი დარეკა და იგი გასაღებად წავიდა. ეს არც უიტინგტონი აღმოჩნდა და არც ბორისი, არამედ – შესანიშნავი გარეგნობის მამაკაცი.

საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო, მაგრამ მაინც ზორბა ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა. სუფთად გაპარსული მეტყველი სახე მის არაჩვეულებრივ ძალასა და ენერგიაზე მეტყველებდა. თითქოს მაგნიტურ ტალღებს ასხივებდა.

ტაპენსს ვერაფრით გადაეწყვიტა, მის წინ მსახიობი იდგა თუ ადვოკატი, მაგრამ მისი ეჭვი მალევე გაიფანტა, როცა მოსულმა თავისი ვინაობა დაასახელა: სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონი.

ტაპენსმა ერთხელაც შეხედა მას. აი, თურმე როგორი ყოფილა ეს სახელგანთქმული ადვოკატი, ვისი სახელიც მთელმა ინგლისმა იცოდა. ყური მოეკრა, ეს კაცი ერთ მშვენიერ დღეს პრემიერმინისტრი გახდებაო. პროფესიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, არაერთხელ უთქვამს უარი თანამდებობაზე და ამჯობინებდა, მხოლოდ პარლამენტის წევრი ყოფილიყო შოტლანდიის ერთ-ერთი საარჩევნო ოლქიდან.

ტაპენსი ჩაფიქრებული დაბრუნდა საკუჭნაოში. ცნობილმა ადამიანმა მასზე შთაბეჭდილება მოახდი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნა. ახლა კი მიხვდა, რატომ ეშინოდა ბორისს: ფილ ედ-ჯერტონის მოტყუება ადვილი არ იყო.

დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ კვლავ და-რეკეს და ტაპენსი ჰოლში გავიდა სტუმრის გასაცი-ლებლად. კაცმა მას ჯერ კიდევ შემოსვლისას შეხედა ყურადღებით და ტაპენსმა მისი მახვილი და დაკვირ-ვებული მზერა ახლაც იგრძნო, როდესაც მას შლაპა და ხელჯოხი მიაწოდა. ქალიშვილმა კარი გამოაღო და მორიდებით გადგა განზე, მაგრამ კაცი ზღურბლზე შე-ჩერდა და ჰკითხა:

– ამ საქმეს ცოტა ხანია, რაც მისდევთ, არა?

ტაპენსმა მას გაოცებით შეხედა. კაცის თვალებში გულკეთილობა და კიდევ რაღაც მოჩანდა, თუმცა ქა-ლიშვილი ვერ მიხვდა, რა.

სტუმარმა თავი დაუქნია, თითქოს ტაპენსს მის შე-კითხვაზე ეპასუხოს.

– მოხალისეთა სამედიცინო რაზმიდან დემობილი-ზაციის შემდეგ გასაჭირში ჩავარდით, ხომ?

– ეს მისის ვანდემაიერმა გითხრათ? – დაეჭვებით ჰკითხა ტაპენსმა.

– არა, პატარავ. თქვენმა გარეგნობამ მიმახვედრა. მოგწონთ ეს ადგილი?

– ძალიან. გმადლობთ, სერ.

– სხვათა შორის, ჩვენს დროში კარგი ადგილის პოვნა ძნელი არაა. ზოგჯერ კი ცვლილებაც სასარ-გებლოა.

– იმის თქმა გსურთ, რომ... – დაიწყო ტაპენსმა.

მაგრამ სერ ჯეიმზი უკვე კიბეზე ჩადიოდა. მან მოი-ხედა და ქალიშვილს კვლავაც გულთბილი და გამჭრი-ახი მზერა მიაპყრო.

– მხოლოდ მინიშნება, – თქვა კაცმა, – მეტი არაფე-რი.

ტაპენსი საკუჭნაოში დაბრუნდა. ასე ღრმად ჩაფიქ-რებული არასდროს ყოფილა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთერთმეტე
ჯულიუსის მონათხრობი

სათანადოდ ჩაცმული ტაპენსი გარეთ გავიდა კუთვნილი „დასვენების დღის“ გასატარებლად. ალბერტი ამჯერად ქვევით არ იდგა, ამიტომ თვითონ შეიხედა საკანცელარიო მაღაზიაში, რათა ენახა, მის სახელზე წერილი ხომ არ გამოეგზავნათ. იქიდან „რიცისკენ“ გაემართა და გაარკვია, რომ ტომი ჯერაც არ დაბრუნებულიყო. ეს მისთვის მოულოდნელობა არ აღმოჩნდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ახლა გადაეწურა რამის გაგების იმედი. სასწრაფოდ მისტერ კარტერისთვის უნდა მიემართა, მოეყოლა როდის და სად დაიწყო ტომიმ თვალთვალი, და ეთხოვა, რამე გაეკეთებინა მის მოსაძებნად. დახმარების პერსპექტივამ ხასიათი გამოუკეთა და ჯულიუს ჰერსჰაიმერი მოიკითხა. უპასუხეს, ნახევარი საათის წინათ მოვიდა და მაშინვე წავიდაო.

ტაპენსს უფრო მეტად მოეცა გული. ჯულიუსის ნახვაც საქმე იყო. იქნებ მოეფიქრებინა, როგორ დაედგინათ, რა შეემთხვა ტომის. ჯულიუსის სასტუმრო ოთახში წერილი მისწერა მისტერ კარტერს. როცა კონვერტს აწებებდა, კარი ხმაურით გაიღო.

– რა ჯანდაბა... – დაიწყო მან და მყისვე გაჩუმდა, – მაპატიეთ, მის ტაპენს. ქვემოთ, ოფისში, ის სულელები მიმტკიცებენ, ბერესფორდი ოთხშაბათის შემდეგ აღარ გამოჩენილაო. მართალია?

ტაპენსმა თავი დაუქნია.

– არ იცით, სად არის? – ჰკითხა მისუსტებული ხმით.

– მე? საიდან უნდა ვიცოდე? მისგან ერთი სიტყვაც არ მიმიღია, თუმცა ჯერ კიდევ გუშინ დილას ვუდეპეშე.

– თქვენი დეპეშა, ალბათ, პორტიესთან დევს.

– მაგრამ სად არის იგი?

– არ ვიცი. მეგონა, თქვენ იცოდით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უკვე გითხარით, რომ მისგან არაფერი მიმიღია მას შემდეგ, რაც ოთხშაბათს სადგურში დავცილდი.

– რომელ სადგურში?

– ვატერლოოზე. თქვენს ლონდონ-ვატერლოოზე, სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე.

– ვატერლოოზე? – შუბლი შეიჭმუხნა გაოცებულმა ტაპენსმა.

– დიახ. განა თქვენთვის არ უთქვამს?

– ის არც მე მინახავს, – მოუთმენლად მიუგო ტაპენსმა, – განაგრძეთ ვატერლოოს შესახებ. იქ რას აკეთებდით?

– მან დამირეკა. ტელეფონით. მითხრა, რომ მეჩქარა. ორ თაღლითს ვუთვალთვალებო.

– ოჰ! – თქვა ტაპენსმა და თვალები დააჭყიტა, – გასაგებია. განაგრძეთ.

– სასწრაფოდ გავეშურე. ბერესფორდი უკვე იქ იყო. თაღლითებზე მიმითითა. ზორბა მე მერგო – ის, რომელიც გაასულელეთ. ტომიმ ბილეთი ხელში ჩამიდო და მატარებელში ასვლა მიბრძანა. თვითონ მეორის თვალთვალს აპირებდა, – ჯულიუსი გაჩუმდა, – მეგონა, ეს ყველაფერი იცოდით.

– ჯულიუს, – მტკიცედ უთხრა ტაპენსმა, – ნუ წრიალებთ. თავბრუ დამახვიეთ. დაჯექით ამ სავარძელში და ყველაფერი თანამიმდევრულად მომიყევით. არსად გადაუხვიოთ.

– კარგი, – დამჯერედ მიუგო მისტერ ჰერსჰაიმერმა, – რით დავიწყო?

– რითიც დაასრულეთ. ვატერლოოთი.

– მაშასადამე, შესანიშნავ ძველმოდურ ინგლისურ კუპეში დავჯექი, – დაიწყო ჯულიუსმა, – მატარებელი მაშინვე დაიძრა. მიხედვაც ვერ მოვასწარი, რომ გამცილებელი მომიახლოვდა და თავაზიანად მითხრა, ეს არამწეველთა ვაგონიაო. ნახევარი დოლარი მივეცი და პრობლემა მოვაგვარე. დერეფანს გავუყევი და მეორე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვაგონში გადავედი. უიტინგტონი იქ დამხვდა. როდესაც იმ მყრალს შევხედე, მის ლაპლაპა მსუქან სახეს, გამახსენდა, რომ საბრალო პატარა ჯეინი მის კლანჭებში იმყოფებოდა, და კინაღამ გავცოფდი, რატომ რევოლვერი არ წამოვიღე-მეთქი. ცოტას გავამხიარულებდი.

ბორნმუთში მშვიდობიანად ჩავედით. უიტინგტონი ტაქსიში ჩაჯდა და სასტუმრო დაასახელა. მეც მას მივბაძე და უკან გავყევი. ნომერი აიღო. მეც ავიღე. ყველაფერი კარგად მიდიოდა. არც კი უეჭვია, რომ უთვალთვალებდნენ. ვესტიბიულში დაჯდა, გაზეთებს კითხულობდა, აქეთ-იქით იყურებოდა, სანამ სადილის დრო არ მოვიდა. აუჩქარებლად მიირთმევდა. გავიფიქრე, ტყუილუბრალოდ გამოვყევი ამსიშორეზე, ალბათ, დასასვენებლად ჩამოვიდა-მეთქი. მაგრამ გამახსენდა, რომ სადილის წინ ტანსაცმელი არ გამოიცვალა, თუმცა მდიდრულ სასტუმროში იმყოფებოდა. მაშასადამე, სადილის შემდეგ საქმე ჰქონდა.

მართლაც, ცხრა საათისთვის ტაქსიში ჩაჯდა და მთელი ქალაქი გადაჭრა – სხვათა შორის, ლამაზი ქალაქი! როცა ჯეინს ვიპოვი, ალბათ, იქ წავიყვან. გარეუბანში მძღოლს ფული გადაუხადა და ფლატეს თავზე ფიჭვნარში შევიდა. ბუნებრივია, არ ჩამოვრჩი. ნახევარი საათი ვიხეტიალეთ. თავდაპირველად ბევრ ვილას გავცდით, შემდეგ კანტიკუნტად თუ შეგვხვდებოდა, ბოლოს, მგონი, უკანასკნელს მივადექით. დიდი სახლი იყო, ირგვლივ ფიჭვის ხეები მოჩანდა.

ისე ჩამობნელდა, კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა. მესმოდა, როგორ მიტყაპუნებდა სახლისკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ ვეღარ ვხედავდი. ძალიან ფრთხილად მივდიოდი, რათა არ მიმხვდარიყო, რომ ვუთვალთვალებდი. გზამ შეუხვია და ზედ სახლთან თვალი მოვკარი, ზარი როგორ დარეკა და კარი როგორ გაუღეს. იქ დავრჩი, სადაც ვიდექი. ამ დროს წვიმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წამოვიდა და ერთიანად გავილუმპე. საშინლად ციოდა, უიტინგტონი კი აღარ გამოდიოდა და გადავწყვიტე, ცოტა გამევლო, ადგილი შემეთვალიერებინა.

ქვედა სართულზე ფარდები მჭიდროდ ჩამოეფარებინათ. მეორე სართულზე – ვილა ორსართულიანი იყო – განათებული ფანჯარა დავინახე, თანაც – ფარდებგაწეული.

ფანჯრის პირდაპირ, ოციოდე ნაბიჯში, ხე იდგა. მასზე აძრომა ჩავიფიქრე, რათა მენახა, ვინ იყო ოთახში. ცხადია, უიტინგტონის დანახვის იმედი არ მქონდა. ვფიქრობდი, რომ ქვევით იქნებოდა, ერთ-ერთ მისაღებ ოთახში. წვიმაში უსაქმოდ დგომა ყელში ამომივიდა და ხეზე აძრომას შევუდექი.

გვარიანად გავწვალდი! წვიმას ვარჯი და ტოტები დაესველებინა და ხელ-ფეხი მისხლტოდა. კინაღამ ჩამოვვარდი. როგორც იქნა, ფანჯრის დონემდე მივაღწიე.

იმედი გამიცრუვდა. ფანჯარა ხის მარჯვნივ აღმოჩნდა, ასე რომ, ოთახში შეხედვას ვერ ვახერხებდი. მხოლოდ ფარდის კიდესა და შპალერაკრული კედლის დაახლოებით ერთ იარდს ვხედავდი. ვიფიქრე, აქ რაღა ვაკეთო-მეთქი, და უკვე ჩამოსვლას ვაპირებდი, როცა სწორედ იმ ადგილს ჩრდილი დაეცა. უიტინგტონის ჩრდილი – გეფიცებით! გავცხარდი. აუცილებლად უნდა შემეხედა ოთახში. ისღა უნდა მომეფიქრებინა, ეს როგორ მომეხერხებინა. ერთი მსხვილი ტოტი ფანჯრისკენ მიდიოდა. მის შუაგულამდე რომ მიმეღწია, ფანჯარაშიც შევიხედავდი. ვანგარიშობდი, ჩემს წონას თუ გაუძლებდა. ბოლოს გადავწყვიტე, ეს ცდით შემემოწმებინა და იქით გავცოცდი. ძალიან ნელა მივიწევდი წინ – დუიმ-დუიმ. წყეული ტოტი ტკაცუნობდა და ირხეოდა. ვცდილობდი, ქვევით ჩავარდნაზე არ მეფიქრა. როგორც იქნა, საჭირო ადგილამდე მშვიდობიანად მივცოცდი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საშუალო ზომის ოთახი იყო, თითქმის უავეჯო. შუაში მაგიდა იდგა ზედ მოთავსებული ლამპით. მაგიდასთან, პირისახით ჩემკენ, უიტინგტონი იჯდა და მედდის ტანსაცმელში გამოწყობილ ქალს ელაპარაკებოდა. ზურგით მჯდომი ქალის სახეს ვერ ვხედავდი. ფანჯარა მიეხურათ და არაფერი მესმოდა, მაგრამ თითქოს მხოლოდ უიტინგტონი საუბრობდა, ქალი კი უსმენდა, ზოგჯერ თავს აქნევდა, ალბათ, შეკითხვაზე პასუხობდა. მომეჩვენა, რომ კაცი რაღაცას დაჟინებით მოითხოვდა – ერთი-ორჯერ მაგიდას მუშტი დასცხო. ამასობაში წვიმამ გადაიღო და ცა მოიწმინდა. ასე ხშირად ხდება ხოლმე.

ბოლოს, როგორც ჩანს, სათქმელი დაასრულა და წამოდგა. ქალიც ასევე მოიქცა. კაცმა ფანჯარას შეხედა და რაღაც კიდევ ჰკითხა, ალბათ, წვიმის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ქალი ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. ამ დროს, თითქოს ჯიბრზე, ღრუბლებიდან მთვარე ამოცურდა. შემეშინდა, არ დამინახონ-მეთქი და უკან გაცოცება ვცადე. მაგრამ წყეულმა დამპალმა ტოტმა ველარ გამიძლო, გატკაცუნდა, ქვევით ჩავარდა და ჯულიუს ფ. ჰერსჰაიმერიც თან წაიყოლა.

– ოჰ, ჯულიუს, – შესძახა ტაპენსმა, – რა ამაღელვებელია! განაგრძე.

– ჩემდა საბედნიეროდ, რბილ მიწაზე დავეცი, მაგრამ ერთხანს გავითიშე. როცა თვალი გავახილე, დავინახე, რომ საწოლზე ვიწექი, ერთ მხარეს მედდა იდგა (ის არა, რომელსაც უიტინგტონი ელაპარაკებოდა), მეორე მხარეს კი – დაბალი, შავწვერა, ოქროსსათვალიანი კაცი, ეტყობოდა, ექიმი იყო. თვალგახელილი რომ დამინახა, ხელები მოისრისა, წარბები ასწია და თქვა: „აჰ, ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი გონზე მოვიდა. შესანიშნავია. შესანიშნავია.“

არ დავიბენი და ვიკითხე: „რა მოხდა? სად ვარ?“ თუმცა მშვენივრად ვიცოდი, სადაც ვიყავი, რადგან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ძველებურად კარგად მიმუშავებდა. „ვფიქრობ, ჯერჯერობით მეტი არაფერია საჭირო, დაო," – თქვა დაბალმა კაცმა და მედდა მკვირცხლად, საქმიანი ნაბიჯებით გავიდა, მაგრამ კართან მისულმა მალულად გამომხედა – აშკარად დავაინტერესე.

მისმა მზერამ ერთი იდეა მიკარნახა. „აი, რა, ექიმო..." – ვთქვი და საწოლზე წამოჯდომა ვცადე, მაგრამ მარჯვენა ფეხში ტკივილი ვიგრძენი. „მსუბუქი დაჭიმულობაა, – ამიხსნა ექიმმა, – საშიში არაფერია. ორ დღეში სიარულს შეძლებთ."

– შევნიშნე, რომ კოჭლობდით, – თქვა ტაპენსმა.

ჯულიუსმა თავი დააქნია და განაგრძო:

– „მაინც რა მოხდა?" – ვკითხე კვლავ. მან ცივად მიპასუხა: „ჩემი ხეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილიდან ჩამოვარდით და ახლად დარგულ ყვავილნარზე დაეცით."

ექიმი მომეწონა. იუმორის გრძნობა გააჩნდა. ვიფიქრე, პატიოსანი ადამიანი მაინც იქნება-მეთქი. „გასაგებია, – ვუთხარი, – ხის გამო ბოდიშს გიხდით. ახალი ბოლქვები ჩემზე იყოს. ალბათ, გაინტერესებთ, რას ვაკეთებდი თქვენს ბაღში?" „დიახ, ვფიქრობ, ფაქტები ახსნა-განმარტებას ითხოვს," – მიპასუხა.

„დასაწყისისთვის ვიტყვი, რომ ვერცხლის კოვზებისთვის არ მოვსულვარ."

გაიღიმა. „თავიდან სწორედ ეს გავიფიქრე. მაგრამ მალე აზრი შევიცვალე. ამერიკელი ხართ, არა?" ჩემი ვინაობა დავუსახელე. „და თქვენ?" „დოქტორი ჰოლი ვარ, რაც, ვფიქრობ, გეცოდინებათ, ეს კი ჩემი კერძო კლინიკაა."

ეს, ცხადია, არ ვიცოდი, მაგრამ არ გავუმხილე, პირიქით, მადლიერი ვიყავი სასარგებლო ინფორმაციისთვის. მომეწონა და ვიგრძენი, რომ პატიოსანი ადამიანი იყო, მაგრამ ჩვენი საქმეების გამჟღავნებას არ ვაპირებდი, თუმცა არც დამიჯერებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მყისვე მოვიფიქრე, კიდევ რა უნდა მეთქვა. „ვფიქრობ, დიდი სისულელე ჩავიდინე, – ვუთხარი, – მაგრამ მერწმუნეთ, ბილ საიქსად[1] თავის გამოყვანას არ ვაპირებდი.“ რაღაც მოვიგონე ქალიშვილის, მკაცრი მეურვისა და ნერვული აშლილობის შესახებ, რაც იმით დავასრულე, რომ იგი, შემთხვევით, მისი კლინიკის პაციენტებს შორის ვიცანი, და სწორედ ამით აიხსნებოდა ჩემი ღამის თავგადასავალი.

როგორც ჩანს, ჩემგან რაღაც ამგვარს ელოდებოდა. „ძალზე რომანტიკულია,“ – მითხრა სიცილით. „აი, რა, ექიმო, – მივმართე, – შეიძლება, პირდაპირ გკითხოთ? ხომ არ არის აქ – ან ხომ არ იყო – ქალიშვილი, სახელად ჯეინ ფინი?“ „ჯეინ ფინი? – გაიმეორა ჩაფიქრებული სახით, – არა“. ცხადია, ცხვირი ჩამოვუშვი, რაც, ალბათ, შეამჩნია. „დარწმუნებული ხართ?“ – ვკითხე. „აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, მისტერ ჰერსჰაიმერ. ეს იშვიათი გვარია და აუცილებლად დამამახსოვრდებოდა.“

აი, ასე გადამიწურა იმედი, არადა, მეგონა, ჩემმა ძებნამ შედეგი გამოიღო-მეთქი. „რა გაეწყობა, – ვუთხარი, – ერთსაც შეგეკითხებით. სანამ იმ წყეულ ტოტს ვეხუტებოდი და ფანჯარაში ვიყურებოდი, მომეჩვენა, რომ თქვენი ერთ-ერთი მედდა ჩემს ძველ ნაცნობს ელაპარაკებოდა“. უიტინგტონი განზრახ არ ვახსენე, იმ შემთხვევისთვის, თუ ის იქ სხვა სახელით მივიდა. მაგრამ ექიმი მყისვე ჩამეკითხა: „მისტერ უიტინგტონს გულისხმობთ?“ „დიახ! – მივუგე, – აქ რა უნდოდა? ოღონდ არ მითხრათ, რომ ნერვიული აშლილობა აქვს. მას ნერვებს ვერავინ მოუშლის.“ დოქტორ ჰოლს გაეცინა. „არა, არა, აქ მედდა ედიტის სანახავად მოვიდა. ის მისი ძმისშვილია.“ „რა დამთხვევაა! – შევ-

---

[1] *ბილ საიქსი – მძარცველი და მკვლელი, ინგლისელი მწერლის, ჩარლზ დიკენსის (1812– 1870 წწ.) რომანის, „ოლივერ ტვისტის“ პერსონაჟი.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძახე, – ახლაც აქაა?“ „არა, დაუყოვნებლივ ქალაქში დაბრუნდა.“ „რა სამწუხაროა! – შევყვირე, – იქნებ მის ძმისშვილს დაველაპარაკო? როგორც ბრძანეთ, მედდა ედიტი, არა?“

ექიმმა თავი გადააქნია. „სამწუხაროდ, ესეც შეუძლებელია. მედდა ედიტი დღეს საღამოს პაციენტთან ერთად გაემგზავრა.“ „როგორც ჩანს, დღეს არ მიმართლებს, – შევნიშნე, – მისტერ უიტინგტონის მისამართი ხომ არ გაქვთ? ქალაქში დაბრუნების შემდეგ ვესტუმრებოდი.“ „მისამართი არ ვიცი, თუმცა შემიძლია, მედდა ედიტს მივწერო და ბიძამისის მისამართს გამოგზავნის.“ მადლობა გადავუხადე და დავამატე: „ოღონდ არ ახსენოთ, ვინ იკითხა. მინდა, პატარა სიურპრიზი მოვუწყო.“ მეტს ვერაფერს გავაკეთებდი. ცხადია, თუ ის მედდა მართლა უიტინგტონის ძმისშვილი იყო, მახეში, ალბათ, არ გაებმებოდა, მაგრამ მოსინჯვა მაინც ღირდა. შემდეგ დეპეშა გავუგზავნე ბერესფორდს: მივწერე, სად ვიყავი, რომ ფეხი დამეჭიმა, და ვთხოვე, შემოევლო, თუ ძალზე ბევრი საქმე არ ჰქონდა. სიფრთხილე გამოვიჩინე და ყველაფერი საკმაოდ ბუნდოვნად ავუწერე. არ მიპასუხა, ფეხის ტკივილმა კი მალე გამიარა. ის ხომ ნაღრძობი კი არა, მხოლოდ დაჭიმული მქონდა. ასე რომ, დღეს ტანდაბალ ექიმს დავემშვიდობე, ვთხოვე, ეცნობებინა, თუ მედდა ედიტი უპასუხებდა, და ლონდონში დავბრუნდი... მომისმინეთ, მის ტაპენს, გაფითრებული მეჩვენებით.

– ტომის გამო, – მიუგო ტაპენსმა, – ნეტა რა შეემთხვა?

– ნუ ღელავთ, ვფიქრობ, კარგად არის. ან რატომ არ უნდა იყოს კარგად? ის კაცი, რომელსაც დაედევნა, უცხოელს ჰგავდა. შესაძლოა, ბერესფორდი მას საზღვარგარეთ გაჰყვა... ვთქვათ, პოლონეთში ან სადმე სხვაგან.

ტაპენსმა თავი გადააქნია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამას უპასპორტოდ და ხელცარიელი ვერ შეძლებდა. გარდა ამისა, დავინახე ის უცხოელი – ბორისი, თუ რაც ჰქვია. გუშინ მისის ვანდემაიერთან ისადილა.

– მისის ვისთან?

– დამავიწყდა, რომ თქვენ არაფერი იცით.

– გისმენთ, – თქვა ჯულიუსმა და თავისი საყვარელი სიტყვით განაგრძო, – გამათვითცნობიერეთ.

ტაპენსმა ბოლო ორი დღის მოვლენები უამბო. ჯულიუსის გაოცებასა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

– ყოჩაღ! წარმომიდგენია, როგორ თამაშობდით მოსამსახურის როლს! მომკლავს ამდენი სიცილი! – უეცრად მან სერიოზული სახით განაგრძო: – ოღონდ არ მომწონს ეს, მის ტაპენს, ძალიან არ მომწონს. ვიცი, რომ გამბედაობა არ გაკლიათ, მაგრამ აჯობებს, ამ ყველაფრისგან თავი შორს დაიჭიროთ. მათთვის სულერთია, მამაკაცს გაასაღებენ თუ ქალიშვილს.

– გგონიათ, მათი მეშინია? – აღშფოთებით შესძახა ტაპენსმა და ვაჟკაცურად მოიშორა თავიდან მოგონებები მისის ვანდემაიერის თვალებში დანახული ფოლადის ბზინვარების შესახებ.

– უკვე გითხარით, რომ ძალიან მამაცი ხართ. მაგრამ ეს არაფერს ცვლის.

– ოჰ, კმარა ჩემზე ლაპარაკი! – მოუთმენლად თქვა ტაპენსმა, – აჯობებს, იმაზე ვიფიქროთ, რა შეიძლება შემთხვეოდა ტომის. უკვე მივწერე მისტერ კარტერს, – დაამატა ქალიშვილმა და ჯულიუსს წერილის შინაარსი გააცნო.

ამერიკელმა თავი დააქნია.

– ვფიქრობ, სწორად მოიქეცით. მაგრამ ჩვენც ხომ უნდა გავაკეთოთ რამე?!

– მაინც რა? – გამოცოცხლდა ტაპენსი.

– ყველაფერს აჯობებს, ბორისს ვუთვალთვალოთ. თქვენ თქვით, რომ იქ მოვიდა, სადაც მსახურობთ. კიდევ მოვა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ ვიცი, მაგრამ სრულიად შესაძლებელია.

– თუ ასეა, ძვირფას ავტომობილს ვიყიდი, მძღოლის ფორმაში გამოვეწყობი და შორიახლო დავდგები. როცა ის ბორისი მოვა, მანიშნებთ და თვალთვალს დავუწყებ. კარგი გეგმაა?

– ძალიან კარგი, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, როდის მოვა ის. ერთი თვე რომ არ გამოჩნდეს?

– ალალბედზე მოქმედება მოგვიწევს, მიხარია, რომ ჩემი იდეა მოგეწონათ, – იგი წამოდგა.

– სად მიდიხართ?

– მანქანის საყიდლად, სხვაგან სად უნდა წავიდე? – გაოცდა ჯულიუსი, – რომელი მარკა გირჩევნიათ? მასში ხომ თქვენც მოგიწევთ ჯდომა.

– ოჰ, – ჩაილაპარაკა ტაპენსმა, – მე „როლს-როისი“ მომწონს, მაგრამ...

– მშვენიერია, – დაეთანხმა ჯულიუსი, – ასე იყოს. „როლს-როისს“ ვიყიდი.

– ამას ახლავე ვერ შეძლებთ, – შესძახა ტაპენსმა, – ხალხი მას წლობით ელოდება.

– პატარა ჯულიუსს ლოდინი არ უყვარს, – განაცხადა მისტერ ჰერსჰაიმერმა, – ნუ ღელავთ. ნახევარ საათში მანქანით დავბრუნდები.

ტაპენსი წამოდგა.

– რა კარგი ხართ, ჯულიუს, თუმცა არა მგონია, აქედან რამე გამოვიდეს. მე ისევ მისტერ კარტერის იმედი მაქვს.

– ამაო იმედია.

– რატომ?

– არ ვიცი, ასე ვფიქრობ.

– მაგრამ მან რაღაც უნდა გააკეთოს. სხვა ვერავინ შეძლებს. სხვათა შორის, ერთი უცნაური ამბის მოყოლა დამავიწყდა, რომელიც დღეს დილას მოხდა.

ტაპენსმა კაცს სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონთან შეხვედრისა და მისი ბოლო სიტყვების შესახებ უამბო. ჯულიუსი გაოცდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნეტა, რას გულისხმობდა? – იკითხა მან.

– ზუსტად არ ვიცი, – ჩაფიქრებული სახით თქვა ტაპენსმა, – ვფიქრობ, უბრალოდ, ჩემი გაფრთხილება უნდოდა, ოღონდ, როგორც ადვოკატებს ახასიათებთ, არაფერი დაუკონკრეტებია.

– რატომ?

– არ ვიცი, – აღიარა ტაპენსმა, – მომეჩვენა, რომ ძალზე გულკეთილი და ჭკვიანია. ერთი პირობა, ვიფიქრე, ყველაფერი ხომ არ ვუამბო-მეთქი.

მისდა გასაოცრად, ჯულიუსმა ეს აზრი გადაჭრით უარყო.

– მომისმინეთ, – თქვა მან, – იურისტების ჩარევა არაფერში გვჭირდება. ის ვერაფრით დაგვეხმარება.

– მე კი მგონია, რომ ამას შეძლებს, – გაჯიუტდა ტაპენსი.

– ტყუილუბრალოდ. კარგი, დროებით, ნახევარ საათში დავბრუნდები.

ჯულიუსი ზუსტად ოცდათხუთმეტი წუთის შემდეგ დაბრუნდა. იგი ტაპენსს ხელში სწვდა და ფანჯარასთან მიიყვანა.

– აი, ისიც.

– ოჰ! – აღფრთოვანებით შესძახა ტაპენსმა უზარმაზარი მანქანის დანახვაზე.

– გარწმუნებთ, მშვენივრად დადის, – კმაყოფილი კილოთი თქვა ჯულიუსმა.

– როგორ იშოვეთ? – ჰკითხა ტაპენსმა.

– ვიღაც დიდკაცის სახლში წაყვანას აპირებდნენ.

– მერე?

– პირდაპირ მისკენ გავემართე, – მიუგო ჯულიუსმა, – ვუთხარი, რომ მანქანა ოცი ათასი დოლარი ღირდა. შემდეგ კი ორმოცდაათი ათასი შევთავაზე, თუ დამითმობდა.

– და რა? – ჰკითხა გაბრუებულმა ტაპენსმა.

– რა და – დამითმო. სულ ეს იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთორმეტე
გასაჭირში ჩავარდნილი მეგობარი

პარასკევსა და შაბათს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ტაპენსმა მისტერ კარტერისგან მოკლე ბარათი მიიღო. იგი წერდა, რომ „ახალგაზრდა ავანტიურისტებმა“ ამ საქმეს საკუთარი რისკის ფასად მოჰკიდეს ხელი, რომ მან წინასწარ გააფრთხილა ისინი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. თუ ტომის რამე შეემთხვა, ეს მას ძალიან დაამწუხრებდა, მაგრამ ვერაფრით დაეხმარებოდა.

დიდი ვერაფერი ნუგეში იყო. ტომის გარეშე თავგადასავალმა მიმზიდველობა დაკარგა და ტაპენსი პირველად დაეჭვდა წარმატებაში. სანამ ისინი ერთად იყვნენ, წამითაც არ დაფიქრებულა შესაძლო წარუმატებლობაზე. დიახ, ბრძანებებს თვითონ გასცემდა და საკუთარი საზრიანობითაც ამაყობდა, მაგრამ, სინამდვილეში, ტომის დიდი იმედი ჰქონდა – უფრო მეტი, ვიდრე ამას აცნობიერებდა. ახალგაზრდა კაცის კეთილგონიერება და წინდახედულობა მისთვის ყოველთვის ერთგვარ საყრდენს წარმოადგენდა და ახლა ტაპენსი თავს ისე გრძნობდა, როგორც უსაჭოდ დარჩენილ გემზე. აი, ჯულიუსი ხომ აშკარად ტომიზე ჭკვიანი იყო, მაგრამ მასთან თავს ისე მშვიდად მაინც არ გრძნობდა. ტაპენსი ხშირად საყვედურობდა ტომის მისი პესიმიზმის გამო, ის კი ყველა იმ მოსალოდნელ სირთულეს ხედავდა, რომლებზეც თვითონ არც კი ფიქრობდა, თუმცა ტომის მოსაზრებებს, საბოლოოდ, მაინც ანგარიშს უწევდა. ტომი დიდხანს ფიქრობდა, ოღონდ იშვიათად ცდებოდა.

ქალიშვილი მიხვდა, რომ მხოლოდ ახლა გააცნობიერა, რა სახიფათო საქმეს შეეჭიდნენ, თანაც – სრულიად გაუაზრებლად. დიახ, თავდაპირველად ყველაფერი სათავგადასავლო რომანს ჰგავდა, მაგრამ ახლა რო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მანტიკის შარავანდი გაქრა და მხოლოდ პირქუში რეალობა დარჩა. ამჟამად უმთავრესი ტომი იყო. ტაპენსმა არაერთხელ მოიწმინდა ცრემლი. „პატარა სულელო, – ეუბნებოდა საკუთარ თავს, – ტირილის დრო არაა. ცხადია, შენ ის გიყვარს, მთელ მის ცხოვრებას იცნობ, მაგრამ სენტიმენტალობა გვერდზე გადადე."

ბორისი არ ჩანდა. ჯულიუსი ამაოდ ელოდებოდა მას თავისი ახალი მანქანით. ტაპენსი სულ უფრო ხშირად ფიქრობდა სახელგანთქმულ ადვოკატთან უცნაურ შეხვედრაზე. სრულიად იზიარებდა ჯულიუსის ეჭვს, მაგრამ მაინც არ სურდა უარის თქმა საკუთარ იდეაზე – სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონისთვის დახმარების თხოვნაზე. ამოწერა კიდეც მისი მისამართი „წითელი წიგნიდან[1]". ნუთუ მართლა აფრთხილებდა? თუ – კი, რას გულისხმობდა? ყოველ შემთხვევაში, მისი უცნაური მინიშნება ახსნა-განმარტების მოთხოვნის უფლებას აძლევდა. არადა, როგორი გულკეთილი თვალები ჰქონდა! იქნებ ისეთი რამე სცოდნოდა მისის ვანდემაიერის შესახებ, რაც ტაპენსს ტომის კვალზე გაიყვანდა?

ტაპენსმა მხრები მოუთმენლად შეარხია და გადაწყვიტა, რომ ჩიტი ბდღვნად ღირდა – უნდა მოესინჯა. კვირას ადრე გათავისუფლდებოდა და ნახევარი დღე მის განკარგულებაში იქნებოდა. ჯულიუსს შეხვდებოდა და დაარწმუნებდა, ერთად წასულიყვნენ ლომის ბუნაგში.

ჯულიუსის დარწმუნება იოლი არ აღმოჩნდა, მაგრამ ტაპენსმა თავისი გაიტანა. „ასეა თუ ისე, არაფერს ვკარგავთ," – ამტკიცებდა იგი. ბოლოს, ჯულიუსი დანებდა და ისინი მანქანით „კარლტონ ჰაუს ტერასისკენ" გაემართნენ.

---

[1] *„წითელი წიგნი" – (აქ) ოფიციალური წითელყდიანი ცნობარი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია პოლიტიკური მოღვაწეებისა და სახელმწიფო მოხელეების შესახებ მათი მისამართებითურთ.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი უზადოდ გამოწყობილმა მსახურთუფროსმა გაულო. ტაპენსი ცოტათი ანერვიულდა – ზედმეტად თავდაჯერებულად ხომ არ იქცეოდა? ყოველი შემთხვევისთვის, გადაწყვიტა, არ ეკითხა, შინ იყო თუ არა სერ ჯეიმზი, და პირად ურთიერთობაზე მიენიშნებინა.

– იქნებ ჰკითხოთ სერ ჯეიმზს, ხომ არ შეიძლება, რომ რამდენიმე წუთით შევხვდე? მისთვის მნიშვნელოვანი შეტყობინება მაქვს.

მსახურთუფროსი წავიდა და მალე დაბრუნდა.

– სერ ჯეიმზი მზადაა, რომ მიგიღოთ. აქეთ, თუ შეიძლება.

იგი მათ სახლის უკანა ნაწილისკენ გაუძღვა და ბიბლიოთეკასავით მოწყობილ ოთახში შეიყვანა. აქ საუცხოო წიგნები ეწყო. ტაპენსმა შეამჩნია, რომ ერთი კედელი მთლიანად დაეთმოთ დანაშაულსა და კრიმინოლოგიასთან დაკავშირებული ლიტერატურისთვის. ძველმოდური ბუხრის გვერდით რამდენიმე ღრმა სავარძელი იდგა, ერკერში კი – დიდი, მრგვალთავსახურავიანი, ქაღალდებით სავსე საწერი მაგიდა, რომელთანაც მასპინძელი იჯდა.

იგი მათ შესახვედრად წამოდგა.

– ჩემთვის შეტყობინება გაქვთ? აჰ, ეს თქვენ ხართ? – იცნო ტაპენსი და გაულიმა, – მისის ვანდემაიერისგან, არა?

– ასე არ ვიტყოდი, – მიუგო ტაპენსმა, – რომ არ დაგიმალოთ, ეს იმიტომ მოვიფიქრე, მეშინოდა, შეხვედრაზე უარი არ გეთქვათ. მაპატიეთ, ეს მისტერ ჰერსჰაიმერია. სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონი.

– მიხარია, რომ გაგიცანით, – უთხრა ამერიკელმა და ხელი გაუწოდა.

– დაბრძანდით, გთხოვთ, – თქვა სერ ჯეიმზმა და სტუმრებს სავარძლები შესთავაზა.

– სერ ჯეიმზ, – პირდაპირ სათქმელზე გადავიდა ტაპენსი, – ალბათ, თავხედობად მიგაჩნიათ, ასე რომ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემოგეჭერით. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი საქმე სრულიად არ გეხებათ, თანაც ასეთი ცნობილი პიროვნება ბრძანდებით, ჩემი და ტომისგან განსხვავებით, – ქალიშვილი სულის მოსათქმელად შეჩერდა.

– ტომი? – იკითხა სერ ჯეიმზმა და ამერიკელს შეხედა.

– არა, ეს ჯულიუსია, – აუხსნა ტაპენსმა, – ძალიან ვნერვიულობ და უთავბოლოდ ვლაპარაკობ. მხოლოდ იმის გაგება მინდა, მაშინ რა იგულისხმეთ. თქვენ ხომ გამაფრთხილეთ – მისის ვანდემაიერთან ყოფნისას. ასე არაა?

– ძვირფასო ქალიშვილო, თუ არაფერი მეშლება, მე მხოლოდ გითხარით, რომ უკეთ მოწყობაც შეგეძლოთ.

– დიახ, ვიცი. მაგრამ ეს მინიშნება იყო, არა?

– დიახ, შესაძლოა, – სერიოზული სახით წარმოთქვა სერ ჯეიმზმა.

– ამიტომაც უფრო მეტის გაგება მსურს. მინდა გავიგო, რატომ მიმანიშნეთ.

ქალიშვილის გულწრფელობამ სერ ჯეიმზს ღიმილი მოჰგვარა.

– მერედა, თქვენმა დიასახლისმა ცილისწამებისთვის სასამართლოში რომ მიჩივლოს?

– ვიცი, იურისტები საშინლად წინდახედულები ხართ, – თქვა ტაპენსმა, – მაგრამ ხომ შეგვიძლია დავთქვათ, რომ კონკრეტულად არავის ვგულისხმობთ, შემდეგ კი მშვიდად ვისაუბროთ.

– თუ ასეა, – კვლავაც ღიმილით განაგრძო სერ ჯეიმზმა, – თუ კონკრეტულად არავის ვგულისხმობთ, პირდაპირ გეტყვით: მე რომ ახალგაზრდა და მყავდეს, რომელსაც თავის სარჩენად მუშაობა მოუწევდა, არ მომეწონებოდა, იგი მისის ვანდემაიერის სახლში მენახა. ვალდებული ვიქნებოდი მიმენიშნებინა, რომ ეს ასეთი ახალგაზრდა და გამოუცდელი ქალიშვილის შესაფერისი ადგილი არაა. მეტს ვერაფერს გეტყვით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გასაგებია, – ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა ტაპენსმა, – გმადლობთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ არც ასეთი გამოუცდელი ვარ. როდესაც მასთან ვიწყებდი მუშაობას, შესანიშნავად ვიცოდი, ჩემი დიასახლისი რასაც წარმოადგენდა. კაცმა რომ თქვას, ამიტომაც მივედი მასთან...

ტაპენსმა ადვოკატს გაოცება შეამჩნია და გაჩუმდა, შემდეგ კი განაგრძო:

– აჯობებს, ყველაფერი გიამბოთ, სერ ჯეიმზ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თუ რამეს დაგიმალავთ, მაშინვე გამომიჭერთ. ამიტომ უკეთესი იქნება, თავიდან დავიწყო. რას იტყვით, ჯულიუს?

– რახან ასე გადაწყვიტეთ, სიმართლე თქვით, – მიუგო აქამდე ჩუმად მყოფმა ამერიკელმა.

– დიახ, ყველაფერი მიამბეთ, – თქვა სერ ჯეიმზმა, – და ამიხსენით, ვინ არის ტომი.

მისი ყურადღებით გამხნევებულმა ტაპენსმა ფაქტები გადმოალაგა. ადვოკატი ყურადღებით უსმენდა.

– უაღრესად საინტერესოა, – თქვა, როცა ქალიშვილმა თხრობა დაასრულა, – ჩემო კარგო, ძალიან ბევრი რამე იქიდან, რაც მოჰყევით, უკვე ვიცოდი. ჯეინ ფინთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება მაქვს. აქამდე, თქვენ საოცრად გიმართლებდათ, თუმცა მისტერ... როგორ გაგეცნოთ იგი?.. მისტერ კარტერის მხრიდან არცთუ გონივრული საქციელი იყო ამ საქმეში ორი თქვენნაირი ახალგაზრდის ჩართვა. ჰო, მართლა, მისტერ ჰერსჰაიმერი რატომ დაინტერესდა ამ ყველაფრით? ეს არ აგიხსნიათ.

ჯულიუსმა თვითონ უპასუხა.

– მე ჯეინის ბიძაშვილი ვარ, – თქვა მან და ადვოკატს დაჟინებული მზერა დაუბრუნა.

– აჰ!

– ოჰ, სერ ჯეიმზ, – ვეღარ მოითმინა ტაპენსმა, – თქვენი აზრით, რა დაემართა ტომის?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰმ, – ადვოკატი წამოდგა და აუჩქარებლად შეუდგა ოთახში წინ და უკან სიარულს, – როდესაც ჩემთან მოხვედით, ახალგაზრდა ლედი, უკვე ბარგს ვალაგებდი, ღამის მატარებლით რამდენიმე დღით შოტლანდიაში გასამგზავრებლად – სათევზაოდ. მაგრამ სხვადასხვაგვარი თევზაობა არსებობს. თითქმის გადავწყვიტე, დავრჩე და ვნახო, რა შეგვიძლია გავაკეთოთ თქვენი ახალგაზრდა მეგობრის კვალის მისაგნებად.

– ოჰ! – გახარებულმა ტაპენსმა ტაშიც კი შემოჰკრა.

– როგორც უკვე გითხარით, ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, რომ კარტერი ძალზე ცუდად მოიქცა, როდესაც ორი ბალღი ასეთ სამუშაოზე გაგამწესათ. ხომ არ გეწყინათ, მის... ე-ე...

– კაული, პრუდენს კაული. მაგრამ მეგობრები ტაპენსს მეძახიან.

– კარგი, მის ტაპენს, ამიერიდან თქვენს მეგობრად მიგულეთ. არ გეწყინოთ, ახალგაზრდა რომ გიწოდეთ. ახალგაზრდობა ერთგვარი ნაკლია, რომელიც ძალზე სწრაფად ქრება. ახლა რაც შეეხება თქვენს ტომის...

– დიახ, – ტაპენსმა ხელები ერთმანეთს გადააჭდო.

– რომ არ დაგიმალოთ, მისი მდგომარეობა არცთუ სახარბიელოდ მეჩვენება. ის, როგორც ჩანს, გაუმართლებელ რისკზე წავიდა. ეს აშკარაა. მაგრამ იმედი არ უნდა დავკარგოთ.

– თქვენ ხომ მართლა დაგვეხმარებით? შეხედეთ, ჯულიუს! მას არ უნდოდა, რომ თქვენთვის მომემართა, – განმარტა ტაპენსმა.

– ჰმ, – თქვა ადვოკატმა და ჯულიუსს კვლავ გამჭრიახი მზერა მიაპყრო, – მერედა, რატომ?

– ვფიქრობდი, რომ ასეთი წვრილმანი საქმის გამო თქვენი შეწუხება არ ღირდა.

– გასაგებია, – სერ ჯეიმზი გაჩუმდა, – ეს წვრილმანი საქმე, როგორც თქვენ უწოდებთ, პირდაპირ უკავ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შირდება ძალიან დიდ საქმეს, იმაზე დიდს, ვიდრე, შესაძლოა, თქვენ ან მის ტაპენსს წარმოგიდგენიათ. თუ ის ბიჭი ცოცხალია, მას, სავარაუდოდ, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაცია ექნება. ამიტომ ის აუცილებლად უნდა მოვძებნოთ.

– ჰო, მაგრამ როგორ? – შესძახა ტაპენსმა, – ბევრი ვიფიქრე, თუმცა ამაოდ.

სერ ჯეიმზმა გაიღიმა.

– არადა, არის ერთი ადამიანი თქვენს სიახლოვეს, რომელმაც, დიდი ალბათობით, იცის, სად იმყოფება ან, ყოველ შემთხვევაში, სად შეიძლება იმყოფებოდეს ტომი.

– ვისზე ამბობთ? – ჰკითხა გაოცებულმა ტაპენსმა.

– მისის ვანდემაიერზე.

– დიახ, მაგრამ ის ამას არასდროს გვეტყვის.

– ოჰ, არც ასეა საქმე. ვფიქრობ, შემიძლია ვაიძულო მისის ვანდემაიერი, მითხრას ის, რისი გაგებაც მინდა.

– როგორ? – ტაპენსს თვალები გაუფართოვდა.

– ოჰ, უბრალოდ, რამდენიმე შეკითხვას დავუსვამ, – უდარდელად თქვა სერ ჯეიმზმა, – უნდა გითხრათ, რომ სწორედ ამ გზით უნდა წავიდეთ.

მან მაგიდაზე თითები ააკაკუნა და ტაპენსმა კვლავ იგრძნო ძალა, რომელსაც ეს ადამიანი ასხივებდა.

– რომ არ გვითხრას? – მოულოდნელად იკითხა ჯულიუსმა.

– ვფიქრობ, გვეტყვის. ერთი-ორი მძლავრი ბერკეტი მაქვს. უკიდურეს შემთხვევაში, ყოველთვის შეიძლება ფულის შეთავაზება.

– რასაკვირველია. აი, ჩემი დროც მოვიდა! – შესძახა ჯულიუსმა და მუშტი მაგიდას დასცხო, – თუ აუცილებელი იქნება, მილიონი დოლარის იმედიც გქონდეთ. დიახ, სერ, მილიონი დოლარის!

სერ ჯეიმზი სავარძელში ჩაეშვა და კვლავ დაჟინებით მიაჩერდა ჯულიუსს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მისტერ ჰერსჰაიმერ, – თქვა ბოლოს, – ეს ძალზე დიდი თანხაა.

– გვაქვს კი სხვა გზა? ასეთ ხალხს ექვსპენსიანს ვერ შევთავაზებთ.

– ამჟამინდელი კურსით ეს ორას ორმოცდაათ ათას გირვანქაზე მეტია.

– ასეა. ხომ არ გგონიათ, რომ სიტყვებს ჰაერზე ვისვრი? ნამდვილად შემიძლია ამ თანხის გადახდა. თქვენს ჰონორარსაც გავწვდები.

სერ ჯეიმზი ოდნავ წამოწითლდა.

– ჰონორარი არაფერ შუაშია, მისტერ ჰერსჰაიმერ. მე კერძო დეტექტივი არ გახლავართ.

– მაპატიეთ. მგონი, რაღაც სისულელე წამოვროშე. ფულის გამო ხშირად ვვარდები უხერხულ მდგომარეობაში. გაზეთების საშუალებით დიდი ჯილდოს შეთავაზება მინდოდა ჯეინის შესახებ ინფორმაციის მოწოდების სანაცვლოდ, მაგრამ თქვენმა ხავსმოდებულმა სკოტლენდიარდმა მირჩია, ეს არ გამეკეთებინა. მითხრეს, არასასურველიაო.

– შესაძლოა, მართალნიც იყვნენ, – ცივად შენიშნა სერ ჯეიმზმა.

– მაგრამ ჯულიუსი სიმართლეს ამბობს, – თქვა ტაპენსმა, – არ გატყუებთ. მას ფული ჩეჩქივით აქვს.

– ჩემმა მოხუცმა გვარიანად დააგროვა, – განმარტა ჯულიუსმა, – ახლა კი საქმეს დავუბრუნდეთ. რას გვთავაზობთ?

სერ ჯეიმზი მცირე ხნით ჩაფიქრდა.

– დროის დაკარგვა არ შეიძლება. რაც უფრო სწრაფად ვიმოქმედებთ, მით უკეთესი, – იგი ტაპენსს მიუბრუნდა, – მისის ვანდემაიერი დღეს სხვაგან ხომ არ სადილობს?

– მგონი, კი. მაგრამ არ შეაგვიანდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაღებს წაიღებდა.

– კარგია. ათი საათისთვის ვეწვევი. თქვენ როდის უნდა დაბრუნდეთ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ათის ნახევრიდან ათამდე. უფრო ადრეც შემიძლია.

– ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააკეთოთ. თუ ჩვეულებრივზე ადრე მიხვალთ, ამან შესაძლოა, ეჭვი აღძრას. ათის ნახევრისთვის დაბრუნდით. მე ათისთვის მოვალ. მისტერ ჰერსჰაიმერი, ალბათ, ტაქსიში დაგველოდება.

– მას ახალთახალი „როლს-როისი“ ჰყავს, – ერთგვარი სიამაყით თქვა ტაპენსმა.

– მით უკეთესი. თუ მისის ვანდემაიერისგან მისამართს შევიტყობ, დაუყოვნებლივ წავალთ იქ, თუ დაგვჭირდა, ქალბატონსაც თან წავიყვანთ. გასაგებია?

– დიახ, – გახარებული ტაპენსი შეხტა კიდეც, – ოჰ, ახლა თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ!

– ძალიანაც ნუ დაიმედდებით, მის ტაპენს. ვნახოთ, რა მოხდება.

ჯულიუსი ადვოკატს მიუბრუნდა.

– მაშასადამე, მანქანით ათის ნახევრისთვის გამოგივლით. სწორია?

– შესაძლოა, ეს საუკეთესო გეგმა იყოს. ორი მანქანის გამზადება აღარ დაგვჭირდება. ახლა კი, მის ტაპენს, გირჩევთ, კარგად, საფუძვლიანად ისადილოთ. და შეეცადეთ, იმაზე აღარ იფიქროთ, რა შეიძლება მოხდეს.

მან სტუმრებს ხელი ჩამოართვა და ერთი წუთის შემდეგ ორივენი გარეთ იყვნენ.

– რა საყვარელია, არა? – აღფრთოვანებით იკითხა ტაპენსმა, როდესაც კიბეზე ხტუნვა-ხტუნვით ჩადიოდა, – ოჰ, ჯულიუს, ხომ მართლა საყვარელია?

– დიახ, გეთანხმებით, რომ მართლა კარგი ადამიანია. შევცდი, როცა ვთქვი, რომ მასთან არ უნდა წავსულიყავით. მითხარით, ახლა პირდაპირ „რიცში“ ვბრუნდებით?

– ვფიქრობ, ცოტა გასეირნება არ მაწყენდა. ძალ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზე აღელვებული ვარ. პარკთან ჩამომსვით, კარგი? თქვენც ხომ არ გინდათ ფეხით გავლა?

ჯულიუსმა თავი გადააქნია.

– ბენზინი უნდა ჩავასხა, – თქვა მან, – და ერთი-ორი დეპეშა გავგზავნო.

– კარგი. ერთმანეთს „რიცში“ შევხვდებით შვიდ საათზე. ნომერში მოგვიწევს სადილობა. ამ ტანსაცმლით საზოგადოებაში ვერ გამოვჩნდები.

– გასაგებია. ფელიქსს ვთხოვ, მენიუს შერჩევაში დამეხმაროს. ჩინებული მეტრდოტელია. აბა, ნახვამდის.

ტაპენსმა საათს დახედა და სწრაფად გაუყვა სერპენტინის[1] ნაპირს. ექვსი საათი ხდებოდა. გაახსენდა, რომ საუზმის შემდეგ პირში ლუკმა არ ჩაედო, თუმცა აღელვების გამო შიმშილს საერთოდ ვერ გრძნობდა. კენსინგტონ-გარდენსს რომ მიაღწია, შემოტრიალდა და აუჩქარებლად გაემართა „რიცისკენ“. გასეირნებამ და სუფთა ჰაერმა ცოტათი დაამშვიდა. მაგრამ უჭირდა, სერ ჯეიმსის რჩევა გაეთვალისწინებინა და იმაზე არ ეფიქრა, საღამოს რა მოხდებოდა. როდესაც ჰაიდ-პარკ-კორნერს მიუახლოვდა, საოცრად მოუნდა „საუთ-ოდლი მენშენსში“ დაბრუნება.

„ყოველ შემთხვევაში, – გაიფიქრა მან, – არაფერი დაშავდება, თუ უბრალოდ ჩავივლი და შენობას შევხედავ.“ იმედოვნებდა, რომ ეს ათ საათამდე დროს გააყვანინებდა.

სახლი ისევე გამოიყურებოდა, როგორც ყოველთვის. ტაპენსმა თვითონაც არ იცოდა, რას ელოდებოდა, მაგრამ მისი შთამბეჭდავი კედლების დანახვამ მოწოლილი ბუნდოვანი შეშფოთება ნაწილობრივ გაუფანტა. უკვე წასვლას აპირებდა, როდესაც ყურთწამლები სტვენა მოესმა, კარიდან მისი ერთგული ალბერტი გამოვარდა და მისკენ გამოემართა.

---

[1] *სერპენტინე – რეკრეაციული ტბა ლონდონის ჰაიდ-პარკში.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტაპენსმა წარბი შეიკრა. სრულიად არ სჭირდებოდა დროზე ადრე ყურადღების მიპყრობა, მაგრამ ალბერტი აღელვებისგან ჭარხალივით იყო გაწითლებული.

– მომისმინეთ, მის. ის გაპარვას აპირებს.

– ვინ აპირებს გაპარვას? – მოუთმენლად ჰკითხა ტაპენსმა.

– თაღლითი. „მარჯვე რიტა". მისის ვანდემაიერი. ბარგს ალაგებს და ახლახან შემომითვალა, რომ მისთვის ტაქსი დავიჭირო.

– რა? – ტაპენსი ბიჭს ხელში ჩააფრინდა.

– სიმართლეს გეუბნებით, მის. გავიფიქრე, რომ, შესაძლოა, ეს არ იცოდით.

– ალბერტ, – შესძახა ტაპენსმა, – მაგარი ხარ. შენ რომ არა, ხელიდან დაგვისხლტებოდა.

ალბერტს შექება ესიამოვნა და გაწითლდა.

– დროის დაკარგვა არ შეიძლება, – თქვა ტაპენსმა და ქუჩა გადაჭრა, – უნდა შევაჩერო. ნებისმიერ ფასად უნდა შევაჩერო, სანამ... – უეცრად მას თავში სხვა აზრმა გაუელვა, – ალბერტ, აქ ტელეფონი არის, არა?

ბიჭმა თავი გადააქნია.

– არა, მის. ყველა მობინადრეს თავისი აქვს. სამაგიეროდ, კუთხეშია ტელეფონის ჯიხური.

– ახლავე იქით გაიქეცი და სასტუმრო „რიცში" დარეკე. მისტერ ჰერსჰაიმერი იკითხე და უთხარი, სერ ჯეიმზთან ერთად დაუყოვნებლივ აქ მოვიდეს, რადგან მისის ვანდემაიერი გამგზავრებას აპირებს. თუ არ დაგხვდება, სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონს დაუკავშირდი, მის ნომერს სატელეფონო ცნობარში იპოვი. უამბე, რაც ხდება. სახელები დაიმახსოვრე?

ალბერტმა ყველაფერი სხაპასხუპით გაიმეორა.

– დამიჯერეთ, მის, ყველაფერი კარგად იქნება. თქვენ რას აპირებთ? მასთან ერთი ერთზე დარჩენის არ გეშინიათ?

– არა, არა, ნუ წუხხარ. გაიქეცი და დარეკე. იჩქარე!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტაპენსმა ღრმად შეისუნთქა, „მენშენსში“ შეაბიჯა და სირბილით გაემართა №20 კარისკენ. არ იცოდა, რა გზით შეაჩერებდა მისის ვანდემაიერს ორი მამაკაცის მოსვლამდე, მაგრამ ეს როგორღაც უნდა მოეხერხებინა, თანაც – მარტოკას. ნეტა, რას გამოეწვია ასეთი ნაჩქარევი გამგზავრება? ნუთუ მისის ვანდემაიერმა რაღაც იეჭვა?

მარჩიელობას აზრი არ ჰქონდა. ტაპენსმა მტკიცედ მიაჭირა ხელი ზარის ღილაკს. შესაძლოა, მზარეულისგან გაეგო რამე.

კარს არავინ ულებდა. მცირე ხნის შემდეგ ტაპენსმა კვლავ დარეკა, ამჯერად – გაბმით. როგორც იქნა, შიგნიდან ნაბიჯების ხმა მოესმა და მალე კარი თვითონ მისის ვანდემაიერმა გაუღო. ქალიშვილის დანახვაზე წარბები ასწია.

– თქვენ?

– კბილი ამტკივდა, მემ, – დაიკვნესა ტაპენსმა, – ვიფიქრე, ჯობია, სახლში დავბრუნდე და საღამო წყნარად გავატარო-მეთქი.

მისის ვანდემაიერს არაფერი უთქვამს, მხოლოდ განზე გადგა და ტაპენსს შესვლის შესაძლებლობა მისცა.

– როგორ მეცოდებით, – თქვა მან ცივად, – აჯობებს, წახვიდეთ და დაწვეთ.

– ოჰ, სამზარეულოშიც კარგად ვიქნები, მემ. მზარეული...

– მზარეული გასულია, – უთხრა მისის ვანდემაიერმა, – საქმეზე გავგზავნე. ასე რომ, როგორც ხედავთ, გიჯობთ, დაწვეთ.

მოულოდნელად ტაპენსს შეეშინდა. მისის ვანდემაიერის ხმაში რაღაც ავბედითმა გაიჟღერა. თანაც იგი ტაპენსს ნელ-ნელა დერეფნისკენ ავიწროებდა. კართან ტაპენსმა შემოტრიალება სცადა:

– მაგრამ მე არ მინდა დაწო...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სანამ ფრაზას დაასრულებდა, საფეთქელზე ცივი ლულა იგრძნო, მისის ვანდემაიერმა კი ცივი, მუქრით აღსავსე ხმით წარმოთქვა:

– წყეულო პატარა სულელო! გგონია, არ ვიცი? არა, ნუ მიპასუხებ. თუ წინააღმდეგობის გაწევას შეეცდები ან დაიყვირებ, აქვე ჩაგაძაღლებ.

ქალმა ფოლადის რგოლი ტაპენსს საფეთქელზე უფრო მაგრად მიაჭირა.

– აბა, იარე! – განაგრძო მისის ვანდემაიერმა, – აქეთ, ჩემი ოთახისკენ. ახლავე გაგისწორდები. ლოგინში დაწვები, როგორც გიბრძანე, და დაიძინებ... დიახ, დიახ, პატარა ჯაშუშო, ღრმად დაიძინებ!

ბოლო სიტყვებში უცნაურმა გულკეთილობამ გაიჟღერა, რაც ტაპენსს ძალიან არ მოეწონა. მაგრამ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და იგი მორჩილად შევიდა საწოლ ოთახში. რევოლვერი კვლავ საფეთქელზე ჰქონდა მიბჯენილი. ოთახში არეულობა სუფევდა. აქა-იქ კაბები და საცვლები ეყარა. იატაკზე გახსნილი, ნახევრად სავსე ჩემოდანი და შლაპის ყუთი მოჩანდა.

ტაპენსმა ძალა მოიკრიბა და დალაპარაკება გაბედა, თუმცა ხმა ოდნავ უკრთოდა.

– მომისმინეთ, – თქვა მან, – ვერ მესვრით, რადგან გასროლას ყველა გაიგონებს.

– მე კი გავრისკავდი, – მხიარულად მიუგო მისის ვანდემაიერმა, – მაგრამ თუ არ იყვირებ, ცუდი არაფერი მოგივა. ამიტომ ვფიქრობ, ყვირილს არ დაიწყებ. შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ. ჩემი მოტყუება მოახერხე. არადა, არც დავეჭვებულვარ! დარწმუნებული ვარ, მშვენივრად ხვდები, რომ ყველაფერი ჩემს ხელშია. ახლა კი საწოლზე დაჯექი. ხელები მაღლა ასწიე და არ გაინძრე, თუ საკუთარი სიცოცხლე რამედ გიღირს.

ტაპენსი უსიტყვოდ დაემორჩილა. საღი აზრი კარნახობდა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ვითა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რებას უნდა შეჰგუებოდა. თუ დახმარების სათხოვნელად დაიყვირებდა, მცირე შანსი არსებობდა, რომ ვინმე გაიგონებდა. მისის ვანდემაიერი კი, ალბათ, ტყვიას დაახლიდა. ამიტომ დრო უნდა გაეყვანა.

მისის ვანდემაიერმა რევოლვერი პირსაბნის კიდეზე, თავის გვერდით დადო და, ტაპენსისთვის თვალის მოუცილებლად, მარმარილოს თაროდან პატარა, მჭიდროდ თავდახურული ფლაკონი ჩამოიღო, რამდენიმე წვეთი ჭიქაში ჩაასხა და წყლით შეავსო.

– ეს რა არის? – მკვეთრი ტონით ჰკითხა ტაპენსმა.

– ის, რაც ღრმად დაგაძინებს.

ტაპენსი ოდნავ გაფითრდა.

– მოწამვლას მიპირებთ? – წარმოთქვა ჩურჩულით.

– შესაძლოა, – მიუგო მისის ვანდემაიერმა და სასიამოვნოდ გაიღიმა.

– თუ ასეა, არ დავლევ, – მტკიცედ განაცხადა ტაპენსმა, – მირჩევნია, მესროლოთ. იქნებ ვიღაცამ მაინც გაიგონოს. ცხვარივით მშვიდად სიკვდილს არ ვაპირებ.

მისის ვანდემაიერმა ფეხი დააბაკუნა.

– ნუ სულელობ! ნუთუ მართლა გგონია, მინდა, რომ მკვლელობა ავიკიდო? თუ ტვინის ნატამალი მაინც გაგაჩნია, მიხვდები, რომ შენი მოწამვლა არ მაწყობს. ეს ჩვეულებრივი ძილის წამალია. ხვალ დილას ცოცხალი და საღსალამათი გაიღვიძებ. უბრალოდ, დროის დაკარგვა არ მინდა. სანამ შეგკრავ, სანამ პირში ჩვარს ჩაგჩრი. ასე რომ, აირჩიე. ოღონდ გაითვალისწინე, რომ გაკოჭილი წოლა ვერაფერი სიამოვნებაა. თუ გამაბრაზებ, ყველაფერი შენს თავს დააბრალე. ჭკუას მოუხმე და დალიე, არაფერი მოგივა.

გულის სიღრმეში ტაპენსს სჯეროდა მისი. ქალის არგუმენტები დამაჯერებლად ჟღერდა. ძილის წამალი მარტივი და ეფექტიანი მეთოდი იყო, რომელიც ტაპენსს დროებით გათიშავდა. მაგრამ ქალიშვილს უბრ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძოლველად დანებება არ სურდა. იგი გრძნობდა, რომ თუ დაიძინებდა, მისის ვანდემაიერი გაუჩინარდებოდა და, მასთან ერთად, ტომის პოვნის ბოლო იმედიც გაქრებოდა.

ტაპენსი სწრაფი აზროვნებით გამოირჩეოდა. მან მყისვე გააანალიზა ვითარება და დაინახა, რომ ჯერ კიდევ ჰქონდა მთავარი მიზნის მიღწევის შანსი, მართალია, მიზერული, მაგრამ მაინც – შანსი.

ამიტომ უეცრად იგი საწოლიდან წამოვარდა, მისის ვანდემაიერის წინ მუხლებზე დაეცა და მის ქვედაწელს თავგანწირვით ჩააფრინდა.

– თქვენი არ მჯერა, – დაიკვნესა, – ეს საწამლავია... ვიცი, ეს საწამლავია. ოჰ, ნუ მაიძულებთ მის დალევას, – იგი ყვირილზე გადავიდა, – ნუ მაიძულებთ მის დალევას!

მისის ვანდემაიერი, რომელსაც ჭიქა ხელში ეჭირა, ზემოდან დასცქეროდა მას და დამცინავი ღიმილით ისმენდა ამ მოთქმას.

– წამოდექი, პატარა იდიოტო! გეყოფა წუწუნი. არა, ვერ გამიგია, როგორ მოახერხე თავის ისე მოკატუნება, რომ ვერაფერს მივხვდი, – მან ფეხი დააბაკუნა, – გითხარი, წამოდექი-მეთქი!

მაგრამ ტაპენსი ხელს არ უშვებდა და ქვითინს განაგრძობდა, შიგადაშიგ კი უაზრო სიტყვების რახარუხით დანდობას სთხოვდა. დროის გასვლა აწყობდა და დასაზულ მიზანს ტირილ-ტირილ შეუმჩნევლად უახლოვდებოდა.

მისი საქციელით გაღიზიანებულმა მისის ვანდემაიერმა თავი მკვეთრად ააწევინა.

– ახლავე დალიე! – დაუყვირა გაბრაზებულმა და ჭიქა პირთან მიუტანა.

ქალიშვილმა ერთხელაც დაიკვნესა.

– სიტყვას მაძლევთ, რომ არაფერს დამიშავებს? – კვლავ სცადა დროის გაყვანა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ცხადია, არაფერს გავნებს. ნუ სულელობ.

– შეგიძლიათ, დაიფიცოთ?

– ჰო, ჰო, – ქალს მოუთმენლობა დაეტყო, – გეფიცები.

ტაპენსმა აცახცახებული მარცხენა ხელი ჭიქისკენ გაიწვდინა.

– კარგი, – თქვა და პირი მორჩილად გააღო.

მისის ვანდემაიერმა შვებით ამოისუნთქა და წამით ყურადღება მოადუნა. ტაპენსმა მკვეთრი მოძრაობით ძილის წამალი სახეში შეასხა ქალს, რომელმაც მისდა უნებურად შეჰკივლა, თავისუფალი მარჯვენა ხელით კი პირსაბნის კიდიდან რევოლვერი აიტაცა და მყისვე უკან გადახტა. ახლა მისის ვანდემაიერს იარაღს გულში უმიზნებდა და ხელი ოდნავაც არ უთრთოდა.

ტაპენსმა საკუთარ თავს ნიშნის მოგების უფლება მისცა, რაც კეთილშობილური საქციელი ნამდვილად არ იყო.

– აბა, ახლა ვის ხელშია ყველაფერი? – შესძახა გახარებულმა.

მისის ვანდემაიერს გაბრაზებისგან სახე დაელრიჯა. წამით ტაპენსს შეეშინდა კიდეც, ვაითუ ჩემკენ გამოქანდესო: მაშინ უსიამოვნო დილემის წინაშე აღმოჩნდებოდა, ვინაიდან სროლას არ აპირებდა. მაგრამ მისის ვანდემაიერი თავს მოერია და ახლა ბოროტად იღიმებოდა.

– არც ისეთი სულელი ყოფილხარ! ყველაფერი მშვენივრად გაითამაშე, გოგონი, მაგრამ ეს ძვირად დაგიჯდება... დიახ, დიახ, ძვირად დაგიჯდება. მე კარგი მეხსიერება მაქვს!

– არ მეგონა, ასე ადვილად თუ გაგაცურებდით, – დამცინავად მიუგო ტაპენსმა, – როგორ დაიჯერეთ, რომ იატაკზე ხოხვა და ხვეწნა-მუდარა შემეძლო?

– ერთ მშვენიერ დღეს ამის გაკეთებაც მოგიწევთ! – მრავალმნიშვნელოვნად მიუგო მისის ვანდემაიერმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ ცივი და ღვარძლიანი კილოსგან ტაპენსს უნებურად ტანში სიცივემ დაუარა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

– იქნებ დავსხდეთ, – თქვა თავაზიანად, – თორემ ეს ყველაფერი მელოდრამას ემსგავსება. არა, საწოლზე არა. სკამი მაგიდასთან მიდგით. მე კი თქვენ პირდაპირ რევოლვერით დავჯდები... ყოველი შემთხვევისთვის. შესანიშნავია. ახლა საუბარს შევუდგეთ.

– რაზე? – წარბშეკვრით ჰკითხა მისის ვანდემაიერმა.

ტაპენსმა მას ყურადღებით შეხედა. ბორისის სიტყვები გაახსენდა: „ზოგჯერ ასე მგონია, ყველას გაგვყიდი.“ ქალის პასუხიც ახსოვდა: „ყოველ შემთხვევაში, ამაში უზარმაზარი თანხა უნდა გადამიხადონ.“ შესაძლოა, ეს ხუმრობით თქვა, თუმცა ვინ იცის, იქნებ მასში სიმართლის მარცვალიც ერია? რადგან უიტინგტონმა, როდესაც ტაპენსმა ჯეინ ფინის სახელი ახსენა, მაშინვე ჰკითხა: „ვინ წამოაყრანტალა? რიტამ?“ იქნებ რიტა ვანდემაიერი აღმოჩენილიყო სუსტი ადგილი მისტერ ბრაუნის ჯავშანში?

ტაპენსმა მეტოქისთვის თვალმოუცილებლად, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– ფულზე...

მისის ვანდემაიერი შეკრთა. აშკარად ჩანდა, რომ ამას არ მოელოდა.

– რას გულისხმობთ?

– გეტყვით. ახლახან მითხარით, რომ კარგი მეხსიერება გაქვთ. მაგრამ კარგ მეხსიერებაზე მეტი სარგებელი კარგად გატენილ საფულეს მოაქვს. ცხადია, ძალიან გინდათ, ჩემზე შური იძიოთ, მაგრამ განა ეს რამეს მოგიტანთ? შურისძიებას მხოლოდ უსიამოვნება მოაქვს. ეს ყველამ იცის. აი, ფული კი... – ტაპენსი როლში შევიდა, – ფული კი მართლა ღირებული რამეა, არა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თქვენი აზრით, ის ქალი ვარ, რომელსაც მეგობრების გაყიდვა შეუძლია? – ზიზღით ჰკითხა მისის ვანდემაიერმა.

– დიახ, – მტკიცედ მიუგო ტაპენსმა, – თუ კარგ ფასს შემოგთავაზებენ.

– რაღაც საცოდავ ასიოდე გირვანქას?

– არა, – თქვა ტაპენსმა, – მე ასი ათასს შემოგთავაზებდით!

ქალიშვილმა მხოლოდ ანგარიშიანობის გამო არ დაასახელა მილიონი დოლარი, რომლის გადახდის სურვილიც ჯულიუსმა გამოთქვა.

მისის ვანდემაიერს ლოყები შეეფაკლა.

– რა თქვით? – იკითხა მან და თითებით ყელი ნერვიულად მოისრისა.

ტაპენსი მიხვდა, რომ თევზი ანკესზე წამოეგო, თუმცა, იმავდროულად, პირველად შეძრწუნდა ფულისადმი საკუთარი სიყვარულის გამო – ამით ხომ მის წინ მჯდომ ქალს ემსგავსებოდა.

– ასი ათასი გირვანქა, – გაიმეორა მტკიცედ.

მისის ვანდემაიერს თვალებში სხივი ჩაუქრა. იგი სკამის საზურგეზე გადაწვა.

– კარგი, რა! – თქვა გულგრილად, – თქვენ ის არა გაქვთ.

– არა მაქვს, – აღიარა ტაპენსმა, – მაგრამ ვიცი ადამიანი, რომელსაც აქვს.

– მერედა, ვინ არის ის?

– ჩემი მეგობარი.

– ცხადია, მილიონერი, – უნდობლად შენიშნა მისის ვანდემაიერმა.

– ეს მართლა ასეა. ის ამერიკელია. ულაპარაკოდ გადაგიხდით. სერიოზულად გეუბნებით. შეგვიძლია, გარიგება დავდოთ.

მისის ვანდემაიერი კვლავ წელში გასწორდა.

– მზად ვარ, დაგიჯეროთ, – ჩაილაპარაკა ნელა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთხანს ორივენი დუმდნენ, შემდეგ მისის ვანდემაიერმა დაჟინებით შეხედა ტაპენსს.

– რისი გაგება უნდა თქვენს მეგობარს?

ტაპენსი შეყოყმანდა, არ იცოდა, რით დაეწყო, მაგრამ ფული ჯულიუსს ჰქონდა. შესაბამისად – უპირატესობაც.

– მას ჯეინ ფინის ადგილსამყოფლის გაგება სურს, – მიუგო პირდაპირ.

მისის ვანდემაიერს ეს თითქოს არც გაჰკვირვებია.

– ზუსტად არ ვიცი, ახლა სად არის, – თქვა წარბშეუხრელად.

– მაგრამ დადგენა შეგიძლიათ?

– რასაკვირველია, – აგდებულად ჩაილაპარაკა მისის ვანდემაიერმა, – ეს რთული არ იქნება.

– და კიდევ... – ტაპენსს ხმა აუთრთოლდა, – ერთი ახალგაზრდა კაცია, ჩემი მეგობარი. ვშიშობ, მას რაღაც შეემთხვა ბორისის, თქვენი ნაცნობის გამო.

– რა ჰქვია?

– ტომი ბერესფორდი.

– პირველად მესმის. მაგრამ ბორისს ვკითხავ. ის ყველაფერს მეტყვის, რაც იცის.

– გმადლობთ, – ტაპენსმა შვებაც იგრძნო და ენერგიის მოზღვავებაც, – ჰო, მართლა, კიდევ არის რაღაც.

– რა?

წინ გადახრილმა ტაპენსმა ხმადაბლა ჰკითხა:

– ვინ არის მისტერ ბრაუნი?

ქალიშვილმა შეამჩნია, როგორ გაფითრდა ლამაზი სახე. მისის ვანდემაიერი ნებისყოფის დაძაბვით თავს მოერია. მაგრამ უწინდელი უდარდელობით საუბარი აღარ გამოსდიოდა. მხრები აიჩეჩა და თქვა:

– როგორც ჩანს, ბევრი ვერაფერი შეგიტყვიათ, თორემ გეცოდინებოდათ, რომ არავინ იცის, ვინ არის მისტერ ბრაუნი...

– თქვენ გარდა, – ჩაილაპარაკა ტაპენსმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისის ვანდემაიერი უფრო მეტად გაფითრდა.

– ასე რატომ ფიქრობთ?

– თვითონაც არ ვიცი, – გულწრფელად მიუგო ტაპენსმა, – მაგრამ დარწმუნებული ვარ.

ერთ წერტილს მიჩერებული მისის ვანდემაიერი დიდხანს დუმდა.

– დიახ, – თქვა ბოლოს ჩახრინწული ხმით, – ვიცი. უნდა გითხრათ, რომ ლამაზი ვიყავი... ძალიან ლამაზი...

– ახლაც ძალიან ლამაზი ხართ, – დაუფარავი აღტაცებით უთხრა ტაპენსმა.

მისის ვანდემაიერმა თავი გადააქნია. ცისფერი, თითქოს დაელექტროებული თვალები უცნაურად გაუბრწყინდა.

– ისეთი უკვე აღარ, – თქვა სახიფათოდ დარბილებული ხმით, – აღარ ვარ ლამაზი... საკმარისად! ბოლო დროს შიში დამჩემდა... ბევრის ცოდნა ყოველთვის საშიშია, – იგი წინ გადაიხარა, – დაიფიცეთ, რომ ჩემს სახელს არ ახსენებთ... რომ ვერავინ ვერასდროს გაიგებს...

– გეფიცებით. როგორც კი მას დაიჭერენ, აღარაფერი დაგემუქრებათ.

მისის ვანდემაიერის თვალებში სასოწარკვეთილებამ გაიელვა.

– აღარ დამემუქრება? ნუთუ ეს შესაძლებელია? – იგი ტაპენსს ხელში ჩააფრინდა, – ფულის შესახებაც მართალია?

– ეჭვი არ შეგეპაროთ.

– როდის მივიღებ? ლოდინი არ შემიძლია.

– ის ჩემი მეგობარი მალე აქ მოვა. ალბათ, დეპეშის გაგზავნა მოუწევს. იქნებ სხვა გზითაც მიიღოს ფული. ეს დიდ დროს არ წაიღებს. იგი ყველაფერს სწრაფად აგვარებს.

მისის ვანდემაიერმა მტკიცე გამომეტყველება მიიღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მზად ვარ. დიდი თანხაა, თანაც... – მან უცნაურად გაიღიმა, – თანაც, ჩემნაირი ქალის მიტოვება ძალზე წინდაუხედავი საქციელია.

მისის ვანდემაიერი რამდენიმე წამის განმავლობაში იღიმებოდა და მაგიდაზე თითებს აკაკუნებდა, შემდეგ უეცრად შეკრთა და მკვდარივით გაფითრდა.

– ეს რა იყო?

– მე არაფერი გამიგონია.

შეშინებულმა ქალმა მიიხედ-მოიხედა.

– თუ ვინმემ მოისმინა...

– სისულელეა. აქ არავინაა.

– ყურები კედლებსაც აქვს, – ჩაიჩურჩულა მისის ვანდემაიერმა, – გეუბნებით, მეშინია-მეთქი... თქვენ მას არ იცნობთ!

– აჯობებს, ასი ათას გირვანქაზე იფიქროთ, – სცადა მისი დამშვიდება ტაპენსმა.

მისის ვანდემაიერმა გამშრალი ტუჩები მოილოკა.

– თქვენ მას არ იცნობთ, – ხრინწიანი ხმით გაიმეორა მან, – ის... ოჰ!

ქალმა საშინელი ხმით შეჰკივლა, წამოხტა, ხელები გაიწვდინა, თითქოს ტაპენსის ზურგს უკან რაღაცაზე მიუთითებდა, შემდეგ კი გულწასული იატაკზე დაეცა.

ტაპენსმა მიიხედა. კარში სერ ჯეიმზი და ჯულიუს ჰერსჰაიმერი იდგნენ.

თავი მეცამეტე
სიფხიზლე

სერ ჯეიმზმა ჯულიუსი ხელის კვრით ჩამოიცილა და ძირს დავარდნილ ქალთან მიირბინა.

– გულის შეტევაა, – თქვა მან, – როგორც ჩანს, ჩვენმა უეცარმა გამოჩენამ შეაშინა. ბრენდი... სწრაფად, თორემ ხელიდან გამოგვეცლება.

ჯულიუსი პირსაბანისკენ გავარდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მანდ არა, – მხარზემოდან უთხრა ტაპენსმა, – გრაფინი სასადილო ოთახშია. მეორე კარი დერეფანში.

ქალიშვილი სერ ჯეიმზს მიეხმარა. მისის ვანდემაიერი წამოაყენეს და საწოლზე დააწვინეს. სახეზე წყალი შეასხეს, მაგრამ ამან არ უშველა. ადვოკატმა მაჯა გაუსინჯა.

– ძალზე ცუდადაა, – ჩაიბურტყუნა მან, – ახალგაზრდა კაცმა ბრენდი სასწრაფოდ უნდა მოიტანოს.

სწორედ ამ დროს ოთახში შემოვარდნილმა ჯულიუსმა სერ ჯეიმზს ნახევრად სავსე ჭიქა გაუწოდა. ტაპენსმა მისის ვანდემაიერს თავი წამოუწია, ადვოკატმა კი მის მოკუმულ ტუჩებში ბრენდის ჩასხმა სცადა. ბოლოს, ქალმა თვალი გაახილა. ტაპენსმა სერ ჯეიმზს ჭიქა ჩამოართვა და მისის ვანდემაიერს პირთან მიუტანა.

– დალიეთ.

მისის ვანდემაიერი დაემორჩილა. ბრენდმა ფერმკრთალი ლოყები ოდნავ გაუვარდისფრა. ქალი, როგორც ჩანს, უკეთ გახდა. თავის წამოწევა სცადა, მაგრამ კვნესით დაეცა ბალიშზე და ხელები მკერდზე მიიჭირა.

– გული, – ჩაიჩურჩულა, – ჩემთვის ლაპარაკი არ შეიძლება.

და კვლავ დახუჭა თვალები.

სერ ჯეიმზმა ხელმეორედ გაუსინჯა პულსი, ერთი წუთის შემდეგ კი ხელი გაუშვა და თავი დააქნია.

– საფრთხემ გაიარა.

ისინი ოდნავ განზე გადგნენ და ხმადაბლა შეუდგნენ საუბარს მომხდართან დაკავშირებით. მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც ვარაუდობდნენ. მისის ვანდემაიერის გამოკითხვას აზრი არ ჰქონდა. ლოდინის მეტი არაფერი დარჩენოდათ.

ტაპენსმა მათ შეატყობინა, რომ მისის ვანდემაიერი დაეთანხმა, მისტერ ბრაუნის ვინაობა გაემხილა და ჯეინ ფინის ადგილსამყოფელი გაეგო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შესანიშნავია, მის ტაპენს! – შესძახა აღფრთოვანებულმა ჯულიუსმა, – გადასარევია! ვფიქრობ, ლედის ასი ათასი გირვანქა ხვალ დილასაც დღევანდელივით მშვენიერი მოეჩვენება. მაშასადამე, საქმე მოგვარებულია. ცხადია, ეს ქალი ნაღდი ფულის დანახვამდე ხმას არ ამოიღებს.

კაცის გონივრულმა მსჯელობამ ტაპენსი ცოტათი დაამშვიდა.

– რასაკვირველია, მართალი ხართ, – ჩაფიქრებული სახით თქვა სერ ჯეიმზმა, – გამოგიტყდებით, გული მწყდება, რომ უფრო ადრე ვერ მოვედით, ახლა კი, რა გაეწყობა, გათენებას უნდა დაველოდოთ.

მან საწოლს გახედა. მისის ვანდემაიერი გაუნძრევლად იწვა, თვალები მაგრად დაეხუჭა. სერ ჯეიმზმა თავი გადააქნია.

– კარგი, – მოჩვენებითი სიმხნევით ჩაილაპარაკა ტაპენსმა, – გათენებას დაველოდოთ. თუმცა, ვფიქრობ, აქ უნდა დავრჩეთ.

– იქნებ მისი დაცვა თქვენი გონიერი თანაშემწისთვის მიგვენდო?

– ალბერტისთვის? ქალი რომ გონს მოეგოს და გაიქცეს? ალბერტი მას ვერ შეაკავებს.

– არა მგონია, თავქუდმოგლეჯით გაიქცეს, როცა დოლარების სუნი გავრცელდა.

– ყველაფერია შესაძლებელი. მისის ვანდემაიერს, როგორც ჩანს, ძალიან ეშინია „მისტერ ბრაუნის“.

– მართლა? ასე ძლიერ უფრთხის?

– დიახ. ხშირად იხედებოდა აქეთ-იქით და ამბობდა, კედლებსაც ყურები აქვსო.

– იქნებ დიქტოფონს გულისხმობდა, – შენიშნა ჯულიუსმა.

– მის ტაპენსი მართალია, – ხმადაბლა თქვა სერ ჯეიმზმა, – ბინიდან არ უნდა წავიდეთ... თუნდაც მისის ვანდემაიერის გულისთვის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯულიუსი გაოცებით მიაჩერდა მას.

– თქვენი აზრით, ის აქაც შემოაღწევს? ღამით? დილამდე? მან ხომ არაფერი იცის.

– ახლახან თვითონ ახსენეთ დიქტოფონი, – ცივად შეახსენა სერ ჯეიმზმა, – საქმე ძალზე საშიშ მოწინააღმდეგესთან გვაქვს. ვიმედოვნებ, მოვიხელთებთ, თუ სათანადო სიფრთხილეს გამოვიჩენთ. მაგრამ დიდი წინდახედულობა გვმართებს. ჩვენ მნიშვნელოვანი მოწმე გვყავს და ის უნდა დავიცვათ. ვფიქრობ, აჯობებს, მის ტაპენსი დასაძინებლად დაწვეს, მე და თქვენ კი, მისტერ ჰერსჰაიმერ, მთელი ღამე ვიმორიგეოთ.

ტაპენსს გაპროტესტება სურდა, მაგრამ, შემთხვევით, საწოლს გახედა და დაინახა, რომ მისის ვანდემაიერმა თვალები ოდნავ გაახილა. მათში იმდენი შიში და ბრაზი იკითხებოდა, რომ სიტყვები პირზე შეაცივდა.

ერთი პირობა, ტაპენსმა ისიც კი გაიფიქრა, ქალმა გულის წასვლა და გულის შეტევა ხომ არ გაითამაშაო, თუმცა მისი გაფითრება გაახსენდა და ეს აზრი თავიდან ამოიგდო. მისის ვანდემაიერს კი, თითქოს რაღაც ჯადოქრობით, სახე სრულიად უძრავი გაუხდა. ტაპენსს თავში გაუელვა კიდეც, ხომ არ მომეჩვენაო, მაგრამ მიხვდა, რომ სიფხიზლე მართებდა.

– კარგი, – თქვა ჯულიუსმა, – თუმცა, მაინც მგონია, რომ აჯობებს, ამ ოთახიდან გავიდეთ.

მის წინადადებას დაეთანხმნენ. სერ ჯეიმზმა ერთხელაც შეუმოწმა პულსი მისის ვანდემაიერს.

– სრულიად დამაკმაყოფილებელია, – ხმადაბლა უთხრა ტაპენსს, – დილისთვის აბსოლუტურად კარგად იქნება.

ქალიშვილი წამით საწოლთან შეყოვნდა – დაძაბულ გამოხედვას, რომელმაც გააოცა, მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა. მისის ვანდემაიერმა კვლავ გაახილა თვალი. თითქოს რაღაცის თქმა სურდა. ტაპენსი მისკენ დაიხარა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ... წახვიდეთ... – მისის ვანდემაიერს საუბრის თავი არ ჰქონდა. „ძილის“ მსგავსი რაღაც სიტყვა ჩაიბურტყუნა, შემდეგ კიდევ სცადა დალაპარაკება.

ტაპენსი უფრო დაბლა დაიხარა. ეს მხოლოდ ამოსუნთქვა იყო.

– მისტერ... ბრაუნი... – ხმა მიწყდა, მაგრამ ნახევრად დახუჭულ თვალებში საშინელი ამბის შეტყობინების სურვილი იკითხებოდა.

ტაპენსმა ინსტინქტურად სწრაფად წარმოთქვა:

– მე არ წავალ, მთელი ღამე აქ ვიქნები.

ქალის თვალებში შვება გაკრთა, ქუთუთოები დაბლა დაეშვა. როგორც ჩანს, მისის ვანდემაიერს ჩაეძინა. მაგრამ მისმა სიტყვებმა ტაპენსში შეშფოთების ახალი ტალღა ააგორა. რას ნიშნავდა ქალის მიერ ჩურჩულით წარმოთქმული „მისტერ ბრაუნი“? ტაპენსმა ნერვიულად მიიხედ-მოიხედა. თვალში ტანსაცმლის დიდი კარადა მოხვდა – მასში ზორბა მამაკაციც თავისუფლად დაეტეოდა... ტაპენსმა სირცხვილს სძლია და კარი გამოაღო. ცხადია, იქ არავინ იყო! დაიხარა და საწოლქვეშ შეიხედა. სხვა სამალავი არსად ჩანდა.

ტაპენსმა მხრები ჩვეულებისამებრ შეარხია. სულელურად იქცეოდა – ეს ნერვიულობის გამო მოსდიოდა! ფეხაკრეფით გავიდა საწოლი ოთახიდან. ჯულიუსი და სერ ჯეიმზი ხმადაბლა საუბრობდნენ. სერ ჯეიმზი ტაპენსს მიუბრუნდა.

– მისის ტაპენს, თუ შეიძლება, კარი გარედან დაკეტეთ და გასაღები გამოაძვრეთ. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ოთახში შესვლას ვერავინ შეძლებს.

მისმა სერიოზულმა კილომ მასა და ჯულიუსზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ტაპენსს საკუთარი ნერვიულობის უკვე აღარ რცხვენოდა.

– მომისმინეთ, – მოულოდნელად შესძახა ჯულიუსმა, – გარეთ ტაპენსის მკვირცხლ თანაშემწეს ლოდინისგან, ალბათ, ქანცი გაუწყდა. ვფიქრობ, აჯობებს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩავიდე და ყმაწვილი დავამშვიდო. მაგარი ბიჭია, ტაპენს.

– ჰო, მართლა, დამავიწყდა, მეკითხა, აქ როგორ შემოხვედით? – ჰკითხა უეცრად ტაპენსმა.

– ალბერტმა დამირეკა ტელეფონით. სერ ჯეიმზს შევუარე და პირდაპირ აქეთ გამოვეშურეთ. ბიჭი უკვე გველოდებოდა და ძალიან წუხდა თქვენ გამო. კარზე მიყურადებაც სცადა, მაგრამ ვერაფერი გაიგონა. სწორედ მან გვირჩია, ნახშირისთვის განკუთვნილი ლიფტით ამოსვლა, რათა კარზე არ დაგვერეკა. სამზარეულოსთან გადმოვედით და თქვენთან შემოვედით. ალბერტი დაბლაა და მოუთმენლობისგან, ალბათ, ჭკუაზე შეიშალა.

ბოლო სიტყვები ჯულიუსმა უკვე გასვლისას წარმოთქვა.

– აბა, მის ტაპენს, – თქვა სერ ჯეიმზმა, – ბინას ჩემზე უკეთ იცნობთ. თქვენი აზრით, სად გვიჯობს მოკალათება?

ტაპენსი დაფიქრდა.

– ყველაზე მოსახერხებელი, ალბათ, მისის ვანდემაიერის ბუდუარში იქნება, – თქვა ბოლოს და იქით გაუძღვა.

სერ ჯეიმზმა ოთახი შეათვალიერა და კმაყოფილი დარჩა.

– ჩინებულია. ახლა კი ჩემო ძვირფასო ახალგაზრდა ლედი, დასაძინებლად გაემართეთ.

ტაპენსმა თავი მტკიცედ გადააქნია.

– გმადლობთ, სერ ჯეიმზ, მაგრამ ვერ დავიძინებ. მთელი ღამე მისტერ ბრაუნი დამესიზმრება.

– ჩემო კარგო, თქვენ ხომ ფეხზე ძლივს დგახართ.

– არა, არა, ვერ შევძლებ. მირჩევნია, საერთოდ არ დავწვე. სიმართლეს გეუბნებით.

ადვოკატმა აღარ დაიჟინა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჯულიუსი დაბრუნდა, რომელსაც ალბერტი დაემშვიდებინა და გულუხვადაც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაეჯილდოებინა. ვერც მან დაარწმუნა ტაპენსი, რომ თვალი მოეტყუებინა, ამიტომ გადაჭრით განაცხადა:

– ნებისმიერ შემთხვევაში, წახემსება არ გვაწყენდა. სად არის ბუფეტი?

ტაპენსმა აუხსნა და მალე ამერიკელმა ცივი ღვეზელი და სამი თეფში შემოიტანა.

როდესაც დანაყრდნენ, ტაპენსს ხასიათი გამოუკეთდა და იმ იდეაზე გაეღიმა, ნახევარი საათის წინათ რომ მოუვიდა თავში: შეუძლებელი იყო, ამხელა თანხას შედეგი არ გამოეღო.

– ახლა კი, მის ტაპენს, – უთხრა სერ ჯეიმზმა, – იქნებ თქვენი თავგადასავალი მოგვასმენინოთ.

– მართალია, – დაეთანხმა ჯულიუსი.

ტაპენსმა საკუთარი თავგადასავალი მათ ერთგვარი თვითკმაყოფილებით უამბო. ჯულიუსი შიგადაშიგ აღტაცებით ამბობდა, „მაგარიაო“. სერ ჯეიმზს ხმა არ ამოუღია, სანამ ქალიშვილმა თხრობა არ დაასრულა, მის მიერ ხმადაბლა ნათქვამმა – „ჩინებულია, მის ტაპენს“ – „ახალგაზრდა ავანტიურისტი“ სიამაყით აღავსო.

– ერთი რამე ვერ გამიგია, – ჩაილაპარაკა ჯულიუსმა, – რატომ აპირებდა ასე ნაჩქარევად მიმალვას?

– არ ვიცი, – მიუგო ტაპენსმა.

სერ ჯეიმზმა ჩაფიქრებული სახით მოისვა ხელი ნიკაპზე.

– ოთახში ყველაფერი არეულ-დარეულია – მაშასადამე, გასაქცევად წინასწარ არ ემზადებოდა. ასე მგონია, რომ გაუჩინარების ბრძანება ვიღაცისგან მოულოდნელად მიიღო.

– ალბათ, მისტერ ბრაუნისგან, – დამცინავად თქვა ჯულიუსმა.

ადვოკატმა მას დაჟინებული მზერა მიაპყრო.

– რატომაც არა? ერთხელ ხომ თქვენც წამოეგეთ მის ანკესზე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯულიუსი ბრაზისგან წამოწითლდა.

– როდესაც მახსენდება, როგორ გულუბრყვილოდ მივეცი ჯეინის ფოტოსურათი, ლამის გავცოფდე. ჯანდაბა! ოღონდ კვლავ ჩამივარდეს ხელში და ნამდვილ ჯოჯოხეთს მოვუწყობ!

– ვფიქრობ, ეს ძალზე შორეულ მომავალში თუ მოხდება, – ცივად შენიშნა ადვოკატმა.

– მართალს ბრძანებთ, – დაეთანხმა ჯულიუსი, – და საერთოდ, მე ჯეინს ვეძებ და არა ფოტოსურათს. სერ ჯეიმზ, თქვენი აზრით, სად შეიძლება ის იყოს?

სერ ჯეიმზმა თავი გადააქნია.

– მარჩიელობას აზრი არა აქვს. მაგრამ, ვფიქრობ, ვიცი, სად იყო ერთხანს.

– იცით? სად?

ადვოკატს გაელიმა.

– გახსოვთ, თქვენი ღამის თავგადასავალი? ცხადია, ბორნმუთის კერძო კლინიკაში.

– იქ? შეუძლებელია! მე ხომ ვიკითხე.

– ჩემო კარგო, თქვენ პაციენტი, სახელად ჯეინ ფინი, იკითხეთ. არა მგონია, იგი კლინიკაში ნამდვილი სახელითა და გვარით მოეთავსებინათ.

– ნამდვილად ასე იქნებოდა! – შესძახა ჯულიუსმა, – როგორ ვერ მოვიფიქრე!

– ეს ხომ ბუნებრივია, – თქვა ადვოკატმა.

– ალბათ, ამ საქმეში ექიმიცაა გარეული, – ივარაუდა ტაპენსმა.

ჯულიუსმა თავი გადააქნია.

– მე ასე არ ვფიქრობ. ის კაცი თავიდანვე მომეწონა. არა, დარწმუნებული ვარ, ექიმი ჰოლი არაფერ შუაშია.

– ექიმი ჰოლიო, თქვით? – ჰკითხა სერ ჯეიმზმა, – უცნაურია... ძალზე უცნაურია.

– რატომ? – დაინტერესდა ტაპენსი.

– იმიტომ, რომ სწორედ დღეს, სრულიად შემთხვევით მას ქუჩაში შევხვდი. რამდენიმე წელია, ვიცნობ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მითხრა, „მეტროპოლში“ უნდა გავჩერდეო, – სერ ჯეიმზმა ჯულიუსს შეხედა, – თქვენთვის არ უთქვამს, რომ ლონდონში აპირებდა ჩამოსვლას?

ჯულიუსმა თავი გადააქნია.

– საინტერესოა, – ჩაფიქრებით თქვა სერ ჯეიმზმა, – მაშინ მისი გვარი არ გიხსენებიათ, თორემ შეგთავაზებდით, კვლავ მასთან წასულიყავით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, რეკომენდაციის სახით კი ჩემს სავიზიტო ბარათს გაგატანდით.

– დიახ, სისულელე ჩავიდინე, – მისთვის უჩვეულო მორიდებით თქვა ჯულიუსმა, – უნდა მომესაზრებინა, რომ სხვა გვარით გააფორმებდნენ.

– თქვენ ხომ ხიდან ჩამოვარდით! – შესძახა ტაპენსმა, – თქვენს ადგილას ნებისმიერი ადამიანი სულს გააფრთხობდა.

– ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს, – თქვა ჯულიუსმა, – სამაგიეროდ მისის ვანდემაიერი გვყავს, რაც საკმარისზე მეტია.

– რა თქმა უნდა, – მკვირცხლად აუბა მხარი ტაპენსმა, თუმცა მის ხმას დამაჯერებლობა აკლდა.

სამივენი გაჩუმდნენ. ღამის მაგია თანდათანობით ყველაზე ახდენდა გავლენას. ხან ავეჯის ჭრაჭუნი ესმოდათ, ხან – ფარდების ძლივს გასაგონი შრიალი. მოულოდნელად ტაპენსი წამოხტა.

– თავს ვერაფერს ვუხერხებ, – შესძახა მან, – ვიცი, რომ მისტერ ბრაუნი სადღაც აქაა! ვგრძნობ.

– მომისმინეთ, ტაპენს, აქ როგორ უნდა იყოს? დერეფანში გამავალი კარი ღიაა და ბინაში ვერავინ შემოვა, თუ არ დავინახეთ ან არ გავიგონეთ.

– ამას მნიშვნელობა არა აქვს. ვგრძნობ, რომ ის აქაა!

მან ვედრებით შეხედა სერ ჯეიმზს, რომელმაც სერიოზული სახით უთხრა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პატივს ვცემ თქვენს გრძნობებს, მის ტაპენს (ზოგჯერ მეც მეჩვენება რაღაც), მაგრამ გიმეორებთ: შეუძლებელია, ვინმე ბინაში ჩვენს დაუკითხავად შემოვიდეს.

ცოტათი დამშვიდებულმა ტაპენსმა დარცხვენით აღიარა:

– ადამიანს ღამით ყველაფერი ანერვიულებს.

– დიახ, – თქვა სერ ჯეიმზმა, – ახლა სპირიტიზმის სეანსზე შეკრებილებს ვგავართ. აი, მედიუმიც რომ გვყავდეს, საოცარ შედეგს მივიღებდით.

– გჯერათ სპირიტიზმის? – გაოცებულმა ტაპენსმა თვალები დააჭყიტა.

ადვოკატმა მხრები აიჩეჩა.

– ეჭვგარეშეა, ამაში არის სიმართლის მარცვალი. მაგრამ მტკიცებულებათა უმრავლესობა კრიტიკას ვერ უძლებს.

დრო ნელა გადიოდა. როგორც კი ოდნავ ინათა, სერ ჯეიმზმა ფარდა გასწია და მათ ის დაინახეს, რასაც ცოტა ლონდონელი ხედავს – მძინარე ქალაქის თავზე ნელა ამომავალი მზე. დღის სინათლეზე გასული ღამის ყოველგვარი შიში თუ ფანტაზია სისულელეს დაემსგავსა. ტაპენსს გული მოეცა.

– ვაშა, – შეძახა მან, – დღეს კარგი პირი უჩანს. ტომის აუცილებლად მივაგნებთ. ჯეინ ფინსაც. ყველაფერი საუცხოოდ იქნება. მისტერ კარტერს ვკითხავ, ხომ არ შეიძლება, რომ ლედი გავხდე.

შვიდ საათზე ტაპენსმა ჩაის მომზადება ითავა და მალე ლანგრით ჩაიდანი და ოთხი ფინჯანი შემოიტანა.

– მეოთხე ვისთვის? – ჰკითხა ჯულიუსმა.

– ცხადია, ჩვენი ტყვესთვის. ვფიქრობ, შეგვიძლია, ასე ვუწოდოთ, არა?

– წუხანდელის შემდეგ ლოგინში ჩაის მირთმევა მეტისმეტი ხომ არაა, – ჩაფიქრებული სახით წარმოთქვა ჯულიუსმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, მეტისმეტია, – დაეთანხმა ტაპენსი, – მაგრამ სხვაგვარადაც არ გამოვა. ყოველი შემთხვევისთვის, აჯობებს, თუ გამომყვებით – თავს არ დამესხას. ვინ იცის, დილიდან როგორ ხასიათზეა.

სამივენი ერთად მივიდნენ კართან.

– გასაღები სად არის? ოჰ, ცხადია, მე მაქვს, – ტაპენსმა გასაღები საკეტში შეყო, გადაატრიალა და უეცრად გაშეშდა, – ვაითუ, მოახერხა და გაიპარა? – ჩაიჩურჩულა მან.

– ეს შეუძლებელია, – დაამშვიდა ჯულიუსმა.

სერ ჯეიმზს არაფერი უთქვამს.

ტაპენსმა ღრმად შეისუნთქა, შევიდა და გულზე მოეშვა: მისის ვანდემაიერი კვლავაც საწოლზე იწვა.

– დილა მშვიდობისა, – მხიარულად დაუძახა ტაპენსმა, – ჩაი მოგიტანეთ.

მისის ვანდემაიერმა არ უპასუხა. ტაპენსმა ფინჯანი ტუმბოზე დადგა, ფანჯარასთან მივიდა და ჟალუზი ასწია. შემდეგ მოტრიალდა. მისის ვანდემაიერი უწინდელ პოზაში იწვა. ტაპენსი შიშმა შეიპყრო და საწოლს მივარდა. ქალის ხელი, რომელიც ასწია, ყინულივით ცივი იყო... ამიერიდან მისის ვანდემაიერი ველარასდროს დაილაპარაკებდა...

ტაპენსის ყვირილზე ოთახში ჯულიუსი და სერ ჯეიმზი შემოცვივდნენ. რამდენიმე წუთი საკმარისი აღმოჩნდა იმაში დასარწმუნებლად, რომ მისის ვანდემაიერი გარდაიცვალა, სავარაუდოდ, რამდენიმე საათის წინათ. გარეგნობის მიხედვით, სიკვდილი ძილის დროს ეწვია.

– რა საშინელი უიღბლობაა! – შესძახა სასოწარკვეთილმა ჯულიუსმა.

ადვოკატს უფრო მშვიდად ეჭირა თავი, მაგრამ თვალებში უცნაური ნაპერწკალი გაუკრთა.

– დიახ... თუ ეს მართლა მხოლოდ უიღბლობაა... – თქვა მან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხომ არ ფიქრობთ, რომ... მომისმინეთ, ეს შეუძლებელია... აქ ვერავინ შემოაღწევდა.

– დიახ, – დაეთანხმა ადვოკატი, – არ მესმის, ეს როგორ შეიძლებოდა. და მაინც... იგი მისტერ ბრაუნის გაცემას აპირებდა... და მოკვდა. ნუთუ ეს უბრალო დამთხვევაა?

– მაგრამ როგორ...

– დიახ, როგორ! სწორედ ეს უნდა დავადგინოთ, – იგი გაჩუმდა და ნიკაპი მოისრისა, – დიახ, უნდა დავადგინოთ, – ხმადაბლა გაიმეორა მან და ტაპენსმა გაიფიქრა, მისტერ ბრაუნი რომ ვიყო, ნამდვილად არ მომეწონებოდა ის კილო, რომლითაც ეს ფრაზა წარმოითქვაო.

ჯულიუსმა ფანჯარაში გაიხედა.

– ფანჯარა ღიაა, – თქვა მან, – იქნებ...

ტაპენსმა თავი გადააქნია.

– აივანი მხოლოდ ბუდუარამდე მიდის, იქ კი ჩვენ ვიყავით.

– შესაძლოა, როგორღაც აძვრნენ... – დაიწყო ჯულიუსმა, მაგრამ სერ ჯეიმზმა გააწყვეტინა.

– მისტერ ბრაუნი ასე უხეშად არ მოქმედებს. ყოველ შემთხვევაში, ექიმი უნდა გამოვიძახოთ, მანამდე კი ვნახოთ, აქ ჩვენთვის რამე საინტერესო ხომ არ არის.

ისინი აჩქარებით შეუდგნენ ოთახის ჩხრეკას. ბუხრის ცხაურზე დარჩენილი ფერფლი მიუთითებდა, რომ გასაქცევად მომზადებულმა მისის ვანდემაიერმა რაღაც ქაღალდები დაწვა. ყველა ოთახი დაათვალიერეს, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს.

– იქნებ აქ? – ტაპენსმა კედელში დატანებულ პატარა სეიფზე მიუთითა, – მგონი, ძვირფასეულობას ინახავდა, შესაძლოა, არა მხოლოდ ძვირფასეულობას...

გასაღები საკეტში იყო. ჯულიუსმა კარი გამოაღო და იქაურობა მოჩხრიკა. გავიდა ერთი წუთი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა? – მოუთმენლად შესძახა ტაპენსმა.

ჯულიუსს უცებ არ უპასუხია. იგი წელში გასწორდა და კარი მიხურა.

– არაფერია, – თქვა მან.

ხუთი წუთის შემდეგ გამოძახებული ახალგაზრდა, ენერგიული ექიმი მოვიდა. როგორც ჩანს, სერ ჯეიმზი იცნო და მოწიწებით მიმართავდა.

– ან გული გაუსკდა, ან რაღაც საძილე საშუალების ძალზე დიდი დოზა მიიღო, – მან ჰაერი შეიყნოსა, – ქლორალი უნდა იყოს.

ტაპენსს ჭიქა გაახსენდა, რომლიდანაც მისის ვანდემაიერს სახეში სითხე შეასხა. პირსაბანისკენ გავარდა. ფლაკონი, რომლიდანაც მისის ვანდემაიერმა რამდენიმე წვეთი აიღო, კვლავაც იქ იდგა.

მანამდე მისი სამი მეოთხედი სავსე იყო. ახლა მასში წვეთი აღარ ესხა.

თავი მეთოთხმეტე
თათბირი

ტაპენსის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: სერ ჯეიმზმა სწრაფად, იოლად და მარჯვედ მოაგვარა ყველაფერი. ექიმი უყოყმანოდ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მისის ვანდემაიერმა შეცდომით მიიღო ქლორალის დიდი დოზა. მას ეჭვი ეპარებოდა გამოძიების ჩატარების აუცილებლობაში, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, სერ ჯეიმზს ამას დაუყოვნებლივ აცნობებდა. ექიმს აუხსნეს, რომ მისის ვანდემაიერი საზღვარგარეთ აპირებდა გამგზავრებას და მსახურებიც კი დაითხოვა. სერ ჯეიმზმა და მისმა ახალგაზრდა მეგობრებმა გამოსამშვიდობებლად შეუარეს, მაგრამ ქალი მოულოდნელად ცუდად გახდა. მისი მარტო დატოვების შეეშინდათ და ღამე მის ბინაში გაატარეს. იციან თუ არა რამე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისი ახლობლების შესახებ? არა, მაგრამ სერ ჯეიმზმა მას მისის ვანდემაიერის ადვოკატი დაუსახელა.

მალე მედდა მოვიდა თავისი მოვალეობის შესასრულებლად და მეგობრებმა ავბედითი სახლი დატოვეს.

– ახლა როგორ მოვიქცეთ? – იკითხა სასოწარკვეთილმა ჯულიუსმა, – როგორც ჩანს, ჩვენთვის ყველაფერი დასრულდა.

ჩაფიქრებულმა სერ ჯეიმზმა ნიკაპი მოისრისა.

– არა, – თქვა ხმადაბლა, – კიდევ გვაქვს შანსი: იქნებ დოქტორ ჰოლისგან შევიტყოთ რამე.

– მართალია! ის აღარც გამხსენებია.

– შანსი მცირეა, მაგრამ მისი უგულებელყოფა არ შეიძლება. მგონი, უკვე გითხარით, რომ ის „ეტროპოლში“ გაჩერდა. რას იტყვით, თუ დავიბანთ და ვისაუზმებთ, შემდეგ კი დაუყოვნებლივ მასთან გავემგზავრებით?

გადაწყდა, რომ ტაპენსი და ჯულიუსი „რიცში“ დაბრუნდებოდნენ, იქიდან კი სერ ჯეიმზს შეუვლიდნენ. ასეც მოიქცნენ და თორმეტი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ყველანი უკვე „მეტროპოლში“ შედიოდნენ. მათ დოქტორი ჰოლი იკითხეს და მასთან მსახური ბიჭი გაგზავნეს. მალე ტანდაბალი ექიმი მათთან შესახვედრად ჩამოვიდა.

– რამდენიმე წუთს ხომ ვერ დაგვითმობდით, დოქტორო ჰოლ? – თავაზიანად მიმართა სერ ჯეიმზმა, – ნება მომეცით, გაგაცნოთ. ეს მის კაულია, მისტერ ჰერსჰაიმერს კი, ვფიქრობ, უკვე იცნობთ.

დოქტორმა ჯულიუსს ხელი ჩამოართვა და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

– აჰ, დიახ, ჩემი ახალგაზრდა მეგობარი ხესთან დაკავშირებული ეპიზოდით! კოჭი ხომ კარგად გაქვთ?

– თქვენი ოსტატობის წყალობით, დოქტორო.

– და გულის პრობლემა? ჰა! ჰა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კვლავაც ძებნას განვაგრძობ, – მოკლედ მიუგო ჯულიუსმა.

– შეგვიძლია, უფრო მყუდრო გარემოში ვისაუბროთ? – იკითხა სერ ჯეიმზმა.

– რა თქმა უნდა. მგონი, აქ ერთი ოთახია, სადაც არავინ შეგვაწუხებს.

იგი მათ დერეფანში გაუძღვა. როდესაც ყველანი დასხდნენ, დოქტორმა ჰოლმა სერ ჯეიმზს კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

– დოქტორო ჰოლ, ერთ ახალგაზრდა ქალიშვილს ვეძებ, რომელსაც აუცილებლად უნდა ჩამოვართვა ჩვენება. ვვარაუდობ და ამის საფუძველიც მაქვს, რომ ერთი ხანობა იგი თქვენს კლინიკაში იმყოფებოდა. ვიმედოვნებ, ამ საკითხის წამოწევით პროფესიულ ეთიკას არ დაგარღვევინებთ.

– როგორც ვხვდები, ეს სასამართლო გარჩევისთვის გჭირდებათ, არა?

– დიახ, – მცირე ყოყმანის შემდეგ მიუგო სერ ჯეიმზმა.

– ნებისმიერ ინფორმაციას სიამოვნებით მოგაწვდით. რა ჰქვია ქალიშვილს? როგორც მახსოვს, მისტერ ჰერსჰაიმერი მეკითხებოდა... – იგი ჯულიუსს მიუბრუნდა.

– გვარს მნიშვნელობა არა აქვს, – უთხრა სერ ჯეიმზმა, – ის თქვენთან, ალბათ, გამოგონილი სახელით მოათავსეს. სხვათა შორის, მისის ვანდემაიერს ხომ არ იცნობთ?

– მისის ვანდემაიერს? „საუთ ოდლი მენშენსის“ ოცი ნომრიდან? დიახ, ვიცნობ.

– ჯერ არ გაგიგიათ, რა მოხდა?

– რას გულისხმობთ?

– არ იცით, რომ მისის ვანდემაიერი გარდაიცვალა?

– ო, ღმერთო, რას მეუბნებით! ეს როდის მოხდა?

– წუხელ მან ქლორალის დიდი დოზა მიიღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– განზრახ?

– ფიქრობენ, რომ შემთხვევით. მე თვითონ ვერაფერს მოგახსენებთ. ასეა თუ ისე, დღეს დილას მკვდარი იპოვეს.

– ძალიან სამწუხაროა. საოცრად ლამაზი ქალი იყო. როგორც ჩანს, კარგად იცნობდით, რადგან ყველა ეს დეტალი იცით.

– ეს დეტალები იმიტომ ვიცი, რომ... ერთი სიტყვით, იგი მკვდარი მე ალმოვაჩინე.

– მართლა? – იკითხა გაოცებულმა დოქტორმა.

– დიახ, – მიუგო სერ ჯეიმზმა და ჩაფიქრებულმა ნიკაპზე ხელი მოისვა.

– ძალზე სამწუხარო სიახლეა, თუმცა მაპატიეთ, მაგრამ ვერ ვხვდები, რა კავშირი აქვს მას თქვენს ძებნასთან.

– რა და, თუ არ ვცდები, მისის ვანდემაიერმა გთხოვათ, რომ მისი ახალგაზრდა ნათესავისთვის მიგეხედათ, არა?

მოუთმენლობისგან ჯულიუსი წინ გადაიხარა.

– დიახ, ასეა, – მშვიდად განაცხადა დოქტორმა.

– რა სახელით?

– ჯენეტ ვანდემაიერი. როგორც ვხვდები, იგი მისის ვანდემაიერის ძმისწული იყო.

– როდის მოიყვანეს თქვენთან?

– თუ არ ვცდები, 1915 წლის ივნისსა თუ ივლისში.

– ფსიქიკური პრობლემა ჰქონდა?

– არა, სრულიად ნორმალური იყო, თუ ამას გულისხმობთ. მისის ვანდემაიერმა მითხრა, რომ ისინი „ლუზიტანიით“ მიცურავდნენ, როდესაც ეს ავბედითი გემი ჩაძირეს, და ქალიშვილმა ძლიერი შოკი განიცადა.

– ვფიქრობ, სწორ გზაზე ვართ, არა? – იკითხა სერ ჯეიმზმა და მეგობრებს შეხედა.

– უკვე ვთქვი, რომ ნამდვილი სულელი ვარ, – ჩაიბურტყუნა ჯულიუსმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დოქტორმა მათ ცნობისმოყვარეობით შეავლო თვალი.

– თქვენ ბრძანეთ, რომ მისგან ჩვენების აღება გსურთ, – თქვა მან, – მაგრამ თუკი მას ამის გაკეთება არ შეუძლია?

– ახლახან გვითხარით, რომ იგი საღ გონებაზეა.

– დიახ. მიუხედავად ამისა, თუ მისგან იმის გაგება გსურთ, რაც მის ცხოვრებაში 1915 წლის შვიდ მაისამდე მოხდა, ის ვერაფერს გეტყვით.

ყველანი გაოცებულნი მიაჩერდნენ ტანდაბალ ექიმს, რომელმაც თავი ენერგიულად დააქნია.

– სამწუხაროა, – თქვა მან, – ძალზე სამწუხაროა, სერ ჯეიმზ, რადგან, როგორც მივხვდი, ეს უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს ეხება. მაგრამ ფაქტია, რომ ის ვერაფერს გიამბობთ.

– რატომ? რატომ, დალახვროს ეშმაკმა?

პატარა კაცმა თანაგრძნობით შეხედა აღელვებულ ახალგაზრდა ამერიკელს.

– იმიტომ, რომ ჯანეტ ვანდემაიერს ამნეზია სჭირს – მეხსიერების სრული დაკარგვა.

– რა?

– დიახ. საინტერესო შემთხვევაა, უაღრესად საინტერესო. და არცთუ ისე იშვიათი, როგორც გგონიათ. მეცნიერებისთვის მსგავსი შემთხვევები ცნობილია. თუმცა მე მას პირველად შევეჩეხე და არ დაგიმალავთ, ძალზე საინტერესო შემთხვევაა!

ტანდაბალი კაცის დაუფარავმა კმაყოფილებამ ერთგვარი ზიზღი გამოიწვია.

– მაშასადამე, მას არაფერი ახსოვს, – ნელა ჩაილაპარაკა სერ ჯეიმზმა.

– არაფერი იქიდან, რაც მის ცხოვრებაში 1915 წლის 7 მაისამდე მოხდა. იმ დღიდან მოყოლებული კი ყველაფერი მშვენივრად ახსოვს და ამაში არც მე და არც თქვენ ტოლს არ დაგიდებთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– საიდან იწყება მისი მოგონებები?

– იმ მომენტიდან, როდესაც ნაპირზე სხვა გადარჩენილებთან ერთად აღმოჩნდა. ის, რაც მანამდე მოხდა, მისთვის თითქოს არც არსებობს. არ იცოდა, რა ერქვა, სად მიემგზავრებოდა, სად იმყოფებოდა. მშობლიური ენაც კი დაავიწყდა.

– მაგრამ ეს ხომ ძალზე უცნაურია? – ჩაერთო ჯულიუსი.

– სულაც არა, ძვირფასო სერ. მსგავს ვითარებაში სრულიად ნორმალური რეაქციაა. ნერვული სისტემის ძლიერი შოკი. მეხსიერების დაკარგვა თითქმის ყოველთვის ასე ხდება. ბუნებრივია, სპეციალისტთან მისვლა ვურჩიე. პარიზში ერთი ძალიან კარგი ფსიქიატრია, რომელიც სწორედ ასეთ შემთხვევებს შეისწავლის, მაგრამ მისის ვანდემაიერს მომხდარის გახმაურების ეშინოდა, რაც მსგავსი ფაქტების დროს გარდაუვალია.

– წარმომიდგენია, როგორ შეეშინდებოდა, – პირქუშად ჩაილაპარაკა სერ ჯეიმზმა.

– მისი საქციელი არ გამკვირვებია. მსგავსი ავადმყოფობა ყოველთვის აღძრავს ცნობისმოყვარეობას. ქალიშვილი სრულიად ახალგაზრდა იყო – თუ არ ვცდები, ცხრამეტის. ძალზე არასასიამოვნო იქნებოდა, თუ მისი უბედურება ყურადღების ცენტრში მოხვდებოდა: ეს მის მომავალზე ცუდად აისახებოდა. თანაც, ამ დაავადების მკურნალობა შეუძლებელია, ყველაფერი მოლოდინამდე დადის.

– მოლოდინამდე?

– დიახ. ადრე თუ გვიან, მეხსიერება დაბრუნდება – ისევე მოულოდნელად, როგორც დაიკარგა. მაგრამ, სავარაუდოდ, ქალიშვილი შუალედურ პერიოდსა და გემზე მომხდარს მაინც ვერ გაიხსენებს და დროის ათვლას „ლუზიტანიის“ დაღუპვის მომენტიდან განაგრძობს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თქვენი აზრით, როდის შეიძლება, რომ მეხსიერება დაუბრუნდეს?

ექიმმა მხრები აიჩეჩა.

– ამის თქმა არ შემიძლია. ზოგჯერ ეს რამდენიმე თვეში ხდება, თუმცა ყოფილა შემთხვევა, როცა ადამიანს მეხსიერება ოცი წლის შემდეგ დაუბრუნდა! ზოგჯერ ამას ახალი შოკი შველის. ის ტვინში თითქოს იმ კავშირებს აღადგენს, რომლებიც წინამ დაბლოკა.

– კიდევ ერთი შოკი? – ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა ჯულიუსმა.

– დიახ. მაგალითად, კოლორადოში... – ენერგიულად, ერთგვარი აღტაცებით დაიწყო ტანდაბალმა ექიმმა, მაგრამ ჯულიუსი აღარ უსმენდა, წარბშეკრული სხვა რამეზე ფიქრობდა. მოულოდნელად გამოერკვა, მხრებში გაიმართა და მაგიდას მუშტი ისე ძლიერად დაარტყა, რომ ყველა შეკრთა, ტანდაბალი ექიმი კი შეხტა კიდეც.

– მოვიფიქრე! მაგრამ თავდაპირველად, ექიმო, თქვენი პროფესიული აზრი მაინტერესებს იმ გეგმის შესახებ, რომელსაც ახლა მოგახსენებთ. დავუშვათ, ჯეინს კვლავ მოუწევს თევზებით სავსე ოკეანის გადაცურვა და კვლავ იგივე განმეორდება. წყალქვეშა ნავი, ჩაძირული გემი, ყველანი ნავებში და ასე შემდეგ. ხომ გამოდგება შოკის მისაღებად? რათა მის ქვეცნობიერზე იმოქმედოს – თუ როგორ უწოდებთ ამას? რათა ის კვლავ ამუშავდეს. რას იტყვით?

– ძალზე საინტერესო იდეაა, მისტერ ჰერსჰაიმერ. ვფიქრობ, წარმატებას მივაღწევდით. მაგრამ სამწუხაროა, რომ ეს აღარ განმეორდება.

– ცხადია, აღარ განმეორდება, მაგრამ შეგვიძლია, ეს ხელოვნურად გამოვიწვიოთ.

– ხელოვნურად?

– დიახ. რა პრობლემაა? დავიქირავებთ ლაინერს...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ლაინერს! – ჩაიჩურჩულა გაოცებულმა დოქტორ-მა ჰოლმა.

– დავიქირავებთ მგზავრებს, წყალქვეშა ნავს... ვფიქრობ, მხოლოდ ეს გაგვიჭირდება. მთავრობა სამხედრო შეიარაღებასთან დაკავშირებით ყოველთვის ძალიან ფრთხილობს. პირველსავე შემხვედრს არ მიჰყიდიან. თუმცა აქაც მოვძებნით რამე გამოსავალს. სერ, ოდესმე თუ გსმენიათ სიტყვა „მოსყიდვა“? შეუფერხებლად მოქმედებს. ტორპედოს მორტყმა კი ნამდვილად არ ღირს. საკმარისი იქნება, თუ მგზავრები აფორიაქდებიან, გემბანზე წინ და უკან ირბენენ და იყვირებენ, რომ გემი იძირება. ჯეინის მსგავს გამოუცდელ ქალიშვილზე ესეც იმოქმედებს. როგორც კი მაშველ ჟილეტს ჩაიცვამს, იმ მსახიობების ბრბოდან გამოიყვანენ, ოსტატურად რომ გაითამაშებენ ისტერიკას, და ნავისკენ წაიყვანენ, იგი... მას, ალბათ, სწორედ ის დღე გაახსენდება – 1915 წლის 7 მაისი. რას იტყვით, არა უშავს?

დოქტორმა ჰოლმა ყურადღებით შეხედა ჯულიუსს. სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა, მაგრამ მისი სახე უთქმელადაც ყველაფერს მშვენივრად გამოხატავდა.

– არა, – სასწრაფოდ სცადა მისი დამშვიდება ჯულიუსმა, – გიჟი არა ვარ. ამის მოწყობა მართლა ძალზე ადვილია. შტატებში მსგავს რამეს ყოველდღე აწყობენ – კინოში. ნუთუ არ გინახავთ, როგორ ეჯახება ეკრანზე ერთმანეთს ორი მატარებელი? რა მნიშვნელობა აქვს, მათი მატარებელი იქნება თუ ჩვენი ხომალდი? რეკვიზიტს ვიშოვით და მოქმედებას შევუდგებით.

დოქტორ ჰოლს მეტყველების უნარი დაუბრუნდა.

– მაგრამ ხარჯი, ძვირფასო სერ! – მან ხმას აუწია, – ხარჯი! ეს ხომ კოლოსალური ხარჯია!

– ფული სრულიად არ მაღელვებს, – გულგრილად განაცხადა ჯულიუსმა.

დოქტორმა ჰოლმა ვედრებით შეხედა სერ ჯეიმზს, რომელმაც ძლივს შესამჩნევად გაიღიმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მისტერ ჰერსჰაიმერი შეძლებული, ძალზე შეძლებული ადამიანია.

ექიმმა კვლავ შეხედა ჯულიუსს, ამჯერად – სრულიად სხვა თვალით. ახლა მის წინაშე ექსცენტრიკული ახალგაზრდა კაცი როდი იდგა, რომელსაც ხიდან ჩამოვარდნა სჩვეოდა. დოქტორ ჰოლის თვალებში მდიდარი ადამიანისადმი მოწიწება გაჩნდა.

– შესანიშნავი გეგმაა, უაღრესად შესანიშნავი, – ჩაიბურტყუნა მან, – კინო – რა თქმა უნდა! სინემას აღმნიშვნელი ამერიკული სიტყვა. ვშიშობ, შესაძლოა, ჩვენი მეთოდებით დროს ცოტათი ჩამოვრჩით. და თქვენ მართლა აპირებთ ამ საუცხოო გეგმის განხორციელებას?

– შეგიძლიათ, ამაზე უკანასკნელი დოლარიც დადოთ – არ წააგებთ.

ექიმმა დაიჯერა. როგორ არ დაეჯერებინა – წინ ხომ ამერიკელი ედგა. მსგავსი რამე ინგლისელს რომ ეთქვა, მის ჭკუათმყოფლობაში ეჭვი შეეპარებოდა.

– გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ ყველაფერი წარმატებით დასრულდება, – შენიშნა მან, – ვალდებული ვარ, ეს მკაფიოდ გითხრათ.

– რა თქმა უნდა, – მიუგო ჯულიუსმა, – თქვენგან მხოლოდ ჯეინი გვჭირდება, დანარჩენს თვითონ მივხედავ.

– ჯეინი?

– კარგი, მის ჯანეტ ვანდემაიერი იყოს. შეგიძლიათ, თქვენს კლინიკაში დარეკოთ და უთხრათ, რომ იგი აქ მოიყვანონ? თუ ჩემი მანქანით წავიდე მასთან?

დოქტორი ჰოლი ჯულიუსს მიაშტერდა.

– მაპატიეთ, მისტერ ჰერსჰაიმერ, მეგონა, მიხვდით...

– რას მივხვდი?

– იმას, რომ მის ვანდემაიერი ჩემი პაციენტი აღარ არის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯულიუსი წამოხტა.

– რა?

– მეგონა, იცოდით.

– როდის წავიდა აქედან?

– ახლავე გეტყვით. დღეს ორშაბათია, არა? მაშასადამე გასულ ოთხშაბათს... დიახ, რასაკვირველია... სწორედ იმ საღამოს, როდესაც... ე-ე... ჩემი ხიდან ჩამოვარდით.

– იმ საღამოს? მანამდე თუ მას შემდეგ?

– აბა, გავიხსენო... ოჰ, დიახ, შემდეგ. სასწრაფო შეტყობინება მივიღე მისის ვანდემაიერისგან. ახალგაზრდა ლედი მედდის თანხლებით ღამის მატარებლით გაემგზავრა.

ჯულიუსი სავარძელზე მოწყვეტით დაეცა.

– მედდა ედიტი... ის პაციენტთან ერთად გაემგზავრა... მახსოვს! – ჩაილაპარაკა მან, – ღმერთო ჩემო, რა ახლოს ვიყავი!

დოქტორი ჰოლი გაოცდა.

– არაფერი მესმის. განა ახალგაზრდა ლედი მამიდამისთან არაა?

ტაპენსმა თავი გადააქნია. რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ სერ ჯეიმზის გამაფრთხილებელი მზერა შეამჩნია და ენას კბილი დააჭირა. ადვოკატი წამოდგა.

– ძალზე დამავალეთ, ჰოლ. ყველანი ძალზე გემადლიერებით იმისთვის, რაც გვიამბეთ. ვშიშობ, თავიდან მოგვიწევს მის ვანდემაიერის ძებნის დაწყება. მის თანმხლებ მედდაზე რას გვეტყვით? ალბათ, არ იცით, სად არის, არა?

ექიმმა თავი გადააქნია.

– მისგან არაფერი შეგვიტყვია, მაგრამ როგორც მივხვდი, იგი ერთხანს მის ვანდემაიერთან უნდა დარ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩენილიყო. ნეტა რა მოხდა? ცხადია, არ მოიტაცებდ-ნენ.

– არც ესაა გამორიცხული, – მიუგო სერ ჯეიმზმა.

დოქტორი ჰოლი შეყოყმანდა.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ პოლიციას უნდა მივმარ-თო?

– არა, არა. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ლედი სხვა ნათესავთან წავიდა.

ექიმს ეს მოსაზრება არცთუ დამაჯერებლად მოეჩ-ვენა, მაგრამ მიხვდა, რომ სერ ჯეიმზი მეტის თქმას არ აპირებდა და სახელგანთქმული ადვოკატისგან დამა-ტებითი ინფორმაციის მიღების მცდელობას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ იგი დაემშვიდობა თავის მოულოდ-ნელ სტუმრებს და ისინიც წავიდნენ. სასტუმროდან გამოსულები სასაუბროდ ერთხანს მანქანასთან გა-ჩერდნენ.

– გაგიჟდება კაცი! – შესძახა ტაპენსმა, – ჯულიუს-მა რამდენიმე საათი მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ გაა-ტარა.

– ნამდვილი იდიოტი ვარ, – პირქუშად ჩაიბურტყუ-ნა ჯულიუსმა. – აბა, რა იცოდით... – ანუგეშა ტაპენს-მა, – ხომ ასეა? – მიმართა სერ ჯეიმზს.

– გირჩევთ, ამაზე ფიქრით თავს ნულარ დაიტან-ჯავთ, – თქვა ადვოკატმა, – მომხდარს არაფერი ეშვე-ლება.

– მთავარია, ახლა როგორ მოვიქცეთ, – დაამატა პრაქტიკული ჭკუის ტაპენსმა.

სერ ჯეიმზმა მხრები აიჩეჩა.

– შეგიძლიათ, განცხადება გამოაქვეყნოთ გაზეთში ჯეინის თანმხლები მედდის მოსაძებნად. ეს ერთადერ-თია, რისი შემოთავაზებაც შემიძლია, თუმცა, გულწ-რფელად გეტყვით, მეეჭვება, ამან სასიკეთო შედეგი მოიტანოს. მეტს ვერაფერს გავაკეთებთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვერაფერს? – უმწეოდ იკითხა ტაპენსმა, – მერედა... ტომი?

– იმედი არ უნდა დავკარგოთ, – მიუგო სერ ჯეიმზმა, – დიახ, რა თქმა უნდა, იმედიანად უნდა ვიყოთ.

ამ სიტყვების წარმოთქმისას, სერ ჯეიმზმა მზერა თავდახრილი ტაპენსიდან ჯულიუსზე გადაიტანა, თვალებში შეხედა და თავი ოდნავ შესამჩნევად დაუქნია. ჯულიუსი მიხვდა, რომ სერ ჯეიმზს იმედი გადასწუროდა. ახალგაზრდა ამერიკელი მოიღუშა. სერ ჯეიმზმა ტაპენსის ხელი თავისაში მოიქცია.

– თუ რამე გაირკვა, მყისვე შემატყობინეთ. წერილს დაუყოვნებლივ გადმომიგზავნიან.

ტაპენსი გაოცებით მიაჩერდა მას.

– მიემგზავრებით?

– ხომ გითხარით. დაგავიწყდათ? შოტლანდიაში.

– დიახ, მაგრამ მეგონა... – ქალიშვილი შეყოყმანდა.

სერ ჯეიმზმა მხრები აიჩეჩა.

– ძვირფასო ახალგაზრდა ლედი, ვშიშობ, მეტს ვერაფერს გავაკეთებ. ყველა ძაფი გაწყდა, რომელსაც მივაგენით. დამიჯერეთ, მეტის გაკეთება მართლა შეუძლებელია. თუ რამე შეიცვლება, სიამოვნებით დაგეხმარებით – ყველაფრით, რაც შემეძლება.

ამ სიტყვების გაგონებაზე ტაპენსს ხასიათი საბოლოდ გაუფუჭდა.

– ალბათ, მართალი ხართ, – თქვა მან, – ყოველ შემთხვევაში, დიდი მადლობა ყველაფრისთვის, რაც გააკეთეთ. ნახვამდის.

ჯულიუსმა მანქანის კარი გამოაღო. ნირწამხდარი ქალიშვილის დანახვაზე სერ ჯეიმზის გამჭრიახ თვალებში თანაგრძნობის ნაპერწკალი გაკრთა.

– გულს ნუ გაიტეხთ, მის ტაპენს, – თქვა ხმადაბლა, – გახსოვდეთ, რომ დასვენება უსაქმურობას არ ნიშნავს. ერთი მეორეს ხელს არ უშლის.

მის ხმაში რაღაც ისეთმა გაიჟღერა, რამაც ქალიშ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვილს თავი ააწევინა. მაგრამ ტაპენსის კითხვის გამომხატველ მზერას სერ ჯეიმზმა მხოლოდ ღიმილითა და თავის დაქნევით უპასუხა.

– არა, მეტს ვერაფერს გეტყვით. ზედმეტის თქმა ყოველთვის დიდი შეცდომაა. ეს არ დაგავიწყდეთ. ნურასდროს გაამხელთ ყველაფერს, რაც იცით. მათთანაც კი, ვისაც ენდობით. გასაგებია? აბა, კარგი, ნახვამდის.

იგი სწრაფად გაუყვა ტროტუარს. ტაპენსმა თვალი გააყოლა. თანდათან ხვდებოდა სერ ჯეიმზის პრინციპებს. ერთხელ მან სწორედ ასე გაკვრით მიანიშნა რაღაც მნიშვნელოვანზე. იქნებ არც ამჯერად უთხრა ყველაფერი ბოლომდე. სხვაგვარად, რას ნიშნავდა მისი სიტყვები? იმას ხომ არა, რომ სულაც არ აპირებდა ხელის ჩაქნევას, რომ საიდუმლოდ განაგრძობდა ძებნას, სანამ...

ფიქრი ჯულიუსმა გააწყვეტინა, რომელმაც მანქანაში მიიპატიჟა.

– ჩაფიქრებული სახე გაქვთ, – თქვა მან, როდესაც გზას გაუდგნენ, – მოხუცმა კიდევ რამე ხომ არ გითხრათ?

ტაპენსმა პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ ამ დროს სერ ჯეიმზის სიტყვები გაახსენდა: „ნურასდროს გაამხელთ ყველაფერს, რაც იცით. მათთანაც კი, ვისაც ენდობით.“ და მყისვე მეხსიერებაში ახალი სურათი ამოუტივტივდა: მისის ვანდემაიერის სეიფთან მდგომი ჯულიუსი, მისთვის დასმული შეკითხვა და პაუზა, სანამ „არაფერიაო“, მიუგო. მართლა არაფერი იყო? თუ რაღაც აღმოაჩინა და მას არ გაუმხილა? თუ ის მალავდა რამეს, მასაც შეეძლო ამის გაკეთება.

– მნიშვნელოვანი არაფერი, – თქვა და უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა ჯულიუსის ალმაცერა მზერა.

– პარკში ხომ არ გაგვესეირნა?

– როგორც გნებავთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთხანს ხმაამოულებლივ მიუყვებოდნენ ხეივანს. მშვენიერი დღე იდგა. მზის სხივებმა და სუფთა ჰაერმა ტაპენსს სიმხნევე შემატა.

– მითხარით, მის ტაპენს, თქვენი აზრით, შევძლებ ოდესმე ჯეინის პოვნას?

ჯულიუსის ხმაში გულგატეხილობა იგრძნობოდა. მისთვის ეს ისე უჩვეულო იყო, რომ ტაპენსმა გაოცებით შეხედა. კაცმა თავი დაუქნია.

– ასეა. მზად ვარ, ხელები ჩამოვუშვა და ამ საქმიდან გავიდე. სერ ჯეიმზი დღეს აშკარად იმედგაცრუებული ჩანდა. ეს საკუთარი თვალით დავინახე. რომ არ დაგიმალოთ, არ მომწონს იგი – ერთმანეთს არაფრით ვგავართ, თუმცა ის ძალიან გამოცდილია და წარმატების მცირე შანსიც რომ გვქონდეს, ხელს არ ჩაიქნევდა, ასე არაა?

ტაპენსმა თავი უხერხულად იგრძნო, მაგრამ კვლავ გაახსენდა, რომ ჯულიუსიც უმალავდა რაღაცას, და გადაწყვიტა, სიმტკიცე გამოეჩინა.

– მან გვირჩია, განცხადება გამოვაქვეყნოთ მედდის შესახებ, – შეახსენა ჯულიუსს.

– დიახ, საცოდავი იმედი მოგვიგდო! არა... ყელში ამომივიდა. იმდენი ჭკუა მაინც შემრჩა, რომ ავდგე და დაუყოვნებლივ შტატებში დავბრუნდე.

– ოჰ, არა! – შესძახა ტაპენსმა, – ტომი უნდა მოვძებნოთ.

– ბერესფორდი სრულიად დამავიწყდა, – დანანებით თქვა ჯულიუსმა, – მართალს ამბობთ. უნდა მოვძებნოთ. შემდეგ კი... აქ გამომგზავრებამდე ბევრი ოცნება მქონდა, მაგრამ მათგან არც ერთი აღარ შემრჩა. საკმარისია. ახლა კი, მის ტაპენს, შეიძლება, რაღაც გკითხოთ?

– დიახ.

– თქვენ და ბერესფორდი. რას იტყვით ამის შესახებ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ მესმის, რას გულისხმობთ, – საკუთარი ღირსების შეგრძნებით მიუგო ტაპენსმა, თუმცა მაშინვე დაამატა: – ყოველ შემთხვევაში, ძალიან ცდებით!

– მაშასადამე, ერთმანეთის მიმართ ნაზი გრძნობები არ გაგაჩნიათ?

– ცხადია, არა, – გაცხარებით წარმოთქვა ტაპენსმა, – მე და ტომი მეგობრები ვართ, მეტი არაფერი.

– ვფიქრობ, ყველა შეყვარებული წყვილი რაღაც პერიოდის განმავლობაში ამას ამტკიცებს, – შენიშნა ჯულიუსმა.

– სისულელეა! – მკაცრად განაცხადა ტაპენსმა, – თქვენი აზრით, იმ ქალიშვილს ვგავარ, რომელსაც ყველა მამაკაცი უყვარდება, ვისაც შეხვდება?

– არა, თქვენ ის ქალიშვილი ხართ, რომელიც ძალიან ხშირად უყვარდებათ.

– ოჰ! – ტაპენსი ცოტათი დაიბნა, – ეს კომპლიმენტია?

– რასაკვირველია. აი, რისი თქმა მინდა. დავუშვათ, ბერესფორდს ვერასდროს მივაგენით და... და...

– კარგი... პირდაპირ თქვით! შემიძლია, სიმართლეს თვალი გავუსწორო. დავუშვათ, ის... დაიღუპა! მერე რა?

– ის, რომ ეს საქმე, ადრე თუ გვიან, დასრულდება. რის გაკეთებას აპირებთ შემდეგ?

– არ ვიცი, – უხალისოდ მიუგო ტაპენსმა.

– მარტო დარჩებით, სრულიად მარტო – პატარა საბრალო გოგონა.

– მშვენივრად ვიქნები, – შეუღრინა ტაპენსმა, რომელსაც არ უყვარდა, როცა იბრალებდნენ.

– გათხოვებაზე რას იტყვით? – ჰკითხა ჯულიუსმა, – რა აზრი გაქვთ ამის შესახებ?

– ბუნებრივია, ვაპირებ გათხოვებას, – მიუგო ტაპენსმა, – ანუ თუ... – იგი გაჩუმდა, თითქოს ინანა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რატომ ვთქვიო, შემდეგ კი მტკიცედ განაგრძო: – თუ ვინმე საკმაოდ შეძლებულ კაცს ვიპოვი, რომ ეს მიღირდეს. გულწრფელი პასუხია, არა? ალბათ, გეზიზღებით კიდეც ამის გამო.

– საქმისადმი გონივრული მიდგომა არასდროს მეზიზღება, – უთხრა ჯულიუსმა, – რამხელას ვარაუდობთ?

– რამხელას? – გაუკვირდა ტაპენსს, – ანუ მაღალს თუ დაბალს?

– არა, თანხა ვიგულისხმე. შემოსავალი.

– ოჰ, მე... საბოლოოდ ჯერ არ ჩამოვყალიბებულვარ.

– ჩემზე რას იტყვით?

– თქვენზე?

– დიახ.

– ოჰ, ეს შეუძლებელია!

– რატომ?

– გეუბნებით, შეუძლებელია-მეთქი.

– გიმეორებთ – რატომ?

– ასე მგონია, ეს პატიოსანი საქციელი არ იქნება.

– უპატიოსნოს ვერაფერს ვხედავ. ასე რომ, სიტყვაზე გიჭერთ. თქვენით ძალზე აღფრთოვანებული ვარ, მის ტაპენს. თქვენნაირ ქალიშვილს ჯერ არ შევხვედრივარ. საოცრად გაბედული ხართ. ძალიან გამიხარდება, თუ იმის მოცემას შევძლებ, რაც გსურთ. თანხმობის სიტყვა გამაგონეთ და ახლავე წავიდეთ საუკეთესო იუველირთან და ბეჭდები შევარჩიოთ.

– არ შემიძლია, – ამოიოხრა ტაპენსმა.

– ბერესფორდის გამო?

– არა, არა, არა!

– მაშ, რატომ?

ტაპენსი პასუხად მხოლოდ თავს აქნევდა.

– არა მგონია, ჩემზე უფრო შეძლებულ კაცს შეხვდეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ოჰ, არც ესაა მთავარი, – გაჭირვებით წარმოთქვა ტაპენსმა და ნერვიულად გაიცინა, – ცხადია, მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ აჯობებს, პირდაპირ გითხრათ „არა“.

– ძალიან დამავალებთ, თუ ამ საკითხზე ხვალამდე იფიქრებთ.

– აზრი არა აქვს.

– და მაინც, მოდი, ასე დავტოვოთ.

– კარგი, – დაეთანხმა ტაპენსი.

„რიცამდე“ ხმა აღარ ამოუღიათ.

მისვლისთანავე ტაპენსი თავის ნომერში ავიდა. შეუპოვარ ჯულიუსთან შერკინების შემდეგ თავს მორალურად გამოფიტულად გრძნობდა. სარკის წინ დაჯდა და რამდენიმე წუთის განმავლობაში საკუთარ გამოსახულებას შესცქეროდა.

– სულელო, – თქვა ბოლოს და დაიმანჭა, – პატარა სულელო. ყველაფერი, რაც გინდოდა და რაზეც ოცნებობდი, ხელთ გქონდა. შენ კი მხოლოდ ის მოახერხე, რომ იდიოტი ცხვარივით „არა“ დაიბღავლე. ეს შენი შანსია. რას ელოდები? ჩაეჭიდე! არ გაუშვა! მეტი რაღა გინდა?

თითქოს ამ შეკითხვებზე პასუხს სცემსო, მისი მზერა სარკის გვერდით დადებულ, იაფფასიან ჩარჩოში ჩასმულ ტომის ფოტოსურათზე შეჩერდა. ქალიშვილი ერთხანს თავის შეკავებას ცდილობდა, შემდეგ კი თვალთმაქცობას შეეშვა, ფოტოსურათს ტუჩები მიადო და ატირდა.

– ოჰ, ტომი, ტომი, – შესძახა მან, – როგორ მიყვარხარ... ვაითუ ველარასდროს გნახო...

ხუთი წუთის შემდეგ ტაპენსი წელში გასწორდა, ცხვირი მოიწმინდა და სახიდან თმა გადაიწია.

– მაშ, ასე, – დაიწყო მკაცრად, – მოდი, ფაქტებს თვალი გავუსწოროთ. მგონი, შეყვარებული ვარ... სულელი ბიჭი შემიყვარდა, რომელსაც სრულიად არ ვა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დარდებ, – იგი გაჩუმდა, – ყოველ შემთხვევაში, – განაგრძო უხილავ თანამოსაუბრესთან კამათი, – ასეც რომ არ იყოს, მე არაფერი ვიცი. ამის თქმას ისედაც ვერასდროს გაბედავდა. მე ხომ ყოველთვის მეზიზღებოდა სენტიმენტალობა, ახლა კი თვითონ ვარ სენტიმენტალური. რა სულელები არიან გოგოები! ყოველთვის ასე ვფიქრობდი. ისღა დამრჩენია, მისი ფოტოსურათი ბალიშქვეშ ამოვიდო და მთელი ღამე მასზე ვიოცნებო. რა საშინელი შეგრძნებაა, როცა საკუთარ პრინციპებს ღალატობ.

ტაპენსმა სევდიანად გადააქნია თავი, როცა ეს განდგომა გაათვითცნობიერა.

– არც ის ვიცი, ჯულიუსს რა ვუთხრა. ოჰ, რა სულელურ მდგომარეობაში ვარ! არადა, მომიწევს რამის თქმა – ის ხომ ამერიკელია და მანამ არ მოისვენებს, სანამ ჩემი უარის მიზეზს არ გაიგებს. საინტერესოა, რამე თუ აღმოაჩინა იმ სეიფში...

ტაპენსი გუშინდელ საღამოზე დაფიქრდა. ყველაფერი დეტალურად, საგულდაგულოდ გაიხსენა. რაც როგორღაც სერ ჯეიმზის გამოსამშვიდობებელ იდუმალ სიტყვებს უკავშირდებოდა...

უეცრად შეჰყვირა და გაფითრდა. ერთ წერტილს მიაჩერდა, გუგები გაუფართოვდა.

– შეუძლებელია, – ჩაილაპარაკა, – შეუძლებელია! ალბათ, ჭკუაზე შევიშალე, რახან ამაზე ვფიქრობ...

საშინელება... მაგრამ ამით ყველაფერი აიხსნებოდა...

წამით კიდევ დაფიქრდა, დაჯდა და ბარათი დაწერა. ყოველი სიტყვა საგულდაგულოდ აწონ-დაწონა. ბოლოს, თავი კმაყოფილებით დააქნია, წერილი კონვერტში ჩადო და ზედ ჯულიუსის გვარი დააწერა. შემდეგ, დერეფნის გავლით, მის ნომერთან მივიდა და დააკაკუნა. როგორც ვარაუდობდა, არავინ უპასუხა. შევიდა და ბარათი მაგიდაზე დადო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როდესაც უკან დაბრუნდა, კართან მსახური ბიჭი დახვდა.

– თქვენს სახელზე დეპეშაა, მის.

ტაპენსმა დაბნეული სახით აიღო დეპეშა ლანგრიდან, გახსნა და შეჰყვირა. ის ტომის გამოეგზავნა!

თავი მეთექვსმეტე
ტომის შემდგომი თავგადასავალი

წყვდიადი თანდათან გაიფანტა, ტკივილის შეგრძნება დაბრუნდა. ტომი ნელ-ნელა გონზე მოვიდა. როდესაც, როგორც იქნა, თვალი გაახილა, საფეთქლები საშინლად სტკიოდა. ბუნდოვნად გრძნობდა, რომ უცხო გარემოში იმყოფებოდა. სად იყო? რა მოხდა? თვალები სუსტად აახამხამა. არა, ეს „რიცში“ მის საწოლ ოთახს არ ჰგავდა. რა დაემართა თავზე?

– ჯანდაბა! – თქვა ტომიმ და წამოჯდომა სცადა. გაახსენდა. სოჰოში იყო, იმ ავბედით სახლში. დაიკვნესა და კვლავ ზურგზე დაეცა. სცადა, ნახევრად დახუჭული თვალებიდან რამე გაერჩია.

– გონს მოდის, – მოესმა ყურთან.

ტომიმ მაშინვე იცნო წვერიანი, ენერგიული გერმანელის ხმა და გაუნძრევლად წოლა ამჯობინა. ისედაც, სანამ ტკივილი ოდნავ მაინც არ დაუცხრებოდა. ორიენტაცია უჭირდა. თავს ძალა დაატანა, რათა გაეხსენებინა, რა მოხდა. როგორც ჩანს, სანამ შეკრებილთ მალულად უსმენდა, უკნიდან ვიღაც მიეპარა და თავში ჩაარტყა. ახლა იცოდნენ, რომ ჯაშუშთან ჰქონდათ საქმე და, ალბათ, მალევე გაუსწორდებოდნენ. აშკარად არასახარბიელო ვითარებაში აღმოჩნდა. არავინ იცოდა, სად იმყოფებოდა, მხოლოდ საკუთარ საზრიანობას თუ დაეყრდნობოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა, გამაგრდი, – ჩასჩურჩულა ტომიმ საკუთარ თავს, ხმამაღლა კი უკვე ნათქვამი სიტყვა გაიმეორა, – ჯანდაბა!

ამჯერად მოახერხა და წამოჯდა.

გერმანელი მიუახლოვდა, პირთან ჭიქა მიუტანა და უბრძანა, დაელია. ტომი დაემორჩილა. ძლიერი სასმელი ყელში გადასცდა და კინაღამ გაიგუდა, სამაგიეროდ, გონება მაშინვე გაუნათდა.

დივანზე იწვა, სწორედ იმ ოთახში, სადაც თათბირი მიმდინარეობდა. მის ერთ მხარეს გერმანელი იდგა, მეორე მხარეს – პირქუში მეკარე, რომელმაც სახლში შეუშვა. დანარჩენები ცოტა მოშორებით შეჯგუფულიყვნენ. ტომიმ მხოლოდ ერთი მოისაკლისა – ის, ვისაც პირველ ნომერს უწოდებდნენ. იგი ოთახში არ იყო.

– უკეთ ხართ? – ჰკითხა გერმანელმა და ჭიქა გამოართვა.

– დიახ, გმადლობთ, – მხიარულად მიუგო ტომიმ.

– ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, გაგიმართლათ, რომ ასეთი მაგარი თავის ქალა გქონიათ. გულკეთილ კონრადს ძალზე მძიმე ხელი აქვს, – გერმანელმა ბოროტსახიან მეკარეზე მიუთითა.

კაცს ჩაეცინა.

ტომიმ ნებისყოფის დაძაბვით თავი მიაბრუნა.

– ოჰ, – თქვა მან, – მაშასადამე, კონრადი თქვენ ხართ, არა? ვფიქრობ, თქვენც გაგიმართლათ, რომ მაგარი თავის ქალა მაქვს. თუმცა, როცა სახეში გიყურებთ, გული მწყდება, რომ ის სახრჩობელიდან თავის დაღწევაში დაგეხმარათ.

კაცმა გაბრაზებით ჩაიბუზღუნა, წვერიანმა კი მშვიდად განაცხადა:

– ამ პოლიციის ხელში ეს არ ემუქრებოდა.

– თქვენი ნებაა, რას იტყვით, – მიუგო ტომიმ, – ვიცი, რომ ჩვენს დროში მოდაშია პოლიციის აგდებულად მოხსენიება, მაგრამ მე მას სრულიად ვენდობი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომის ძალზე თავისუფლად ეჭირა თავი. ბერესფორდი იმ ახალგაზრდა ინგლისელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც განსაკუთრებული გონებრივი შესაძლებლობებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ მყისვე გარდაიქმნებოდნენ, როდესაც გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ – წინდახედულობასა და საკუთარ თავში ბუნებრივ დაურწმუნებლობას ხელთათმანივით იშორებდნენ. ტომი მშვენივრად ხვდებოდა, რომ მხოლოდ საზრიანობა თუ გადაარჩენდა, მისთვის დამახასიათებელი აუჩქარებლობა კი აზრების დამალვაში ეხმარებოდა.

გერმანელმა მშვიდად, ცივი კილოთი განაგრძო:

– რამის თქმა ხომ არ გსურთ, სანამ ჯაშუშობისთვის სიკვდილით დაისჯებით?

– სათქმელის მეტი რა მაქვს, – უწინდელი უდარდელობით მიუგო ტომიმ.

– უარყოფთ, რომ კართან გვისმენდით?

– არა. ცხადია, ბოდიშის მოხდა მმართებს, მაგრამ ისე საინტერესოდ საუბრობდით, სინდისის ქენჯნას ველარ ვგრძნობდი.

– აქ როგორ აღმოჩნდით?

– აი, ძვირფასი და გულკეთილი ბებერი კონრადი, – ტომიმ თითქოს დარცხვენით გაუღიმა მეკარეს, – გული მეთუთქება, ამას რომ ვამბობ, მაგრამ დროა, ერთგული მსახური პენსიაზე გაუშვათ და ახალი მოდარაჯე ძაღლი მოიყვანოთ.

კონრადმა კვლავ რაღაც ჩაიბუზღუნა და როდესაც წვერიანი მისკენ შეტრიალდა, პირქუშად ჩაილაპარაკა:

– მან პაროლი დაასახელა. რა ვიცოდი?

– დიახ, ასე იყო, – დაეთანხმა ტომი, – რა იცოდა? ნუ ადანაშაულებთ საბრალოს, რადგან მხოლოდ მისმა წინდაუხედაობამ მომანიჭა თქვენი ხილვის სიამოვნება.

მოეჩვენა, რომ მისმა სიტყვებმა მოშორებით მდგომთა ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია, მაგრამ გერმა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნელმა, რომელსაც არაფერი გამოეპარებოდა, ისინი ხელის აწევით დაამშვიდა.

– მიცვალებულები ზღაპრებს არ ჰყვებიან, – თქვა აუღელვებლად.

– აჰ! – შესძახა ტომიმ, – მე კი ჯერ მიცვალებული არა ვარ!

– დიდხანს არ გალოდინებთ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, – უთხრა გერმანელმა.

გარშემო მოწონების ჩურჩული გაისმა.

ტომის გული გაშმაგებით აუძგერდა, თუმცა არ შეიმჩნია და უდარდელად, მტკიცე ხმით განაგრძო:

– ვფიქრობ, ამას არ გააკეთებთ. არა მგონია, ჩემი მოკვლა გონივრული საქციელი იყოს.

იქ მყოფნი დაიბნნენ – ტომიმ ეს მისი დამტყვევებლის სახის გამომეტყველებით დაასკვნა.

– ერთი მიზეზი მაინც დაგვისახელეთ, რატომ არ უნდა მოგკლათ, – უთხრა გერმანელმა.

– ერთს კი არა, რამდენიმეს გეტყვით, – უპასუხა ტომიმ, – მომისმინეთ, უამრავი შეკითხვა დამაყარეთ. ნება მომეცით, მეც დაგისვათ ერთი. რატომ მაშინვე არ მომიღეთ ბოლო? რისთვის გჭირდებოდათ, რომ გონზე მოვსულიყავი?

გერმანელი შეყოყმანდა და ტომიმ ამით მყისვე ისარგებლა.

– იმისთვის, რომ გაგეგოთ, რა ინფორმაციას ვფლობ... და როგორ მოვიპოვე ეს ინფორმაცია. თუ მომკლავთ, ვერაფერს შეიტყობთ.

ამ დროს თავს ბორისის ემოცია დაატყდა, რომელმაც ნაბიჯი წინ გადმოდგა და ხელების ქნევას მოჰყვა.

– ჯაშუშო! ძაღლო! –შესძახა მან, – მცირე დროს მოგცემთ აღსარებისთვის, შემდეგ კი წირვას გამოგიყვანთ. მოვკლათ! მოვკლათ!

ამ სიტყვებს ტაშით შეეგებნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხომ გაიგონეთ? – იკითხა გერმანელმა, თან ტომის თვალს არ აშორებდა, – ამაზე რას იტყვით?

– რას ვიტყვი? – ტომიმ მხრები აიჩეჩა, – სულელების თავყრილობაა. ცოტა ტვინი გაანძრიონ. როგორ შემოვაღწიე აქ? გაიხსენეთ, რა თქვა ბებერმა კონრადმა: პაროლი დაასახელაო, არა? როგორ გავიგე პაროლი? ხომ არ ფიქრობთ, რომ პირველივე სიტყვა ვთქვი, რაც ენის წვერზე მომადგა?

ტომის ძალიან მოეწონა თავისი ბოლო ფრაზა. მხოლოდ იმას ნანობდა, ტაპენსმა რომ ვერ მოისმინა.

– მართალს ამბობს, – შეშფოთდა მუშა, – ამხანაგებო, ჩვენ გვიღალატეს!

ირგვლივ აღშფოთებული ჩურჩული გაისმა. ტომიმ ყველას გამამხნევებლად გაუღიმა.

– ასე უკეთესია. ვერასდროს ვერაფერს მიაღწევთ, სანამ საკუთარ ტვინს ნორმალურად არ გამოიყენებთ.

– უნდა დაგვისახელოთ, ვინ გვიღალატა, – უთხრა გერმანელმა, – მაგრამ არ გეგონოთ, რომ ეს გადაგარჩენთ. ყველაფერს გვეტყვით, რაც იცით. ბორისს ხომ ხედავთ? მან იცის, როგორ აალაპარაკოს ადამიანი.

– მართლა? – დამცინავად შესძახა ტომიმ და საგულდაგულოდ დამალა კუჭის მიდამოში გაჩენილი უსიამოვნო შეგრძნება, – თქვენ არც მაწამებთ და არც მომკლავთ.

– ვითომ რატომ? – ჰკითხა ბორისმა.

– რომელი ჭკუათმყოფელი მოკლავს ოქროს კვერცხების მდებელ ქათამს? – მშვიდად შეუბრუნა კითხვა ახალგაზრდა კაცმა.

სიჩუმე ჩამოწვა. ტომის თავდაჯერებულობამ, როგორც იქნა, შედეგი გამოიღო. იქ მყოფნი უწინდებურად მხნედ აღარ გამოიყურებოდნენ. შელახულტანსაცმლიანმა კაცმა ტომის ყურადღებით შეხედა.

– გატყუებს, ბორის, – თქვა მშვიდად.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომიმ გუნებაში შეიკურთხა. ნუთუ ეს კაცი მიუხვდა?

გერმანელმა თავს ძალა დაატანა და ტომის ჰკითხა:

– რას გულისხმობთ?

– თქვენი აზრით, რას უნდა ვგულისხმობდე? – მკვირცხლად მიუგო ტომიმ, თან გამალებით ფიქრობდა, რა მოეფიქრებინა.

მოულოდნელად ბორისმა ნაბიჯი წინ გადმოდგა და სახესთან მუშტი მიუტანა.

– თქვი, ინგლისელო ღორო... თქვი!

– ნუ ღელავ, მეგობარო, – წარბშეუხრელად განაცხადა ტომიმ, – თქვენთან, უცხოელებთან, საუბარი ძალზე ძნელია. მაშინვე აფეთქდებით ხოლმე. აბა, კარგად დამაკვირდით: განა ვგავარ სასიკვდილოდ განწირულ ადამიანს?

მან შეკრებილთ ქედმაღლურად გადახედა, თან უხაროდა, რომ არ ესმოდათ, როგორ გამალებით უძგერდა გული.

– არა, – პირქუშად დაეთანხმა ბოლოს ბორისი, – არა.

„მადლობა ღმერთს, რომ ჩემი აზრების წაკითხვა არ შეუძლია," – გაიფიქრა ტომიმ, ხმამაღლა კი ძველებური თავდაჯერებით განაგრძო:

– მერედა, რატომ ვარ ასე მშვიდად? იმიტომ, რომ იმ ინფორმაციას ვფლობ, რომელიც ძალიან დაგაინტერესებთ, და მოლაპარაკებას შევძლებთ.

– მოლაპარაკებას? – წვერიანი მას დაჟინებით მიაჩერდა.

– დიახ... მოლაპარაკებას. მე სიცოცხლესა და თავისუფლებას მივიღებ, სანაცვლოდ კი... – იგი გაჩუმდა.

– სანაცვლოდ რა?

ყველანი გაჩუმდნენ და მჭიდრო რკალად შემოეხვივნენ. კაცი ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდა. ტომიმ გაწელვით წარმოთქვა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დოკუმენტს მიიღებთ, რომელიც დენვერსს ამერიკიდან „ლუზიტანიით“ მოჰქონდა.

ეფექტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყველანი წამოხტნენ და ტომისკენ გავარდნენ. გერმანელმა ისინი გვერდზე გასწია და ტომის თავზე აღელვებისგან სახეგაწითლებული დაიხარა.

– Himmel[1]! მაშ, ის თქვენ გაქვთ?

ტომიმ საოცრად მშვიდად გადააქნია თავი.

– იცით, სად არის? – არ მოეშვა გერმანელი.

ტომიმ კვლავ თავი გადააქნია.

– წარმოდგენა არა მაქვს.

– მაგრამ... თუ ასეა... – გერმანელს ბრაზისა და გაოცებისგან კინაღამ სუნთქვა შეეკრა.

ტომიმ დანარჩენებს გადახედა. მათ სახეზე ბრაზი და დაბნეულობა ამოიკითხა, მაგრამ მისმა თავდაჯერებულობამ თავისი საქმე მაინც გააკეთა: ყველა დაარწმუნა, რომ მართლა იცოდა რაღაც.

– ჯერჯერობით, არ ვიცი, სად არის დოკუმენტი, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ მის პოვნას შევძლებ. ერთი იდეა მაქვს...

– ჰა!

ტომიმ ხელი ასწია და აღშფოთების გამომხატველი შეძახილები შეაჩერა.

– „იდეა“ კი ვახსენე, მაგრამ სარწმუნო ფაქტები ვიცი... ფაქტები, რომლებიც ყველასთვის უცნობია. ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენ არაფერს კარგავთ. თუ დოკუმენტს მოგიტანთ, სიცოცხლესა და თავისუფლებას დამიბრუნებთ, მეტი არაფერი. შევთანხმდით?

– უარი რომ ვთქვათ? – წყნარად ჰკითხა გერმანელმა.

ტომი კვლავ დივანზე წამოწვა.

– ოცდაცხრა, – ჩაფიქრებული სახით ჩაილაპარაკა, – ორ კვირაზე ნაკლები დარჩა...

---

[1] *ღმერთო ჩემო (გერმ.).*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გერმანელი ერთხანს ფიქრობდა, შემდეგ კონრადს ხელი აუქნია და უთხრა:

– სხვა ოთახში წაიყვანე.

ტომი ხუთი წუთის განმავლობაში მეზობელ ჭუჭყიან ოთახში მდგარ საწოლზე იჯდა. გული კვლავ გამალებით უცემდა. ამ ნაბიჯით ყველაფერი სასწორზე შეაგდო. რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ? მართალია, ეს აზრი მოსვენებას არ აძლევდა, კონრადის დაცინვას განაგრძობდა და პირქუში მეკარე კინაღამ გააგიჟა.

ბოლოს, კარი გაიღო და გერმანელმა კონრადს დაბრუნება უბრძანა.

– იმედი ვიქონიოთ, რომ მოსამართლემ შავი ქუდი არ დაიხურა, – მხიარულად ჩაილაპარაკა ტომიმ, – აბა, კონრად, გამიძეხი. ბატონებო, ბრალდებული გამოცხადდა.

გერმანელი მაგიდასთან კვლავ თავის ადგილას დაჯდა, ტომის კი მოპირდაპირე სკამზე მიუთითა.

– თანახმა ვართ, – წარმოთქვა მკვეთრად, – ოღონდ, ერთი პირობით. ჯერ დოკუმენტს მოგვცემთ, შემდეგ კი გაგიშვებთ.

– იდიოტო! – თავაზიანად მიმართა ტომიმ, – როგორ შევძლებ მის მოძებნას, თუ აქ თოკით დამაბამთ?

– აბა, რას ელოდით?

– საქმის მოსაგვარებლად აქედან უნდა გავიდე და თავისუფლად ვიმოქმედო.

გერმანელს გაეცინა.

– გგონიათ, პატარა ბავშვები ვართ, თქვენს დაპირებებს ვენდობით და გაგიშვებთ?

– არა, არ გამიშვებთ, – ჩაფიქრებული სახით ჩაილაპარაკა ტომიმ, – თუმცა ეს საქმეს გაცილებით გაამარტივებდა. კარგი, მოდი, კომპრომისზე წავიდეთ. ჩემთან ერთად პაწაწინა კონრადი გამოუშვით. ერთგული კაცია, მუშტი კი მძიმე აქვს.

– სასურველია, რომ აქ დარჩეთ, – ცივად განაცხადა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გერმანელმა, – ზოგიერთი ჩვენგანი კი თქვენს მითითებებს ზუსტად შეასრულებს. თუ რამე გართულდება, ის დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ და მის მოქმედებაში კორექტივებს შეიტანთ.

– თქვენ მე ხელ-ფეხს მიკრავთ, – აღშფოთებით მიუგო ტომიმ, – ეს უაღრესად დელიკატური საქმეა და თქვენი კაცი აუცილებლად რაღაცას აურევს. მაშინ რაღა მეშველება? ვფიქრობ, ამ პრობლემას ვერც ერთი თქვენიანი ვერ მოაგვარებს.

გერმანელმა მაგიდას მუშტი დაარტყა.

– ეს ჩვენი პირობაა! ან მოკვდებით!

ტომი დაღლილი სახით გადაწვა სკამზე.

– მომწონს თქვენი სტილი – მომხიბლავად კატეგორიული. კარგი, იყოს, როგორც ამბობთ. მაგრამ ერთი რამე კი აუცილებლად მჭირდება: ის ქალიშვილი უნდა ვნახო.

– რომელი ქალიშვილი?

– ჯეინ ფინი, ცხადია.

გერმანელი ტომის ერთხანს უცნაურად უყურებდა, შემდეგ კი აუჩქარებლად, მკაფიოდ წარმოთქვა:

– განა არ იცით, რომ ის ვერაფერს შეგატყობინებთ?

ტომის გული შეუტოკდა. ნუთუ მაინც მოახერხებს იმ ქალიშვილთან შეხვედრას?

– არ ვაპირებ ვთხოვო, რამე შემატყობინოს, – მიუგო მშვიდად, – მის გამოკითხვას არ დავიწყებ.

– თუ ასეა, რისთვის გჭირდებათ?

ტომი შეყოყმანდა.

– მისი სახის გამომეტყველება მაინტერესებს, როდესაც ერთ შეკითხვას დავუსვამ, – თქვა ბოლოს.

გერმანელმა მას კვლავ მიაპყრო მზერა, რომლის არსსაც ტომი ვერ ჩაწვდა.

– იგი შეკითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

– ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. მხოლოდ მისი სახე უნდა დავინახო შეკითხვის დასმისას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– და გგონიათ, ასე რამეს შეიტყობთ? – გერმანელმა უსიამოვნოდ ჩაიცინა და ტომიმ კვლავ იგრძნო, რომ რაღაც მნიშვნელოვანი არ იცოდა. გერმანელი მას გამომცდელად შეჰყურებდა, – უკვე მეეჭვება, რომ მართლა იცით რამე... – თქვა მან მშვიდად.

ტომი მიხვდა, რომ ვითარება მის საწინააღმდეგოდ შეიცვალა. ფეხქვეშ თითქოს მიწა ეცლებოდა. ნეტა რა შეცდომა დაუშვა? გადაწყვიტა, ალღოს მინდობოდა.

– შესაძლოა, არის რაღაც, რაც არ ვიცი. მე ხომ თქვენი შოუს ყველა დეტალის ცოდნაზე პრეტენზიას არ ვაცხადებ. მაგრამ მეც მაქვს რაღაც, რაც თქვენ არ იცით. სწორედ ამაზე ვამყარებ იმედს. დენვერსი საკმაოდ ეშმაკი იყო... – იგი გაჩუმდა, თითქოს ინანა, რომ ზედმეტი წამოსცდა.

გერმანელს სახე ოდნავ გაუნათდა.

– დენვერსი, – ჩაილაპარაკა, – გასაგებია... – იგი გაჩუმდა, შემდეგ კი კონრადს ანიშნა: – წაიყვანე. მაღლა... ხომ იცი.

– მოითმინეთ, – თქვა ტომიმ, – ქალიშვილის შესახებ არაფერი გითქვამთ.

– იქნებ მოგიხერხოთ კიდეც.

– ეს აუცილებელია.

– ვნახოთ. ამის გადაწყვეტა მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია.

– ვის? – ჰკითხა ტომიმ, თუმცა პასუხი წინდაწინ იცოდა.

– მისტერ ბრაუნს...

– მე მას ვნახავ?

– შესაძლოა.

– წავედით, – უბრძანა კონრადმა.

ტომი დამჯერედ ადგა. ზედამხედველმა ჟესტით მიუთითა კიბეზე, თვითონ კი უკან გაჰყვა.

ზედა სართულზე კონრადმა კარი გააღო და ტომი პატარა ოთახში აღმოჩნდა. კონრადმა გაზის სანთურა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აანთო და გავიდა. ტომიმ საკეტში გასაღების გადატრიალების ხმა გაიგონა.

მან თავისი საპატიმრო შეათვალიერა. ქვედა ოთახზე პატარა იყო, თითქოს ჰაერი არ იძვროდა. შეამჩნია, რომ ერთი ფანჯარაც არ ჰქონდა. გაიარ-გამოიარა და კედლებს დააკვირდა. როგორც ყველაფერი, ისინიც ჭუჭყს დაეფარა. მათზე ოდნავ ცერად ეკიდა ოთხი ნახატი – სცენები „ფაუსტიდან“: მარგარიტა ძვირფასეულობის ზარდახშით; ეკლესიის შესასვლელთან; ზიბელი ყვავილებით და ფაუსტი მეფისტოფელთან ერთად. ამ უკანასკნელმა ტომის მისტერ ბრაუნი გაახსენა. ამ დახუთულ საკანში, საიმედოდ დაკეტილი მტკიცე კარის მიღმა, მთელ სამყაროს მოსწყვეტოდა, არქიკრიმინალების ავბედით ძალაუფლებას კი გაცილებით აშკარად გრძნობდა. რამდენიც უნდა ეყვირა, ვერავინ გაიგონებდა. ნამდვილი აკლდამა იყო...

ტომიმ ნებისყოფა მოიკრიბა, საწოლზე ჩამოჯდა და დაფიქრდა. თავი ტკივილისგან უსკდებოდა, ახლა კი შიმშილმაც შეაწუხა. სიჩუმეც თრგუნავდა.

– სამაგიეროდ, მეთაურს ვნახავ, იდუმალ მისტერ ბრაუნს, – ჩაილაპარაკა ხმამაღლა და საკუთარი თავის გამხნევება სცადა, – და თუ გამიმართლებს, არანაკლებ იდუმალ ჯეინ ფინს. შემდეგ კი...

ტომი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ საკმაოდ უიმედო პერსპექტივა ელოდებოდა.

თავი მეჩვიდმეტე
ანეტი

მაგრამ მომავალი უსიამოვნებები მალევე დაივიწყა, რადგან ახლანდელიც ყოფნიდა, ყველაზე მეტად კი – შიმშილი. ტომის მადა ნამდვილად არ აკლდა. სადილად მირთმეული ბიფშტექსი და შემწვარი კარტოფილი შო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რეულ წარსულად ეჩვენებოდა. დანანებით გაიფიქრა, რომ უჭმელობას ვერ გაუძლებდა.

უმიზნოდ სცემდა ბოლთას თავის სატუსაღოში. ერთი-ორჯერ ღირსება არაფრად ჩააგდო და კარზე მუშტები ააბრახუნა. ყურადღება არავინ მიაქცია.

– დალახვროს ეშმაკმა! – შესძახა აღშფოთებულმა, – შიმშილით მოკვლას ხომ არ მიპირებენ?

ამის გაფიქრებაზე ტანში გააცივა. იქნებ სწორედ ეს იყო საუცხოო მეთოდი, რომლითაც ბორისი პატიმრებს ლაპარაკს აიძულებდა? ეს აზრი მყისვე უკუაგდო.

„სულ იმ პირქუში კონრადის ოინებია, – დაასკვნა საბოლოოდ, – ოჰ, რა სიამოვნებით დაველაპარაკებოდი. მეორე მხრივ, ამას სიბრაზისგან აკეთებს. ამაში დარწმუნებული ვარ.“

კონრადზე ფიქრმა მეკარისთვის კვერცხივით თავში რამე მძიმე საგნის ჩარტყმის დაუოკებელი სურვილი აღუძრა. ტომიმ საკუთარ თავზე ხელი ნაზად გადაისვა და წარმოსახვით კმაყოფილი დარჩა. უეცრად გონებამ მშვენიერი აზრი შესთავაზა: „რატომ არ შეიძლება, რომ ფანტაზია რეალობად აქციოს? ეჭვგარეშეა, კონრადი ამ სახლში ცხოვრობს, დანარჩენები კი, გერმანელის გამოკლებით, მას თავიანთი შეხვედრებისთვის იყენებენ. ჰოდა, კონრადს კარს უკან ჩაუსაფრდება და როცა შემოვა, თავში სკამს ან რომელიმე ძველი ნახატის ჩარჩოს ჩასცხებს. არა, მთელი ძალით არა – მხოლოდ გასათიშად. შემდეგ კი... გზა გაეხსნება. თუ დერეფანში ან კიბეზე ვინმე შეხვდება...“ ტომი გამხიარულდა კიდეც იმის გაფიქრებაზე, რომ, ბოლოს და ბოლოს, მუშტებსაც აამუშავებდა. ეს სიტყვით პაექრობაზე გაცილებით მეტად მოსწონდა. ხასიათზე მოსულმა ტომიმ კედლიდან ფრთხილად ჩამოხსნა „ფაუსტი და მეფისტოფელი“ და კარს უკან დაიმალა. იმედი მიეცა. მისი აზრით, მარტივი და უზადო გეგმა შეიმუშავა.

დრო გადიოდა, კონრადი კი არ ჩანდა. უფანჯრო

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოთახში დღეს და ღამეს ერთმანეთისგან ვერავინ გაარჩევდა, მაგრამ ტომის საკმაოდ ზუსტი საათი ჰქონდა, ის კი საღამოს ცხრა საათს უჩვენებდა. უხალისოდ გაიფიქრა, თუ ახლა ვახშამს არ მომიტანენ, საუზმემდე მომიწევს ლოდინიო. ათ საათზე იმედი გადაეწურა და საწოლზე დაეცა, რათა ნუგეში ძილში ეპოვა. ხუთი წუთის შემდეგ ყველა უბედურება უკან მოიტოვა.

საკეტში გასაღების გადატრიალების ხმამ გამოაღვიძა. ტომი იმ გმირების რიცხვს არ მიეკუთვნებოდა, რომლებიც თვალის გახელისთანავე ხვდებიან ყველაფერს, ამიტომ უაზროდ მიაჩერდა ჭერს და იმის გახსენება სცადა, სად იმყოფებოდა. ეს რომ მოახერხა, საათს დახედა. რვა იყო.

„ან დილის ჩაია, ან საუზმე, – დაასკვნა ახალგაზრდა კაცმა, – ღმერთმა ქნას, საუზმე იყოს!“

კარი გაიღო და ტომის მერეღა გაახსენდა, რომ საზიზღარი კონრადისთვის ანგარიშის გასწორება სურდა. მაგრამ წუხილი მყისვე სიხარულით შეეცვალა, რადგან ოთახში, კონრადის ნაცვლად, ვიღაც ქალიშვილი შემოვიდა, რომელმაც ლანგარი შემოიტანა და მაგიდაზე დადო.

ტომიმ თვალები მოჭუტა და ქალიშვილი გაზის სანთურის მბჟუტავ შუქზე შეათვალიერა. მოეჩვენა, რომ ასეთი ლამაზი არსება არასდროს ენახა. ღია წაბლისფერი თმა ოქროსფრად უბზინავდა, თითქოს ფაფუკ კულულებში მზის სხივები იმალებოდა. სახე ველურ ვარდს მიუგავდა, თაფლისფერი თვალების ელვარებაც მზის სხივებს აგონებდა.

უეცრად ტომის თავში გიჟური აზრი მოუვიდა.

– ჯეინ ფინი ხართ? – ჰკითხა და პასუხის მოლოდინში გაიტრუნა.

ქალიშვილმა თავი გაოცებით გადააქნია.

– ანეტი მქვია, მესიე, – მიუგო ნაზად, დამტვრეული ინგლისურით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ოჰ! – შესძახა განცვიფრებულმა ტომიმ, – francaise[1]? – სცადა გამოცნობა.

– Oui, monsieur. Monsieur parle francaise[2]?

– ჩემი ფრანგული ცოტა ხანს თუ მეყოფა, – უთხრა ტომიმ, – ეს რა არის? საუზმე?

ქალიშვილმა თავი დაუქნია. ტომი საწოლიდან წამოხტა და მაგიდასთან მივიდა. ლანგარზე პური, ცოტაოდენი მარგარინი და პატარა დოქში ჩასხმული ყავა აღმოაჩინა.

– „რიცისას“ ვერ შეედრება, – ამოიოხრა მან, – მაგრამ მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ, როგორც იქნა, ეს მაინც მივიღე. ამინ.

ტომიმ მაგიდასთან სკამი მიიდგა, ქალიშვილი კი კარისკენ გაემართა.

– ერთი წუთით! – დაუძახა ტომიმ, – ანეტ, თქვენთან უამრავი შეკითხვა მაქვს. რას აკეთებთ ამ სახლში? ოღონდ არ მითხრათ, რომ კონრადის დისშვილი ან შვილი ხართ, ან თუნდაც შორეული ნათესავი. მაინც არ დაგიჯერებთ.

– ვმსახურობ, მესიე. არავის ნათესავი არა ვარ.

– გასაგებია, – თქვა ტომიმ, – გახსოვთ, რა გკითხეთ ახლახან? ეს სახელი ოდესმე ხომ არ გსმენიათ?

– მგონი, მსმენია. აქ ჯეინ ფინის შესახებ საუბრობდნენ.

– იქნებ იცით, სად არის იგი?

ანეტმა თავი გადააქნია.

– მაგრამ აქ, ამ სახლში, არ არის?

– ოჰ, არა, მესიე. მაპატიეთ, უნდა წავიდე... ალბათ, უკვე მელოდებიან.

იგი აჩქარებით გავიდა. საკეტში გასაღები გადატრიალდა.

„ვინ ელოდება? – ფიქრობდა ტომი და თან ილუკმე-

---

[1] *ფრანგი? (ფრ.).*

[2] *დიახ, მესიე. მესიე ფრანგულად ლაპარაკობს? (ფრ.).*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოდა, – თუ გამიმართლებს, ეს ქალიშვილი, შესაძლოა, აქედან გასვლაში დამეხმაროს. არა მგონია, ამ ბანდის წევრი იყოს.“

დღის პირველ საათზე ანეტი სხვა ლანგრით დაბრუნდა. ამჯერად თან კონრადი ახლდა.

– დილა მშვიდობისა, – თავაზიანად შეეგება ტომი, – როგორც ვხედავ, რეკლამის მიუხედავად, „ფეარსის“ საპონს არ ხმარობთ.

კონრადმა მრისხანედ შეუღრინა.

– ხუმრობა არ იცი, ბებერო? ჰო, კარგი, გასაგებია, რომ ყველას არა აქვს ჭკუა, და, ცხადია, სილამაზე. აბა, რა მოგვიტანეს სადილად? მოშუშული ხორცი? როგორ მივხვდი? ეს ხომ ელემენტარულია, ძვირფასო უოტსონ... ხახვის სუნს უშეცდომოდ ვცნობ.

– მიდი, იყბედე, – ჩაიბუზღუნა კაცმა, – ვინ იცის, იქნებ მალე სამუდამოდ დადუმდე.

ტომიმ ამ არცთუ სასიამოვნო მინიშნებას ყურადღება არ მიაქცია და მაგიდას მიუჯდა.

– წადი, მსახურო, – თქვა და ხელი აიქნია, – შენნაირებთან იმჭევრმეტყველე.

საღამოს ტომი საწოლზე იჯდა და დაძაბულად ფიქრობდა. ნუთუ კონრადი ქალიშვილს კვლავაც მოჰყვებოდა? თუ – არა, იქნებ გოგონას მხარდაჭერა მოეპოვებინა? ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაეშვა. აბა, სხვა რისი იმედი უნდა ჰქონოდა?

რვა საათზე საკეტში გასაღების გადატრიალების ნაცნობი ხმა გაისმა. ტომი წამოხტა. ქალიშვილი მარტო მოსულიყო.

– კარი მიხურეთ, – უბრძანა ტომიმ, – უნდა დაგელაპარაკოთ.

ანეტი დაემორჩილა.

– მომისმინეთ, ანეტ. მინდა, რომ აქედან გასვლაში დამეხმაროთ.

ქალიშვილმა თავი გადააქნია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შეუძლებელია. დაბლა სამნი არიან.

– ოჰ! – ტომიმ გულში მადლობა გადაუხადა ამ ინ-ფორმაციისთვის, – მაგრამ ხომ დამეხმარებოდი, რომ შეგეძლოს?

– არა, მესიე.

– რატომ?

ქალიშვილი შეყოყმანდა.

– ვფიქრობ... ისინი ჩემიანები არიან. თქვენ კი ჯა-შუშობდით. ასე რომ, სწორად მოიქცნენ, აქ რომ გა-მოგკეტეს.

– ცუდი ხალხია, ანეტ. თუ დამეხმარებით, მათგან დაგიხსნით. შესაძლოა, ბევრი ფულიც გერგოთ.

ქალიშვილმა კვლავ თავი გადააქნია.

– მეშინია, მესიე. მეშინია მათი, – იგი კარისკენ შეტ-რიალდა.

– ნუთუ არ გინდათ, იმ ქალიშვილს დაეხმაროთ? – შესძახა ტომიმ, – ის თითქმის თქვენი თანატოლია. ნუთუ არ დაეხმარებით, რომ მათ კლანჭებს თავი და-აღწიოს?

– ჯეინ ფინს გულისხმობთ?

– დიახ.

– აქ მის მოსაძებნად მოხვედით, არა?

– სწორედ ასეა.

ქალიშვილმა შეხედა და შუბლზე ხელი მოისვა.

– ჯეინ ფინი... ეს სახელი ბევრჯერ მსმენია.

ტომი სწრაფად მივიდა მასთან.

– თქვენ ნამდვილად იცით რაღაც მის შესახებ.

ანეტი მკვეთრად შემოტრიალდა.

– არაფერი ვიცი, მხოლოდ სახელი.

იგი კარისკენ გაემართა და მოულოდნელად შეჰყვი-რა. ტომი გაოცებით მიაჩერდა. ქალიშვილი იმ სურათს შეჰყურებდა, რომელიც მან წინადღეს კედლიდან ჩა-მოხსნა. მის მზერაში შეძრწუნება იკითხებოდა. წამსვე შიში შვებით შეეცვალა და ოთახიდან თითქმის სირბი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლით გავიდა. ტომის ვერაფერი გაეგო. ნუთუ ანეტმა გაიფიქრა, რომ ნახატი მისთვის უნდა ჩაერტყათ თავში? ცხადია, არა. ტომიმ ნახატი კედელზე დააბრუნა და ჩაფიქრდა.

მოსაწყენი უსაქმურობა კიდევ სამ დღეს გაგრძელდა. ტომი გრძნობდა, რომ მუდმივი დაძაბულობა მის ნერვებზე მოქმედებდა. კონრადისა და ანეტის გარდა, მასთან არავინ მოდიოდა, მაგრამ ქალიშვილი აღარ ელაპარაკებოდა. მხოლოდ „დიახს“ ან „არას“ პასუხობდა. სახეზე სიძულვილი და უნდობლობა ეწერა. ტომის ეჩვენებოდა, რომ ცოტაც და ჭკუაზე შეიშლებოდა. კონრადს წამოაცდენინა, რომ ისინი „მისტერ ბრაუნის“ განკარგულებას ელოდებოდნენ. ტომიმ გაიფიქრა, რომ ის, შესაძლოა, საზღვარგარეთ იმყოფებოდა და მის ხელქვეითებს ლოდინის მეტი არაფერი დარჩენოდათ.

მაგრამ მესამე დღის ბოლოს მისი მყუდროება უხეშად დაარღვიეს.

შვიდი საათი ხდებოდა, როცა დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მოესმა. შემდეგ კარი გაიღო და კონრადი შემოვიდა. მას მეთოთხმეტე ნომერი შემოჰყვა. მისი საზიზღარი სახის დანახვაზე ტომიმ იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული.

– საღამო მშვიდობისა, უფროსო, – უთხრა კაცმა და ბოროტი მზერა მიაპყრო, – თოკი ხომ არ დაგვიწყებია, ამხანაგო?

კონრადმა უსიტყვოდ გაუწოდა დახვეული ზონარი. მეთოთხმეტე ნომერი მარჯვედ შეუდგა ტომის გათოკვას, კონრადი კი ჭაბუკს განძრევის საშუალებას არ აძლევდა.

– რა ჯანდაბას... – დაიწყო ტომიმ, მაგრამ ღიმილმა, რომელმაც დადუმებულ კონრადს ტუჩები გაუპო, ენა შეუბორკა.

მეთოთხმეტე ნომერმა ამოცანა ოსტატურად შეას-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რულა. მალე ტომი უმწეო ჭუპრად გადაიქცა. ბოლოს კონრადმა ხმა ამოიღო:

– გეგონა, მოგვატყუებდი, არა? ეს ვიციო, ეს არ ვიციო. ვაჭრობაც კი დაგვიწყე! და სულ ბლეფობდი! სულ ბლეფობდი! კატის კნუტზე ნაკლები იცი. დასრულდა შენი ფახიფუხი, შე ბ... ღორო!

ტომი დუმდა. სათქმელი არაფერი ჰქონდა. დამარცხდა. ყოვლისშემძლე მისტერ ბრაუნი როგორღაც ყველაფერს მიუხვდა. უეცრად თავში ერთი აზრი მოუვიდა.

– მშვენიერი სიტყვებია, კონრად, – თქვა მოწონების ნიშნად, – მაგრამ რა საჭიროა ხუნდები და ბორკილები? რატომ არ მისცემ უფლებას ამ კეთილ ჯენტლმენს, რომ ზედმეტი წვალების გარეშე გამომჭრას ყელი?

– ოჰო, რა მოინდომა! – მოულოდნელად თქვა მეთოთხმეტე ნომერმა, – გგონია, ისეთი გამოუცდელები ვართ, რომ აქ მოგიღებთ ბოლოს და პოლიციას მოვიყვანთ? არა, ბატონო! თქვენი ბრწყინვალებისთვის კარეტა ხვალ დილას ჩამოდგება. შენ კი მეტი საიმედოობისთვის გაგკოჭეთ, გასაგებია?

– ამაზე უფრო ადვილი გასაგები არაფერია, – ჩაილაპარაკა ტომიმ, – თქვენი სახეების გარდა.

– მოკეტე, – უთხრა მეთოთხმეტე ნომერმა.

– სიამოვნებით, – მიუგო ტომიმ, – სამწუხარო შეცდომას უშვებთ, მაგრამ თქვენთვისვე იქნება ცუდი.

– მეორეჯერ ვეღარ მოგვატყუებ, – თქვა მეთოთხმეტე ნომერმა, – საკუთარი თავი კვლავაც „რიცში“ ხომ არ გგონია?

ტომი გაჩუმდა. ცდილობდა, მოესაზრებინა, როგორ შეიტყო მისტერ ბრაუნმა, თუ ვინ იყო იგი სინამდვილეში. შესაძლოა, ტაპენსს მის გამო შეეშინდა, პოლიციას მიმართა, მისი გაუჩინარება გახმაურდა და ბანდამ აუჩქარებლად გამოთვალა, რომ ორჯერ ორი ოთხია.

მამაკაცები წავიდნენ. კარი მიიხურა. ტომი საკუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თარ ფიქრებთან მარტო დარჩა. მდგომარეობას სასიამოვნოს ნამდვილად ვერ უწოდებდა. ხელ-ფეხი უკვე დაუბუჟდა, თითის განძრევაც კი არ შეეძლო. იმედი საბოლოოდ გადაეწურა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გაიგონა, რომ საკეტში გასაღები ფრთხილად გადატრიალდა და კარი გაიღო. ანეტი შემოვიდა. ტომს გული გამალებით აუძგერდა. ქალიშვილი აღარც კი ახსოვდა. ნუთუ მან მისი დახმარება გადაწყვიტა?

უეცრად კონრადის ხმა გაისმა:

– სად ხარ, ანეტ? დღეს მას ვახშამი არ დასჭირდება.

– Oui, oui, je sais bien[1]. მაგრამ ლანგარი უნდა წავიღო. ეს ჭურჭელი გვჭირდება.

– კარგი, ოღონდ აჩქარდი, – ჩაიბუზღუნა კონრადმა.

ისე, რომ ტომისთვის არ შეუხედავს, ანეტი მაგიდასთან მივიდა და ლანგარი აიღო, შემდეგ მოულოდნელად ხელი ასწია და შუქი ჩააქრო.

– დალახვროს ეშმაკმა, – კონრადი კარს მიუახლოვდა, – ეს რატომ გააკეთე?

– ყოველთვის ასე ვაკეთებ. თქვენ ხომ არ გაგიფრთხილებივართ. კვლავ ავანთო, მესიე კონრად?

– არა, სწრაფად გამოდი.

– Le beau petit monsieur[2]! – შესძახა ანეტმა და სიბნელეში საწოლთან შეჩერდა, – კარგად კი გაგიკოჭავთ! შესაფუთავად გამზადებული ქათამივით! – მისმა მხიარულმა და დამცინავმა კილომ ტომის გული ატკინა. მაგრამ იმავ წამს გაოცებულმა იგრძნო, რომ ქალიშვილის ხელი მსუბუქად გასრიალდა თოკზე და ხელისგულში რაღაც პატარა და ცივი ჩაუდო.

– ანეტ, გაინძერი!

– Mais me voila[3].

---

[1] *დიახ, დიახ, ვიცი (ფრ.).*

[2] *ლამაზი პატარა მესიე (ფრ.).*

[3] *მოვდივარ (ფრ.).*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი გაჯახუნდა. ტომის კონრადის სიტყვები მოესმა:

– დაკეტე და გასაღები მომეცი.

ნაბიჯების ხმა თანდათან მიწყდა. ტომი განცვიფრებული იწვა. ნივთი, რომელიც ანეტმა ხელში ჩაუდო, გახსნილი ჯაყვა აღმოჩნდა. როცა გაახსენდა, რომ ანეტი ზედაც არ უყურებდა, და რომ მან შუქი ჩააქრო, მიხვდა, რომ ოთახს უთვალთვალებდნენ. კედელში, სადღაც, შენიღბული საჭვრეტელი უნდა ყოფილიყო. ახსოვდა, როგორ ხაზგასმით შორს ეჭირა ანეტს თავი მისგან. მაშასადამე, მთელი ამ დროის განმავლობაში მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. იქნებ თავი რამით გასცა. თითქოს არა. დიახ, თქვა, რომ გაქცევა უნდოდა, რომ ჯეინ ფინს ეძებდა, თუმცა საკუთარი ვინაობის შესახებ კრინტი არ დაუძრავს. მართალია, ანეტთან მისი საუბრიდან შეეძლოთ დაესკვნათ, რომ ჯეინ ფინი არასდროს უნახავს, მაგრამ ეს არასდროს დაუჟინია. იქნებ ანეტმა რამე იცოდა და მასთან ლაპარაკს მხოლოდ იმიტომ გაურბოდა, რომ მათ უსმენდნენ? ჰო, ასე იქნებოდა.

ახლა ყველაზე მეტად სხვა საკითხი აღელვებდა: როგორ გადაეჭრა ზონარი, როცა ხელები ისე შეეკრათ, რომ ვერც კი ანძრევდა? ფრთხილად სცადა მაჯაზე შემოხვეულ ზონარზე დანის პირის გასმა. თითქმის უშედეგოდ. ერთი-ორჯერ ტკივილისგან დაიკვნესა, რადგან კანი გაისერა. მაინც თავდაუზოგავად და ჯიუტად განაგრძობდა ზონარის ჭრას. ბოლოს, ზონარი გაწყდა და ხელები გაუთავისუფლდა. ახლა ფეხებსაც ადვილად მოუვლიდა. ხუთი წუთის შემდეგ გაჭირვებით დადგა დაბუჟებულ ფეხებზე და გასისხლიანებული მაჯები შეიხვია. საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და დაფიქრდა. კონრადმა კარის გასაღები თან წაიღო, ასე რომ, ანეტი ვერ დაეხმარებოდა. ოთახიდან გასვლა მხოლოდ კარის გავლით შეიძლებოდა. ეს კი ნიშნავდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ ერთი გზა რჩებოდა – კონრადისა და მისი ამხანაგის მოსვლას უნდა დალოდებოდა. და როდესაც შემოვიდოდნენ... ტომის გაელიმა. სიბნელეში ხელები ძალზე ფრთხილად მოაფათურა, ნაცნობ ნახატს მიაგნო და კაუჭიდან ჩამოხსნა. ესიამოვნა იმის გაცნობიერება, რომ ეს ვარიანტი ტყუილუბრალოდ არ მოუფიქრებია. ლოდინს კი მოახერხებდა. და დაელოდა.

ღამე ნელა გადიოდა. მოეჩვენა, რომ ის უსასრულოდ გაიწელა. ბოლოს, როგორც იქნა, ნაბიჯების ხმა მოესმა. საწოლიდან წამოდგა, ღრმად ამოისუნთქა და ნახატი მოხერხებულად დაიჭირა.

კარი გაიღო. დერეფნიდან ოთახში შუქმა სუსტად შემოანათა. კონრადი პირდაპირ გაზის სანთურისკენ გაემართა. ტომის იმედი ოდნავ გაუცრუვდა, რადგან პირველი კონრადი შემოვიდა. ესიამოვნებოდა, თუ მას გაუსწორდებოდა. იძულებული გახდა, მეთოთხმეტე ნომრით დაკმაყოფილებულიყო. როგორც კი მან ზღურბლზე ფეხი გადმოდგა, ტომიმ მთელი ძალით ჩასცხო ნახატი თავში. მეთოთხმეტე ნომერი დაეცა, რასაც შუშის მტვრევის გამაყრუებელი ხმაური მოჰყვა, ტომი კი გარეთ გავარდა, კარი მიხურა და საკეტში დატოვებული გასაღები სწორედ მაშინ გადაატრიალა, როდესაც კონრადი გინებით მხრით ეძგერა კარს.

ტომი გაუბედავად შეჩერდა. დაბლა რაღაც ახმაურდა, შემდეგ გერმანელის ხმა გაისმა:

– Gott im Himmel[1]! კონრად, რა ხდება?

ტომიმ ხელზე თხელი თითების მოჭერა იგრძნო. გვერდით ანეტი ედგა. მან მისადგმელ კიბეზე ანიშნა, რომლითაც, როგორც ჩანს, სხვენზე შეიძლებოდა მოხვედრა.

– იქით, ჩქარა! – ქალიშვილმა იგი თან გაიყოლა და წამის შემდეგ ისინი დამტვერილ, ნაირგვარი ხარახუ-

---

[1] *ღმერთო ჩემო! (გერმ.)*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რით სავსე სხვენზე აღმოჩნდნენ. ტომიმ მიიხედ-მოიხედა.

– არ უნდა ამოვსულიყავით. ეს ხაფანგია. აქედან ვერ გავალთ.

– ჩუ! მოიცადეთ, – ქალიშვილმა ტუჩებზე თითი მიიდო, კიბის თავთან მიიპარა და ყური მიუგდო.

ქვემოდან საშინელი ხმაური ისმოდა. გერმანელი ვაღაცასთან ერთად კარის შემტვრევას ცდილობდა. ანეტმა ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

– ისინი ფიქრობენ, რომ თქვენ ჯერაც შიგნით ხართ. არ ესმით, რას ამბობს კონრადი, კარი ძალზე სქელია.

– მე კი მეგონა, რომ ყველაფერი ესმოდათ, რაც იქ ითქმებოდა.

– ასეცაა. კედელში ხვრელია. ყოჩაღ, რომ მიხვდით. მაგრამ მათ ეს დაავიწყდათ. მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, შიგნით როგორ შევიდნენ.

– ჰო... მაგრამ მომისმინეთ.

– მომენდეთ.

ანეტი დაიხარა. ტომმა, მისდა გასაოცრად, დაინახა, რომ ქალიშვილმა გრძელი თოკის ერთი ბოლო ბზარებით დაფარული დიდი დოქის სახელურს გამოაბა, დოქი ჩასასვლელის კიდესთან ფრთხილად დადგა და მისკენ შეტრიალდა.

– კარის გასაღები თქვენ გაქვთ?

– დიახ.

– მომეცით, – ტომიმ მისცა, ქალიშვილმა კი განაგრძო: – ახლა ჩავალ. რას იტყვით, მოახერხებთ კიბის შუაგულამდე შეუმჩნევლად დაშვებას, შემდეგ კი ისე გადახტომას, რომ კიბის ქვეშ აღმოჩნდეთ?

ტომიმ თავი დააქნია.

– იქ, სილრმეში, დიდი კარადა დგას. მას ამოეფარეთ, თოკის ბოლო კი ხელში გეჭიროთ. როდესაც მათ ოთახიდან გამოვუშვებ, ღონივრად მოქაჩეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომიმ შეკითხვის დასმა ვეღარ მოასწრო, რადგან ქალიშვილი უხმაუროდ დაეშვა კიბეზე, კართან მიირბინა და აყვირდა:

– Mon Dieu! Mon Dieu! Qu'est ce qu'll y a?[1]

გერმანელი მიუბრუნდა და გაუბრაზდა:

– მოუსვი აქედან! შენს ოთახში წადი!

ტომი ფრთხილად შეუდგა ჩასვლას. თუ არ შემოტრიალდებოდნენ, ყველაფერი კარგად იქნებოდა. ასეც მოხდა. ტომი კარადას ამოეფარა. მამაკაცები მასა და კიბეს შორის იყვნენ.

– აჰ! – ანეტმა თითქოს ფეხი რაღაცას წამოჰკრა და დაიხარა, – Mon Dieu, voila la clef[2]! – შესძახა მან.

გერმანელმა გასაღები ხელიდან გამოსტაცა და კარი გააღო. ოთახიდან კონრადი გამოვარდა ლანძღვით.

– სად არის? დაიჭირეთ?

– ჩვენ არავინ დაგვინახავს, – მკვახედ მიუგო გერმანელმა. უეცრად სახე გაუფითრდა, – ვის გულისხმობ?

კონრადმა კვლავ შეიგინა.

– მაშასადამე, გაქცეულა!

– შეუძლებელია. ჩვენთვის უნდა ჩაევლო.

სწორედ ამ დროს ყურებამდე გაღიმებულმა ტომიმ თოკი დაქაჩა. სხვენიდან ძირს დავარდნილი დოქის დაცემის ხმა გაისმა. მამაკაცები წამსვე კიბეს ეცნენ, მაღლა ავიდნენ და სხვენის სიბნელეში გაუჩინარდნენ.

ტომიმ დაუყოვნებლივ მიატოვა თავისი სამალავი, ანეტს ხელი ჩაავლო და კიბით დაბლა გაიქცა. ჰოლში არავინ იყო. აცახცახებული ხელებით გასწია ურდული და ჯაჭვი. ბოლოს, კარი გაიღო. ტომიმ უკან მიიხედა. ანეტი არსად ჩანდა.

ტომი გაშეშდა. ნუთუ ქალიშვილი კვლავ ზევით ავიდა? ეს რა სისულელე ჩაიდინა! ტომი მოუთმენლობას

---

[1] *ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რა მოხდა? (ფრ.)*

[2] *ღმერთო ჩემო, აი, გასაღები! (ფრ.)*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეეპყრო, საშინლად ღელავდა, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა – ანეტს აქ ხომ არ მიატოვებდა.

მოულოდნელად ზემოდან ყვირილი გაისმა. ჯერ გერმანელმა დაიღრიალა, მას ანეტის წკრიალა ხმა მოჰყვა:

– Ma foi[1], ის გაიქცა! თანაც, ასე სწრაფად. ვინ იფიქრებდა!

ტომი კვლავ გაუნძრევლად იდგა. ეს გაქცევის ბრძანება იყო? ალბათ.

ქალიშვილმა უფრო ხმამაღლა შესძახა:

– რა საშინელი სახლია! მარგარიტასთან მინდა დაბრუნება. მარგარიტასთან. მარგარიტასთან!

ტომი უკან, კიბისკენ გაიქცა. ანეტს უნდოდა, რომ ის მარტო გაქცეულიყო, მაგრამ რატომ? არა, აქედან ნებისმიერ ფასად უნდა წაეყვანა. უეცრად გული შეეკუმშა. კიბეზე კონრადი ჩამორბოდა. ტომის დანახვაზე გახარებულმა შეჰყვირა. კონრადის უკან სხვებიც გამოჩნდნენ.

ტომიმ მოახლოებულ კონრადს ნიკაპში მთელი ძალით ხეთქა მუშტი და მორივით დააგდო ძირს. მეორე კაცმა კონრადს წამოჰკრა ფეხი და წაიქცა. ტომიმ დაინახა, როგორ იფეთქა რაღაცამ. ყური ტყვიამ გაუკაწრა. არა, შორს ამ სახლიდან, სასწრაფოდ! ანეტს ვეღარ დაეხმარება, მაგრამ კონრადს ხომ მაინც გადაუხადა სამაგიერო. მშვენიერი დარტყმა გამოვიდა.

ტომი გარეთ გავარდა და კარი გაიჯახუნა. მოედანზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა. სახლის წინ მცხობელის ფურგონი იდგა. როგორც ჩანს, სწორედ ასე აპირებდნენ ლონდონიდან მის გაყვანას, გვამს კი სოჰოდან გაცილებით შორს აღმოაჩენდნენ, მძღოლი კაბინიდან გადმოხტა და მისი შეჩერება სცადა, მაგრამ მანაც ელვისებური დარტყმა იგემა და ასფალტზე გაიშხლართა.

---

[1] *დამიჯერეთ (ფრ.).*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომიმ უკან მოუხედავად მოუსვა და სწორადაც მოიქცა. შესასვლელი კარი გაიღო და მისკენ წუილით წამოვიდა ტყვიები, საბედნიეროდ, ერთიც არ მოხვდა. ტომიმ კუთხეში შეუხვია.

„ვიმედოვნებ, სროლას შეწყვეტენ, – გაიფიქრა მან, – თუ განაგრძობენ, პოლიცია დაატყდებათ თავზე. მიკვირს, ესეც რომ გაბედეს."

უკნიდან ბრაგაბრუგი შემოესმა და სისწრაფეს მოუმატა. თუ ამ მიხვეულ-მოხვეულებს თავს დააღწევდა, საფრთხე აღარ დაემუქრებოდა. აქ სადღაც პოლიციელი უნდა ყოფილიყო... თუმცა სულაც არ სურდა, პოლიციისთვის დახმარება ეთხოვა, თუ ისედაც დაიხსნიდა თავს – მათთვის ახსნა-განმარტების მიცემა და კიდევ სხვა პროცედურების გავლა მოუწევდა. შემდეგ წამს ბედმა კვლავ გაუღიმა: ფეხი წამოჰკრა ტროტუარზე გაწოლილ კაცს, რომელიც მაშინვე წამოხტა, შეშინებულმა დაიღრიალა და გაიქცა. ტომიმ სადარბაზოს შეაფარა თავი. მალე კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მისი ორივე მდევარი, რომელთაგანაც ერთ-ერთი გერმანელი იყო, მცდარი გზით გაიქცა!

საფეხურზე ჩამოჯდა და სული მოითქვა. შემდეგ საპირისპირო მხარეს გაემართა. საათს დახედა. ექვსის ნახევარს გადასცდენოდა. თენდებოდა. გზაჯვარედინზე მდგომ პოლიციელს ჩაუარა, რომელმაც დაეჭვებით შეათვალიერა. ტომიმ კანონიერი აღშფოთება იგრძნო, მაგრამ როდესაც სახეზე ხელი მოისვა, ყველაფერს მიხვდა – მას ხომ სამი დღის განმავლობაში არც წვერი გაეპარსა, არც პირი დაებანა. კარგი შესახედავი კი იქნებოდა!

გეზი თურქული აბანოსკენ აიღო. როგორც იცოდა, ის დღედაღამ მუშაობდა. იქიდან გამოსულს მზის სხივები შეეგება. ახლა უკვე ძველებურად გრძნობდა თავს და მომავალ ნაბიჯებზე დაფიქრებაც შეეძლო.

პირველ ყოვლისა, დანაყრება მართებდა. უკანასკნელად ხომ გუშინ დღისით მიირთვა. ტომი სასაუზმეში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შევიდა და კვერცხი, ბეკონი და ყავა შეუკვეთა. ჭამისას იქვე დაგდებულ დილის გაზეთს კითხულობდა. უეცრად დაიძაბა. დიდი სტატია ეწერა კრამენინის შესახებ. მას უწოდებდნენ „კაცს, რომელიც რუსეთში ბოლშევიზმის უკან იდგა." იგი ახლახან ჩამოსულიყო ლონდონში არაოფიციალური ვიზიტით. სტატია მკითხველს მის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს აწვდიდა და ამტკიცებდა, რომ რუსული რევოლუციის შემოქმედი სწორედ ის იყო და არა ეგრეთ წოდებული ბელადები.

ცენტრში მისი პორტრეტიც მოეთავსებინათ.

– აი, ვინ ყოფილა პირველი ნომერი, – თქვა პირგამოტენილმა ტომიმ, – უნდა ავჩქარდე.

ფული გადაიხადა და უაითჰოლში მივიდა. ითხოვა, მის შესახებ მოეხსენებინათ, და დაამატა, რომ დრო არ ითმენდა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე იმ ადამიანის კაბინეტში იყო, ვისაც აქ „მისტერ კარტერს" არ უწოდებდნენ. მას წარბი შეეკრა.

– მომისმინეთ, ჩემთან ასე პირდაპირ არ უნდა მოსულიყავით და არ უნდა გეკითხეთ. მეგონა, ეს გასაგებად გითხარით.

– ასეცაა, სერ. მაგრამ გადავწყვიტე, რომ დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა.

და ტომიმ, შეძლებისდაგვარად, მოკლედ გააცნო მას ბოლო დღეების დეტალები.

ჯერ ნახევარიც არ ექნებოდა მოყოლილი, როცა მისტერ კარტერმა თხრობა შეაწყვეტინა და ტელეფონით რამდენიმე იდუმალი განკარგულება გასცა. იგი აღარ იღუშებოდა. როდესაც ტომიმ ლაპარაკი დაასრულა, მისტერ კარტერმა თავი მოწონების ნიშნად დაუქნია და უთხრა:

– სწორად მოიქეცით. ყოველი წუთი ძვირფასია. მაგრამ, ვშიშობ, დავაგვიანეთ. ისინი იქ აღარ იქნებიან. თუმცა იქნებ ყველა კვალის წაშლა ვერ მოასწრეს. მაშასადამე, პირველ ნომერში კრამენინი ამოიცანით? ეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძალზე მნიშვნელოვანია. აუცილებელია, ხელთ მამხილებელი ფაქტები გვქონდეს, რათა მთავრობამ მასთან ლოლიაობა არ დაიწყოს. დანარჩენებზე რას იტყვით? ამბობთ, რომ ორი სახე გეცნოთ? და რომ ერთი თითქოს პროფკავშირთან კავშირშია? აბა, ამ ფოტოსურათებს დახედეთ, იქნებ რომელიმე მიამსგავსოთ.

მალე ტომიმ მას ერთი ფოტოსურათი გაუწოდა. მისტერ კარტერი გაოცდა.

– აჰ, უესთუეი! მასზე ვერასდროს ვიფიქრებდი. იგი ზომიერებიდანაა. რაც შეეხება მეორეს, არა მგონია, შემეშალოს, – მან ტომის კიდევ ერთი ფოტოსურათი გაუწოდა და როცა მისი გაოცებული შეძახილი მოისმინა, გაიღიმა, – მაშასადამე, გამოვიცანი. ვინ არის? ირლანდიელი, ცნობილი იუნიონისტი, პარლამენტის წევრი. ცხადია, ეს ყველაფერი შირმაა. დიდი ხანია, მასზე ეჭვი გვქონდა, მაგრამ მტკიცებულებებს ვერ ვპოულობდით. მშვენივრად იმუშავეთ, ახალგაზრდავ. მაშ, თარიღად 29 დაასახელეს? ეს იმას ნიშნავს, რომ დრო ცოტა გვაქვს, ძალიან ცოტა.

– მაგრამ... – ტომი შეყოყმანდა.

მისტერ კარტერი სათქმელს მიუხვდა.

– ვფიქრობ, საყოველთაო გაფიცვის საფრთხეს რამეს მოვუხერხებთ. ეს მონეტის აგდებას ჰგავს, თუმცა შანსი ნამდვილად გვაქვს. მაგრამ თუ ზედაპირზე ის ხელშეკრულება ამოტივტივდება, ყველაფერი გაფუჭდება. ინგლისს ანარქია მოიცავს... რა მოხდა? მანქანა გველოდება? წამოდით, ბერესფორდ, თქვენი ციხე დავათვალიეროთ.

სოჰოში სახლის წინ ორი პოლიციელი მორიგეობდა. ინსპექტორმა მისტერ კარტერს ხმადაბლა გადაულაპარაკა და იგი ტომის მიუბრუნდა. – როგორც ვვარაუდობდით, ჩიტები გაფრენილან. რა გაეწყობა, შიგნით შევიდეთ.

დაცარიელებულ სახლში ტომი თავს ისე გრძნობდა, როგორც სიზმარში. ყველაფერი ისევე იყო, როგორც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უწინ: მისი საკანი ოდნავ ცერად ჩამოკიდებული ნახატებით, გატეხილი დოქი სხვენში, სათათბირო ოთახი გრძელი მაგიდით. მაგრამ ერთ დოკუმენტსაც ვერ მიაგნეს. ისინი ან გაენადგურებინათ, ან თან წაეღოთ. ანეტის კვალიც არსად ჩანდა.

– ქალიშვილის შესახებ თქვენმა ნაამბობმა გამაოცა, – თქვა მისტერ კარტერმა, – გჯერათ, რომ იგი შეგნებულად დაბრუნდა უკან?

– ასე გამოდის, სერ. სანამ კარის გაღებას ვცდილობდი, კვლავ ზევით გაიქცა.

– ჰმ, მაშასადამე, ისიც ბანდის წევრი ყოფილა. მაგრამ ქალიშვილმა ვერ შეძლო, რომ გულგრილად ეცქირა, როგორ მოკლავდნენ ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა კაცს. აშკარად მათი თანამზრახველია, თორემ უკან არ დაბრუნდებოდა.

– ვერ ვიჯერებ, რომ მართლა ერთ-ერთი მათგანია, სერ. ის... სრულიად სხვანაირი ჩანდა...

– თანაც ლამაზი, არა? – ღიმილით თქვა მისტერ კარტერმა და ტომი თმის ძირებამდე გაწითლდა. მან დაადასტურა, რომ ანეტი მართლა ძალზე ლამაზი იყო.

– სხვათა შორის, – უთხრა მისტერ კარტერმა, – მის ტაპენსი ჯერ არ გინახავთ, არა? თქვენ გამო წერილებით დამბომბა.

– ტაპენსი? ასეც ვიცოდი, რომ ვერ მოისვენებდა. პოლიციას მიმართა?

მისტერ კარტერმა თავი გადააქნია.

– თუ ასეა, როგორ მიხვდნენ, ვინ ვიყავი?

მისტერ კარტერმა ტომის კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო, დეტალები მოისმინა და ჩაფიქრებული სახით თქვა:

– ეს მართლა უცნაურია... ცხადია, თუ „რიცი“ შემთხვევით არ დაასახელეს.

– „რიცი“ – შესაძლოა, მაგრამ მე აშკარად სხვა გზით გამომთვალეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგი, – თქვა მისტერ კარტერმა და მიიხედ-მოიხედა, – აქ აღარაფერი გვესაქმება. ხომ არ წაგვეხემსა?

– დიდი მადლობა, სერ, მაგრამ მინდა, რაც შეიძლება სწრაფად შევხვდე ტაპენსს.

– დიახ, გასაგებია. ჩემგან მოკითხვა გადაეცით და უთხარით, შემდეგ ჯერზე ასე სწრაფად ნუ დაიჯერებს, რომ მოგკლეს.

– ჩემი მოკვლა ადვილი არაა, – გაეცინა ტომის.

– ეს მეც შევამჩნიე, – ცივად მიუგო მისტერ კარტერმა, – აბა, ნახვამდის. არ დაგავიწყდეთ, რომ უკვე გცნობენ. თავს გაუფრთხილდით.

– გმადლობთ, სერ.

ტომიმ ტაქსი გააჩერა და „რიცში“ გაემგზავრა, თან წინასწარ ტკბებოდა, როგორ გააოცებდა ტაპენსს.

„საინტერესოა, რას საქმიანობდა? ალბათ, „რიტას“ უთვალთვალებდა. შესაძლოა, სწორედ მას უწოდებდა ანეტი მარგარიტას. მაგრამ მაშინ ამას ვერ მივხვდი.“

ტომი წამით დასევდიანდა, რადგან ეს ნიშნავდა, რომ მისის ვანდემაიერი და ანეტი ერთმანეთთან ახლოს იყვნენ.

ტაქსი „რიცის“ წინ გაჩერდა. ტომი ჰოლში, სასტუმროს „წმიდათაწმიდა“ შესასვლელში უბოდიშოდ შეიჭრა, მაგრამ იქ იმედგაცრუება ელოდა. შეატყობინეს, მის კაული დაახლოებით თხუთმეტი წუთის წინათ წავიდაო.

თავი მეთვრამეტე
დეპეშა

ტომი ერთხანს დაბნეული იდგა, შემდეგ რესტორანში შევიდა და საუცხოო სადილი შეუკვეთა. ოთხდღიანმა ტყვეობამ კარგი საჭმლის უკეთ დაფასება ასწავლა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის იყო, პირთან sole a la Jeannette[1]-ის გემრიელი ლუკმა მიიტანა, როდესაც დარბაზში შემოსულ ჯულიუსს მოჰკრა თვალი. ტომიმ მისი ყურადღების მისაპყრობად მენიუ ააფრიალა. ბოლოს, ჯულიუსი მისკენ შეტრიალდა და გაოცებულმა თვალები ისე დააჭყიტა, ლამის ბუდეებიდან გადმოუცვივდა. იგი სწრაფად გაემართა მაგიდისკენ და დიდხანს, ენერგიულად ართმევდა ხელს, რამაც ტომი, ცოტა არ იყოს, გააკვირვა კიდეც.

– წმინდაო საბაო! – შესძახა ჯულიუსმა, – ნუთუ ეს მართლა თქვენ ხართ?

– ცხადია, მე ვარ. რატომ არ უნდა ვიყო?

– რატომ არ უნდა იყოთ? მომისმინეთ, ნუთუ არ იცით, რომ მკვდარი გვეგონეთ? კიდევ რამდენიმე დღე და სამგლოვიარო რეკვიემს შევუკვეთდით.

– ვის ვეგონე მკვდარი? – იკითხა ტომიმ.

– ტაპენსს.

– ალბათ, გამოთქმა გაახსენდა, რომ საუკეთესო ადამიანები ახალგაზრდები კვდებიან. როგორც ჩანს, საკმაო რაოდენობის პირველი ცოდვა მაქვს, რამაც გადამარჩინა. ჰო, მართლა, სად არის ტაპენსი?

– განა თავის ნომერში არაა?

– არა. პორტიემ მითხრა, რომ ახლახან წასულა.

– ალბათ, მაღაზიებში, საყიდლებზე. ერთი საათის წინათ აქ მანქანით მოვიყვანე. იქნებ თქვენი ბრიტანული სიმშვიდე გვერდზე გადადოთ და საქმეზე გადავიდეთ? მითხარით, ღვთის გულისათვის, სად იყავით მთელი ამ ხნის განმავლობაში?

– თუ ჭამას აპირებთ, – მიუგო ტომიმ, – აჯობებს, შეუკვეთოთ. გრძელი ამბავია.

ჯულიუსი მის პირდაპირ მოკალათდა, ოფიციანტს უხმო და თავისი სურვილები უკარნახა. შემდეგ ტომის მიუბრუნდა.

---

[1] *ერთგვარი კერძი თევზისგან.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა, დაიწყეთ. როგორც ვხვდები, საინტერესო თავგადასავლები გადაგხდათ.

– დიახ, რამდენიმე, – მოკრძალებით მიუგო ტომიმ და თხრობას შეუდგა.

ჯულიუსი მონუსხულივით უსმენდა. შეკვეთილი კერძების ნახევრისთვის პირი არ დაუკარებია. როდესაც ტომი გაჩუმდა, ღრმად ამოიოხრა.

– შესანიშნავია. ნამდვილი ათცენტიანი რომანია!

– შინაურ ფრონტზე რა ხდება? – ჰკითხა ტომიმ და ხელი ატმისკენ გაიწვდინა.

– რა ხდება და... – გაწელვით წარმოთქვა ჯულიუსმა, – უთავგადასავლოდ არც ჩვენ დავრჩით.

მთხრობელის როლი ახლა მას ხვდა წილად. მან ბორნმუთში წარუმატებელი დაზვერვით დაიწყო და თანამიმდევრობით აღწერა ლონდონში დაბრუნება, ავტომობილის შეძენა, ტაპენსის მზარდი შეშფოთება, მათი ვიზიტი სერ ჯეიმზთან და წუხანდელი სენსაციური მოვლენები.

– მაგრამ ვინ მოკლა ის? – იკითხა ტომიმ, – ვერაფერი გამიგია.

– ექიმმა აიჩემა, რომ მან თვითონ მიიღო ძილის წამლის დიდი დოზა, – უხალისოდ მიუგო ჯულიუსმა.

– და სერ ჯეიმზი? მან რა თქვა?

– სახელგანთქმული იურისტი თევზივით დუმს. დასკვნის გამოტანისგან თავს იკავებს, – განაცხადა ჯულიუსმა და დილის მოვლენების დეტალების თხრობა განაგრძო.

– მაშ, მეხსიერება დაკარგა? – ჩაეკითხა ტომი, – დალახვროს ეშმაკმა, ახლა კი ვხვდები, რატომ შემომხედეს უცნაურად, როდესაც განვუცხადე, ქალიშვილს რაღაც უნდა ვკითხო-მეთქი. ცხადია, შევცდი, მაგრამ ამას რა მომაფიქრებდა!

– ხომ არ მიუნიშნებიათ, სად შეიძლება იყოს ჯეინი?

ტომიმ სინანულით გადააქნია თავი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კრინტი არ დაუძრავთ. მეც კარგი ვირი ვარ. უნდა მეცადა და რამე დამეცინცლა.

– ვფიქრობ, ძალიან გაგიმართლათ, ახლა აქ რომ ზიხართ. თქვენმა ბლეფმა კი მშვენივრად იმუშავა. ვერ წარმომიდგენია, ეს რამ მოგაფიქრებინათ.

– შიშისგან ისე ვკანკალებდი, სხვა გზა არ მქონდა, სასწრაფოდ ტვინი უნდა ამემუშავებინა, – გულწრფელად მიუგო ტომიმ.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ ტომი მისის ვანდემაიერის გარდაცვალების საკითხს დაუბრუნდა.

– ეჭვგარეშეა, რომ ეს ქლორალმა გამოიწვია?

– მგონი, ასეა. ექიმის დასკვნის მიხედვით, გულის უკმარისობა გადაჭარბებულმა დოზამ ან რაღაც ამგვარმა გამოიწვია. ალბათ, ასე ჯობია კიდეც. დაკითხვებით თავს მაინც არ მოგვაბეზრებენ. ვფიქრობ, ტაპენსი, მე და ტვინით სავსე სერ ჯეიმზი ამ საკითხში ერთ აზრზე ვდგავართ.

– მისტერ ბრაუნი? – სცადა გამოცნობა ტომიმ.

– დიახ.

ტომიმ თავი დააქნია და ჩაფიქრებული სახით განაგრძო:

– იმავდროულად, მისტერ ბრაუნს ფრთები არა აქვს. ვერ ვხვდები, როგორ შემოვიდოდა და გავიდოდა.

– იქნებ უმაღლესი დონის ტრიუკთან გვაქვს საქმე? ერთგვარ ჰიპნოზურ ზეგავლენასთან, რამაც მისის ვანდემაიერში თვითმკვლელობის დაუოკებელი სურვილი გააჩინა.

ტომიმ მას პატივისცემით შეხედა.

– კარგია, ჯულიუს. შესანიშნავია. განსაკუთრებით – ფრაზეოლოგია. მაგრამ ვერ დამარწმუნეთ. მე ნამდვილი, რეალური მისტერ ბრაუნი მჭირდება. ვფიქრობ, ნიჭიერი ახალგაზრდა დეტექტივები მუშაობას უნდა შეუდგნენ, ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი შეისწავლონ, მანამ იმტვრიონ თავი, სანამ საიდუმლოს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფარდა არ აეხდება. მოდი, დანაშაულის ადგილას წავიდეთ. კარგი იქნებოდა, ტაპენსისთვის მოგვესწრო. მაშინ „რიცი“ კვლავ გაიხარებდა ჩვენი ერთად შეყრით.

პორტიესგან შეიტყვეს, რომ ტაპენსი ჯერ არ დაბრუნებულიყო.

– ყოველი შემთხვევისთვის, ზევით ავალ და დავათვალიერებ, იქნებ ჩემს სასტუმრო ოთახშია, – თქვა ჯულიუსმა და წავიდა.

მოულოდნელად ტომის გვერდით გამხდარი ბიჭუნა გაჩნდა.

– ახალგაზრდა ლედი... ის მატარებლით გაემგზავრა, – დარცხვენით ჩაილაპარაკა მან.

– რა თქვი? – ტომი მისკენ შეტრიალდა.

ბიჭი უფრო მეტად გაწითლდა.

– გავიგონე, როგორ უთხრა ტაქსის მძღოლს, რომ სადგურ ჩარინგ-კროსში წაეყვანა და ეჩქარა.

გაოცებული ტომი თვალებგაფართოებული მიაჩერდა მას, გათამამებულმა ბიჭმა კი განაგრძო:

– რადგან მატარებლების განრიგისა და ცნობარის მოტანა მთხოვა, ვიფიქრე...

– როდის გთხოვა? – გააწყვეტინა ტომიმ.

– როდესაც დეპეშა მივუტანე.

– დეპეშა?

– დიახ, სერ.

– აბა, მომიყევი, ეს როგორ მოხდა.

ბიჭმა ღრმად შეისუნთქა და დამჯერედ დაიწყო:

– დეპეშა 891 ნომერში ავიტანე. ლედი იქ დამხვდა. დეპეშა გახსნა, შეჰყვირა და მხიარული ხმით მითხრა: „მიდი, მატარებლების განრიგი და ცნობარი მომიტანე. ოღონდ იჩქარე, ჰენრი!“ მე ჰენრი არ მქვია, მაგრამ...

– ამას ყურადღებას ნუ მიაქცევ, – მოუთმენლად უთხრა ტომიმ, – განაგრძე.

– დიახ, სერ. როდესაც მივუტანე, მიბრძანა, დავლოდებოდი, თვითონ კი ფურცვლას შეუდგა, შემდეგ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საათს დახედა და შესძახა: „ჩქარა! უთხარი, რომ ტაქსი გამომიგზავნონ," სარკის წინ შლაპა დაიხურა და ჩემზე არანაკლებ სწრაფად ჩავიდა ქვევით. გავიგონე, რაც უთხრა მძღოლს – ეს უკვე გითხარით.

ბიჭი გაჩუმდა. კვლავ ღრმად შეისუნთქა. გაოცებული ტომი თვალს ვერ აშორებდა. ამ დროს მათთან ჯულიუსი მივიდა, ხელში რაღაც ფურცელი ეჭირა.

– მომისმინეთ, ჰერსჰაიმერ, – მიმართა ტომიმ, – ტაპენსი თვალთვალს დამოუკიდებლად ახორციელებს.

– სისულელეა!

– დიახ, დიახ. დეპეშა მიიღო, ტაქსი გააჩერა და სადგურ ჩარინგ-კროსისკენ გაემგზავრა, – მან ფურცელს გახედა, რომელიც ჯულიუსს ეჭირა, – აჰა, ბარათი დაგიტოვათ? ჩინებულია. მაშ, სად გაქანდა ტაპენსი?

ტომიმ გაუცნობიერებლად გაიშვირა ხელი ფურცლისკენ, მაგრამ ჯულიუსმა სწრაფად დაკეცა ბარათი და ჯიბეში ჩაიდო, თან თითქოს ოდნავ შეცბუნდა კიდეც.

– არა, ეს ის არ არის. აქ სხვა რამეა... ერთი შეკითხვა დავუსვი და დამპირდა, რომ მოგვიანებით მიპასუხებდა.

– ოჰო! – ტომის გაოცებული სახე მიანიშნებდა, რომ მეტ ახსნას ელოდებოდა.

– მომისმინეთ, – უთხრა მოულოდნელად ჯულიუსმა, – აჯობებს, ყველაფერი პირდაპირ გითხრათ. დღეს დილას მის ტაპენსს ხელი ვთხოვე.

– ოჰო! – მექანიკურად შესძახა ტომიმ. მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. ჯულიუსისგან ამას სრულიად არ მოელოდა. ერთხანს ამ სიტყვების გადახარშვას ცდილობდა.

– უნდა გითხრათ, – განაგრძო ჯულიუსმა, – რომ მის ტაპენსთან ამ თემაზე საუბრის დაწყებამდე, მას მკაფიოდ მივანიშნე, რომ თქვენ შორის ჩადგომა არ მინდოდა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომი გამოერკვა.

– ამას მნიშვნელობა არა აქვს, – თქვა სწრაფად, – მე და ტაპენსს მხოლოდ მრავალი წლის მეგობრობა გვაკავშირებს, მეტი არაფერი, – მან სიგარეტს მოუკიდა, თუმცა ხელი ოდნავ უთრთოდა, – მშვენიერია. ტაპენსი ყოველთვის ამბობდა, რომ ის ეძებს... – უეცრად იგი გაჩუმდა და წამოჭარხალდა, მაგრამ ჯულიუსი სრულიად არ აღელვებულა.

– ოჰ, ვიცი, რომ მას დოლარები აინტერესებს. მის ტაპენსმა ეს თავიდანვე ამიხსნა, რადგან თვალთმაქცობა არ ახასიათებს. ერთმანეთს საუცხოოდ შევეწყობით.

ტომი ამერიკელს ერთხანს უცნაურად უყურებდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და გაჩუმდა. ტაპენსი და ჯულიუსი! რატომაც არა? განა თვითონ არ წუწუნებდა, რომ მდიდარ კაცებს არ იცნობდა? განა დაუფარავად არ განაცხადა, რომ, თუ შესაძლებლობა მიეცემოდა, ფულის გულისთვის გათხოვდებოდა? ახალგაზრდა ამერიკელ მილიონერთან შეხვედრამ ასეთი შანსი მისცა და მას, ცხადია, ხელიდან არ გაუშვებდა. ფული არ ჰქონდა. ამას ყოველთვის ამბობდა და პრინციპების ერთგულებისთვის ხომ არ გაკიცხავდა?

მიუხედავად ამისა, ტომი გუნებაში მაინც საყვედურობდა ტაპენსს. ძლიერმა და სრულიად ალოგიკურმა ბრაზმა შეიპყრო. თქმას კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ წესიერი ქალიშვილი მხოლოდ ფულის გულისთვის არ გათხოვდებოდა. ტაპენსი გულგრილი და ეგოისტი იყო. ძალიანაც კარგი, თუ მას ველარასდროს ნახავდა! ოჰ, რა საზიზღარ სამყაროში ცხოვრობდნენ!

ფიქრებიდან ჯულიუსის ხმამ გამოარკვია.

– დიახ, ცხადია, ერთმანეთს საუცხოოდ შევეწყობით. მსმენია, რომ ქალიშვილები თავდაპირველად ყველას უარით ისტუმრებენ. ეს თამაშის ერთგვარ აუცილებელ წესად იქცა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომი მას მხარში ჩააფრინდა.

– უარით გაგისტუმრათ? ამბობთ, უარით გამისტუმრაო?

– დიახ. ნუთუ არ მითქვამს? თავიდანვე „არა“ მომახალა. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. „მუდმივი ქალურობა“ – გამიგონია, რომ გერმანელები ასე ამბობენ. მაგრამ ის გადაიფიქრებს. ალბათ, ცოტათი ძალა დავატანე...

მაგრამ ტომიმ ზრდილობის წესები უგულებელყო და გააწყვეტინა.

– რა მოგწერათ? – ჰკითხა მრისხანედ.

თავაზიანმა ჯულიუსმა ბარათი გაუწოდა.

– იგი არაფრით მიანიშნებს, სად წავიდა, – უთხრა ტომის, – თუ ჩემი არ გჯერათ, შეგიძლიათ, თვითონ დარწმუნდეთ.

ბარათი სკოლის მოსწავლის კარგად ნაცნობი ხელწერით იუწყებოდა:

„ძვირფასო ჯულიუს,

ყოველთვის უკეთესია, რომ გაუგებარი არაფერი დარჩეს. სანამ ტომის არ მივაგნებთ, ქორწინებაზე ვერ ვიფიქრებ. ასე რომ, იმ დრომდე გადავდოთ.

თქვენი მეგობარი ტაპენსი.“

ტომიმ ბარათი ჯულიუსს დაუბრუნა. თვალები უბრწყინავდა. მის გრძნობებში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ახლა ტაპენსი კეთილშობილებისა და უანგარობის განსახიერებად მიაჩნდა. მან ხომ უყოყმანოდ უარყო ჯულიუსის წინადადება? მართალია, ეს საბოლოო უარი არ იყო, მაგრამ ამის პატიება შეეძლო. იქნებ სურდა, რომ ამით ჯულიუსი ეიძულებინა, უფრო ენერგიულად გაეგრძელებინა ტომის ძებნა. არა, ეს, ალბათ, უნებურად გამოვიდა. ძვირფასი ტაპენსი! ასეთ მეგობარს ვერსად იპოვის! როცა ერთმანეთს შეხვდებიან... უეცრად თითქოს ცივი წყალი გადაესხა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართალს ამბობთ, – თქვა მან და თავს მოერია, – იმაზე, თუ სად წავიდა, არაფერია ნათქვამი. ეი, ჰენრი!

ბიჭმა დამჯერედ მიირბინა მასთან. ტომიმ ჯიბიდან ხუთი შილინგი ამოიღო.

– მომისმინე, ხომ არ გახსოვს, სად წაიღო ახალგაზრდა ლედიმ დეპეშა?

ჰენრიმ აღელვებით წამოიძახა:

– დაჭმუჭნა, ბუხარში შეაგდო და „ვაშას“ მსგავსი შესძახა, სერ.

– ძალზე თვალსაჩინოდ გამაგებინე, ჰენრი, – უთხრა ტომიმ, – აჰა, ხუთი შილინგი. წავედით, ჯულიუს, იმ დეპეშას უნდა მივაგნოთ.

ისინი სასწრაფოდ მაღლა ავიდნენ. ტაპენსს გასაღები საკეტში დაეტოვებინა. ბუხარში მოთეთრო-მონარინჯისფრო დაჭმუჭნული ქაღალდი ეგდო. ტომიმ ხელი სტაცა და გაშალა.

„დაუყოვნებლივ მოდი შემდეგ მისამართზე: იორკშირი, ებერი, მოუთ-ჰაუსი. დიდებული სიახლეა. ტომი.“

მათ ერთმანეთს გაოცებით გადახედეს. პირველმა ჯულიუსმა დაილაპარაკა:

– მაგრამ ეს ხომ თქვენ არ გამოგიგზავნიათ?

– ცხადია, არა! რას ნიშნავს ეს?

– ვფიქრობ, ყველაზე ცუდს, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ჯულიუსმა, – მის ტაპენსი მათ ხელშია.

– რა?

– ეს ხომ აშკარაა?! დეპეშა თქვენი სახელით გამოგზავნეს, ის კი ცხვარივით გაება მახეში.

– ღმერთო ჩემო! როგორ მოვიქცეთ?

– ამ მისამართზე უნდა გავემგზავროთ! ახლავე! ყოველი წუთი ძვირფასია. ძალიან გაგვიმართლა, რომ მის ტაპენსმა დეპეშა თან არ წაიღო. ეს რომ არა, ვე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რასდროს მივაგნებდით. უნდა ვიჩქაროთ. სად არის ბრედშოუ[1]?

ჯულიუსის ენერგია გადამდები იყო. მარტო დარჩენილი ტომი, ალბათ, ნახევარი საათი მაინც იფიქრებდა სამოქმედო გეგმაზე, მაგრამ ჯულიუს ჰერსჰაიმერის გვერდით ამას ვერ მოახერხებდა. ჯულიუსმა რაღაც არასასიამოვნო ჩაიბურტყუნა ბრიტანელების შესახებ და ცნობარი ტომის მიაწოდა, რომელიც მასში უკეთ ერკვეოდა.

– აჰა. ებერი, იორკშირი. კინგს-კროსიდან. ან სენტ-პანკრასიდან (ბიჭს, ალბათ, აერია. ჩარინგ-კროსი კი არა, კინგს-კროსი). 12:50 – ამ მატარებლით გაემგზავრა ტაპენსი; 14:10-იანი უკვე გავიდა; მომდევნო 15:20-ზე გადის... მაგრამ ის ძლივს მიზოზინებს.

– მანქანით რომ წავიდეთ?

ტომიმ თავი გადააქნია.

– თუ გინდათ, მძღოლთან ერთად გაგზავნეთ, ჩვენ კი, აჯობებს, მატარებლით გავემგზავროთ. მთავარია, სიმშვიდე შევინარჩუნოთ.

ჯულიუსმა დაიკვნესა.

– კარგი. მაგრამ საშინლად ვბრაზობ, როცა ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა გამოუცდელი ქალიშვილი ასეთ საფრთხეში აღმოჩნდა.

ტომი დაბნეული სახით დაეთანხმა. იგი სხვა რამეზე ფიქრობდა. მოულოდნელად იკითხა:

– მომისმინეთ, ჯულიუს, ნეტა რა უნდათ მისგან?

– რა? ვერ გავიგე.

– იმას ვგულისხმობ, რომ, ჩემი აზრით, მისთვის ზიანის მიყენება არ აწყობთ, – მიუგო ტომიმ და დაძაბული ფიქრისგან შუბლი შეიჭმუხნა, – ის ხომ მძევალია. ჯერჯერობით, არაფერი ემუქრება. იმ შემთხვევისთვის ინახავენ, თუ რამეს გამოვჩხრეკთ. რაც უფრო

[1] *ბრედშოუ – მატარებლების განრიგის ცნობარი და გზამკვლევი, გამოცემული ლონდონში.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიდხანს ეყოლებათ თავისთან, მით უფრო შეგვიკრავენ ხელ-ფეხს. გასაგებია?

– რა თქმა უნდა, – ჩაფიქრებით დაეთანხმა ჯულიუსი, ასეა.

– გარდა ამისა, – დაამატა ტომიმ, – მე ძალიან მჯერა ტაპენსის.

მგზავრობა მომქანცველი აღმოჩნდა – მატარებელი ხშირად ჩერდებოდა, ვაგონები ხალხით იყო გაჭედილი. ორჯერ გადასხდნენ: ჯერ დონკასტერში, შემდეგ – ადგილობრივ მატარებელზე. ებერის დაცარიელებულ პლატფორმაზე ერთადერთი მებარგული მოჩანდა, რომელსაც ტომიმ ჰკითხა:

– როგორ მივიდეთ მოუთ-ჰაუსამდე?

– მოუთ-ჰაუსამდე? აქედან საკმაოდ შორსაა. ზღვასთან მდგარ დიდ სახლს გულისხმობთ?

ტომი თავხედურად დაეთანხმა. მათ მებარგულის დაწვრილებითი, თუმცა საკმაოდ არეულ-დარეული ახსნა მოისმინეს და სადგურიდან წავიდნენ. ამ დროს წვიმაც დაიწყო. საყელოები აიწიეს და ტალახიან გზას გაუყვნენ. უეცრად ტომი შეჩერდა.

– მოიცადეთ, – იგი სირბილით დაბრუნდა სადგურში და კვლავ მებარგულს მიუახლოვდა, – მომისმინეთ, ხომ არ გახსოვთ ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც აქ ლონდონიდან მომავალ წინა მატარებელს ჩამოჰყვა? ალბათ, გკითხათ კიდეც, მოუთ-ჰაუსში როგორ მოვხვდეო.

მან შეძლებისდაგვარად დაწვრილებით აღწერა ტაპენსი, მაგრამ მებარგულმა თავი გადააქნია. აღნიშნული მატარებლიდან რამდენიმე მგზავრი ჩამოსულიყო, თუმცა მას ახალგაზრდა ლედი არ ახსენდებოდა. სამაგიეროდ, დანამდვილებით შეეძლო ეთქვა, რომ მოუთ-ჰაუსის გზა არავის უკითხავს.

ტომი ჯულიუსთან დაბრუნდა და მებარგულის ნათქვამი გადასცა. დეპრესია ტყვიასავით აწვებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ძებნა უშედეგოდ დასრულდებოდა. მოწინააღმდეგემ მათ სამი საათით დაასწრო. მისტერ ბრაუნისთვის კი სამი საათი საკმარისზე მეტი დრო იყო. ცხადია, ის იმასაც გაითვალისწინებდა, რომ დეპეშა, შესაძლოა, აღმოეჩინათ.

გზას დასასრული არ უჩანდა. ერთხელ იქ არ შეუხვიეს, სადაც უნდა შეეხვიათ, და ნახევარი მილი ტყუილუბრალოდ იარეს. უკვე რვა საათი იწყებოდა, როდესაც, როგორც იქნა, ადგილობრივი ბიჭისგან გაიგეს, რომ მოუთ-ჰაუსი უახლოეს მოსახვევში მდებარეობდა და თითქმის მისულიყვნენ.

თუჯის ჟანგმოდებული კუტიკარი უხალისოდ ჭრიალებდა ანჯამებზე. ბუჩქებს შორის მისასვლელი ხეივანი ფოთლებს დაეფარა. ახალგაზრდებს, უნებურად, ტანში ჟრუანტელმა დაუარათ. ხეივანს გაუყვნენ. ფოთლების სქელი ფენა ნაბიჯების ხმას ახშობდა. თითქმის ბნელოდა და ისეთი შეგრძნება დაეუფლათ, თითქოს მოჩვენებათა სამეფოში მოხვდნენ. თავზემოთ მძლავრი ტოტები ირხეოდნენ, ერთმანეთს ეხებოდნენ და ნაღვლიანად ხმაურობდნენ. ზოგჯერ ქვემოთ ცივი. სველი ფოთოლი ვარდებოდა და მგზავრები შიშისგან კრთებოდნენ, როცა ის მათ სახეზე ეხებოდათ.

მოსახვევიდან სახლიც დაინახეს. ისიც მიტოვებულს ჰგავდა. დარაბები მიეხურათ, პარმაღის საფეხურებს ხავსი მოსდებოდა. ნუთუ ტაპენსი ამ უკაცრიელ ადგილას შეიტყუეს? ისე ჩანდა, რომ აქ, კარგა ხანია, არავის გაევლო.

ჯულიუსმა ზარის დაჟანგული სახელური დაქაჩა. შიგნიდან გაბზარული ჟღარუნი გაისმა, ექო მთელ ცარიელ სახლში გავრცელდა. არავინ გამოეხმაურათ. კვლავ და კვლავ ამაოდ რეკავდნენ. სახლს შემოუარეს, მაგრამ ყველგან მხოლოდ სიჩუმე და დარაბები ხვდებოდათ. თუ თვალი არ ატყუებდათ, ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

– აქ ვერაფერს გავიგებთ, – თქვა ჯულიუსმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისინი კვლავ კუტიკარისკენ გაემართნენ.

– შორიახლო სოფელი უნდა იყოს, – განაგრძო ახალგაზრდა ამერიკელმა, – აჯობებს, იქ ვიკითხოთ. რამე მაინც ეცოდინებათ ამ ადგილის შესახებ. იქნებ ამ ბოლო დროს ვინმეს მოჰკრეს თვალი.

– ჰო, კარგი აზრია.

გზას გაუყვნენ და მალე პატარა სოფელს მიადგნენ. განაპირას მუშას შეხვდნენ, რომელსაც ხელსაწყოებით სავსე ჩანთა მიჰქონდა. ტომიმ შეაჩერა და შეკითხვა დაუსვა.

– მოუთ-ჰაუსი? იქ არავინ ცხოვრობს. უკვე რამდენიმე წელია. თუ მისი დათვალიერება გსურთ, გასაღები მისის სუინის აქვს. ფოსტის გვერდით მდგარ სახლს მიაკითხეთ.

ტომიმ მადლობა გადაუხადა. სწრაფად მიაგნეს ფოსტას, რომელიც, იმავდროულად, საკონდიტროც იყო და ჩვეულებრივი მაღაზიაც, და მეზობელი სახლის კარზე დააკაკუნეს. სუფთად ჩაცმულმა, გულკეთილი შესახედაობის ქალმა მყისვე გამოუტანა გასაღები.

– ოღონდ, ვფიქრობ, ის სახლი არ გამოგადგებათ, სერ. ძალზე შელახულია, სახურავიდან წვიმა ჩადის, ათასი რამე სჭირს. ამ ყველაფერს უამრავი ფული დასჭირდება.

– გმადლობთ, – მხიარულად მიუგო ტომიმ, – როგორც ჩანს, ტყუილუბრალოდ ჩამოვედით, მაგრამ ჩვენს დროში სახლის შერჩევა იოლი არაა.

– მართალს ბრძანებთ, – დაეთანხმა ქალი, – ჩემმა ქალიშვილმა და სიძემაც ვერ იპოვეს ნორმალური კოტეჯი, სულ ეძებენ და ეძებენ. ეს სულ ომის ბრალია. ყველაფერი გააფუჭა. მაპატიეთ, სერ, მაგრამ ამ სიბნელეში რას დაინახავთ? ხომ არ აჯობებს, ხვალამდე მოიცადოთ?

– შესაძლოა, თუმცა ახლაც გავარჩევთ რამეს. ადრე მოვიდოდით, მაგრამ იმ სახლის ძებნაში გზა აგვერია. სად შეიძლება აქ ღამის გათევა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისის სუინი შეყოყმანდა.

– ალბათ, „იორკშირ-არმსში“. თუმცა თქვენნაირ ჯენტლმენებს არც ის შეეფერება.

– არა უშავს. დიდი მადლობა. ჰო, მართლა, დღეს გასაღები ახალგაზრდა ლედის ხომ არ უთხოვია?

მისის სუინიმ თავი გადააქნია.

– არა, იქ დიდი ხანია, არავინ მოსულა.

– კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას.

ისინი მიტოვებულ სახლთან დაბრუნდნენ. როდესაც შესასვლელი კარი პროტესტის გამომხატველი ჭრიალით გაიღო, ჯულიუსმა ასანთს გაჰკრა და იატაკი ყურადღებით შეათვალიერა, შემდეგ თავი გადააქნია.

– არა, აქ არავინ შემოსულა. მტვერს შეხედეთ – კვალი არ ეტყობა.

მათ ცარიელი ოთახები შემოიარეს. ყველგან ერთი და იგივე სურათი დახვდათ. კვალი არსად ჩანდა.

– საკმარისია, – თქვა ჯულიუსმა, – არ მჯერა, რომ ტაპენსი აქ იყო.

– ასე გადაჭრითაც ნუ იტყვით.

ჯულიუსმა თავი გადააქნია, მაგრამ დუმილი არჩია.

დილას კვლავ დაათვალიერეს სახლი და უხალისოდ დაასკვნეს, რომ აქ, კარგა ხანია, ფეხი არავის შემოედგა.

ალბათ, მაშინვე გაემგზავრებოდნენ, რომ არა ილბლიანი აღმოჩენა. ჭიშკრისკენ მიმავალ გზაზე ტომიმ უეცრად შეჰყვირა, დაიხარა, ფოთლებიდან რაღაც ამოიღო და ჯულიუსს გაუწოდა. ეს ოქროს პატარა გულსაბნევი იყო.

– ეს ხომ ტაპენსისაა!

– დარწმუნებული ხართ?

– აბსოლუტურად. ხშირად მინახავს, რომ ეკეთა.

ჯულიუსმა ღრმად ამოიოხრა.

– მაშასადამე, აქ მაინც ყოფილა. „იორკშირ-არმსში“ მოვეწყოთ და მანამ ვეძებოთ, სანამ არ მივაგნებთ. ვილაცას ხომ უნდა დაენახა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გარშემო ყველაფერი გაჩხრიკეს, – ერთადაც და ცალ-ცალკეც, – მაგრამ უშედეგოდ. ტაპენსის მსგავსი ქალიშვილი არავის ენახა. ამის მიუხედავად, ახალგაზრდები იმედს არ ჰკარგავდნენ. ყოველი შემთხვევისთვის, გადაწყვიტეს, ტაქტიკა შეეცვალათ. აშკარა იყო, რომ ტაპენსმა მოუთ-ჰაუსის სიახლოვეს ცოტა ხანი დაჰყო. როგორც ჩანს, მაშინვე ხელი სტაცეს და მანქანით წაიყვანეს. მათ ძებნა განაახლეს. ვინმეს ხომ არ უნახავს ავტომობილი იმ დღეს მოუთ-ჰაუსის სიახლოვეს? თვითმხილველი არავინ აღმოჩნდა.

ჯულიუსმა ლონდონიდან თავისი მანქანა ჩამოაყვანინა და ისინი ყოველდღე აღმა-დაღმა დადიოდნენ.

ნაცრისფერი ლიმუზინის კვალმა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ, ისინი ჰაროგეითამდე მიიყვანა, მაგრამ ის ძალზე პატივსაცემი ხანდაზმული შინაბერას საკუთრება გამოდგა!

ყოველ მომდევნო დღეს ახალ მარშრუტს ირჩევდნენ. ჯულიუსი თასმაგამობმულ მეძებარს ჰგავდა, ნებისმიერ წვრილმანს ედევნებოდა. ყველა ავტომობილი მოიძია, რომელმაც იმ საბედისწერო დღეს სოფელში გაიარა, მათ მფლობელებს სახლში მიაკითხა და მკაცრი დაკითხვა მოუწყო. ამას ყოველთვის ისეთი მხურვალე მობოდიშებით ასრულებდა, რომ აღშფოთებულ მსხვერპლს ბრაზი მყისვე უქრებოდა. დღე დღეს მისდევდა, ტაპენსი კი თითქოს მიწამ ჩაყლაპა.

ტომის სულ უფრო ხშირად არ ასვენებდა ერთი აზრი.

– იცით, რამდენი ხანია, აქ ვართ? – იკითხა ერთხელ საუზმობისას, – ერთი კვირა! ტაპენსს ვერ მივაგენით, მომდევნო კვირა კი ოცდაცხრაა!

– დალახვროს ეშმაკმა! – ჩაფიქრებული სახით თქვა ჯულიუსმა, – ოცდაცხრა საერთოდ აღარ მახსოვდა. მხოლოდ ტაპენსზე ვფიქრობდი.

– მეც. ანუ ოცდაცხრა არ დამვიწყებია, ოღონდ უმნიშვნელო რამედ მიმაჩნდა ტაპენსის გაუჩინარებასთან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შედარებით. მაგრამ დღეს ოცდასამია, დრო თითქმის აღარ დაგვრჩა. თუ მისი მოძებნა გვინდა, ეს ოცდაცხრამდე უნდა მოვახერხოთ. მოგვიანებით მის სიცოცხლეს ფასი დაეკარგება. მძევალი აღარ დასჭირდებათ. ვფიქრობ, სერიოზული მარცხი განვიცადეთ ამ ძებნისას. ამდენი დრო დავკარგეთ და ვერაფერს მივაღწიეთ.

– გეთანხმები. იმ სულელებს ვგავართ, რომლებმაც მოზრდილი ლუკმა მოკბიჩეს, მაგრამ დაღეჭვას ვეღარ ახერხებენ. არა, ასე უტვინოდ მოქცევას აღარ ვაპირებ.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რაც ერთი კვირის წინათ უნდა გაგვეკეთებინა. ახლავე ლონდონში წავალ და საქმეს ჩვენს ბრიტანეთის პოლიციას გადავცემ. საკუთარი თავი მაძებრებად წარმოვიდგინეთ! მაძებრები! ამაზე მეტი სისულელე, ალბათ, არავის ჩაუდენია! მეყოფა! ახლა სკოტლენდიარდმა იმუშაოს!

– მართალი ხართ, – დინჯად დაეთანხმა ტომი, – ნეტა, თავიდანვე ასე მოვქცეულიყავით.

– ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ჩვენ იმ ბავშვებს დავემსგავსეთ, დამალობანას რომ თამაშობენ. ახლა პირდაპირ სკოტლენდიარდში წავალ და ვთხოვ, ხელი ჩამკიდონ და გზაზე გამომიყვანონ. ვფიქრობ, მოყვარულს საბოლოოდ ყოველთვის პროფესიონალი ჯობნის. წამოხვალთ ჩემთან ერთად?

ტომიმ თავი გადააქნია.

– რა საჭიროა? ამას ერთი ჩვენგანიც ეყოფა. მე კვლავ აქ ვცდი რამეს. ვინ იცის, იქნებ რამე გაირკვეს.

– კარგი. აბა, დროებით. მალე დავბრუნდები პოლიციელებთან ერთად. ვთხოვ, რომ საუკეთესოები გამოგზავნონ.

მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ჯულიუსმა თავისი გეგმა ვეღარ განახორციელა. დღისით ტომიმ დეპეშა მიიღო:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„შემომიერთდით მანჩესტერში, სასტუმრო „მიდლენდში“. მნიშვნელოვანი სიახლეა.

ჯულიუსი.“

იმავე დღის 19:30-ზე ტომი მანჩესტერში სამგზავრო მატარებლიდან ჩამოვიდა. ჯულიუსი ბაქანზე ელოდებოდა.

– ვიცოდი, რომ ამ მატარებელს ჩამოჰყვებოდით, თუ დეპეშა არ დაიგვიანებდა.

ტომი იდაყვში ჩააფრინდა.

– რა მოხდა? ტაპენსი იპოვეს?

ჯულიუსმა თავი გადააქნია.

– არა. მაგრამ შეხედეთ, რა დამხვდა ლონდონში. ჩემი ჩასვლის წინ მოუტანიათ.

მან დეპეშა გაუწოდა ტომის, რომელმაც თვალებგაფართოებულმა წაიკითხა:

„ჯეინ ფინი ნაპოვნია. დაუყოვნებლივ ჩამოდით მანჩესტერში, სასტუმრო „მიდლენდში“.

ფილ ედჯერტონი.“

ჯულიუსმა დეპეშა გამოართვა და დაკეცა.

– უცნაურია, – თქვა მან ჩაფიქრებით, – მე კი მეგონა, რომ ადვოკატმა ამ საქმეს თავი დაანება!

თავი მეცხრამეტე
ჯეინ ფინი

– ჩემი მატარებელი ნახევარი საათის წინათ ჩამოდგა, – განმარტა ჯულიუსმა სადგურის შენობიდან გამოსვლისას, – ჯერ კიდევ ლონდონში ყოფნისას გამოვიანგარიშე, რომ ამ მატარებელს ჩამოჰყვებოდი. ჰოდა, სერ ჯეიმზს ვუდეპეშე. მან ჩვენთვის ნომრები იქირავა, რვა საათზე კი რესტორანში შეგვხვდება.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რის საფუძველზე დაასკვენი, რომ ამ საქმეში მონაწილეობის მიღება აღარ სურდა? – დაინტერესდა ტომი.

– მისივე სიტყვებიდან გამომდინარე, – ცივად მიუგო ჯულიუსმა, – მოხუცმა იცის, როგორ მოიქცეს. ისევე, როგორც მთელმა მათმა ამქარმა. მანამდე არ აპირებდა კარტის გახსნას, სანამ გამარჯვებაში არ დარწმუნდებოდა.

– საინტერესოა, – ჩაფიქრებული სახით ჩაილაპარაკა ტომიმ.

ჯულიუსი მისკენ შეტრიალდა.

– რა არის საინტერესო?

– მართლა ეს თუ იყო მიზეზი.

– რა თქმა უნდა. ამაზე ყველაფერს დავდებ.

ტომიმ თავი ეჭვნეულად გადააქნია.

სერ ჯეიმზი ზუსტად რვა საათზე მოვიდა. ჯულიუსმა ტომი გააცნო. სერ ჯეიმზმა გულთბილად ჩამოართვა ხელი.

– ძალიან მიხარია თქვენი გაცნობა, მისტერ ბერესფორდ. ბევრი მსმენია თქვენზე მის ტაპენსისგან, – მას უნებურად გაეღიმა, – ასე მგონია, უკვე კარგად გიცნობთ.

– გმადლობთ, სერ, – ჩვეული მხიარული ღიმილით მიუგო ტომიმ, რომელიც თვალს არ აშორებდა სახელგანთქმულ ადვოკატს. ტაპენსივით, მანაც მყისვე იგრძნო მისი მაგნეტიზმის ძალა, რამაც მისტერ კარტერი გაახსენა. მართალია, გარეგნულად ისინი ერთმანეთს სრულიად არ ჰგავდნენ, მსგავს შთაბეჭდილებას ახდენდნენ. როგორც ერთი მათგანის გარეგნული მიუკერძოებლობის, ისე მეორის პროფესიული თავშეკავების მიღმა სამართებელივით ბასრი გონება იმალებოდა.

ტომიმ შენიშნა, რომ სერ ჯეიმზიც ყურადღებით ათვალიერებდა მას. როდესაც ადვოკატმა მზერა აარიდა, ტომის ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის გაშლილი წიგნივით წაიკითხეს. ბუნებრივია, აინტერესებდა, მასზე რას ფიქრობდნენ, თუმცა ამის იმედი არ უნდა ჰქონოდა. სერ ჯეიმზი ყველაფერს ამჩნევდა, მაგრამ საკუთარ დასკვნებზე დუმილს ამჯობინებდა. ეს უახლოესმა მომავალმაც დაადასტურა.

ჯულიუსმა მას შეკითხვები დააყარა: როგორ მიაგნო სერ ჯეიმზმა მის მამიდაშვილს? რატომ დაუმალა მათ, რომ ძებნას განაგრძობდა? და ასე შემდეგ.

სერ ჯეიმზი მხოლოდ ნიკაპს ისრესდა და იღიმებოდა, ბოლოს, მან თქვა:

– დამშვიდდით, ის ხომ უკვე ნაპოვნია. ეს კი მთავარია, არა? ხომ ესაა მთავარი?

– რა თქმა უნდა. მაგრამ მაინც მაინტერესებს, როგორ მოახერხეთ მის კვალზე დადგომა. მე და მის ტაპენსს გვეგონა, რომ ამ საქმეზე ხელი ჩაიქნიეთ.

– აჰ! – ადვოკატმა მას სწრაფად შეავლო თვალი და კვლავ თავის ნიკაპს დაუბრუნდა, – მაშ, ასე გეგონათ? მართლა? ჰმ, ღმერთო ჩემო!

– მაგრამ ახლა ვხედავ, რომ შევცდით, – განაგრძო ჯულიუსმა.

– ამას ასე გადაჭრით არ ვიტყოდი. თუმცა, ცხადია, ყველას გაგვიმართლა, რომ ახალგაზრდა ლედის პოვნა შევძელით.

– ახლა სად არის? – ჰკითხა ჯულიუსმა, რომელიც უკვე სხვა რამეზე ფიქრობდა, – ალბათ, თან წამოიყვანეთ, არა?

– სამწუხაროდ, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, – სერიოზული სახით მიუგო სერ ჯეიმზმა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ახალგაზრდა ლედის ქუჩაში მანქანა დაეჯახა და თავი დაუზიანდა. იგი საავადმყოფოში გააქანეს. ახლახან გონზე მოვიდა და თქვა, რომ ჯეინ ფინი ჰქვია. როდესაც... ე-ე... ეს შევიტყვე, დავიჟინე, რომ ექიმის, ჩემი მეგობრის სახლში გადაეყვანათ და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაუყოვნებლივ გიდეპეშეთ. მაგრამ მან კვლავ დაკარგა გონება და ჯერაც ამ მდგომარეობაშია.

– ეს სერიოზულია?

– არა, მხოლოდ მცირე დაჟეჟილობა და ნაკაწრია. სამედიცინო კუთხით, იმდენად მსუბუქი ტრავმაა, რომ ასეთ შედეგს ვერ გამოიწვევდა. ეს უფრო მეტად იმ ფსიქოლოგიური შოკის ბრალია, რაც მეხსიერების დაბრუნებას უკავშირდება.

– მას მეხსიერება დაუბრუნდა? – შესძახა აღელვებულმა ჯულიუსმა.

სერ ჯეიმზმა მოუთმენლად შეათამაშა თითები მაგიდაზე.

– ცხადია, მისტერ ჰერსჰაიმერ, რადგან მან თავისი ნამდვილი სახელი გაიხსენა. მეგონა, ამას მიხვდებოდით.

– თქვენ კი საჭირო ადგილას აღმოჩნდით, – თქვა ტომიმ, – ნამდვილ ზღაპარს ჰგავს, არა?

სერ ჯეიმზმა მშვიდად აუარა გვერდი ხაფანგს.

– ცხოვრებაში უცნაური დამთხვევაც ხდება ხოლმე, – ჩაილაპარაკა ცივად.

მაგრამ ამ წუთიდან მოყოლებული, ტომის ეჭვი აღარ ეპარებოდა იმაში, რასაც აქამდე მხოლოდ ვარაუდობდა: მანჩესტერში სერ ჯეიმზის ყოფნას შემთხვევითობას ვერ მიაწერდა.

აღმოჩნდა, რომ მან არათუ ხელი არ ჩაიქნია ძებნაზე, როგორც ჯულიუსს ეგონა, არამედ მხოლოდ მისთვის ცნობილი გზით მოახერხა დაკარგული ქალიშვილის პოვნა. ტომი ამ გასაიდუმლოებული ქცევის მიზეზს ვერ მიმხვდარიყო. ბოლოს, ეს ყველაფერი მის პროფესიას მიაწერა – ადვოკატებს ხომ ენაზე კბილის დაჭერა სჩვევიათ.

ფიქრი ჯულიუსის ხმამ შეაწყვეტინა.

– სადილის შემდეგ პირდაპირ ჯეინთან წავალ, – განაცხადა მან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვშიშობ, ამას აზრი არა აქვს, – მიუგო სერ ჯეიმზმა, – არა მგონია, ასე გვიან მასთან მნახველი შეუშვან. ხომ არ აჯობებს, თქვენი ვიზიტი ხვალინდელი დღისთვის, ვთქვათ, დილის ათი საათისთვის გადადოთ?

ჯულიუსი გაწითლდა. იყო სერ ჯეიმზში რაღაც, რაც მასში ანტაგონიზმს იწვევდა. მსგავსი კონფლიქტი ძლიერ პიროვნებებს შორის ხდება ხოლმე.

– არა, ვფიქრობ, მაინც ამ საღამოს წავალ. იქნებ ფულით მოვახერხო მათი სულელური წესების შეცვლა.

– აქედან არაფერი გამოვა, მისტერ ჰერსჰაიმერ.

ეს სიტყვები ისე გაისმა, თითქოს პისტოლეტი გავარდაო. ტომი შეკრთა კიდეც. აღგზნებული ჯულიუსი აშკარად ღელავდა. ხელი, რომლითაც სირჩა პირთან მიეტანა, ოდნავ უცახცახებდა. სერ ჯეიმზს გამომწვევად შეხედა. ჩანდა, რომ მათი ურთიერთსიძულვილის ნაპერწკლიდან, საცაა, ხანძარი იფეთქებდა. მაგრამ ჯულიუსი თავს მოერია და თვალები დახარა.

– რა გაეწყობა, ჯერჯერობით, თქვენ ხართ ბოსი.

– გმადლობთ, – თქვა ადვოკატმა, – მაშასადამე, ხვალ ათ საათზე, არა? – იგი, ვითომც არაფერი მომხდარაო, ტომის მიუბრუნდა, – გამოგიტყდებით, მისტერ ბერესფორდ, თქვენთან შეხვედრა ჩემთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. როდესაც თქვენს მეგობრებს დავშორდი, ისინი თქვენ გამო ძალიან წუხდნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში არაფერს იტყობინებოდით და მის ტაპენსმა დაასკვნა, რომ რთულ ვითარებაში აღმოჩნდით.

– არც შემცდარა, სერ! – ღიმილით მიუგო ტომიმ, – ამაზე რთულ ვითარებაში ცხოვრებაში არ ვყოფილვარ.

სერ ჯეიმზის შეკითხვების პასუხად მან მოკლედ აღწერა საკუთარი თავგადასავალი და როდესაც დაასრულა, შეამჩნია, რომ ადვოკატი კვლავ ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩინებულად დაგიღწევიათ თავი, – სერიოზული სახით უთხრა ადვოკატმა, – გილოცავთ. საოცარი საზრიანობა გამოგიჩენიათ და ყველა სირთულეს მშვენივრად გამკლავებიხართ.

შექებისგან ტომი ისე გაწითლდა, კრევეტს დაემსგავსა.

– იმ ქალიშვილის გარეშე არაფერი გამომივიდოდა, სერ.

– ასეა, – სერ ჯეიმზს ოდნავ გაელიმა, – გაგიმართლათ, რომ მას... ე-ე... მოეწონეთ, – ტომის შეპასუხება სურდა, მაგრამ სერ ჯეიმზმა განაგრძო: – ვფიქრობ, აშკარაა, რომ ისიც იმ ბანდის წევრია, არა?

– ვშიშობ, ასეა, სერ. თავდაპირველად მეგონა, რომ ძალდატანებით ჰყავდათ იქ, მაგრამ მისი საქციელი საპირისპიროს ამტკიცებს. იგი მათთან დაბრუნდა, არადა, გაქცევა შეეძლო.

სერ ჯეიმზმა ჩაფიქრებული სახით დაუქნია თავი.

– რა თქვა იმ ქალიშვილმა? მარგარიტასთან წამიყვანეთო?

– დიახ, სერ. ვფიქრობ, მისის ვანდემაიერს გულისხმობდა.

– იგი ხელმოწერისას ყოველთვის „რიტა ვანდემაიერს“ აფიქსირებდა. მეგობრებიც რიტას ეძახდნენ. თუმცა შესაძლებელია, ქალიშვილი მას ყოველთვის სრული სახელით მიმართავდა. როდესაც მან მარგარიტა დაიძახა, მისის ვანდემაიერი კვდებოდა ან უკვე გარდაცვლილი იყო! უცნაურია! კიდევ რაღაც ვერ გამიგია. თუნდაც მათი მხრიდან თქვენდამი ურთიერთობის მოულოდნელად შეცვლა. ჰო, მართლა, პოლიციამ სახლი, ალბათ, გაჩხრიკა, არა?

– დიახ, სერ. მაგრამ მათ გაქცევა მოასწრეს.

– ბუნებრივია, – ცივად თქვა სერ ჯეიმზმა.

– და ერთი სამხილიც არ დაუტოვებიათ.

– საინტერესოა... – ჩაფიქრებულმა ადვოკატმა მა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გიდაზე თითები აათამაშა. ტომი მისმა ხმამ რატომღაც შეაშფოთა. შესაძლოა, სერ ჯეიმზის მახვილმა თვალმა ის დაინახა, რაც მათ ვერ შეამჩნიეს? მან იმპულსურად წარმოთქვა:

– აი, თქვენ რომ ყოფილიყავით, იქ, სერ, როცა სახლი გაჩხრიკეს!..

– დიახ, ნეტა ვყოფილიყავი, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა სერ ჯეიმზმა. იგი გაჩუმდა, შემდეგ კი ტომის შეხედა, – რა მოხდა შემდეგ? როგორ მოიქეცით?

ტომი გაოცებით მიაჩერდა მას და მერეღა მოისაზრა, რომ ადვოკატმა ბოლო მოვლენების შესახებ არაფერი იცოდა.

– დამავიწყდა, რომ არ იცით, ტაპენსს რა შეემთხვა, – თქვა აუჩქარებლად და მტანჯველმა წუხილმა, რომელიც ჯეინ ფინის ამბავმა დროებით დაავიწყა, კვლავ შეუკუმშა გული.

ადვოკატმა ხმაურით დადო დანა-ჩანგალი.

– რა შეემთხვა მის ტაპენსს? – იკითხა დაძაბული ხმით.

– ის გაუჩინარდა, – უთხრა ჯულიუსმა.

– როდის?

– ერთი კვირის წინათ.

– როგორ?

სერ ჯეიმზმა შეკითხვები ტყვიებივით მიაყარა. ტომიმ და ჯულიუსმა ბოლო კვირის მოვლენებისა და ამაო ძებნის შესახებ უამბეს.

ადვოკატმა მყისვე გამოიცნო უმთავრესი.

– დეპეშა თქვენი ხელმოწერით? მაშასადამე, ბევრი რამ სცოდნიათ თქვენ შესახებ. თუმცა უფრო მეტის გაგება სურთ იმის თაობაზე, რაც სოჰოში შეიტყვეთ. მის ტაპენსის მოტაცება თქვენი გადარჩენის საპასუხოდ გაკეთებული სვლაა. თუ დასჭირდათ, თქვენი მეგობრის მოკვლით დაგემუქრებიან და დუმილს გაიძულებენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომიმ თავი დაუქნია.

– მეც სწორედ ეს გავიფიქრე, სერ.

სერ ჯეიმზმა მას დაჟინებული მზერა მიაპყრო.

– მაშასადამე, ეს თქვენით დაასკვენით? კარგია... მართლა კარგია. ცხადია, როდესაც ტყვედ ჩაუვარდით, თქვენ შესახებ არაფერი იცოდნენ. დარწმუნებული ხართ, რომ არაფერი წამოგცდათ? რომ თავი არაფრით გაეცით?

ტომიმ კვლავ დააქნია თავი.

– ასე, – ჩაერთო ჯულიუსი, – მაშასადამე, მათ ეს ვილაცისგან შეიტყვეს... არაუადრეს კვირისა.

– დიახ, მაგრამ ვისგან?

– რა თქმა უნდა, ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე მისტერ ბრაუნისგან!

ამერიკელის ხმაში დაცინვამ გაიჟღერა. სერ ჯეიმზმა მას მკვეთრად შეხედა.

– მისტერ ჰერსჰაიმერ, მისტერ ბრაუნის არსებობის არ გჯერათ?

– დიახ, სერ, არ მჯერა, – ხაზგასმით მიუგო ამერიკელმა, – ყოველ შემთხვევაში, იმ სახით, როგორც მას ახასიათებენ. ჩემი აზრით, ის მხოლოდ დასაშინებლად მოიგონეს – ბავშვებსაც ასე ექცევიან ხოლმე. ყველაფერს კი რუსი კრამენინი მართავს. ვფიქრობ, თუ დასჭირდა, ორ-სამ რევოლუციას თავისუფლად მოაწყობს, თანაც ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში. უიტინგტონი კი, ალბათ, მის ფილიალს ხელმძღვანელობს აქ, ინგლისში.

– არ გეთანხმებით, – მოკლედ მოუჭრა სერ ჯეიმზმა, – მისტერ ბრაუნი არსებობს, – იგი ტომის მიუბრუნდა, – ხომ არ დაკვირვებიხართ, საიდან გამოგზავნეს დეპეშა?

– არა, სერ, ყურადღება არ მიმიქცევია.

– ჰმ... ის თქვენ გაქვთ?

– დიახ, სერ, მაღლა, ჩემოდანში მიდევს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგი იქნებოდა, რომ მისთვის შემეხედა. არა, ეს საჩქარო არაა. თქვენ უკვე დაკარგეთ ერთი კვირა, – ტომიმ თავი ჩაქინდრა, – ასე რომ, ერთი დღე არაფერს ცვლის. ჯერ მის ჯეინ ფინის საკითხი გავარკვიოთ, შემდეგ კი მის ტაპენსის დახსნაზე ვიფიქროთ. არა მგონია, მას ახლა რამე ემუქრებოდეს. ანუ სანამ არ შეუტყვიათ, რომ ჯეინ ფინს მივაგენით, და რომ მას მეხსიერება დაუბრუნდა. ეს ნებისმიერ ფასად უნდა დავმალოთ, გასაგებია?

ტომი და ჯულიუსი თავის დახრით დაეთანხმნენ. სახელგანთქმული ადვოკატი მათ მეორე დღეს შეხვედრაზე შეუთანხმდა და წავიდა.

დილის ათ საათზე უკვე ექიმის სახლთან იყვნენ. სერ ჯეიმზი ახალგაზრდებს პარმაღზე ელოდებოდა და, მათგან განსხვავებით, სიმშვიდეს განასახიერებდა. მან ისინი ექიმს წარუდგინა:

– მისტერ ჰერსჰაიმერი, მისტერ ბერესფორდი – დოქტორი როილანსი. აბა, როგორაა პაციენტი?

– საკმაოდ კარგად. მაგრამ, როგორც ჩანს, დროში ორიენტაცია უჭირს. დღეს დილას მკითხა, ბევრი მგზავრი თუ გადარჩა „ლუზიტანიიდან“ და რას სწერენ ამის შესახებ გაზეთებიო. თუმცა, სხვას არც ველოდი. ეტყობა, რომ ეს აწუხებს.

– ვფიქრობ, მის დამშვიდებას შევძლებთ. შეიძლება, მასთან ავიდეთ?

– ცხადია.

ისინი ექიმს გაჰყვნენ. სანამ კიბეზე ადიოდნენ, ტომის გული გამალებით აუძგერდა. როგორც იქნა, ჯეინ ფინს ნახავს! იდუმალებით მოცულ, მოუხელთებელ ჯეინ ფინს, რომელსაც ამდენ ხანს ეძებდნენ! და ამის იმედი თითქმის გადაეწურათ! და აჰა, ახლა ამ სახლში იწვა ქალიშვილი, რომელსაც მეხსიერება სასწაულებრივად დაბრუნებოდა, და რომელზეც ინგლისის მომავალი იყო დამოკიდებული. ტომიმ სინანულისგან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კინაღამ დაიკვნესა. ნეტა ტაპენსიც მათ გვერდით ყოფილიყო, რათა მათი ერთობლივი ძალისხმევის წარმატებული შედეგით გამოწვეული სიხარული გაეზიარებინა! მან გადაჭრით მოიშორა თავიდან ტაპენსზე ფიქრი. სულ უფრო მეტად ენდობოდა სერ ჯეიმზს. ეს ადამიანი აუცილებლად დაადგენდა ტაპენსის ადგილსამყოფელს. ახლა კი ჯეინ ფინი იყო მთავარი! უეცრად გულში შიში შეეპარა. ყველაფერი ძალზე მარტივად გვარდებოდა... იქნებ ის უკვე მოკლეს... იქნებ მისტერ ბრაუნმა სიცოცხლეს გამოასალმა?

თუმცა ერთი წუთის შემდეგ უკვე დასცინოდა საკუთარ მელოდრამატულ წარმოსახვას. ექიმმა კარი გამოაღო და ოთახში შევიდნენ, სადაც თეთრ საწოლზე თავშეხვეული ქალიშვილი იწვა. ეს სცენა თითქოს არარეალურს ჰგავდა. აბა, სხვა რა უნდა დახვედროდათ, მაგრამ ეფექტურ, ლამაზ სპექტაკლად მოეჩვენა.

ქალიშვილი მათ ფართოდ გახელილი დიდი თვალებით გაოცებით შეჰყურებდა. დუმილი სერ ჯეიმზმა დაარღვია.

– მის ფინ, – თქვა მან, – ეს თქვენი ბიძაშვილი, მისტერ ჯულიუს ფ. ჰერსჰაიმერია.

ქალიშვილს ლოყები ოდნავ შეეფაკლა, როდესაც ჯულიუსი მისკენ დაიხარა და ხელზე შეეხო.

– როგორ ხარ, ჯეინ, მამიდაშვილო? – მხიარულად უთხრა ჯულიუსმა და ტომიმ მის ხმაში თრთოლა შეამჩნია.

– თქვენ მართლა ბიძია ჰაირემის შვილი ხართ? – ჰკითხა გაოცებულმა ქალიშვილმა.

დასავლეთამერიკული სითბოთი გაჯერებული მისი ხმა საუცხოოდ ჟღერდა. ტომის ის რაღაცით ეცნო, მაგრამ მყისვე უკუაგდო მორიგი სულელური ფანტაზია.

– აბა, რა!

– ხშირად ვკითხულობდით გაზეთებში ბიძია ჰაირე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მის შესახებ, – განაგრძო ქალიშვილმა რბილი კილოთი, – მაგრამ არ მეგონა, თუ თქვენ ოდესმე გნახავდით. დედა ყოველთვის ამბობდა, რომ ბიძია ჰაირემი მას არასდროს აპატიებდა.

– ჰო, მოხუცს ასეთი ხასიათი ჰქონდა, – აღიარა ჯულიუსმა, – მაგრამ ჩვენ ხომ ახალი თაობა ვართ და ფეოდალურ მიდგომას არ გამოვედევნებით. ომის დასრულებისთანავე შენი ძებნა დავიწყე.

ქალიშვილს სახე მოეღუშა.

– მითხრეს... ეს საშინელებაა... რომ მეხსიერება დავკარგე; და რომ არის წლები, რომელთა შესახებაც ვერასდროს ვერაფერს გავიგებ – ჩემი ცხოვრების დაკარგული წლები.

– ეს ჯერ ვერ გააცნობიერე?

ქალიშვილს თვალები გაუფართოვდა.

– ვერა. ასე მგონია, რამდენიმე დღეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ნავებში ჩაგვსხეს. ჯერაც თვალწინ მიდგას... – მან თვალები დახუჭა.

ჯულიუსმა სერ ჯეიმზს შეხედა, რომელმაც თავი დაუქნია.

– შეეცადე, დამშვიდდე, არ გინდა ამის გახსენება. აი, კიდევ რა, ჯეინ. შენგან რაღაცის გაგება გვინდა. „ლუზიტანიაზე“ შენთან ერთად მამაკაცი იმყოფებოდა. მას მნიშვნელოვანი დოკუმენტი მოჰქონდა. ამ ქვეყნის წარჩინებულ პირთა ერთ ჯგუფს ჰგონია, რომ მან ის შენ გადმოგცა. ეს სიმართლეა?

ქალიშვილი შეყოყმანდა, ხან სერ ჯეიმზს უყურებდა, ხან – ტომის. ჯულიუსი ყველაფერს მიხვდა.

– ბრიტანეთის ხელისუფლებამ მისტერ ბერესფორდს ამ დოკუმენტის მოძიება დაავალა, სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონი კი პარლამენტის ინგლისელი წევრია და რომ მოენდომებინა, მინისტრთა კაბინეტში მნიშვნელოვანი თანამდებობის დაკავებაც შეეძლო. მხოლოდ მისი წყალობით შევძელით შენი მოძებნა, ასე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ, ნურაფრის გეშინია. დენვერსმა დოკუმენტი შენ გადმოგცა?

– დიახ, მან თქვა, რომ ასე უფრო საიმედო იქნებოდა, რადგან ნავებში ჯერ ქალებსა და ბავშვებს მოათავსებდნენ.

– ასეც ვფიქრობდით, – შენიშნა სერ ჯეიმზმა.

– მან მითხრა, რომ ეს მოკავშირეებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და საჭირო დოკუმენტი იყო. მაგრამ მას შემდეგ ამდენი დრო გავიდა, ომი დასრულდა და ახლა რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს?

– ვფიქრობ, ისტორია მეორდება, ჯეინ. თავდაპირველად მის გამო დიდი აურზაური ატყდა, შემდეგ ის თითქოს მიივიწყეს, ახლა კი კვლავ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, ოღონდ სხვა მიზეზით. შეგიძლია, ახლავე მოგვცე?

– არა.

– რა?

– მე ის არა მაქვს.

– შენ... ის... არა გაქვს? – ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაიმეორა ჯულიუსმა.

– მე ის დავმალე.

– დამალე?

– დიახ. ძალიან მეშინოდა. თითქოს მითვალთვალებდნენ და დავფრთხი, – მან შუბლზე ხელისგული მიიდო, – ეს უკანასკნელია, რაც მახსოვს იმის წინ, სანამ საავადმყოფოში გონზე მოვიდოდი...

– განაგრძეთ, – უთხრა სერ ჯეიმზმა მშვიდი და გულში ჩამწვდომი ხმით, – რა გახსოვთ?

ქალიშვილი მორჩილად მიტრიალდა მისკენ.

– ეს ჰოლიჰედში მოხდა. არ მახსოვს, იქ რატომ აღმოვჩნდი...

– ამას მნიშვნელობა არა აქვს, განაგრძეთ.

– ნავმისადგომში შეგროვილ ბრბოს შევერიე და მივიმალე. ვერავინ დამინახა. ტაქსიში ჩავჯექი და ქალაქიდან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაყვანა ვუბრძანე. როდესაც გზატკეცილზე გავედით, ხშირად ვიყურებოდი უკან, მაგრამ არავინ მომდევდა. ბილიკი შევნიშნე, მძღოლს მანქანა გავაჩერებინე და დალოდება ვთხოვე... – ქალიშვილმა შეისვენა, – ბილიკი კლდემდე მიდიოდა, შემდეგ კი ოქროსფრად გაბრდღვიალებულ კურდღლისცოცხას ბუჩქებს შორის ზღვისკენ ეშვებოდა. მივიხედ-მოვიხედე. არავინ ჩანდა. უეცრად ჩემი თავის დონეზე კლდეში ხვრელი შევამჩნიე – ძალიან ვიწრო, ხელი ძლივს შემეტეოდა. მაგრამ საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა. კისრიდან მუშამბის პაკეტი მოვიხსენი და იმ ხვრელში მოვათავსე, ისე ღრმად, როგორც შემეძლო. შემდეგ კურდღლისცოცხას ტოტი მოვამტვრიე... ფუჰ! თითები დავიჩხვლიტე! და ხვრელს მივაფარე, რათა არავის შეემჩნია. ვცადე, რამე განსაკუთრებული ნიშანი დამემახსოვრებინა, რომლის მიხედვითაც მოგვიანებით ამ ადგილს მივაგნებდი. ბილიკის გვერდით ძალზე სასაცილო ქვა ეგდო: უკანა თათებზე შემდგარ ძაღლს ჰგავდა. შემდეგ გზატკეცილზე გამოვედი, ტაქსიში ჩავჯექი და ქალაქში დავბრუნდი. მატარებელს ძლივს მივუსწარი. ცოტათი მრცხვენოდა, ასეთი მშიშარა რომ გამოვდექი და ღმერთმა იცის, რა აღარ წარმოვიდგინე, მაგრამ ამ დროს დავინახე, როგორ ჩაუკრა თვალი პირდაპირ მჯდომმა კაცმა ჩემ გვერდით მოკალათებულ მეზობელ ქალს, და კვლავ დავფრთხი. ახლა მიხაროდა კიდეც, პაკეტი რომ დავმალე. დერეფანში გავედი, ვითომდა სისხლის ასამოძრავებლად, სინამდვილეში კი სხვა ვაგონში გადასვლას ვაპირებდი, მაგრამ ქალმა დამიძახა, რაღაც დაგივარდათო. ძირს დავიხედე და სწორედ მაშინ ჩამარტყეს... აი, აქ, – ქალიშვილმა ხელისგული კეფაზე მიიდო, – მეტი არაფერი მახსოვს. გონზე მხოლოდ საავადმყოფოში მოვედი.

სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც სერ ჯეიმზმა დაარღვია.

– გმადლობთ, მის ფინ, – თქვა მან, – ვიმედოვნებ, ძალიან არ გადაგღალეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა. მხოლოდ თავი მტკივა ოდნავ, სხვა მხრივ, კარგად ვარ.

ჯულიუსი კვლავ ხელზე შეეხო.

– აბა, ნახვამდის მამიდაშვილო ჯეინ. იმ პაკეტის მოსაძებნად წავალ, მაგრამ მალე დავბრუნდები, ლონდონში წაგიყვან და გაგართობ, რათა ამ წლების განმავლობაში დაკარგული აინაზღაურო, შემდეგ კი შტატებში გავემგზავრებით. სერიოზულად გეუბნები. ასე რომ, სწრაფად გამოჯანმრთელდი.

თავი მეოცე
ძალიან გვიანაა

ქუჩაში გასვლისთანავე არაფორმალური სამხედრო თათბირი გამართეს. სერ ჯეიმზმა ჯიბიდან საათი ამოიღო.

– მატარებელი, რომელიც ჰოლიჰედის ბორნამდე მიდის, ჩესტერში 12:15-ზე ჩერდება. თუ არ შეყოვნდებით, ვფიქრობ, მიუსწრებთ.

ტომიმ მას გაოცებით შეხედა.

– რა საჭიროა ასეთი აჩქარება, სერ? დღეს ხომ მხოლოდ ოცდაოთხია?

– გადადებული საქმე ეშმაკისაა, – დაასწრო ადვოკატს ჯულიუსმა, – ასე რომ, ახლავე გავემგზავრებით.

სერ ჯეიმზი ოდნავ მოიღუშა.

– როგორ მინდა თქვენთან ერთად წამოსვლა, მაგრამ ორ საათზე შეკრებაზე სიტყვით უნდა გამოვიდე. ძალზე სამწუხაროა.

მის ხმაში გულწრფელი სინანული იგრძნობოდა, თუმცა ჯულიუსს სრულიადაც არ სწყინდა, რომ უიმისოდ მოუწევდა მგზავრობა.

– ეს ხომ უბრალო საქმეა, – თქვა მან, – ცოტა ხანს დამალობანას ვითამაშებთ და ეგაა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვიმედოვნებ, ასე იქნება, – ჩაილაპარაკა სერ ჯეიმზმა.

– რა თქმა უნდა, ასე იქნება. ნეტა, სხვა რა უნდა მოხდეს?

– თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ, მისტერ ჰერსჰაიმერ. ჩემს ასაკს რომ მიაღწევთ, ერთი გამოთქმა გეცოდინებათ: ყოველთვის სათანადოდ დააფასე მოწინააღმდეგის ძალა.

მისმა სერიოზულობამ ტომიზე, ჯულიუსისგან განსხვავებით, შთაბეჭდილება მოახდინა.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ მისტერ ბრაუნი შეგვიშლის ხელს? თუ ამას დააპირებს, მის შესახვედრადაც მზად ვარ, – ამერიკელმა ხელი ჯიბეზე მოითათუნა, – პისტოლეტი თან მაქვს. პატარა ვილი ყოველთვის ჩემთანაა, – მან მოზრდილი რევოლვერი ამოიღო, ხელი ალერსიანად გადაუსვა და უკან დააბრუნა, – მაგრამ ამჯერად არ დამჭირდება. მისტერ ბრაუნს ჩვენი განზრახვის შესახებ ვერავინ მოახსენებს.

ადვოკატმა მხრები აიჩეჩა.

– მისთვის არც ის მოუხსენებიათ, რომ მისის ვანდემაიერი მის ღალატს აპირებდა, მაგრამ მისის ვანდემაიერი ისე მოკვდა, ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო.

ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ჯულიუსმა პასუხის გაცემა ვერ მოახერხა. სერ ჯეიმზმა კილო შეარბილა და დაამატა:

– მე მხოლოდ ის მინდა, რომ სიფრთხილე გამოიჩინოთ. ახლა კი ნახვამდის, წარმატებას გისურვებთ. როდესაც დოკუმენტს მოიხელთებთ, რისკის გაწევას მოერიდეთ. თუკი მცირე საფუძველი მაინც გაგიჩნდებათ იმისა, რომ გითვალთვალებენ, დოკუმენტი დაუფიქრებლად გაანადგურეთ. კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებას. ახლა თამაშის ბედი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, – მან ორივეს ხელი ჩამოართვა.

ათი წუთის შემდეგ ტომი და ჯულიუსი უკვე პირვე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი კლასის ვაგონში ისხდნენ. მატარებელი მათ ჩესტერისკენ მიაქროლებდა.

დიდხანს ხმა არ ამოუღიათ. როდესაც ჯულიუსმა ლაპარაკი დაიწყო, ტომიმ ისეთი სიტყვები გაიგონა, რომლებსაც სრულიად არ მოელოდა.

– მითხარი, – თქვა ჩაფიქრებით, – ოდესმე სისულელე თუ ჩაგიდენია და გოგო მხოლოდ მისი სახის ნახვით თუ შეგყვარებია?

დაბნეულმა ტომიმ მეხსიერება მოქექა და თავი გადააქნია.

– არა, – თქვა ბოლოს, – ყოველ შემთხვევაში, მსგავსს ვერაფერს ვიხსენებ. რატომ მეკითხები?

– საქმე ისაა, რომ ბოლო ორი თვე, ჯეინის გამო, ნამდვილი იდიოტივით ვიქცეოდი. როგორც კი მისი ფოტოსურათი დავინახე, ჩემმა გულმა ისეთი ტრიუკების კეთება დაიწყო, როგორიც რომანებში წაგიკითხავს. მრცხვენია, მაგრამ ვაღიარებ: აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ იგი მომეძებნა და შტატებში წამეყვანა, ოღონდ უკვე როგორც მისის ჯულიუს ფ. ჰერსჰაიმერი.

– ოჰო! – გაოცებით შესძახა ტომიმ.

ჯულიუსმა გადაჯვარედინებული ფეხები სწრაფად გაასწორა და განაგრძო:

– ახლა კი შეხედე, რა დაემართა ჩემ მიერ ახლახან ნახსენებ იდიოტს! როგორც კი ეს ქალიშვილი ცოცხლად ვნახე, წამსვე განვიკურნე!

ტომიმ, თითქოს ენა დაებაო, კვლავ მხოლოდ „ოჰ!“ წამოიძახა.

– არა, ჯეინის შესახებ ცუდს ვერაფერს ვიტყვი, – დაამატა ჯულიუსმა, – მშვენიერი გოგოა და მალე ის ვილაცას ძალიან შეუყვარდება.

– მე ის თავიდანვე ლამაზი მომეჩვენა, – როგორც იქნა, ენა ამოიდგა ტომიმ.

– ასეცაა. ოღონდ ისეთი არაა, როგორიც ფოტოსურათზე. ცხადია, ჰგავს საკუთარ თავს, თორემ როგორ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიცნობდი? ქუჩაში რომ შემხვედროდა, უყოყმანოდ განვაცხადებდი, ეს სახე ძალზე მეცნობა-მეთქი. მაგრამ ფოტოსურათზე მაინც სხვანაირია... – ჯულიუსმა თავი გადააქნია და მძიმედ ამოიოხრა, – ვფიქრობ, რომანტიკული სიყვარული ყველაზე უცნაური რამაა ამქვეყნად!

– ჰო. ძალზე უცნაურია, – ცივად თქვა ტომიმ, – რადგან აქ ერთი ქალიშვილის სიყვარულმა ჩამოგიყვანა, ორ კვირაში კი ხელი მეორეს სთხოვე.

ჯულიუსი სინდისის ქენჯნამ შეაწუხა და თავი უხერხულად იგრძნო.

– საქმე ისაა, რომ სევდა მომეძალა, მეგონა, ჯეინს ველარასდროს მივაგნებდი... თუმცა ეს ნამდვილი სისულელე იყო. აი, მომისმინე... ფრანგები, მაგალითად, ამ ყველაფერს გაცილებით გონივრულად უყურებენ, ქორწინებასა და რომანტიკულ სიყვარულს ერთმანეთში არ ურევენ...

ტომი წამოწითლდა.

– დალახვროს ეშმაკმა! თუ ამით იმის...

ჯულიუსმა სასწრაფოდ გააწყვეტინა.

– დამაცადე, დამამთავრებინე! იმას არ ვგულისხმობ, რაც გაიფიქრე. და საერთოდ, ამერიკელები თქვენზე გაცილებით მეტად სცემენ პატივს ზნეობრივ საფუძვლებს. მე მხოლოდ მაგალითისთვის ვთქვი, რომ ფრანგები ქორწინებას უფრო პრაქტიკულად უდგებიან, საქმროსა და საცოლეს საგულდაგულოდ არჩევენ, კონტრაქტს ადგენენ და ამგვარ თემებს საქმიანი თვალით უყურებენ.

– მე თუ მკითხავ, – თქვა ტომიმ, – ყველანი ძალზე საქმიანები გავხდით. მხოლოდ ერთი რამე გვადარდებს: „აქედან რა მოგება შეგვხვდება?“ ეს – მამაკაცებს, ქალებს ხომ – ნულარ იკითხავ!

– დამშვიდდი, მეგობარო, ნუ ცხარობ.

– მიყვარს ცხარე, – მიუგო ტომიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯულიუსმა შეხედა და არაფერი უთხრა.

თუმცა ტომის საკმაო დრო ჰქონდა დასამშვიდებლად და როცა დანიშნულების პუნქტს მიაღწიეს, სახეზე ჩვეულებრივი მხიარული ღიმილი დასთამაშებდა.

გაიკითხ-გამოიკითხეს, რუკა შეიძინეს, მოითათბირეს, საით წასულიყვნენ, ტაქსი დაიქირავეს და ტრედურის ყურისკენ მიმავალ გზაზე გავიდნენ. მძღოლი გააფრთხილეს, ნელა ევლო, და ყურადღებით აკვირდებოდნენ გზის პირს, რათა ბილიკს არ გასცდენოდნენ. მალე გაუსწორდნენ კიდეც მას. ტომიმ მძღოლს მანქანა გააჩერებინა და ჰკითხა, ეს ბილიკი ზღვასთან ხომ არ მიგვიყვანსო. როდესაც დადებითი პასუხი მოისმინა, მგზავრობის საფასური გულუხვად გადაუხადა.

წამის შემდეგ ტაქსი უკვე ჰოლიჰედისკენ მიქროდა. ტომი და ჯულიუსი დაელოდნენ, სანამ მანქანა თვალს არ მიეფარა, და ვიწრო ბილიკს გაუყვნენ.

– იქნებ ეს ის არაა? – დაეჭვდა ტომი, – მხოლოდ ერთი ხომ არ იქნება ასეთი.

– არა, ისაა. აი, კურდღლისცოცხას ბუჩქები. გახსოვს, რა თქვა ჯეინმა?

ტომიმ ბილიკის ორივე მხარეს ამოსულ ოქროსფერ ბუჩქებს შეხედა და გაჩუმება ამჯობინა.

წინ ჯულიუსი მიდიოდა. ტომიმ ერთი-ორჯერ შეშფოთებით მიიხედა უკან და ჯულიუსმა მხარზემოდან ჰკითხა:

– რა ხდება?

– არ ვიცი, რატომღაც მოუსვენრობამ შემიპყრო. მეჩვენება, თითქოს ვიღაც მოგვსდევს.

– სისულელეა, – მიუგო ჯულიუსმა, – შევამჩნევდით.

ტომი დაეთანხმა, მაგრამ შეუცნობელი შიში ემატებოდა. გონების არგუმენტების მიუხედავად, მოწინააღმდეგის ყოვლისმცოდნეობისაც სჯეროდა.

– ეს მხოლოდ გამიხარდება, – დაამატა ჯულიუსმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ჯიბეზე ხელი მოითათუნა, – პატარა ვილის გამოცოცხლება არ აწყენდა.

– ნუთუ ყოველთვის თან დაგაქვს? – დაინტერესდა ტომი.

– თითქმის. წინასწარ ხომ არასდროს იცი, რა ხათაბალაში გაებმები.

ტომი მოკრძალებით გაჩუმდა – პატარა ვილიმ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლა მისტერ ბრაუნიც ნაკლებად მრისხანედ ეჩვენებოდა.

ბილიკი კლდეს ზღვის პარალელურად მიუყვებოდა. მოულოდნელად ჯულიუსი ისე მკვეთრად შეჩერდა, რომ ტომი კინაღამ შეეჯახა.

– რა მოხდა? – ჰკითხა მან.

– შეხედე. აი, ეს მესმის!

ტომიმ გაიხედა. ბილიკი გვერდს უვლიდა დიდ ქვას, რომელიც აშკარად ჰგავდა საჭმლის გადმოგდების მომლოდინე, უკანა თათებზე დამჯდარ ტერიერს.

– მერე რა, – ტომიმ ჯულიუსის ემოცია არ გაიზიარა, – აქ არ უნდა მოვსულიყავით?

ჯულიუსმა მას სევდიანად შეხედა და თავი გადააქნია.

– ოჰ, ეს ბრიტანული ფლეგმატურობა! ცხადია, უნდა მოვსულიყავით! მაგრამ მე მაინც აღელვება ვიგრძენი მის დანახვაზე, რადგან ზუსტად საჭირო ადგილას მოვედით.

ტომიმ, რომლის გულგრილობაც მოჩვენებითი უფრო იყო, ვიდრე ბუნებრივი, ფეხი მოუთმენლად მოინაცვლა.

– აბა, სად არის ის ხვრელი?

ისინი გულმოდგინედ შეუდგნენ კლდის დათვალიერებას. უეცრად ტომის საკუთარი იდიოტური ნათქვამი მოესმა:

– კურდღლისცოცხას ტოტი ამდენი წელი ვერ გაძლებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯულიუსი მყისვე დაეთანხმა:

– ვფიქრობ, მართალი ხარ.

მოულოდნელად ტომიმ შეჰყვირა და თითი რომელიღაც ნაპრალისკენ გაიშვირა.

– ის ხომ არ არის?

– ის არის, ცხადია, ის არის! – აღელვებული ხმით მიუგო ჯულიუსმა.

მათ ერთმანეთს გადახედეს.

– როდესაც საფრანგეთში ვმსახურობდი, – ჩაფიქრებული სახით თქვა ტომიმ, – ზოგჯერ ადიუტანტს ჩემი გაღვიძება ავიწყდებოდა და თავს იმართლებდა, ვერ გამიგია, რა დამემართაო. ცხადია, მისი არ მჯეროდა. არ ვიცი, ტყუოდა თუ არა, მაგრამ ასეთი შეგრძნება არსებობს. ამას ახლა მივხვდი.

მან კლდეს აღგზნებული თვალებით შეხედა.

– დალახვროს ეშმაკმა! – შესძახა ხმამაღლა, – ეს შეუძლებელია! ხუთი წელი გავიდა! დაფიქრდი ამაზე! აქ უამრავი ხალხი დადის. შესაძლოა, ბიჭებმა მიაგნეს, როცა ჩიტის ბუდეს ეძებდნენ. შეუძლებელია, იქ იყოს. ასი ერთის წინააღმდეგ, რომ იქ არ არის. უბრალოდ, ვერ იქნება!

ის მართლა ასე ფიქრობდა. შესაძლოა, არ სჯეროდა, რომ გაუმართლებდა, რადგან დოკუმენტის ბევრმა მძებნელმა მარცხი განიცადა. ყველაფერი ძალზე მარტივად, შეუფერხებლად მიდიოდა. სამალავი, ალბათ, ცარიელი იყო.

ჯულიუსმა მას ღიმილით შეხედა.

– შენ, მგონი, ძალიან ნერვიულობ, – ჩაილაპარაკა ერთგვარი კმაყოფილებით, – კარგი, მოვსინჯავ, – ხელი ხვრელში შეყო და შეიჭმუხნა, – სივიწროვეა, ჯეინს ჩემზე გამხდარი ხელი ჰქონდა. ვერაფერს ვგრძნობ... არა... ეს რა არის? აბა, მიდი, მიდი! – მან ხვრელიდან ფერდაკარგული პატარა პაკეტი ამოიღო, – სწორედ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისაა, მუშამბა აქვს შემოკერებული. გამომართვი, სანამ ჯაყვას გავხსნი.

ახდა! დაუჯერებელი – ახდა! ტომის მოკრძალებით ეჭირა ხელში ძვირფასი პაკეტი. მათ გაიმარჯვეს!

– უცნაურია, – ჩაიბურტყუნა მან, – ძაფი, თითქოს, უნდა დამპალიყო, არადა, ახალგაკერილს ჰგავს.

პაკეტი ფრთხილად გაარღვიეს და მუშამბა გაშალეს. შიგნით პატარა დაკეცილი ქაღალდის ფურცელი იდო. აცახცახებული თითებით გაასწორეს. ზედ არაფერი ეწერა! ერთმანეთს გაოცებით მიაჩერდნენ.

– იქნებ ეს თვალის ასახვევად გააკეთეს? – ივარაუდა ჯულიუსმა, – იქნებ დენვერსი მხოლოდ სატყუარად გამოიყენეს?

ტომიმ თავი გადააქნია. ასეთი ახსნა არ აწყობდა. უეცრად ეშმაკურად გაელიმა.

– მივხვდი! სპეციალური მელნითაა დაწერილი!

– ასე გგონია?

– ყოველ შემთხვევაში, უნდა ვცადოთ. ალზე უნდა მოვატაროთ. ფიჩხი მოაგროვე, ცეცხლს დავანთებთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოგროვილი ტოტები და ხმელი ფოთლები აბრიალდა. ტომის ფურცელი კოცონის თავზე ეჭირა. ქაღალდი სითბოსგან ოდნავ გაიდრიკა. მეტი არაფერი.

უეცრად ჯულიუსმა ტომის მხარში ხელი სტაცა და მკრთალად გამოჩენილ მოყავისფრო ასოებზე მიუთითა.

– მაგარია! გამოგივიდა! დიდებული იდეა იყო. მე ის არასდროს მომივიდოდა აზრად.

ტომიმ ფურცელი ცეცხლის თავზე ცოტა ხანს კიდევ გააჩერა, რათა სითბოს თავისი საქმე დაესრულებინა, შემდეგ თვალებთან მიიტანა და შეჰყვირა.

ფურცელზე აკურატულად გამოყვანილი ბეჭდური ასოებით ეწერა:

„მოკითხვა მისტერ ბრაუნისგან.“

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეერთე
ტომის აღმოჩენა

რამდენიმე წამის განმავლობაში განცვიფრებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. ვერ დაეჯერებინათ, რომ მისტერ ბრაუნმა დაასწრო. ტომი მშვიდად შეხვდა დამარცხებას, ჯულიუსმა კი იფეთქა:

– დალახვროს ეშმაკმა! ძალიან მაინტერესებს, ეს როგორ მოახერხა!

ტომიმ თავი დააქნია და უხალისოდ ჩაილაპარაკა:

– ახლა გასაგებია, რატომ არ დალპა ძაფი. მაშინვე უნდა მივმხვდარიყავით...

– ჯანდაბას ძაფი! როგორ დაგვასწრო? არადა, წუთიც არ დაგვიხანებია. ჩვენზე ადრე აქ ვერავინ მოვიდოდა. და საერთოდ, როგორ შეიტყო? იქნებ ჯეინის ოთახში დიქტოფონი ეყენა? სხვაგვარად შეუძლებელია.

მაგრამ ტომიმ ეს აზრი მყისვე უარყო.

– წინასწარ არავინ იცოდა, რომ ჯეინი იმ სახლში აღმოჩნდებოდა. თანაც, ზუსტად იმ ოთახში.

– ცხადია, არავინ იცოდა... – დაეთანხმა ჯულიუსი, – რას იტყვი, იქნებ მათი ბანდის წევრი მედდაა, რომელმაც ჩვენს საუბარს მიაყურადა?

– რა მნიშვნელობა აქვს? – ნაღვლიანად მიუგო ტომიმ, – მისტერ ბრაუნმა ეს, შესაძლოა, რამდენიმე თვის წინათ შეიტყო და დოკუმენტი აიღო, შემდეგ კი... არა, რაღაც არ გამოდის! ისინი ხომ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებდნენ!

– ცხადია, გამოაქვეყნებდნენ! არა, ვიღაცამ მხოლოდ ერთი-ორი საათით დაგვასწრო. მაგრამ ვერ ვხვდები, ეს როგორ მოახერხა.

– სამწუხაროა, რომ ფილ ედჯერტონი ჩვენთან ერთად არ წამოვიდა, – ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა ტომიმ.

– რატომ? – გაუკვირდა ჯულიუსს, – დოკუმენტი ხომ ჩვენს მოსვლამდე წაიღეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო... – ტომი შეყოყმანდა. ვერ ხვდებოდა, რატომ დაეუფლა უცნაური შეგრძნება, რომ სახელგანთქმული ადვოკატის აქ ყოფნა კატასტროფას როგორღაც არ დაუშვებდა. შემდეგ თავდაპირველ ვარაუდს დაუბრუნდა, – რა აზრი აქვს იმის მარჩიელობას, ეს როგორ მოახერხეს? ყველაფერი დასრულდა. წავაგეთ... ახლა ერთიღა დამრჩენია.

– რა?

– სასწრაფოდ ლონდონში დაბრუნება და მისტერ კარტერის გაფრთხილება. დარტყმა უახლოეს საათებში განხორციელდება და მან ეს წინასწარ უნდა იცოდეს.

ტომის წინ არასასიამოვნო საუბარი ელოდა, მაგრამ ვალდებული იყო, მისტერ კარტერისთვის თავისი წარუმატებლობის შესახებ მოეხსენებინა. ამით მისი მისია დასრულდებოდა.

იგი ლონდონში ღამის საფოსტო მატარებლით გაემგზავრა, ჯულიუსი დილამდე ჰოლიჰედში დარჩა.

დედაქალაქში ჩასვლიდან ნახევარ საათში ფერმკრთალი და დაღლილი ტომი უკვე თავისი შეფის წინაშე იდგა.

– მოვედი, რომ მოგახსენოთ, სერ: მარცხი განვიცადე – ვერაფერს მივაღწიე.

მისტერ კარტერმა სახეში შეხედა.

– სხვა სიტყვებით, ხელშეკრულება...

– მისტერ ბრაუნის ხელშია, სერ.

– აჰ! – ხმადაბლა შესძახა მისტერ კარტერმა. სახე არ შესცვლია, მაგრამ ტომიმ მის თვალებში წამით გაელვებული იმედგაცრუება შეამჩნია. ამან საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ყველაფერი დასრულდა.

– რა გაეწყობა, – თქვა მისტერ კარტერმა ხანმოკლე დუმილის შემდეგ, – მაგრამ ხელები არ უნდა ჩამოვუშვათ. კარგია, რომ ვითარება გაირკვა. რაც შესაძლებელია, ყველაფერს გავაკეთებთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„უკვე ველარაფერს გავაკეთებთ და მან ეს მშვენივრად იცის!“ – თავდაჯერებულად გაიფიქრა ტომიმ.

მისტერ კარტერმა კვლავ შეხედა მას.

– გულს ნუ გაიტეხთ, – თქვა რბილად, – თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რაც შეგეძლოთ. არადა, საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ჭკვიან და მოხერხებულ კაცს ებრძოდით. და გამარჯვებასთან ძალზე ახლოს იდექით. ეს არ დაივიწყოთ.

– გმადლობთ, სერ. ძალზე გულკეთილი ხართ.

– საკუთარი თავისთვის ვერ მიპატიებია... იმ წუთიდან, როდესაც შევიტყვე...

ტომი მისმა კილომ შეაშფოთა. საშინელი წინათგრძნობა დაეუფლა.

– რამე სიახლეა, სერ?

– დიახ, არის, – პირქუშად მიუგო მისტერ კარტერმა და ხელი რაღაც ფურცლისკენ გაიწვდინა.

– ტაპენსი? – ათრთოლებული ხმით ჰკითხა ტომიმ.

– თვითონ წაიკითხეთ.

ტომის თვალწინ ნაბეჭდი სიტყვები აცეკვდნენ. აღწერილი იყო მწვანე ქუდი, ჟაკეტი და მის ჯიბეში მოთავსებული ცხვირსახოცი პ.ლ.კ. ინიციალებით. ვედრებით შეხედა მისტერ კარტერს, რომელმაც უთხრა:

– ეს ზღვამ გამორიყა იორკშირთან... ებერის სიახლოვეს. ვშიშობ... ძალიან ჰგავს მკვლელობას.

– ღმერთო ჩემო! – შესძახა ტომიმ. – ტაპენსი! არამზადები... მანამ არ მოვისვენებ, სანამ არ გავუსწორდები! მე მათ მივაგნებ! მე...

იგი მისტერ კარტერის სახეზე აღბეჭდილმა მწუხარებამ შეაჩერა.

– ვიცი, რასაც გრძნობთ, ჩემო საბრალო ბიჭო. მაგრამ არ გინდათ. ასე ტყუილუბრალოდ დაკარგავთ ძალას. სისასტიკედ ნუ ჩამითვლით, მაგრამ გირჩევთ, გული გაიმაგროთ. დრო ყველაფრის მკურნალია. დაგავიწყდებათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ტაპენსი დამავიწყდება? არასოდეს!

მისტერ კარტერმა თავი გადააქნია.

– ასე ახლა ფიქრობთ. მძიმე გადასატანია... რა ყოჩაღი გოგო იყო! ვწუხვარ, ამ საქმეში რომ გავხვიე... გულწრფელად ვწუხვარ.

ტომი თავს მოერია.

– დროს გართმევთ, სერ, – ჩაილაპარაკა ძალდატანებით, – თავს ნუ იდანაშაულებთ. ამ საქმეში თვითონ გავეხვიეთ ჩვენივე სულელური მონდომებით. თქვენ პატიოსნად გაგვაფრთხილეთ. მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ტაპენსი დაისაჯა და არა მე. ნახვამდის, სერ.

„რიცში“ დაბრუნებულმა ტომიმ მექანიკურად შეაგროვა თავისი მწირი ავლადიდება. ფიქრებით სხვაგან იყო. ჯერაც ვერ მოენელებინა ის ტრაგედია, რომელიც მის ცხოვრებაში შემოიჭრა – მხიარული ახალგაზრდის ცხოვრებაში. რა კარგად გრძნობდა თავს ტაპენსთან ერთად! ახლა კი... არა, ვერ იჯერებდა! ვერ იჯერებდა, რომ ეს სიმართლე იყო! ტაპენსი მოკვდა? სიცოცხლით სავსე პატარა ტაპენსი! არა, ეს სიზმარს ჰგავდა, საშინელ სიზმარს. მეტს არაფერს.

მას წერილი მოუტანეს – თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვები ფილ ედჯერტონისგან, რომელსაც მომხდარის შესახებ გაზეთიდან შეეტყო (თან ამონაჭერი ახლდა უზარმაზარი სათაურით: „ყოფილი მოწყალების და, სავარაუდოდ, დაიხრჩო“). იქვე სერ ჯეიმზი მას სამსახურს სთავაზობდა საკუთარ რანჩოში, არგენტინაში, სადაც დიდი მამული ჰქონდა.

– კეთილი მოხუცი, – ჩაილაპარაკა ტომიმ და წერილი გვერდზე გადადო.

კარი გაიღო და, როგორც ყოველთვის, აღგზნებული ჯულიუსი შემოიჭრა. ხელში იგივე გაზეთი ეჭირა.

– ეს რა არის? რა სისულელე წერია ტაპენსის შესახებ?

– ეს სიმართლეა, – ხმადაბლა მიუგო ტომიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მაშასადამე, გაუსწორდნენ?

ტომიმ თავი დააქნია.

– ვფიქრობ, როცა ხელშეკრულებას დაეუფლნენ, მისგან სარგებელი აღარ ჰქონდათ, გაშვების კი შეეშინდათ.

– დალახვროს ეშმაკმა! პატარა ტაპენსი. უმამაცესი პატარა გოგონა...

მოულოდნელად ტომის სისხლი თავში აუვარდა. იგი წამოხტა.

– მომწყდი თავიდან! შენ რა გენაღვლება, ეშმაკმაც წაგიღოს! ხან მისი ცოლად მოყვანა გსურდა, ხან ისე, სასხვათაშორისოდ! მე კი ის მიყვარდა. სიცოცხლეს გავწირავდი მის გადასარჩენად. თქვენ რომ დაქორწინება გადაგეწყვიტათ, დავიტანჯებოდი, მაგრამ კრინტსაც არ დავძრავდი, რადგან მას ყველაფრით უზრუნველყოფდი. მან ეს დაიმსახურა. ჩემგან კი რას მიიღებდა – ჯიბეგაფხეკილი უმუშევრისგან.

– მომისმინე, – თავშეკავებით დაიწყო ჯულიუსმა.

– ჯანდაბამდე გზა გქონია! არ შემიძლია შენი ლაპარაკის მოსმენა, „პატარა ტაპენსი“... წადი და შენს მამიდაშვილს მიხედე. ტაპენსი ჩემია! ის ყოველთვის მიყვარდა, მაშინაც კი, როცა ბავშვები ვიყავით და ერთად ვთამაშობდით. გავიზარდეთ და ამით არაფერი შეცვლილა. არასდროს დამავიწყდება, როგორ ვიწექი ჰოსპიტალში, ის კი მოულოდნელად გამომეცხადა თავისი სულელური ქუდითა და თეთრი წინსაფრით! ეს სასწაულს ჰგავდა – გოგო, რომელიც მიყვარდა, მედდის ფორმაში გამოწყობილი შემოვიდა...

ჯულიუსმა გააწყვეტინა.

– მედდის ფორმით! მაგარია! ალბათ, ჭკუაზე შეგიშალე! მზად ვარ დავიფიცო, რომ ჯეინიც მედდის თეთრი წინსაფრითა და ქუდით ვნახე. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია! დალახვროს ეშმაკმა, გამახსენდა! ის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბორნმუთის კლინიკაში იყო და უიტინგტონს ელაპარაკებოდა. ოღონდ პაციენტის კი არა, მედდის სახით!

– გავბედავ და ვიტყვი, – გაბრაზებული კილოთი უთხრა ტომიმ, – რომ ის, როგორც ჩანს, თავიდანვე მათთან ერთად იყო. შესაძლოა, სწორედ მან მოჰპარა ხელშეკრულება დენვერსს!

– როგორ ბედავ?! – შესძახა ჯულიუსმა, – ის ჩემი მამიდაშვილია, პატრიოტი გოგო! მისნაირი ქალიშვილები ცოტანი არიან.

– არ მაინტერესებს, ვინ არის, აქედან გაეთრიე! – ხმამაღლა შეუღრინა ტომიმ.

ისინი მზად იყვნენ, ჩხუბიც კი დაეწყოთ, მაგრამ მოულოდნელად ჯულიუსი ისევე სწრაფად დამშვიდდა, როგორც გაფიცხდა.

– კარგი, – თქვა წყნარად, – წავალ. არ გადანაშაულებ იმაში, რაც მითხარი. მთავარია, რომ ორთქლი გამოუშვი. ვიცი, ჩემნაირი იდიოტი მეორე არ დაიარება დედამიწაზე. დამშვიდდი. – ტომიმ მოუთმენლად შეარხია მხრები, ჯულიუსმა კი განაგრძო: – მივდივარ. და თუ გაინტერესებს, ჩრდილო-დასავლეთ რკინიგზის სადგურისკენ მივემართები.

– ჩემთვის სულერთია, სად წახვალ, – ჩაიბუზღუნა ტომიმ.

როდესაც ჯულიუსმა კარი გაიხურა, ტომი თავის ჩემოდანს დაუბრუნდა.

– ესეც ასე, – თქვა და ზარი დარეკა, – ჩემი ბარგი დაბლა ჩაიტანეთ, – უთხრა მოსამსახურეს.

– დიახ, სერ. მიემგზავრებით, სერ?

– ჰო, ჯანდაბაში მივდივარ, – მიუგო გაგულისებულმა ტომიმ. მაგრამ მოსამსახურე თავაზიანად გამოეხმაურა:

– დიახ, სერ. ტაქსი გამოვიძახო?

ტომიმ თავი დაუქნია.

წარმოდგენა არ ჰქონდა, სად მიდიოდა. ერთი რამე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კი მკაფიოდ იცოდა: მისტერ ბრაუნისთვის სამაგიერო უნდა გადაეხადა. სერ ჯეიმზის წერილი გადაიკითხა და კვლავ თავი დააქნია. დიახ, ტაპენსის გამო შური უნდა ეძია, მაგრამ მოხუცის მზრუნველობამ მაინც გული აუჩუყა.

– ვფიქრობ, აჯობებს, ვუპასუხო, – გაიფიქრა ტომიმ და საწერ მაგიდასთან მივიდა, რომელზეც, როგორც სასტუმროებშია მიღებული, კონვერტები ეწყო, საწერი ქაღალდის ფურცელი კი – არც ერთი. დარეკა, თუმცა არავინ მოვიდა. ამ დაყოვნებამ ტომი გააცეცხლა, მაგრამ გაახსენდა, რომ ჯულიუსს ნომერში ყოველთვის ჰქონდა საფოსტო ქაღალდი. ამერიკელმა თქვა, რომ პირდაპირ სადგურში მიდიოდა, მაშასადამე, მასთან შეჩეხების არ უნდა შეშინებოდა. და თუ მაინც ასე მოხდებოდა, ეს ჯობდა კიდეც – ახლა უკვე რცხვენოდა იმ სიტყვების, რომლებიც მას უთხრა, არადა, ჯულიუსმა შეძლო და მოუთმინა. თუ შეხვდებოდა, აუცილებლად ბოდიშს მოუხდიდა.

მაგრამ ოთახი ცარიელი დახვდა. ტომი საწერ მაგიდას მიუახლოვდა და შუა უჯრა გამოსწია. თვალში ქაღალდების ზემოდან დადებული ფოტოსურათი მოხვდა. ტომი გაშეშდა. ფოტოსურათი აიღო, უჯრა შესწია, ნელა დაიხია სავარძლისკენ, დაჯდა და სურათს მიაჩერდა.

რა უნდოდა ფრანგი ქალიშვილის – ანეტის ფოტოსურათს ჯულიუს ჰერსჰაიმერის საწერ მაგიდაში?

თავი ოცდამეორე
დაუნინგ-სტრიტზე

პრემიერმინისტრი საწერ მაგიდაზე თითებს ნერვიულად აკაკუნებდა. დაღლილი და გაწამებული სახე ჰქონდა. მან მისტერ კარტერთან შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რაღაც ვერ გავიგე. მართლა ფიქრობთ, რომ ვითარება არც ისე მძიმეა, როგორც გვგონია?

– ყოველ შემთხვევაში, ის ყმაწვილი ასე ფიქრობს.

– მომეცით წერილი, ერთხელაც გადავიკითხავ.

მისტერ კარტერმა ბავშვური ხელით დაწერილი ფურცელი გაუწოდა.

„ძვირფასო მისტერ კარტერ,

რაღაც გაირკვა, რაც ჩემთვისაც მოულოდნელობა აღმოჩნდა. შესაძლოა, ნამდვილი ვირი ვარ, თუმცა ასე არ ვფიქრობ. თუ ჩემი მოსაზრება სწორია, ქალიშვილი მანჩესტერში ცრუმაგიერი პირია. ყველაფერი წინასწარ დაგეგმეს – ყალბი პაკეტიც და სხვაც. სცადეს დავერწმუნებინეთ, თითქოს ყველაფერი დასრულდა. მაშასადამე, როგორც ჩანს, ცხელ კვალზე ვიდექით.

ვფიქრობ, ვიცი, ვინ არის ნამდვილი ჯეინ ფინი, ვხვდები კიდეც, ხელშეკრულება სად არის დამალული. მართალია, ეს მხოლოდ ვარაუდია, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ არ ვცდები. ყოველი შემთხვევისთვის, დალუქული კონვერტით ჩემს მოსაზრებებსაც გიგზავნით. ოღონდ, გთხოვთ, ბოლო წუთამდე – 28 რიცხვის შუაღამემდე – არ გახსნათ. მიზეზს ახლავე აგიხსნით. დარწმუნებული ვარ, რომ ტაპენსის ნივთები მოგვიგდეს, მას კი დახრჩობა არც უფიქრია. და კიდევ: მათ ახლა სხვა გამოსავალი არა აქვთ, გარდა იმისა, რომ ჯეინ ფინს გაქცევის შესაძლებლობა მისცენ – ხვდებიან, რომ მეხსიერება წესრიგში აქვს, რომ ქალიშვილმა ისინი გაასულელა. მათი აზრით, როდესაც იგი თავისუფლებას მოიპოვებს, მაშინვე სამალავს მიადგება. ცხადია, მათთვის ეს დიდი რისკია: ქალიშვილმა ხომ იცის, ვისთან აქვს საქმე, მაგრამ მათ ნებისმიერ ფასად სჭირდებათ ამ ხელშეკრულების მოპოვება. თუ შეიტყვეს, რომ ხელშეკრულება ჩვენ გვაქვს, მისი და ტაპენსის სიცოცხლე ჩალის ფასი გახდება. მინდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ ტაპენსის მოძებნა ვცადო მანამ, სანამ ჯეინი გაიქცევა.

იმ დეპეშის ასლი მჭირდება, რომელიც ტაპენსმა „რიცში“ მიიღო. სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონმა მითხრა, რომ ჩემთვის ამის გაკეთებას შეძლებთ, ის კი ძალიან ჭკვიანია.

და ბოლოს – სახლს სოჰოში დღედაღამ თვალყური ადევნეთ.

თქვენი ტომას ბერესფორდი.“

პრემიერმინისტრმა მისტერ კარტერს შეხედა.

– სად არის კონვერტი?

მისტერ კარტერმა ცივად გაიღიმა.

– ბანკის საცავში. რისკის გაწევა არ სურს.

– ხომ არ ფიქრობთ... – პრემიერმინისტრი შეყოყმანდა, – ხომ არ აჯობებს, ის ახლა გავხსნათ? თუ ახალგაზრდა კაცის ვარაუდი სწორია, აუცილებელია, სასწრაფოდ მივიღოთ ხელშეკრულება. ამას საიდუმლოდ შევინახავთ.

– შევინახავთ? ამაში დარწმუნებული არა ვარ. ჩვენ გარშემო უამრავი ჯაშუშია. როგორც კი ყურს მოჰკრავენ, რომ ის ჩვენ გვაქვს, ამ ორი ქალიშვილის სიცოცხლისთვის პენსსაც კი არ გავიღებდი, – მან თითები გაატკაცუნა, – არა, ბიჭი მენდო და მას ვერ ვუღალატებ.

– კარგი, კარგი, რადგან ასეა, დაველოდოთ. ისე, რა კაცია?

– ჩვეულებრივი გარეგნობის, კარგი აღნაგობის, საკმაოდ მძიმედ მოაზროვნე ინგლისელი ახალგაზრდაა. დიახ, ნელა აზროვნებს, სამაგიეროდ, მწირი ფანტაზიის გამო მახეში არასდროს გაებმება, რაც მდიდარი წარმოსახვის მქონე ადამიანებს ხშირად ემართებათ. შეიძლება ითქვას, წარმოსახვის უნარი საერთოდ არა აქვს, ამიტომ მისი მოტყუება ადვილი არაა. საქმის არსს ნელა სწვდება, მაგრამ როგორც კი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამას მოახერხებს, გზიდან ვერაფერი გადაახვევინებს. პატარა ლედი სრულიად განსხვავებულია. მეტი ალღო და ნაკლები კეთილგონიერება ახასიათებს. როდესაც ერთად მუშაობენ, ერთმანეთს შესანიშნავად ავსებენ. სისწრაფე და თავშეკავებულობა.

– ახალგაზრდა კაცი თავდაჯერებული ჩანს, – ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა პრემიერმინისტრმა.

– დიახ. სწორედ ეს მაიმედებს. მორიდებული ყმაწვილია და ფაქტებს რომ არ ფლობდეს, საკუთარი აზრის გამოთქმისგან თავს შეიკავებდა.

პრემიერმინისტრს ოდნავ გაეღიმა.

– და ჩვენი დროის უდიდეს დამნაშავეს ეს... ეს ყმაწვილი დაამარცხებს?

– ეს ყმაწვილი, როგორც თქვენ ამბობთ! მაგრამ ზოგჯერ მის უკან ვიღაცის ჩრდილს ვხედავ.

– ვის გულისხმობთ?

– ფილ ედჯერტონს.

– ფილ ედჯერტონს? – გაუკვირდა პრემიერმინისტრს.

– დიახ, აქ მის ხელს ვხედავ, – მისტერ კარტერმა ხელი წერილს დაარტყა, – ის აქ არის... სიბნელეში, უჩუმრად, შეუმჩნევლად მუშაობს. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ თუ ვინმეს მაინც შეუძლია მისტერ ბრაუნის დღის სინათლეზე გამოტყუება, ეს ადამიანი ფილ ედჯერტონია. დარწმუნებული ვარ, ის ამ საქმეში ჩართულია, მაგრამ არ უნდა, რომ ეს იცოდნენ. სხვათა შორის, ამას წინათ საკმაოდ უცნაური თხოვნით მომმართა.

– მართლა?

– ამერიკული გაზეთიდან ამონაჭერი გამომიგზავნა – წერილი, რომელშიც ნახსენებია გვამი, რომელიც სამიოდე კვირის წინათ გამოირიყა ნიუ-იორკის დოკების რაიონში. ყველაფრის დაწვრილებით გარკვევა და ნებისმიერი ინფორმაციის მოწოდება მთხოვა.

– მერე?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარტერმა მხრები აიჩეჩა.

– ძალიან ცოტა რამის გარკვევა შევძელი. ოცდათხუთმეტიოდე წლის მამაკაცი, ღარიბულად ჩაცმული, დამახინჯებული სახით. ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

– და ფიქრობთ, მის თხოვნას ჩვენს საქმესთან რამე კავშირი აქვს?

– მგონი, კი... თუმცა, ცხადია, შესაძლოა, ვცდები კიდეც, – მისტერ კარტერმა პაუზის შემდეგ განაგრძო: – აქ შემოვლა ვთხოვე. რა თქმა უნდა, თუ არ მოისურვებს, ვერაფერს ვათქმევინებთ. კანონებს მკაცრად იცავს, მაგრამ ბერესფორდის წერილიდან ორ-სამ ბუნდოვან ადგილს აუცილებლად განგვიმარტავს... აჰა, აი, ისიც!

ისინი სერ ჯეიმზის შესახვედრად წამოდგნენ. პრემიერს სახეზე დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა: „ჩემი შესაძლო მემკვიდრე!“

– ბერესფორდისგან წერილი მივიღეთ, – მისტერ კარტერი პირდაპირ საქმეზე გადავიდა, – მაგრამ, თუ არ ვცდები, თქვენ ის უკვე ნახეთ, არა?

– ცდებით, – მიუგო ადვოკატმა.

მისტერ კარტერმა მას დაბნეულად შეხედა. სერ ჯეიმზმა გაიღიმა და ნიკაპზე ხელი მოისვა.

– მან დამირეკა.

– ხომ არ შეგიძლიათ, ზუსტად გვითხრათ, რაზე ილაპარაკეთ?

– რატომაც არა. მადლობა გადამიხადა წერილისთვის... გამოგიტყდებით, სამსახური შევთავაზე. შემდეგ ის შემახსენა, რაც მანჩესტერში ვუთხარი ყალბ დეპეშასთან დაკავშირებით, როდესაც მის კაული მახეში შეიტყუეს. ვკითხე, კიდევ რამე ხომ არ მოხდა-მეთქი. მიპასუხა, რომ მოხდა – მისტერ ჰერსჰაიმერის ნომერში, საწერი მაგიდის უჯრაში, მან ფოტოსურათს მიაგნო, – ადვოკატი ორიოდე წამით გაჩუმდა, – დავინტერეს-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დი, ამ ფოტოსურათზე კალიფორნიელი ფოტოგრაფის გვარი და მისამართი ხომ არ ეწერა. მიპასუხა: „გამოიცანით, სერ, წერია.“ შემდეგ ის მითხრა, რაც არ ვიცოდი – რომ ეს იმ ფრანგი ქალიშვილის, ანეტის ფოტოსურათი იყო, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა.

– რა?

– დიახ. ცნობისმოყვარეობა გამოვიჩინე და ახალგაზრდა კაცს ვკითხე, ფოტოსურათს როგორ მოექცა. მიპასუხა, რომ იქ დატოვა, სადაც იპოვა, – ადვოკატი კვლავ გაჩუმდა, – შესანიშნავია, შესანიშნავი. ცუდად არ აზროვნებს. აღმოჩენა მივულოცე. უაღრესად დროული მიგნებაა. ბუნებრივია, იმ წუთიდან, როდესაც გაირკვა, რომ მანჩესტერში მყოფი ქალიშვილი თვითმარქვია იყო, ჩვენთვის ცნობილი ყველა ფაქტი სრულიად სხვა კუთხით წარმოგვიდგება. ამას იგი ჩემი კარნახის გარეშე მიხვდა. და ერთთავად მის კაულის ახსენებდა. მეკითხებოდა, ჩემი აზრით, ცოცხალი იყო თუ არა. ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონე და მივუგე, რომ, დიდი ალბათობით, ცოცხალი უნდა ყოფილიყო. ამ დროს კვლავ დეპეშაზე გადაერთო.

– შემდეგ?

– ვურჩიე, დეპეშის ასლის მისაღებად თქვენთვის მოემართა. გავიფიქრე, რომ დეპეშაში, რომელიც მის კაულიმ მიიღო, მას შემდეგ, რაც დაჭმუჭნა და გადააგდო, შესაძლოა, რამე შეცვალეს, რათა ისინი, ვინც მის ძებნას დაიწყებდა, მცდარ კვალზე დაეყენებინათ.

კარტერმა თავი დააქნია, ჯიბიდან ფურცელი ამოიღო და ხმამაღლა წაიკითხა:

„დაუყოვნებლივ ჩამოდი, ასტლი-პრაიორსი, გეითჰაუსი, კენტი. დიდებული სიახლეებია. ტომი.“

– მარტივად და მახვილგონივრულად, – თქვა სერ ჯეიმზმა, – სხვა მისამართი – და ეს სრულიად საკმარი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სი აღმოჩნდა. თანაც მათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამე გამორჩათ.

– კერძოდ?

– დამტარებელი ბიჭის მტკიცება, რომ მის კაულიმ ჩარინგ-კროსის სადგური დაასახელა. ისე მტკიცედ სჯეროდათ, სად უნდა გამგზავრებულიყვნენ, გადაწყვიტეს, რომ ბიჭს შეცდომით მოესმა.

– მაშასადამე, ბერესფორდი ახლა...

– გეითჰაუსშია, კენტში, თუ არ ვცდები.

მისტერ კარტერმა მას ცნობისმოყვარეობით შეხედა.

– მიკვირს, რომ იქ არ ხართ, ფილ ედჯერტონ.

– მნიშვნელოვანი საქმე მაქვს.

– მე კი მეგონა, რომ შვებულებაში იყავით.

– ოჰ, კლიენტებს ვერ მივატოვებ. უფრო ზუსტად, საქმეს ვამზადებ. დამხრჩვალი ამერიკელის შესახებ ახალი არაფერია?

– სამწუხაროდ, არა. თქვენთვის ასე მნიშვნელოვანია მისი ვინაობის ცოდნა?

– ისედაც ვიცი, ვინც იყო, – აგდებულად მიუგო სერ ჯეიმზმა, – ჯერჯერობით, ვერ ვამტკიცებ, თუმცა ვიცი.

მეტი შეკითხვა აღარ დაუსვამთ. გრძნობდნენ, რომ პასუხს მაინც ვერ ეღირსებოდნენ.

– ერთი რამე ვერ გამიგია, – მოულოდნელად თქვა პრემიერმინისტრმა, – როგორ აღმოჩნდა ეს ფოტოსურათი მისტერ ჰერსჰაიმერის უჯრაში?

– შესაძლოა, ყოველთვის იქ იდო, – ივარაუდა ადვოკატმა.

– მაგრამ ფიქტიური ინსპექტორი? ინსპექტორი ბრაუნი?

– აჰ! – ჩაფიქრებით შესძახა სერ ჯეიმზმა და წამოდგა, – დროს აღარ წაგართმევთ. განაგრძეთ სახელმწიფო საქმეების კეთება. მე კი ჩემსას უნდა დავუბრუნდე.

ორი დღის შემდეგ ჯულიუს ჰერსჰაიმერი მანჩეს-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტერიდან დაბრუნდა. მაგიდაზე ტომის წერილი ელოდებოდა.

„ძვირფასო ჰერსჰაიმერ,

მაპატიეთ გაფიცხება. თუ ველარ გნახავთ, წინასწარ გემშვიდობებით. სამსახური შემომთავაზეს არგენტინაში და შესაძლოა, დავთანხმდე.

თქვენი ტომი ბერესფორდი.“

ჯულიუსმა უცნაურად გაიღიმა და წერილი ნაგვის კალათაში ჩააგდო.

– წყეული სულელი! – ჩაიბურტყუნა მან.

თავი ოცდამესამე
დროის გასასწრებად

სერ ჯეიმზთან ტელეფონით საუბრის შემდეგ ტომი საუთ-ოდლიში-მენშენსში გაჩნდა. აღმოჩნდა, რომ ალბერტი თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა. ტომი მას ტაპენსის მეგობრის სახელით წარუდგა. ალბერტმა მყისვე უკუაგდო ოფიციალური კილო.

– ბოლო დროს აქ უჩვეულო სიჩუმეა, – ჩაფიქრებული სახით თქვა მან, – ვიმედოვნებ, ახალგაზრდა ლედი კარგადაა, არა?

– ვერაფერს ვიტყვი, ალბერტ. იგი გაუჩინარდა.

– ბანდიტებმა ხომ არ მოიტაცეს?

– ასეა.

– მიწისქვეშა სამყაროში?

– არა, დალახვროს ეშმაკმა, ამ სამყაროში!

– ასეთი გამოთქმაა, სერ, – მოთმინებით აუხსნა ალბერტმა, – ფილმებში ბანდებს ყოველთვის აქვთ რესტორნის მსგავსი მიწისქვეშა სამყაროში. თქვენი აზრით, თავიდან მოიცილეს, სერ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვიმედოვნებ, არა. ჰო, მართლა, შემთხვევით, ხომ არა გყავს დეიდა, ბიძაშვილი, ბებია ან სხვა ნათესავი, რომელიც სულს ღაფავს?

ალბერტს სახეზე სიხარულის ღიმილი მოეფინა.

– მიგიხვდით, სერ. ჩემი საბრალო დეიდა სოფელში ცხოვრობს და დიდი ხანია, ლოგინადაა ჩავარდნილი. მთხოვა, სიკვდილის წინ ვინახულო.

ტომიმ თავი მოწონების ნიშნად დაუქნია.

– შეგიძლია, ამის შესახებ საჭირო ადგილას განაცხადო და ერთი საათის შემდეგ ჩარინგ-კროსთან შემხვდე?

– მოვალ, სერ. ჩემი იმედი გქონდეთ.

როგორც ტომიმ ივარაუდა, ერთგული ალბერტი ფასდაუდებელი მოკავშირე გამოდგა. ისინი გეითჰაუსის სასტუმროში დაბინავდნენ. ალბერტს ინფორმაციის შეგროვება დაევალა, რაც სრულიად არ უჭირდა.

ასტლი-პრაიერსი ვინმე დოქტორ ადამსს ეკუთვნოდა. როგორც სასტუმროს მეპატრონემ იცოდა, დოქტორი პრაქტიკას აღარ მისდევდა, თუმცა თავისი ზოგიერთი პაციენტის ჯანმრთელობას თვალს ადევნებდა. აქ მეპატრონემ მრავალმნიშვნელოვნად დაიტრიალა თითი საფეთქელთან – „ალბათ, ხვდებით, დაწყობილი არ უნდა იყოსო.“ სოფელში ექიმი პოპულარული პიროვნება იყო, უშურველად აფინანსებდა ადგილობრივ სპორტულ შეჯიბრებებს და „ძალზე სასიამოვნო და თავაზიანი ჯენტლმენის“ სახელით სარგებლობდა. რამდენი წელი გაატარა აქ? დაახლოებით, ათი წელი, შესაძლოა, მეტიც. მეცნიერი იყო. ზოგჯერ მასთან ლონდონიდანაც კი ჩამოდიოდნენ: ხან – პროფესორები, ხან – უბრალო მნახველები. ამ გულღია კაცს სტუმარი არასდროს აკლდა.

მრავალსიტყვაობამ ტომის ეჭვი აღუძრა. ნუთუ ასეთი პატივსაცემი და ცნობილი ადამიანი საშიში დამნაშავე იქნებოდა? მისი ცხოვრება გადაშლილ წიგნს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰგავდა. არავითარი მინიშნება ბოროტ საქციელზე. უდიდეს შეცდომას ხომ არ უშვებდა? ამის გაფიქრებაზე ტომის ტანში გააცივა.

მაგრამ ამ დროს კერძო პაციენტები გაახსენდა – „შერეკილები“ – და ფრთხილად იკითხა, ხომ არ იყო მათ შორის ახალგაზრდა ლედი, და ტაპენსი აღწერა. მაგრამ პაციენტების შესახებ თითქმის ვერაფერი შეიტყო – ისინი ბაღის გარეთ იშვიათად გადიოდნენ. არც ანეტის დეტალურმა აღწერამ გამოიღო შედეგი.

ასტლი-პრაიერსი წითელი აგურით აგებული ლამაზი შენობა აღმოჩნდა. ხეებს შორის მოქცეული, გზიდან სრულიად არ ჩანდა.

პირველივე საღამოს ტომი, ალბერტის თანხლებით, დასაზვერად წავიდა. ალბერტის მოთხოვნით, დიდხანს მიფოფხავდნენ და ისე ქშენდნენ და ხმაურობდნენ, რომ გაცილებით უსაფრთხო იქნებოდა, თუ ჩვეულებრივად ივლიდნენ. სიფრთხილის ეს ზომები ზედმეტი აღმოჩნდა. ბაღში, როგორც ჩანს, არავინ იყო – დაბნელებისთანავე კერძო კარ-მიდამოებში ასე ხშირად ხდება. ტომის მოდარაჯე ავ ძაღლთან შეხვედრის ეშინოდა, ალბერტს – პუმასთან ან გაწვრთნილ კობრასთან, თუმცა ბუჩქნარს სახლის სიახლოვეს უდავიდარაბოდ მიაღწიეს.

სასადილო ოთახის ჟალუზები აეწიათ. მაგიდის გარშემო მრავალრიცხოვანი საზოგადოება შეკრებილიყო. პორტვეინის ბოთლები ხელიდან ხელში გადადიოდა. ჩვეულებრივი, ნორმალური კომპანია მეგობრულად ვახშმობდა. ღია ფანჯრიდან ღამის სიბნელეში საუბრების ცალკეული სიტყვები გაისმოდა. გაცხოველებული მსჯელობა საგრაფოს კრიკეტს შეეხებოდა!

ტომიმ კვლავ იგრძნო გაურკვევლობით გამოწვეული საშინელი სიცივე. ვერ იჯერებდა, რომ ეს ადამიანები ისინი არ იყვნენ, ვინც ეგონა. ნუთუ კვლავ გააბრიყვეს? მაგიდის თავში მჯდომი ქერაწვერიანი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სათვალიანი ჯენტლმენი უაღრესად პატიოსან და წესიერ კაცს ჰგავდა.

იმ ღამეს ტომის ძალიან ცუდად ეძინა. დილას დაუღალავი ალბერტი მწვანილის დამტარებელ ბიჭს შეუთანხმდა, დროებით მისი ადგილი დაიკავა და მალთჰაუზის მზარეულის ნდობა მოიპოვა. როდესაც დაბრუნდა, უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ისიც „იმავე ბანდიდან იყო". მაგრამ ტომი არცთუ ენდობოდა მის ზედმეტად მძაფრ წარმოსახვას, თანაც მისგან ერთი კონკრეტული ფაქტიც ვერ მოისმინა. მისი შეკითხვების პასუხად ალბერტი მხოლოდ იმას გაიძახოდა, „რაღაც ისე არ არისო", და რომ ეს ერთი შეხედვითაც ჩანდა.

მეორე დღეს შეცვლა კვლავ განმეორდა (მემწვანილე ბიჭს ეს, ცხადია, აწყობდა) და ამჯერად ალბერტმა დამაიმედებელი ინფორმაცია მოიტანა. სახლში მართლა სტუმრობდა ახალგაზრდა ფრანგი ლედი. ტომიმ ყველა ეჭვი უკუაგდო. მაგრამ დრო თითქმის აღარ რჩებოდა. უკვე 27 რიცხვი იყო. ორი დღეღა რჩებოდა 29-მდე, „შრომის დღემდე", რომლის შესახებაც უამრავი ჭორი ვრცელდებოდა. გაზეთები მძაფრ სტატიებს აქვეყნებდნენ, სულ უფრო გაბედულად მიანიშნებდნენ პროფკავშირების მიერ მომზადებულ გადატრიალებაზე. მთავრობა დუმილს ამჯობინებდა. მან ყველაფერი იცოდა და მზად იყო ამ საბედისწერო დღისთვის. იმასაც ამბობდნენ, რომ პროფკავშირის ლიდერებს შორის ერთსულოვნება არ არსებობდა. ყველაზე შორსმჭვრეტელები ხვდებოდნენ, რომ მათ გეგმებს შესაძლოა, სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინა იმ ინგლისისთვის, რომელიც გულის სიღრმეში უყვარდათ. მათ შიმშილი და ტანჯვა აშინებდათ, რაც ყოველთვის თან ახლდა საყოველთაო გაფიცვას, და შინაგანად მზად იყვნენ სახიფათო გზიდან გადახვევისა და ხელისუფლებისკენ შემხვედრი ნაბიჯების გადასადგმელად, მაგრამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მათ ზურგს უკან საიდუმლო ძალები მოქმედებდნენ, ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ, სისტემატურად ახსენებდნენ მუშებს წარსულ უსამართლობას და რადიკალური ზომებისკენ მოუწოდებდნენ.

ტომის აზრით, მისტერ კარტერის წყალობით, ის ახლა სწორად აფასებდა ვითარებას. თუ საბედისწერო დოკუმენტი მისტერ ბრაუნის ხელში აღმოჩნდებოდა, საზოგადოებრივი აზრი აუცილებლად პროფკავშირელი ექსტრემისტებისა და რევოლუციონერების მხარეს გადაიხრებოდა. ცხადია, ხელისუფლებას შეეძლო, ლოიალური არმია და პოლიცია გამოეყენებინა. მაშინ გაიმარჯვებდა კიდეც, მაგრამ რა ფასად! ტომის სხვა, თითქმის დაუჯერებელი შედეგის იმედი ჰქონდა – რომ როგორც კი მისტერ ბრაუნს მოიხელთებდნენ და დაატიმრებდნენ, მთელი ორგანიზაცია მყისიერად და სამარცხვინოდ დაიშლებოდა. ის ხომ მხოლოდ მისი უხილავი მეთაურის მომნუსხველ ძალასა და ნებისყოფას ემყარებოდა. ტომის სჯეროდა, რომ უმეთაუროდ პანიკა ატყდებოდა, ბევრი პატიოსანი ადამიანი გონს მოეგებოდა და ბოლო წამს შეთანხმებაც მოხდებოდა.

„ეს ერთი კაცის შოუა, – გაიფიქრა ტომიმ, – მთავარია, მეთაური სწრაფად შევიპყროთ.“

ნაწილობრივ, სწორედ ამ ამბიციურმა სურვილმა აიძულა, ეთხოვა მისტერ კარტერისთვის, რომ დალუქული კონვერტი არ გაეხსნა. ხელშეკრულება არ ასვენებდა. ზოგჯერ ტომის შიშიც კი იპყრობდა საკუთარი უსაზღვრო თავდაჯერებულობის გამო. როგორ გაბედა და გაიფიქრა, რომ მან აღმოაჩინა ის, რაც მასზე ჭკვიანმა და გამოცდილმა ადამიანებმა ვერ შეამჩნიეს? მიუხედავად ყველაფრისა, საკუთარ გეგმაზე ხელის აღებას არ აპირებდა. საღამოს ის და ალბერტი კვლავ შეიპარნენ ნაცნობ ბაღში. ამჯერად ტომის სურდა, როგორმე სახლში შეეღწია. როდესაც მას უჩუმრად მიადგნენ, უეცრად კინაღამ სუნთქვა შეეკრა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მესამე სართულზე ვიღაც განათებულ ფანჯარასთან იდგა და ჟალუზს ჩრდილი ეცემოდა. ამ სილუეტს ტომი ნებისმიერ ადგილას იცნობდა! ტაპენსი ამ სახლში იყო!

ტომიმ ალბერტს მხარში ხელი ჩაავლო.

– აქ დარჩი! როდესაც სიმღერას დავიწყებ, იმ ფანჯარას დააკვირდი.

იგი სასწრაფოდ დაბრუნდა ბილიკზე, გზა ბარბაცით განაგრძო და ხმამაღლა, ბოხი ხმით შეუდგა ღრიალს:

„მე ჯარისკაცი ვარ,

ბრიტანელი ჯარისკაცი ვარ...

ჩემი ფეხსაცმლითაც მიხვდებით, რომ ჯარისკაცი ვარ...“

ჰოსპიტალში გრამოფონით გაუთავებლად უკრავდნენ ამ სიმღერას. ტაპენსი აუცილებლად იცნობდა მას და ყველაფერს მიხვდებოდა. ტომის სმენა არ ჰქონდა, სამაგიეროდ, ხმის სიძლიერეს არ უჩიოდა. ასე რომ, გამაყრუებელი ხმაური ატეხა.

მალე სადარბაზო კარიდან უზადოდ ჩაცმული მსახურთუფროსი გამოვიდა ასევე უზადოდ გამოწყობილი ლაქიის თანხლებით. მსახურთუფროსმა სცადა დაერწმუნებინა, რომ გაჩუმებულიყო. ტომი სიმღერას განაგრძობდა, მას კი „საყვარელ გულკეთილ ბაკენბარდებიანს“ უწოდებდა. მსახურთუფროსმა ხელი გამოსდო, მეორე მხრიდან ლაქია ამოუდგა, ორივემ სწრაფად მიიყვანეს ჭიშკართან და თავაზიანად მოაცილეს იქაურობას. მსახურთუფროსი დაემუქრა კიდეც – თუ დაბრუნდები, პოლიციას გამოვიძახებო. ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა: ბუნებრივად და ღირსეულად. ნებისმიერი თავს დადებდა, რომ მსახურთუფროსიც ნამდვილი იყო და ლაქიაც. ოღონდ მსახურთუფროსი გვარად უიტინგტონი გახლდათ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომი სასტუმროში დაბრუნდა და ალბერტის მოსვლას დაელოდა. როგორც იქნა, საზრიანი ყმაწვილი ნომერში შემოვიდა.

– აბა? – მოუთმენლად შესძახა ტომიმ.

– ყველაფერი კარგადაა. სანამ თქვენ მიჰყავდით, ფანჯარა გაიღო და იქიდან რაღაც გადმოაგდეს, – მან ტომის დაჭმუჭნილი ფურცელი მიაწოდა, – პრესპაპიეზე მიემაგრებინათ.

ფურცელზე ეწერა: „ხვალ, ამავე დროს."

– ყოჩაღ! – შესძახა ტომიმ, – საქმე დაიძრა.

– მე კი ბარათი დავწერე, მასში კენჭი გავახვიე და ფანჯარაში შევაგდე, – ამაყად მოახსენა ალბერტმა.

ტომიმ დაიკვნესა.

– შენი გულმოდგინება დაგვღუპავს. მითხარი, რა დაწერე.

– რომ სასტუმროში ვცხოვრობთ და თუ გაქცევას მოახერხებს, იქ მოვიდეს და ბაყაყივით აყიყინდეს,

– მაშინვე მიხვდებოდა, რომ შენ იყავი, – ტომიმ შვებით ამოისუნთქა, – წარმოსახვა გღალატობს, ალბერტ. გსმენია კი ოდესმე, როგორ ყიყინებს ბაყაყი?

ალბერტმა შესამჩნევად მოიწყინა.

– ცხვირს ნუ ჩამოუშვებ! – უთხრა ტომიმ, – ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მსახურთუფროსი ჩემი ძველი მეგობარია. დარწმუნებული ვარ, მიცნო, თუმცა არ შეიმჩნია. ეს მათ გეგმაში არ შედის. აი, რატომ მოხდა ასე. ჩემი დაფრთხობა არ სურთ. მაგრამ არც ია-ვარდს დამიფენენ. მე მათ თამაშში პაიკი ვარ, ალბერტ, მხოლოდ პაიკი. მაგრამ თუ ობობა ბუზს დაუბრკოლებლად გაფრენის საშუალებას მისცემს, ბუზი შესაძლოა, დაეჭვდეს, რომ ამის უკან რაღაც იმალება. ახალგაზრდა და იმედის მომცემი მისტერ ტომას ბერესფორდი სცენაზე მათთვის უაღრესად საჭირო დროს გამოვიდა. მაგრამ შემდგომში მისტერ ტომას ბერესფორდს სიფრთხილე მართებს!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომი საუცხოო ხასიათზე დაწვა დასაძინებლად, მანამდე კი მომდევნო საღამოსთვის მოქმედების დაწვრილებითი გეგმა შეადგინა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ასტლი-პრაიერსის მკვიდრნი დაბრკოლებას, ჯერჯერობით, არ შეუქმნიდნენ. მოგვიანებით კი თვითონ აპირებდა მათთვის სიურპრიზის მოწყობას.

მაგრამ თორმეტი საათისთვის მისი სიმშვიდე უხეშად დაარღვიეს. შეატყობინეს, რომ ბარში ვიღაც ელოდებოდა. ეს ზორბა, ტალახში ამოგანგლული მეეტლე იყო.

– აბა, რა მოხდა, ჩემო კარგო? – ჰკითხა ტომიმ.

– იქნებ ეს თქვენთვისაა, სერ? – მეეტლემ ოთხად გაკეცილი ჭუჭყიანი ქაღალდის ფურცელი გაუწოდა, რომელზეც ეწერა: „გადაეცით ჯენტლმენს, რომელიც ასტლი-პრაიერსის მეზობლად მდებარე სასტუმროში ცხოვრობს. ათ შილინგს მიიღებთ.“

ნაცნობი ხელწერის დანახვაზე ტომიმ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ტაპენსს ისიც კი გაეთვალისწინებინა, თუ ის სასტუმროში სხვა სახელითა და გვარით მივიდოდა. ფურცლის გამორთმევა დააპირა.

– დიახ, ასეა.

მეეტლე არ ჩქარობდა.

– ათი შილინგი?

ტომიმ საჩქაროდ ამოიღო საფულედან ათშილინგიანი ბანკნოტი და მეეტლეს მისცა, სანაცვლოდ კი ფურცელი მიიღო, რომელიც მყისვე გაშალა.

„ძვირფასო ტომი,

მივხვდი, რომ საღამოს შენ იყავი. დღეს ნუ მოხვალ, ჩაგისაფრდებიან. დილას აქედან წაგვიყვანენ. რაღაცას მოვკარი ყური უელსისა და ჰოლიჰედის შესახებ. თუ მოვახერხე, ბარათს გზაზე დავაგდებ. ანეტმა მიამბო, როგორ გაიქეცი. მხნედ იყავი.

შენი ტაპენსი.“

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომის წერილი ბოლომდე არც ჩაეკითხა, რომ ალბერტს დაუყვირა:

– ჩემი ჩემოდანი ჩაალაგე! მივემგზავრებით!

– არის, სერ! – ზემოდან ალბერტის ჩექმების ბრაგაბრუგი გაისმა.

ჰოლიჰედი? მაშასადამე, მაინც... ტომი გაოცებული იყო. ბარათი აუჩქარებლად გადაიკითხა. ალბერტი მაღლა კვლავ ხმაურიანად საქმიანობდა. მოულოდნელად მოესმა:

– ალბერტ! ნამდვილი სულელი ვარ! ბარგი ამოალაგე!

– დიახ, სერ!

ტომიმ ჩაფიქრებული სახით გაასწორა ფურცელი.

– ჰო, ნამდვილი სულელი ვარ, – ჩაილაპარაკა ხმადაბლა, – მაგრამ არა მხოლოდ მე! და, როგორც იქნა, ვიცი, ის ვინ არის!

თავი ოცდამეოთხე
ჯულიუსი მოქმედებს

სასტუმრო „კლარიჯის“ ლუქსში დივანზე გაშხლართული კრამენინი მდივანს ფრაზებს კარნახობდა. მათში შიშინა ბგერები სჭარბობდა, რომლებითაც ასე მდიდარია რუსული ენა.

მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა. მდივანმა ყურმილი აიღო, ერთი-ორი წუთი ილაპარაკა და თავის დამქირავებელს მიუბრუნდა.

– თქვენ გთხოვენ.

– ვინ არის?

– როგორც თქვა, მისტერ ჯულიუს ჰერსჰაიმერი.

– ჰერსჰაიმერი, – ჩაფიქრებით გაიმეორა კრამენინმა, – ნაცნობი გვარია.

– მამამისი ამერიკის ფოლადის ერთ-ერთი მეფე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყო, – აუხსნა მდივანმა, რომელსაც ყველაფრის ცოდნა ევალებოდა, – ამ ახალგაზრდა კაცს ბანკში, ალბათ, მრავალი მილიონი უდევს.

კრამენინმა თვალები სიამოვნებით მოჭუტა.

– ჩადი და შეხვდი, ივან. გაიგე, რა უნდა.

მდივანი დაემორჩილა და კარი უხმაუროდ გაიხურა. მალე უკან დაბრუნდა.

– არაფერი გამიმხილა. მითხრა, რომ ეს პირადი საქმეა და აუცილებლად უნდა გნახოთ.

– მრავალი მილიონი, – ჩაილაპარაკა კრამენინმა, – კარგი, შემოიყვანე, ჩემო ივან.

მდივანი კვლავ გავიდა და ჯულიუსს შემოუძღვა.

– მესიე კრამენინ? – მკვეთრად ჰკითხა შემოსულმა.

რუსმა თავი დაუკრა და ღია ფერის გველისებური თვალებით ყურადღებით შეათვალიერა.

– მიხარია თქვენი გაცნობა, – უთხრა ამერიკელმა, – უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე მაქვს, რომლის შესახებაც პირისპირ მსურს საუბარი, – მან მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მდივანს.

– ეს ჩემი მდივანია, მესიე გრიბერი. მისგან დასამალი არაფერი მაქვს.

– შესაძლოა, მაგრამ მე მაქვს, – ცივად მიუგო ჯულიუსმა, – ამიტომ ძალიან დამავალებთ, თუ აქედან გასვლას უბრძანებთ.

– ივან, – რბილად თქვა რუსმა, – იქნებ მეზობელ ოთახში გახვიდე...

– არავითარი მეზობელი ოთახი! – გააწყვეტინა ჯულიუსმა, – ვიცი ეს აპარტამენტები. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩვენს საუბარს ვერავინ მოისმენს. მაღაზიაში გაგზავნეთ, თუნდაც არაქისის საყიდლად.

კრამენინს ამერიკელის მანერა არ მოეწონა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა კლავდა.

– თქვენს საქმეს დიდი დრო დასჭირდება?

– თუ დაინტერესდებით, შესაძლოა, მთელი ღამეც.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კარგი. ივან, დღეს აღარ დამჭირდები. შეგიძლია, თეატრში წახვიდე და ცოტა გაერთო.

– გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ.

მდივანმა თავი დაუკრა და გავიდა.

კართან მდგომმა ჯულიუსმა მას თვალი გააყოლა, ბოლოს შვებით ამოისუნთქა, კარი მიხურა და ოთახის შუაგულში დაბრუნდა.

– აბა, მისტერ ჰერსჰაიმერ, იქნებ კეთილი ინებოთ და საქმეზე გადახვიდეთ?

– ვფიქრობ, ეს ერთ წუთზე მეტს არ წაიღებს, – გაწელვით ჩაილაპარაკა ჯულიუსმა და მოულოდნელად სრულიად სხვა კილოთი წარმოთქვა: – ხელები ზევით, თორემ გესვრით!

კრამენინი წამით მოზრდილი რევოლვერის ლულას მიაშტერდა, შემდეგ კი კომიკური სისწრაფით ასწია ხელები. ამ ხნის განმავლობაში ჯულიუსმა მისი შეფასება მოასწრო: ეს კაცი მხდალი იყო და მასთან დიდი დავიდარაბა არ დასჭირდებოდა.

– ეს ძალადობაა! – ისტერიკული ხმით შეჰყვირა რუსმა, – აღმაშფოთებელია! ჩემს მოკვლას აპირებთ?

– არა, თუ ხმას დაუწევთ. არც ზარისკენ გაიწიოთ. აი, ასე ჯობია.

– რა გნებავთ? წინდაუხედავად ნუ მოიქცევით. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩემი სიცოცხლე ჩემი ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. შესაძლოა, ცილი დამწამეს...

– ვფიქრობ, – უთხრა ჯულიუსმა, – ის, ვინც ტყვიით სხეულს გაგიხვრეტთ და და თქვენში ცოტაოდენ სინათლეს შეიტანს, კაცობრიობას კარგ სამსახურს გაუწევს. მაგრამ ნუ ღელავთ, თქვენს მოკვლას ჯერ-ჯერობით არ ვაპირებ. ცხადია, თუ გონივრულად მოიქცევით.

მოწინააღმდეგის მრისხანე სახის დანახვაზე რუსი მოიკუნტა, გამშრალ ტუჩებზე ენა მოისვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა გინდათ? ფული?

– არა, ჯეინ ფინი მჭირდება.

– ჯეინ ფინი? მე... ეს სახელი არასდროს მსმენია!

– ცრუობთ! მშვენივრად იცით, ვისზე ვლაპარაკობ.

– გეუბნებით, პირველად მესმის-მეთქი.

– ჰოდა, მეც გეუბნებით, – თქვა ჯულიუსმა, – რომ პატარა ვილი ლამის გაგიჟდეს, ისე უნდა რაღაცის თქმა!

რუსმა ყურები ჩამოყარა.

– ვერ გაბედავთ...

– გავბედავ, ჩემო კარგო, გავბედავ!

კრამენინი მისმა კილომ, როგორც ჩანს, დაარწმუნა, ამიტომ პირქუშად უთხრა:

– დავუშვათ, ვიცი, ვისზეც ლაპარაკობთ. მერე რა?

– რა და, ახლავე მეტყვით, სად შეიძლება მისი ნახვა.

კრამენინმა თავი გადააქნია.

– არ შემიძლია.

– რატომ?

– შეუძლებელს მთხოვთ.

– გეშინიათ, არა? ვისი? მისტერ ბრაუნის? აჰა, აწრიალდით! მაშასადამე, ის მართლა არსებობს? აქამდე ეჭვი მეპარებოდა. თქვენ კი მის ხსენებაზეც კი გაცახცახებთ.

– მე ვნახე იგი, – აუჩქარებლად თქვა რუსმა, – პირისპირ ველაპარაკე. მაგრამ ის რომ იყო, მოგვიანებით გავიგე. ლიდერს სრულიად არა ჰგავს. ჩვეულებრივი ადამიანია ბრბოდან. კვლავ რომ შევხვდე, ვერც კი ვიცნობ. არ ვიცი, სინამდვილეში ვინ არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საშინელი ადამიანია.

– ის ხომ ვერაფერს გაიგებს! – შეეპასუხა ჯულიუსი.

– მისგან არაფერი იმალება, მისი შურისძიება კი მყისიერია. მეც კი – კრამენინს – არ დამინდობს!

– ესე იგი, თხოვნის შესრულებაზე უარს მეუბნებით?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შეუძლებელს მთხოვთ.

– სამწუხაროა, მაგრამ არ გაგიმართლათ, – მხიარულად თქვა ჯულიუსმა, – თუმცა კაცობრიობა ამით მხოლოდ მოიგებს, – მან რევოლვერი ასწია.

– შეჩერდით! – შესძახა რუსმა, – ნუთუ ასე თავისუფლად მესვრით?

– ცხადია, გესვრით. მსმენია, რომ თქვენ, რევოლუციონრებს, ადამიანის სიცოცხლე არაფრად მიგაჩნიათ. მაგრამ როდესაც საქმე თქვენს საკუთარ სიცოცხლეს შეეხო, სხვანაირად ამღერდით, არა? რა ვქნა, თქვენი ბინძური ტყავის გადარჩენის შანსი მოგეცით, მაგრამ უარზე ხართ!

– ისინი მომკლავენ!

– რა გაეწყობა, – თავაზიანად თქვა ჯულიუსმა, – თქვენი გადასაწყვეტია. ოღონდ გაფრთხილებთ: პატარა ვილი უშეცდომოდ მოქმედებს. თქვენს ადგილას მისტერ ბრაუნს ავირჩევდი, შანსი მაინც გექნებათ.

– თუ მომკლავთ, ჩამოგახრჩობენ, – გაუბედავად ჩაილაპარაკა რუსმა.

– ცდებით, უცხოელო. დოლარები დაგავიწყდათ. ადვოკატები ხელებს დაიკაპიწებენ და ცნობილ ექიმებს გამოძებნიან, რომლებიც უყოყმანოდ განაცხადებენ, რომ თავში ყველაფერი რიგზე არა მაქვს. ნახევარი წელი სანატორიუმის სიმყუდროვეში დავისვენებ, გამოვჯანმრთელდები, ექიმები კი იტყვიან, რომ კრიზისმა გადაიარა და ავადმყოფი კვლავ საღ ჭკუაზეა. პატარა ჯულიუსისთვის ყველაფერი კარგად დასრულდება. მზად ვარ, რამდენიმე თვე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გავატარო, ოღონდ კი სამყარო თქვენგან გავათავისუფლო. ასე რომ, ტყუილუბრალოდ ინუგეშებთ თავს, რომ ჩამომახრჩობენ!

ამ სიტყვებმა რუსი დაარწმუნა. თვითონაც კორუმპირებულმა, იცოდა, რა ძალა ჰქონდა ფულს. წაეკითხა კიდეც, რომ ამერიკაში მკვლელების გასამართლება სწორედ ჯულიუსის მიერ აღწერილი გზით წარიმართა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვითონაც ყიდულობდა და ყიდდა მართლმსაჯულებას. ამ თავზე ხელაღებულ ახალგაზრდა ამერიკელს კი, რომელიც გაბმით ლაპარაკობდა, ყველა კოზირი ხელთ ჰქონდა.

– ხუთამდე ვითვლი, – განაგრძო ჯულიუსმა, – თუ ოთხ დათვლაზე გონს არ მოეგებით, მისტერ ბრაუნის აღარასდროს შეგეშინდებათ. მან შესაძლოა, თქვენს დაკრძალვაზე ყვავილები გამოგზავნოს, თუმცა მათ სურნელს ვეღარ იგრძნობთ. მზად ხართ? ვიწყებ. ერთი... ორი... სამი... ოთხი...

– არ ისროლოთ! – ყვირილით გააწყვეტინა რუსმა, – ყველაფერს გავაკეთებ, რაც გინდათ.

ჯულიუსმა რევოლვერი დაუშვა.

– ვიცოდი, რომ გონს მოეგებოდით. სად არის ქალიშვილი?

– გეითჰაუსში, კენტში. იმ ადგილს ასტლი-პრაიერსი ჰქვია.

– ჩაკეტილი ჰყავთ?

– სახლის გარეთ გასვლის უფლებას არ აძლევენ. თუმცა ეს მხოლოდ თავის დაზღვევაა. დალახვროს ეშმაკმა, იმ პატარა სულელმა მეხსიერება დაკარგა!

– რა სამწუხაროა თქვენთვის და თქვენი მეგობრებისთვის. მეორე ქალიშვილი, რომელიც ერთი კვირის წინათ მოტყუებით დაიჭირეთ?

– ისიც იქაა, – კუშტად მიუგო რუსმა.

– ეს კარგია, – თქვა ჯულიუსმა, – მშვენიერია. ღამეც საუცხოოა გასასეირნებლად!

– სად უნდა გავისეირნოთ? – თვალები დაჭყიტა კრამენინმა.

– ცხადია, გეითჰაუსში. ვიმედოვნებ, ავტომობილით მგზავრობა მოგწონთ, არა?

– რას გულისხმობთ? მე არსად წამოვალ.

– ნუ ფიცხობთ. ნუთუ გგონიათ, რომ ცხვირმოუხოცელი ღლაპი ვარ და აქ დაგტოვებთ? თქვენ ხომ მაშინვე ტელეფონს მივარდებით და თქვენს მეგობრებს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაურეკავთ. აჰ! – ჯულიუსმა რუსს სახეზე იმედგაცრუება შეამჩნია, – ყველაფერი მოგიფიქრებიათ! არა, სერ, ჩემთან ერთად წამოხვალთ. ეს თქვენი საწოლი ოთახის კარია? იქით წადით. მე და ვილი გამოგყვებით. ასე. აბა, თბილი პალტო ჩაიცვით. ქურქი გქონიათ?! არადა, თავს სოციალისტს უწოდებთ! მშვენიერია. ახლა კი, ვესტიბიულის გავლით, ქუჩაში გავალთ და ჩემს „როლს-როისში“ ჩავსხდებით. გახსოვდეთ, რომ მიზანში მყავხართ ამოღებული. ჩემთვის სულერთია, პირდაპირ გესვრით თუ ჯიბიდან. თუკი იმ ლივრეებიან მსახურებს სიტყვას გადაუკრავთ ან რამეს მიანიშნებთ, მყისვე აგიზგიზებულ კოცონზე მოთუხთუხე ქვაბში აღმოჩნდებით!

კიბეზე დაეშვნენ და მანქანისკენ გაემართნენ. რუსი გაშმაგებისგან ლამის ცახცახებდა. ერთი პირობა, დაყვირება დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა – ამერიკელი აშკარად სიტყვის კაცს ჰგავდა. როდესაც მანქანასთან მივიდნენ, ჯულიუსს გულზე მოეშვა. სახიფათო ზონა უკან დარჩა. მის გვერდით მომავალი ადამიანი შიშს სრულად დაეთრგუნა.

– ჩაჯექით! – ბრძანა მან და შეამჩნია, რომ მისმა ტყვემ მძღოლს ალმაცერად გახედა, – არა, მისი დახმარების იმედი ნუ გექნებათ. მეზღვაურია. მისი წყალქვეშა ნავი რუსეთში იყო, როდესაც რევოლუცია დაიწყო. თქვენიანებმა მას ძმა მოუკლეს. ჯორჯ!

– დიახ, სერ? – მძღოლი მისკენ მიტრიალდა.

– ეს ჯენტლმენი რუსი ბოლშევიკია. მის მოკვლას არ ვაპირებთ, ცხადია, თუ ვითარება არ შეიცვალა. გასაგებია?

– დიახ, სერ.

– ახლა კენტში, გეითჰაუსში მივდივართ. გზა იცით?

– დიახ, სერ. საათ-ნახევრის შემდეგ იქ ვიქნებით.

– ერთ საათში უნდა ვიყოთ. მეჩქარება.

– შევეცდები, სერ.

მანქანა ადგილს მოსწყდა და ტრანსპორტის ნაკადს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეერია. ჯულიუსი მოხერხებულად მოკალათდა თავისი ტყვის გვერდით. ხელი ჯიბიდან არ ამოუღია, მაგრამ თავი უაღრესად თავაზიანად ეჭირა.

– ერთხელ ერთი კაცი შემომაკვდა არიზონაში... – დაიწყო ხალისიანად.

ერთსაათიანი მგზავრობის ბოლოს კრამენინი ცოცხალ-მკვდარს ჰგავდა. ჯერ ის ერთი კაცი არიზონადან და ბანდიტი ფრისკოდან[1], შემდეგ „კლდოვან მთებში"[2] მომხდარი ეპიზოდი. ჯულიუსი ფაქტების სიზუსტეს არ იცავდა, სამაგიეროდ, ცოცხლად და საინტერესოდ ჰყვებოდა. მძღოლმა სვლა შეანელა და თქვა, რომ გეითჰაუსში შედიოდნენ. ჯულიუსმა რუსს გზის ჩვენება მოსთხოვა. ზედ სახლთან მისვლა ჩაეფიქრებინა. შემდეგ კრამენინი ბრძანებას გასცემდა, რომ ორივე ქალიშვილი მასთან მიეყვანათ. ჯულიუსმა ტყვეს შეახსენა, რომ „პატარა ვილი" თავნებობას არ მოითმენდა, თუმცა კრამენინი მას უკვე სრულიად ემორჩილებოდა – თავბრუდამხვევი სისწრაფით მგზავრობამ ის წელში გატეხა: ყოველ მოსახვევში სიცოცხლეს ემშვიდობებოდა.

ავტომობილმა ხეივანი გაიარა და პარმაღთან გაჩერდა. მძღოლმა მორიგი ბრძანების მისაღებად უკან მიიხედა.

– ჯორჯ, მანქანა მოატრიალეთ, ზარი დარეკეთ და საჭესთან დაჯექით. ძრავა არ გამორთოთ და როგორც კი გეტყვით, ადგილს მოსწყდით.

– კარგი, სერ.

კარი მსახურთუფროსმა გააღო. კრამენინმა იგრძნო, რომ ფერდზე რევოლვერის ლულა მიაბჯინეს.

– აბა! – წასჩურჩულა ჯულიუსმა, – და ფრთხილად იყავით!

რუსმა თავი დაუქნია. ტუჩები გასთეთრებოდა, ხმა ოდნავ უკანკალებდა.

---

[1] *იგულისხმება სან-ფრანცისკო.*

[2] *მთათა სისტემა ჩრდილოეთ ამერიკაში.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე ვარ... კრამენინი! ქალიშვილი მოიყვანეთ. დაუყოვნებლივ! წუთის დაკარგვა არ შეიძლება!

უიტინგტონი პარმაღიდან დაეშვა და გაოცებულმა შესძახა:

– თქვენ? რა მოხდა? ხომ იცით, რომ გეგმის მიხედვით...

კრამენინმა გააწყვეტინა და იმ სიტყვებით მიმართა, რომლებსაც ხშირად იყენებდა მსგავს ვითარებაში:

– გვიღალატეს! გეგმები იცვლება. საკუთარი ტყავის გადარჩენაზე უნდა ვიზრუნოთ. ქალიშვილი! ახლავე! ეს ჩვენი ერთადერთი შანსია.

უიტინგტონი შეყოყმანდა, მაგრამ მხოლოდ წამით.

– ბრძანება გაქვთ... მისგან?

– ბუნებრივია! აბა, აქ რა მინდოდა? იჩქარეთ! დროს ნუ კარგავთ. მეორე პატარა სულელიც წამოიყვანეთ.

უიტინგტონი სახლში შევარდა. დრო უსაშველოდ გაიწელა. მაგრამ აი, კარში ორი კოხტა ფიგურა გამოჩნდა მხრებზე ნაჩქარევად მოსხმული ლაბადებით. ქალიშვილებს მანქანაში ჩასხდომა აიძულეს. ტანით პატარამ წინააღმდეგობის გაწევა დააპირა, მაგრამ უიტინგტონმა ძალით ჩასვა. ჯულიუსი მათკენ დაიხარა და სახეზე კარიდან გამოსული შუქი დაეცა. უიტინგტონის ზურგს უკან ვილაცამ გაოცებით შეჰყვირა. სპექტაკლი დასრულდა.

– წავედით, ჯორჯ! – შესძახა ჯულიუსმა.

მძღოლმა შეჭიდების სატერფულს ფეხი აუშვა. მანქანა წინ გავარდა. პარმაღზე მდგომმა კაცმა შეიგინა და ხელი ჯიბიდან ამოიღო. გაისმა გასროლა. ტყვიამ მაღალ ქალიშვილს თავთან გაუწუილა.

– დაწექი, ჯეინ! – დაუყვირა ჯულიუსმა, – იატაკზე! – ქალიშვილი სავარძლიდან ძირს ჩააგდო, წამოიმართა, გულდაგულ დაუმიზნა და გაისროლა.

– მოარტყით? – დაუძახა ტაპენსმა.

– რა თქმა უნდა, – მიუგო ჯულიუსმა, – ოღონდ ვერ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოვკალი. ასეთ მყრალ არსებას ერთი ტყვია ვერ მოკლავს. კარგად ხართ, ტაპენს?

– დიახ. ტომი სად არის? ეს ვინღაა? – ტაპენსმა აცახცახებულ კრამენინზე მიუთითა.

– ტომი არგენტინისკენ აპირებს გეზის აღებას. ვფიქრობ, დაიჯერა, რომ ფეხები გაჭიმეთ. ჯორჯ, ჭიშკართან ფრთხილად! აი, ასე. მათ ხუთი წუთი მაინც დასჭირდებათ დევნის დასაწყებად. აუცილებლად დაურეკავენ თავისიანებს. ასე რომ, წინ შესაძლოა, სადმე ჩაგვისაფრდნენ, თანაც – არაერთგან. შემოვლითი გზა აირჩიეთ. ტაპენს, გაინტერესებთ, ვინ არის ეს ბატონი? ნება მომეცით, მესიე კრამენინი წარმოგიდგინოთ. დავიყოლიე, აქეთ გამოგვესეირნა. ვფიქრობ, ეს სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, არა?

ჯერაც შიშით შეპყრობილ რუსს ხმა არ ამოუღია.

– რატომ გამოგვიშვეს? – იკითხა ტაპენსმა.

– მესიე კრამენინმა მათ ისე თავაზიანად სთხოვა, რომ უარი ველარ უთხრეს.

რუსმა ველარ მოითმინა და იფეთქა:

– წყეულიმც იყავით! ახლა იციან, რომ მათ ვუღალატე. ამიერიდან ჩემს სიცოცხლეს ამ ქვეყანაში ყოველ წამს საფრთხე ემუქრება.

– მართალია, – დაეთანხმა ჯულიუსი, – გირჩევთ, სასწრაფოდ რუსეთში მოუსვათ.

– თუ ასეა, გამიშვით! – შესძახა კრამენინმა, – მე ხომ ყველაფერი გავაკეთე, რაც მთხოვეთ. რატომ არ მიშვებთ?

– იმიტომ არა, რომ თქვენ გვერდით ყოფნა მსიამოვნებს. თუ გსურთ, შეგიძლიათ, ახლავე წახვიდეთ. მეგონა, გერჩივნათ, რომ ლონდონში ჩამეყვანეთ.

– ეგ კიდევ საკითხავია, ჩააღწევთ თუ არა ლონდონამდე... – ჩაიბუზღუნა რუსმა, – დაუყოვნებლივ გამათავისუფლეთ!

– ნება თქვენია. გააჩერეთ, ჯორჯ. ჯენტლმენს ჩვენთან ერთად უკან დაბრუნება არ უნდა. მესიე კრა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მენინ, თუ ოდესმე რუსეთში ჩამოვედი, ვიმედოვნებ, მხურვალე დახვედრას მომიწყობთ და...

სანამ ჯულიუსი წინადადებას დაასრულებდა და სვლაშენელებული მანქანა გაჩერდებოდა, რუსი ავტომობილიდან გადახტა და სიბნელეში გაუჩინარდა.

– ისე უნდოდა ჩვენთან განშორება, – თქვა ჯულიუსმა, როცა მანქანამ სიჩქარე კვლავ აკრიფა, – ქალებთან გამომშვიდობებაც კი დაავიწყდა. ჯეინ, შეგიძლია, ნორმალურად დაჯდე.

ქალიშვილმა პირველად ამოიღო ხმა.

– როგორ მოახერხეთ მისი „დარწმუნება"?

ჯულიუსმა ხელი რევოლვერს მოუთათუნა.

– ეს „პატარა ვილის" დამსახურებაა.

– რა მაგარია! – შესძახა ქალიშვილმა. მას სახე წამონთებოდა და ჯულიუსს აღფრთოვანებული თვალებით შესცქეროდა.

– მე და ანეტმა არ ვიცოდით, რა გველოდა, – თქვა ტაპენსმა, – უიტინგტონმა სიტყვის უთქმელად გამოგვყარა და გვეგონა, რომ ბატკნებივით სამსხვერპლოზე მივყავდით.

– ანეტმა? – იკითხა ჯულიუსმა, – ასე უწოდეთ? – ამერიკელი თითქოს ახალ აზრთან შეგუებას ცდილობდა.

– ეს ხომ მისი სახელია, – თქვა ტაპენსმა და თვალები გაუფართოვდა.

– გეგონოთ! – მიუგო ჯულიუსმა, – მართალია, თვითონ, შესაძლოა, სჯერა კიდეც, რომ ასე ჰქვია, რადგან საბრალო გოგონამ მეხსიერება დაკარგა, მაგრამ ჩვენ გვერდით ნამდვილი ჯეინ ფინია.

– რა? – შესძახა ტაპენსმა და გაჩუმდა. გაისმა გასროლის ხმა და ტყვია მანქანის გადასაკრავში ტაპენსის თავის სიახლოვეს გაიჭედა.

– დაიხარეთ! – დაიყვირა ჯულიუსმა, – ჩაგვისაფრდნენ! ამ ბიჭებს დრო არ დაუკარგავთ. სისწრაფეს მოუმატეთ, ჯორჯ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მანქანა წინ გავარდა. კიდევ სამი გასროლა გაისმა, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ ყველა ასცდა. ჯულიუსი სავარძელზე გადაიხარა და უკან გაიხედა.

– სამიზნე არ ჩანს, – ჩაილაპარაკა კუშტად, – მაგრამ, ვფიქრობ, წინ მალე კიდევ ერთი პიკნიკი გველის. აჰ!

მან ხელი ლოყასთან მიიტანა.

– დაჭრილი ხართ? – შესძახა ანეტმა.

– მხოლოდ ნაკაწრია.

ქალიშვილი წამოხტა.

– გამიშვით! გამიშვით-მეთქი! გააჩერეთ მანქანა! ისინი მე მომდევენ. მათ მე ვჭირდები. არ მინდა, რომ ჩემ გამო დაიღუპოთ. გამიშვით! – მან კარის გაღება სცადა.

ჯულიუსმა ქალიშვილს იდაყვში ხელი ჩაავლო და სახეში ყურადღებით შეხედა. ქალიშვილი სრულიად უაქცენტოდ ლაპარაკობდა.

– დაჯექი, პატარავ, – ალერსიანად უთხრა ჯულიუსმა, – ვფიქრობ, შენს მეხსიერებას არაფერი სჭირს. მაშასადამე, მათ მთელი ამ დროის განმავლობაში ატყუებდი, არა?

ქალიშვილი თავის დაქნევით დაეთანხმა და მოულოდნელად ატირდა. ჯულიუსმა მხარზე ხელი მოუთათუნა.

– კარგი, კარგი... დამშვიდდი. შენს თავს ასე ადვილად არავის დავუთმობთ.

ქალიშვილმა სლუკუნით ჩაილაპარაკა:

– ამერიკელი ხართ. ამას თქვენი ხმით ვხვდები. სახლში მინდა!

– ცხადია, ამერიკელი ვარ, შენი ბიძაშვილი – ჯულიუს ჰერსჰაიმერი. ევროპაში მხოლოდ შენს მოსაძებნად ჩამოვედი... არადა, რამდენი მარბენინე.

მძღოლმა სისწრაფეს მოუკლო.

– წინ გზაჯვარედინია, სერ. არ ვიცი, რომელი გზა ავირჩიო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლა მანქანა ნელა მიდიოდა. მოულოდნელად საგარგულიდან ვიღაც გადმოგორდა და მათ შორის თავით გადმოეშვა.

– მაპატიეთ, – თქვა ტომიმ და წამოჯდა.

მას შეძახილებით შეხვდნენ და შეკითხვები დააყარეს. ტომიმ ყველას ერთბაშად უპასუხა:

– ბუჩქებში ვიმალებოდი ხეივნის სიახლოვეს. მანქანას უკან ჩამოვეკიდე. ისე მიქროდით, დაძახება ვერ მოვახერხე. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, არ მოვმწყდარიყავი. ახლა კი, გოგონებო, ჩქარა გადმოდით!

– გადმოვიდეთ?

– დიახ. გზის სიახლოვეს რკინიგზის სადგურია, მატარებელი სამ წუთში ჩამოდგება, ჯერ კიდევ მოასწრებთ.

– რა ჯანდაბა ხდება? – იკითხა ჯულიუსმა, – ხომ არ გგონია, რომ თუ მანქანას მივატოვებთ, ამით მოვატყუებთ და კვალს ავურევთ?

– მე და შენ არ გადავალთ, მხოლოდ გოგოები გადავლენ.

– ხომ არ გაგიჟდი, ბერესფორდ? როგორ შეიძლება მათი მარტო გაშვება! თუ ამას გააკეთებ, ყველაფერი გაფუჭდება.

ტომი ტაპენსს მიუბრუნდა.

– ტაპენს, ახლავე გადადი, ჩაჰკიდე ამ გოგოს ხელი და ისე მოიქეცი, როგორც გეუბნები. არაფერი შეგემთხვევათ. საფრთხე არ გემუქრებათ. ლონდონისკენ მიმავალ მატარებელში ჩასხედით და პირდაპირ სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონთან წადით. მისტერ კარტერი ქალაქგარეთ ცხოვრობს და იქ სრულიად უსაფრთხოდ იქნებით.

– დალახვროს ეშმაკმა! – შესძახა ჯულიუსმა, – ნამდვილად გაგიჟდი! ჯეინ, დარჩი, სადაც ხარ.

ტომიმ მოულოდნელი, სწრაფი მოძრაობით ჯულიუსს რევოლვერი ხელიდან გამოსტაცა და მისკენ მიმართა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ახლა ხომ მიხვდი, რომ არ ვხუმრობ? ორივენი გადადით და ის გააკეთეთ, რაც გითხარით... თორემ ვისვრი!

ტაპენსი მანქანიდან გადახტა და გაჯიუტებული ჯეინიც თან წაიყვანა.

– წამოდი, ყველაფერი კარგად იქნება. რახან ტომი ამბობს, მაშასადამე იცის, რასაც აკეთებს. სწრაფად, თორემ მატარებელი გაგვასწრებს.

გოგონები სირბილით გაუდგნენ გზას.

გაშმაგებულმა ჯულიუსმა შეჰყვირა:

– რა ჯანდაბას...

– მოკეტე! – გააწყვეტინა ტომიმ, – რამდენიმე სიტყვა უნდა გითხრათ, სერ ჯულიუს ფ. ჰერსჰაიმერ.

თავი ოცდამეხუთე
ჯეინის მონათხრობი

ტაპენსმა ჯეინს ხელი ჩაავლო და პლატფორმისკენ წაიყვანა. მის მახვილ სმენას მოახლოებული მატარებლის ხმა მოესმა.

– სწრაფად, – უთხრა ქოშინით, – თორემ გაგვასწრებს!

პლატფორმაზე სწორედ მაშინ შეირბინეს, როდესაც მატარებელი გაჩერდა. ტაპენსმა პირველი კლასის ცარიელი კუპეს კარი გააღო და ორივე ქალიშვილი დაღლილი დაეშვა რბილ სკამზე.

ვილაც კაცმა მათთან შემოიხედა, შემდეგ კი მომდევნო კუპესკენ გადაინაცვლა. შიშისგან შემკრთალმა და თვალებგაფართოებულმა ჯეინმა ტაპენსს კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

– ვაითუ, ერთ-ერთი მათგანია? – იკითხა ჩურჩულით.

ტაპენსმა თავი გადააქნია.

– არა, არა. ყველაფერი რიგზეა, – მან ჯეინს ხელზე ხელი მოჰკიდა, – ტომი მარტო არ გამოგვიშვებდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩვენს უსაფრთხოებაში დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო.

– მაგრამ ის მათ ჩემსავით კარგად არ იცნობს! – ჯეინი აცახცახდა, – ამას ვერ მიხვდები. ხუთი წელი! მთელი ხუთი წელი! ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ჭკუაზე შევიშლებოდი.

– დაივიწყე. ყველაფერი უკან დარჩა.

– ასე გგონია?

მატარებელი დაიძრა, სიჩქარეს თანდათან მოუმატა და ღამის სიბნელეს გაუყვა. მოულოდნელად ჯეინ ფინი შეშინებული წამოხტა.

– რა იყო ეს? მგონი, სახე დავინახე... ვიღაცამ ფანჯარაში შემოიხედა.

– არა, იქ არავინაა. შეხედე, – ფანჯარასთან მისულმა ტაპენსმა ჩარჩო ძირს დასწია.

– დარწმუნებული ხარ?

– სრულიად.

ქალიშვილმა თავის მართლება სცადა:

– ალბათ, შეშინებულ კურდღელს ვგავარ, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებ. ახლა რომ დამიჭირონ, ისინი... – ახლა იგი შიშისგან თვალებგაფართოებული ერთ წერტილს მისჩერებოდა.

– არ გინდა! – შეევედრა ტაპენსი, – დაწექი და არაფერზე იფიქრო. ეჭვი არ შეგეპაროს: რახან ტომიმ თქვა, არაფერი გემუქრებათო, მაშასადამე, არაფერი გვემუქრება.

– მაგრამ ჩემს ბიძაშვილს ასე არ მიაჩნია. მას ჩვენი მარტო გაშვება არ უნდოდა.

– ჰო, – მიუგო შეცბუნებულმა ტაპენსმა.

– რაზე ფიქრობ? – ჰკითხა ჯეინმა.

– რატომ მეკითხები?

– შენი ხმა... უცნაურად მეჩვენება.

– ჰო, რაღაც გავიფიქრე, – გამოტყდა ტაპენსი, – მაგრამ ჯერ ვერაფერს გეტყვი. შესაძლოა, ვცდები, თუმცა არა მგონია. კაცმა რომ თქვას, ამის შესახებ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიდი ხანია, ვფიქრობ, ძალიან დიდი ხანია. მგონი, ტომიც... მაგრამ ნუ ღელავ. კიდევ გვექნება დრო ამაზე სამსჯელოდ. თანაც გამორიცხული არაა, რომ ყველაფერი სხვაგვარადაა. ახლა კი დაწექი და ნურაფერზე იფიქრებ.

– შევეცდები, – ჯეინმა გრძელი წამწამები ერთმანეთს მიადო და თვალები დახუჭა.

ტაპენსი ჯდომას განაგრძობდა, ფხიზლობდა, როგორც ტერიერი, რომელსაც ბალის დარაჯობა დაავალეს. მართალია, ჯეინს ამშვიდებდა, მაგრამ თვითონაც მოუსვენრად გრძნობდა თავს. ფანჯარას თვალს არ აცილებდა, ზარის ღილაკიც მის გვერდით იყო. თვითონაც ვერ ხვდებოდა, რა აშფოთებდა. სინამდვილეში სულაც არ იყო ისეთი მშვიდი და თავდაჯერებული, როგორადაც თავს წარმოაჩენდა. ცხადია, სჯეროდა ტომის, თუმცა ეჭვი მაინც ულრღნიდა გულს. განა შეძლებდა ასეთი გულუბრყვილო და პატიოსანი ადამიანი უალრესად ეშმაკ დამნაშავესთან ტოლ-სწორად შერკინებას?

სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონამდე მშვიდობიანად რომ მიეღწიათ, ყველაფერი მოგვარდებოდა. მაგრამ მიაღწევდნენ კი? იქნებ მისტერ ბრაუნმა უკვე დარაზმა თავისი უხილავი ძალები მათ წინააღმდეგ? იმის გახსენებაც კი ვერ ამშვიდებდა, როგორ იდგა ტომი რევოლვერით ხელში. ვინ იცის, იქნებ შეიპყრეს კიდეც, ისინი ხომ ბევრნი იყვნენ... ტაპენსმა სამოქმედო გეგმის შედგენა გადაწყვიტა.

როდესაც მატარებელი ჩარინგ-კროსის სადგურის ბაქანს მიადგა, ჯეინ ფინი შეშინებული წამოხტა.

– ჩამოვედით? მე კი იმედი აღარ მქონდა.

– არა, ლონდონამდე ვერაფერი შეგვემთხვეოდა. თუ რამე დაიწყება, მხოლოდ ახლა. სწრაფად გადმოდი! ტაქსისკენ გავიქცეთ!

მათ ბარიერი გადალახეს, აუცილებელი თანხა გადაიხადეს და ერთი წუთის შემდეგ უკვე ტაქსიში ისხდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩარინგ-კროსი, – უთხრა ტაპენსმა მძღოლს და შეკრთა, რადგან როდესაც მანქანა დაიძრა, ფანჯარაში მამაკაცმა შემოიხედა. იგი ძალიან ჰგავდა იმას, რომელიც მატარებელში, მეზობელ კუპეში შევიდა. საშინელი შეგრძნება დაეუფლა – თითქოს ყოველი მხრიდან ავიწროებდნენ.

– თუკი მიხვდებიან, რომ სერ ჯეიმზთან მივდივართ, ეს თავგზას აუბნევთ. მათ ჰგონიათ, რომ მისტერ კარტერამდე ვცდილობთ მიღწევას. ის ჩრდილოეთ გარეუბანში ცხოვრობს.

ჰოლბორნის გავლისას საცობში მოჰყვნენ. ტაპენსს სწორედ ამის იმედი ჰქონდა.

– ჩქარა, – წაიჩურჩულა მან, – მარჯვენა კარი გააღე!

ქვაფენილზე გადმოხტნენ და ორი წუთის შემდეგ უკვე სხვა ტაქსიში ისხდნენ, რომელსაც ისინი უკან, კარლტონჰაუს-ტერასისკენ მიჰყავდა.

– ესეც ასე, – შვებით ამოისუნთქა ტაპენსმა, – ახლა ნამდვილად აერევათ თავგზა. არა, მართლა ჭკვიანი ვარ! ალბათ, როგორ ილანძღება ის ტაქსისტი! არა უშავს, მისი ნომერი დავიმახსოვრე და ფულს ხვალ ფოსტით გავუგზავნი. ასე რომ, თუ მართლა მძღოლი იყო, არ იზარალებს. სად უხვევს... ოჰ!

ღრჭიალი და დარტყმის ხმა გაისმა. მათ მეორე ტაქსი შეეჯახა. ტაპენსი მყისვე ტროტუარზე გადავიდა. შემთხვევის ადგილისკენ უკვე პოლიციელი მოემართებოდა. ქალიშვილმა მძღოლს ხუთი შილინგი მისცა და ჯეინთან ერთად ბრბოში გაუჩინარდა.

– აქედან ძალიან ახლოსაა, – თქვა აქოშინებულმა ტაპენსმა. შეჯახება ტრაფალგარის მოედანზე მოხდა.

– შენი აზრით, შემთხვევით დაგვეჯახნენ თუ განზრახ?

– არ ვიცი, იქნებ არც იყო შემთხვევითობა.

მათ ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და სწრაფად გაუყვნენ გზას.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შესაძლოა, მეჩვენება, – თქვა მოულოდნელად ტაპენსმა, – მაგრამ მგონი, ვიღაც მოგვსდევს.

– ჩქარა! – ჩასჩურჩულა ჯეინმა, – ჩქარა!

ისინი უკვე კარლტონჰაუს-ტერასის კუთხეში იყვნენ და ცოტათი დამშვიდნენ. უეცრად მათ წინ ვიღაც მთვრალი ახმახი აღიმართა.

– საღამო მშვიდობისა, ქალბატონებო, – თქვა მან და დაასლოკინა, – სად მივიჩქარით?

– გაგვატარეთ, თუ შეიძლება! – უბრძანა ტაპენსმა.

– მხოლოდ ერთ სიტყვას ვეტყვი თქვენს ლამაზ მეგობარს, – კაცმა არცთუ მტკიცე ხელი გაიწვდინა და ჯეინს მხარში ჩაავლო. ტაპენსს უკნიდან მოახლოებული ბრაგაბრუგის ხმა მოესმა, მაგრამ აღარ გაურკვევია, მეგობრები იყვნენ თუ მტრები. თავი დახარა და ბავშვობის დროინდელი გამოცდილი მანევრი გამოიყენა: ახმახს მუცელში თავით დაეტაკა. ამ არასპორტულმა საქციელმა შედეგი მყისვე გამოიღო – ახმახი მოწყვეტით დაჯდა ტროტუარზე, ტაპენსი და ჯეინი კი გაიქცნენ. სახლი, რომლისკენაც გარბოდნენ, ცოტა ქვევით მდებარეობდა. უკნიდან კვლავ გაისმა ბრაგაბრუგი. სულ უფრო ახლოს და ახლოს... აქოშინებულებმა მიაღწიეს სერ ჯეიმზის კარს. ტაპენსმა ზარი დარეკა, ჯეინმა კი კაკუნი ატეხა.

ახმახი უკვე პარმაღს მოადგა, მაგრამ წამით შეყოვნდა. სწორედ ამ დროს კარიც გაიღო და ორივე ქალიშვილმა შიგნით დურთა თავი. ბიბლიოთეკიდან მათ შესახვედრად სერ ჯეიმზი გამოვიდა.

– თქვენ ხართ? რა მოხდა?

იგი სწრაფად გაემართა მათკენ, შებარბაცებულ ჯეინს მხრებზე ხელი მოჰხვია, ფრთხილად შეიყვანა ბიბლიოთეკაში და ტყავის დივანზე დააწვინა. შემდეგ მაგიდაზე მდგარი გრაფინიდან სირჩაში კონიაკი ჩამოასხა და ჯეინს ერთი ყლუპის დალევა აიძულა. ქალიშვილმა ღრმად ამოისუნთქა, მაგრამ თვალებში ჯერაც შიში ედგა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არაფერია, არაფერი. ნუ გეშინიათ, ჩემო კარგო! აქ სრულიად უსაფრთხოდ ხართ.

ახლა ჯეინი უფრო თანაბრად სუნთქავდა, ფერმკრთალი ლოყებიც ოდნავ შეეფაკლა. სერ ჯეიმზმა ტაპენსს ოდნავ დამცინავად შეხედა.

– მაშასადამე, არ მომკვდარხართ, მის ტაპენს. თქვენი მეგობარი ტომივით გადარჩენილხართ.

– ახალგაზრდა ავანტიურისტებს ასე ადვილად ვერავინ გაისტუმრებს იმქვეყნად, – დაიტრაბახა ტაპენსმა.

– ვხედავ, – ცივად მიუგო სერ ჯეიმზმა, – თუ არ ვცდები, ერთობლივმა საწარმომ წარმატებას მიაღწია და ეს – იგი დივნისკენ შეტრიალდა – მის ჯეინ ფინია?

ჯეინი წამოჯდა.

– დიახ, – თქვა მან ხმადაბლა, – ჯეინ ფინი ვარ. და ბევრი რამე უნდა მოგიყვეთ.

– მოგვიანებით იყოს, როცა ცოტას დაისვენებთ.

– არა, არა, ახლავე! – ქალიშვილმა, უნებურად, ხმას აუწია, – როცა ყველაფერს გიამბობთ, თავს უფრო უსაფრთხოდ ვიგრძნობ.

– როგორც გნებავთ, – თქვა ადვოკატმა და დივნის გვერდით ღრმა სავარძელში ჩაეშვა. ჯეინი ხმადაბლა შეუდგა თხრობას.

– პარიზში სამსახური შემომთავაზეს და „ლუზიტანიით“ გავემგზავრე. ომს საშინლად განვიცდიდი, ძალიან მინდოდა, ვინმეს დავხმარებოდი. ფრანგულს ვსწავლობდი და მასწავლებელმა მითხრა, რომ პარიზის ჰოსპიტალში მოხალისეები სჭირდებოდათ. წერილი მივწერე და შტატში ამიყვანეს. ახლობლები არ მყავდა და ყველაფერი ადვილად მოვაგვარე.

როდესაც „ლუზიტანიას“ ტორპედო მოარტყეს, ჩემთან ერთი კაცი მოვიდა. მგზავრობისას მას რამდენჯერმე მოვკარი თვალი და მომეჩვენა, რომ რაღაცის ეშინოდა. მკითხა, პატრიოტი ვიყავი თუ არა, და მითხრა, რომ მოკავშირე სახელმწიფოებისთვის უაღ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიჰქონდა. მთხოვა, შემენახა. დავთანხმდი და მირჩია, „თაიმსში“ განცხადებებისთვის მიმედევნებინა თვალი. თუ განცხადება არ გამოჩნდებოდა, დოკუმენტი ამერიკის ელჩისთვის უნდა გადამეცა.

ის, რაც ამას მოჰყვა, ახლაც ღამის კოშმარი მგონია. ზოგჯერ მესიზმრება კიდეც... ამაზე აღარ ვილაპარაკებ. მისტერ დენვერსმა გამაფრთხილა, რომ ყურადღება არ მომედუნებინა. შესაძლოა, მას ნიუ-იორკიდანვე უთვალთვალებდნენ, თუმცა თვითონ ასე არ ფიქრობდა. თავდაპირველად ეჭვი არ აღმძვრია, მაგრამ ირლანდიიდან ჰოლიჰედში მიმავალ გემზე ცოტათი შევშფოთდი. ერთი ქალი მზრუნველობას არ მაკლებდა და ისე იქცეოდა, თითქოს ჩემი ახლო მეგობარი იყო – მას მისის ვანდემაიერი ერქვა. მგზავრობის დასაწყისში მადლობის მეტი რა მეთქმოდა, მაგრამ რატომღაც არ მომწონდა. ირლანდიურ გემზე რამდენჯერმე შევამჩნიე, რომ ვიღაც უცნაურ ადამიანებს ელაპარაკებოდა და მათი მზერის მიხედვით დავასკვენი, რომ ჩემზე ლაპარაკობდნენ. გამახსენდა, რომ „ლუზიტანიაზე“ ეს ქალი ჩემთან საკმაოდ ახლოს იდგა, როცა მისტერ დენვერსმა პაკეტი გადმომცა, მანამდე კი არაერთხელ სცადა მასთან საუბრის გაბმა. შემეშინდა, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა.

გადავწყვიტე, ღამე ჰოლიჰედში გამეტარებინა, ლონდონში კი მეორე დღეს გავმგზავრებულიყავი, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ კინაღამ სისულელე ჩავიდინე. ერთი გამოსავალი მრჩებოდა: თავი მომეკატუნებინა, თითქოს ვერაფერს ვამჩნევდი და იმედი არ დამეკარგა. მეგონა, თუ ფრთხილად ვიქნებოდი, მათ არაფერი გამოუვიდოდათ. სიფრთხილის ზომები მაინც მივიღე: პაკეტი გავარღვიე, ხელშეკრულება სუფთა ფურცლით შევცვალე და კვლავ გავკერე. პაკეტის მოპარვის ან წართმევის აღარ მეშინოდა, მაგრამ ორიგინალი სად დამემალა? დიდხანს ვიფიქრე. ბოლოს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გავშალე – იგი მხოლოდ ორი ფურცლისგან შედგებოდა – და ჟურნალში, ორ სარეკლამო გვერდს შორის მოვათავსე, რომელთა კიდეებიც ერთმანეთს კონვერტიდან აფხეკილი წებოთი მივაწებე. ჟურნალი პალტოს ჯიბეში ჩავიდე და მუდამ თან დამქონდა.

ჰოლიჰედში შევეცადე, ისეთ კუპეში ჩავმჯდარიყავი, რომლის მგზავრებიც ეჭვს არ აღმიძრავდნენ, თუმცა ჩემ გვერდით მყოფი ადამიანები რატომღაც ძალაუნებურად ყოველთვის იქით მაიძულებდნენ გადაადგილებას, საითაც წასვლა არ მინდოდა. იყო ამ ყველაფერში რაღაც უცნაური და ავბედითი. საბოლოოდ, კუპეში მისის ვანდემაიერთან ერთად აღმოვჩნდი. დერეფანში გავიარ-გამოვიარე, მაგრამ სხვა კუპეებში თავისუფალ ადგილს ვერ მივაგენი. ასე რომ, იძულებული გავხდი, დავბრუნებულიყავი და კვლავ მის გვერდით დავმჯდარიყავი. თავს იმით ვინუგეშებდი, რომ ჩვენთან ერთად სხვებიც მგზავრობდნენ – ჩვენ წინ სიმპათიური ცოლქმარი იჯდა. თითქმის დავმშვიდდი, საზურგეს მივეყრდენი და თვალები მივლულე. მათ, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, რომ მეძინა, მაგრამ ყველაფერს ვხედავდი. მოულოდნელად ლამაზმა მამაკაცმა თავისი ჩანთიდან რაღაც ამოიღო და მისის ვანდემაიერს გაუწოდა, თან თვალი ჩაუკრა... სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, როგორ შემეშინდა. გავიფიქრე, აქედან აუცილებლად უნდა წავიდე-მეთქი. წამოვდექი კიდეც, ვცდილობდი, შიში არ შემტყობოდა. მაგრამ არ ვიცი, შესაძლოა, რაღაც იეჭვეს. ყოველ შემთხვევაში, მისის ვანდემაიერმა უეცრად „ახლაო“ წაიჩურჩულა, და როდესაც დაყვირება ვცადე, ცხვირ-პირზე რაღაც მიმაფარა. იმავდროულად, უკნიდან თავში ძლიერად ჩამარტყეს...

ქალიშვილი შეკრთა და ოდნავ აცახცახდა. სერ ჯეიმზმა, თანაგრძნობის ნიშნად, რაღაც ჩაილაპარაკა. ერთი წუთის შემდეგ ქალიშვილმა განაგრძო:

– არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი უგონოდ. როდესაც თვალი გავახილე, საშინელი სისუსტე და გულისრევა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიგრძენი. ჭუჭყიან ლოგინზე ვიწექი, რომელსაც ოთახის დანარჩენი ნაწილისგან შირმა ყოფდა. იქიდან ხმები აღწევდა. ერთი მისის ვანდემაიერს ეკუთვნოდა. მივაყურადე, მაგრამ თავდაპირველად სიტყვების აზრს ვერ ჩავწვდი, როცა მივხვდი, რაზე საუბრობდნენ, ისე შევძრწუნდი, კინაღამ შევყვირე.

ხელშეკრულებას ვერ მიაგნეს. პაკეტი გახიეს, მასში სუფთა ფურცლები აღმოაჩინეს და კინაღამ გაცოფდნენ. მარჩიელობდნენ: ისინი მე შევცვალე თუ დენვერსი თავიდანვე სატყუარა იყო, ხელშეკრულების ორიგინალი კი სხვისთვის გაეტანებინათ. ამბობდნენ, რომ – ჯეინმა თვალები დახუჭა – უნდა ვეწამებინეთ!

აქამდე არასდროს ვიცოდი, რა იყო შიში – ნამდვილი, საზიზღარი შიში! ერთხელ ჩემს დასახედად მოვიდნენ. თვალები დავხუჭე და თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს კვლავ უგონოდ ვიყავი. მეშინოდა, ჩემი გულის ძგერა არ გაეგონათ, მაგრამ წავიდნენ. მე კი ფიქრი დავიწყე... რა მექნა? ვიცოდი, რომ თუ მაწამებდნენ, დიდხანს ვერ გავუძლებდი.

მოულოდნელად თავში გამიელვა, რომ მეხსიერების დაკარგვა გამეთამაშებინა. ეს საკითხი ყოველთვის მაინტერესებდა და მის შესახებ ბევრი წამეკითხა. ასე რომ, დაახლოებით ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. თუ მათ დავაჯერებდი, გადარჩენის შანსი მქონდა. გულში ვილოცე და ღრმად ამოვისუნთქე, შემდეგ კი თვალი გავახილე და ფრანგულად დავიწყე ლაპარაკი!

მისის ვანდემაიერი მყისვე მომიახლოვდა. საშინლად გაბრაზებული ჩანდა... შემეშინდა, მაგრამ ძალა მოვიკრიბე, გაოცებით გავუღიმე და ფრანგულად ვკითხე, რა მჭირს-მეთქი.

მისი გამომეტყველებით მივხვდი, რომ დაიბნა. მან მამაკაცს დაუძახა, რომელსაც ელაპარაკებოდა. ის კი შირმასთან ისე დადგა, რომ სახეს ჩრდილი უფარავდა, და ფრანგულად დამელაპარაკა. ჩვეულებრივი, წყნარი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხმა ჰქონდა, მაგრამ რატომღაც მისის ვანდემაიერზე მეტად მისი შემეშინდა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ჩემი ფიქრების წაკითხვა შეეძლო, მაგრამ როლის თამაში განვაგრძე და კვლავ ვიკითხე, სად ვიყავი, შემდეგ კი დავამატე, რომ რაღაც უნდა გამეხსენებინა, – აუცილებლად უნდა გამეხსენებინა, – ოღონდ ვერაფერს ვიხსენებდი. ვცდილობდი, თავი მომეჩვენებინა, რომ უფრო და უფრო ვნერვიულობდი. კაცმა სახელი მკითხა. მივუგე, რომ არ ვიცოდი, რომ არაფერი მახსოვდა.

უეცრად მაჯაში მწვდა და გადამიგრიხა. საშინლად მეტკინა და შევყვირე. მიგრეხდა და მიგრეხდა, მე კი ვყვიროდი და ვყვიროდი, ოღონდ მხოლოდ ფრანგულად. არ ვიცი, როდემდე გავუძლებდი, მაგრამ, საბედნიეროდ, გული წამივიდა. სანამ გონებას დავკარგავდი, გავიგონე, როგორ თქვა კაცმა: „ეს სიმულაცია არ არის! თანაც, მისი ასაკის ქალიშვილს ვერაფრით ექნება მიღებული აუცილებელი სპეციალური ცოდნა.“ ვფიქრობ, მას დაავიწყდა, რომ ამერიკელი ქალიშვილები გაცილებით უფროსნი ჩანან ინგლისელ თანატოლებთან შედარებით და მეცნიერებაც უფრო მეტად აინტერესებთ.

როდესაც გონზე მოვედი, მისის ვანდემაიერი ტკბილად და ალერსიანად მეპყრობოდა. სავარაუდოდ, ასეთი მითითება ჰქონდა მიღებული. ფრანგულად დამელაპარაკა და მითხრა, შოკი გადაიტანეთ და ძალიან ავად ხართ, მაგრამ მალე გამოჯანმრთელდებითო. თავი მოვაჩვენე, თითქოს ნახევრად გონწასული ვიყავი და შევჩივლე, „ექიმმა“ ხელი მატკინა-მეთქი. მგონი, ჩემმა სიტყვებმა გაახარა.

იგი ოთახიდან გავიდა. ყოველი შემთხვევისთვის, წყნარად ვიწექი, თითქმის არ ვინძრეოდი. შემდეგ წამოვდექი და ოთახი დავათვალიერე. გადავწყვიტე, რომ ასეთ საქციელს ბუნებრივად მიიჩნევდნენ, თუ მართლა მითვალთვალებდნენ. უბადრუკი და ჭუჭყიანი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოთახი იყო, ერთი ფანჯარაც არ ჰქონდა. ეს უცნაურად მომეჩვენა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ კარიც ჩამიკეტეს, მაგრამ არ შემიმოწმებია. კედლებზე გაყვითლებული ნახატები ეკიდა. მათზე „ფაუსტის“ სცენები ამოვიცანი.

ტაპენსმა და სერ ჯეიმზმა ერთდროულად შესძახეს „აჰ!“ ჯეინმა თავი დააქნია.

– დიახ. ეს სწორედ ის ადგილი იყო სოჰოში, სადაც მისტერ ბერესფორდი დაამწყვდიეს. ბუნებრივია, მაშინ ისიც კი არ ვიცოდი, რომ ლონდონში ვიმყოფებოდი. ერთ რამეზე ფიქრი საშინლად მტანჯავდა, მაგრამ შვებით ამოვისუნთქე, როცა დავინახე, რომ ჩემი ლაბადა დაუდევრად მიეგდოთ სკამის საზურგეზე, დახვეული ჟურნალი კი კვლავინდებურად ჯიბეში იდო!

ის მაინც მცოდნოდა, მითვალთვალებდნენ თუ არა! კედლები ყურადღებით შევათვალიერე. საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინე, მაგრამ ისეთი განცდა მქონდა, რომ სადღაც სათვალთვალო ხვრელი გაეკეთებინათ. უეცრად მაგიდასთან დავჯექი, ხელები სახეზე ავიფარე და ტირილით შევძახე: „Mon Dieu! Mon Dieu!“ ძალიან მახვილი სმენა მაქვს და აშკარად მომესმა კაბის შრიალი და მსუბუქი ჭრაჭუნი. ჩემთვის ესეც კმაროდა. მივხვდი, რომ მითვალთვალებდნენ!

კვლავ დავწექი. რაღაც დროის შემდეგ მისის ვანდემაიერმა ვახშამი მომიტანა. უწინდებურად ალერსიანად მექცეოდა. როგორც ჩანს, უთხრეს, რომ ჩემი ნდობა უნდა მოეპოვებინა. მოულოდნელად მუშამბის პაკეტი მაჩვენა და მკითხა, ხომ არ გეცნობაო, თვითონ კი სახეში მომაშტერდა, რომ არაფერი გამორჩენოდა.

გამოვართვი და გაოცებით შევატრიალ-შემოვატრიალე, შემდეგ თავი დავუქნიე და ვუთხარი, რომ თითქოს მეცნობოდა, თითქოს, საცაა, ყველაფერი უნდა გამხსენებოდა, მაგრამ მეხსიერება დამკარგოდა. ამიხსნა, რომ მისი დისშვილი ვიყავი და მისთვის „დეიდა რიტა“ უნდა დამეძახა. დავემორჩილე. მირჩია, არა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფერზე მენერვიულა, რადგან მეხსიერება მალე დამიბრუნდებოდა.

საშინელი ღამე იყო. გეგმა შევადგინე და მის განსახორციელებლად შესაფერის დროს ველოდებოდი. დოკუმენტი, ჯერჯერობით, აქვე მქონდა, მაგრამ მისი კვლავაც ჟურნალში დატოვება ძალზე სახიფათოდ მეჩვენებოდა – ნებისმიერ დროს შეეძლოთ, ლაბადა წაელოთ და ჟურნალი გადაეგდოთ. დაახლოებით ორ საათამდე ვიწექი, შემდეგ წამოვდექი. ვცდილობდი, არ მეხმაურა. სიბნელეში ჩემგან მარცხნივ ხელი მოვაფათურე და ფრთხილად ჩამოვხსენი ერთ-ერთი ნახატი – მარგარიტა ძვირფასეულობის ზარდახშით. ფეხაკრეფით მივიპარე მაგიდასთან და ჟურნალი და ჩემ მიერვე ჩადებული ორი ფურცელი ამოვიღე. შემდეგ პირსაბანთან მივედი და ჩარჩოს ყველა კიდეზე უკანა მხრიდან ყავისფერი მუყაო დავასველე. მალე მისი აძრობაც შევძელი. ჟურნალში დაწებებული ფურცლებიც დავაშორე ერთმანეთს და ძვირფასი ორი ფურცელი ნახატსა და მუყაოს შორის მოვათავსე, რომელიც კონვერტებიდან აფხეკილი წებოთი კვლავ მის ძველ ადგილას მივაწებე. ახლა არავის მოუვიდოდა თავში აზრი, რომ ნახატს ვინმე შეეხო. ლურსმანზე ჩამოვკიდე, ჟურნალი დავახვიე, ლაბადის ჯიბეში მოვათავსე და დავწექი. კმაყოფილი ვიყავი ამ ახალი სამალავით. ვერასდროს მოიფიქრებდნენ, რომ დოკუმენტი მათ ერთ-ერთ ნახატში იდო. ვიმედოვნებდი, ირწმუნებდნენ, რომ დენვერსს, კვალის ასარევად, ყალბი პაკეტი მიჰქონდა და, ბოლოს და ბოლოს, გამიშვებდნენ.

ჩემი აზრით, თავდაპირველად სწორედ ეს დაასკვნეს, რამაც კინაღამ სავალალო შედეგი მომიტანა. როგორც მოგვიანებით გავიგე, დააპირეს, მყისვე მოელოთ ჩემთვის ბოლო, – გათავისუფლებაზე არც უფიქრიათ, – მაგრამ, როგორც ჩანს, მათმა მეთაურმა გადაწყვიტა, ცოცხალი დავეტოვებინე – იმ შემთხვევისთვის, თუ აღმოჩნდებოდა, რომ დოკუმენტი დავმალე და შევ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძლებდი მისი ადგილმდებარეობის თქმას, როცა მეხსიერება დამიბრუნდებოდა. კვირა კვირას მისდევდა, საგულდაგულოდ მაკვირდებოდნენ, ზოგჯერ საათობით მისვამდნენ შეკითხვებს – ვფიქრობ, თავისი საქმის პროფესიონალები იყვნენ. არ ვიცი, როგორ, მაგრამ მოვახერხე და თავი არ გავეცი, თუმცა საშინელ დაძაბულობას ვგრძნობდი...

უკან, ირლანდიაში წამიყვანეს, იქიდან – კვლავ ინგლისში, ზუსტად იმავე მარშრუტით, იმის იმედით, რომ ხელშეკრულება სადმე გზაში დავმალე. მისის ვანდემაიერი და კიდევ ერთი ქალი წამითაც არ მტოვებდნენ მარტო. ამიხსნეს, რომ მისის ვანდემაიერის დისშვილი ვიყავი და ნერვული აშლილობა მჭირდა მას შემდეგ, რაც კინაღამ დავიღუპე „ლუზიტანიაზე“. ვინმესთვის დახმარებისთვის რომ მიმემართა, მყისვე გავცემდი საკუთარ თავს. მისის ვანდემაიერი მდიდრულად გამოიყურებოდა, ელეგანტურად ეცვა და, წარუმატებლობის შემთხვევაში, ცხადია, მას დაუჯერებდნენ და არა მე, დაუჯერებდნენ, რომ ასეთი შოკის შემდეგ ფსიქიკური პრობლემები გამიჩნდა და მეჩვენებოდა, რომ მდევნიდნენ. იმის გაფიქრებაც კი ძრწოლას მგვრიდა, რა დღეში ჩამაგდებდნენ, თუ მიხვდებოდნენ, რომ ვატყუებდი.

სერ ჯეიმზმა თავი დააქნია.

– მისის ვანდემაიერი გამორჩეული პიროვნება იყო, – თქვა მან, – თუ ამას მის სოციალური მდგომარეობასაც დავუმატებთ, მას უფრო დაუჯერებდნენ, ვიდრე თქვენს სენსაციურ განცხადებებს.

– სწორედ ამის მეშინოდა. ბოლოს, ბორნმუთის სანატორიუმში გამგზავნეს. თავდაპირველად ვერ მივხვდი, ის მართლა სანატორიუმი იყო თუ კვლავ თვალს მიხვევდნენ. განსაკუთრებული პაციენტი ვიყავი და მედდა მომიჩინეს. სანდომიანი, ნორმალური შესახედაობა ჰქონდა და კინაღამ მივენდე, მაგრამ ბოლო წამს განგებამ გადამარჩინა. ჩემი ოთახის კარი ნახევ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რად ღია დარჩათ და დერეფნიდან მისი ხმა მომესმა. ვილაცას ელაპარაკებოდა... ერთ-ერთ მათგანს! ჯერაც ეჭვობდნენ, რომ თავს ვიკატუნებდი და მედდას ამის გარკვევა დაავალეს. ძალიან შემეშინდა. მივხვდი, რომ ვერავის ვენდობოდი.

თითქოს საკუთარ თავს ჰიპნოზი გავუკეთე – თანდათან თითქმის დამავიწყდა, რომ ჯეინ ფინი ვიყავი, ჯანეტ ვანდემაიერის როლს კი ისე გულმოდგინედ ვთამაშობდი, რომ ნერვული აშლილობა დამეწყო. მართლა ავად გავხდი. მრავალი თვე მძიმე დეპრესიაში ვიმყოფებოდი. ვგრძნობდი, რომ მალე მოვკვდებოდი, მაგრამ ეს არ მადარდებდა. როგორც ამბობენ, ფსიქიკურად დაავადებულებს შორის მოხვედრილი ნორმალური ადამიანი ხშირად თვითონაც მათ ემსგავსება. მგონი, მეც ასე მემართებოდა. იმდენად შევედი როლში, რომ ის ჩემი მეორე ბუნება გახდა. საკუთარი თავი უბედურად აღარ მიმაჩნდა, გულგრილობა დამეუფლა, მოვდუნდი. ყველაფერმა აზრი დაკარგა. ასე გავიდა ერთი წელი, მეორე...

უეცრად ყველაფერი შეიცვალა. ლონდონიდან მისის ვანდემაიერი ჩამოვიდა. მან და ექიმმა შეკითხვების დასმა დამიწყეს, მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი სცადეს. პარიზშიც კი უნდოდათ ჩემი გაგზავნა – სპეციალისტთან, მაგრამ ვერ გაბედეს. ყური მოვკარი, რომ ვილაც ხალხი მეძებდა, რომელთა ნდობაც შეიძლებოდა. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემი მედდა პარიზში გაემგზავრა სპეციალისტთან და მას ჩემი სახელით წარუდგა. ექიმმა რამდენიმე ტესტი ჩაუტარა და დაადგინა, რომ იგი მეხსიერების დაკარგვას იგონებდა. მაგრამ მედდამ მისი მეთოდები დაიმახსოვრა და ჩემზე გამოსცადა. ვფიქრობ, მთელი ცხოვრების განმავლობაში ამგვარი კვლევებით დაკავებული სპეციალისტი მყისვე გამომააშკარავებდა, მაგრამ კვლავ მოვახერხე მათი გაცურება. ეს აღარ გამჭირვებია, რადგან კარგა ხანია, თავი ჯეინ ფინად აღარ მიმაჩნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთ საღამოს რატომღაც ლონდონში წამიყვანეს – იმ სახლში, სოჰოში. სანატორიუმის დატოვებისთანავე თავი სხვა ადამიანად ვიგრძენი. თითქოს ჩემში რაღაც ღრმად ჩამარხული იღვიძებდა.

მიბრძანეს, მისტერ ბერესფორდს მოვმსახურებოდი (ცხადია, მაშინ მისი გვარი არ ვიცოდი). მეგონა, მორიგ მახეს მიგებდნენ და სიფრთხილეს ვიჩენდი. მაგრამ ის ისეთი წესიერი და გულწრფელი აღმოჩნდა, რომ უნებურად დავეჭვდი, ჰქონდა თუ არა რამე შეხება მათ ბნელ საქმეებთან. მიუხედავად ამისა, თითოეულ სიტყვას ვწონიდი – კედელში, ადამიანის თავის დონეზე მაღლა პატარა ხვრელი გაეკეთებინათ და ვიცოდი, რომ გვისმენდნენ.

კვირას, დღისით, რაღაც შეიტყვეს, რამაც ყველა ააფორიაქა. მოვახერხე და მოვისმინე, რომ მისი მოკვლის ბრძანება მიელოთ. შემდეგ რა მოხდა, კარგად მოგეხსენებათ. ვიფიქრე, სანამ ბერესფორდი კარს ეწვალება, სამალავიდან დოკუმენტს ავიღებ-მეთქი, მაგრამ ხელი შემიშალეს და ავყვირდი, რომ ის გაიქცა, რომ მარგარიტასთან დაბრუნება მინდოდა. ეს სახელი სამჯერ გავიმეორე ხმამაღლა. ვიცოდი, იფიქრებდნენ, რომ მისის ვანდემაიერს ვგულისხმობდი, მე კი იმის იმედი მქონდა, რომ მისტერ ბერესფორდს ნახატები გაახსენდებოდა. მან ხომ პირველ დღეს ერთი მათგანი კედლიდან ჩამოხსნა... ესეც მიშლიდა ხელს, რომ მას მივნდობოდი.

ქალიშვილი გაჩუმდა.

– მაშასადამე, – ნელა ჩაილაპარაკა სერ ჯეიმზმა, – ხელშეკრულება ჯერაც იმ ოთახშია დამალული!

– დიახ, – ხანგრძლივი თხრობით დაღლილი ჯეინი კვლავ მიწვა.

სერ ჯეიმზი წამოდგა და საათს დახედა.

– წამოდით, – თქვა მან, – წუთის დაკარგვა არ შეიძლება.

– სად? – ჰკითხა გაოცებულმა ტაპენსმა, – დაღამებას არაფერი აკლია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხვალ შესაძლოა, გვიან იყოს, – სერიოზული სახით განაცხადა ადვოკატმა, – თანაც, ჯერ კიდევ გვაქვს უდიდესი ადამიანისა და სუპერ-დამნაშავის – მისტერ ბრაუნის შეპყრობის შანსი!

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. სერ ჯეიმზმა განაგრძო:

– აშკარაა, რომ ჩემი სახლის კარამდე გითვალთვალებდნენ. ჩვენც აგვედევნებიან, თუმცა ხელს არ შეგვიშლიან, რადგან მისტერ ბრაუნს იმედი აქვს, რომ სამალავთან მივიყვანთ. მართალია, სახლს სოჰოშო ოცდაოთხი საათის განმავლობაში დარაჯობენ და იქ უამრავი პოლიციელი და აგენტია, მისტერ ბრაუნს ეს ვერ შეაჩერებს. ის ყველაფერს გაიღებს, რათა თავისი ნაღმისთვის ფალია იშოვოს. თანაც, მისი გათვლით, რისკი დიდი არ იქნება, რადგან სახლში მეგობრის სახით შევა!

სახეაწითლებულმა ტაპენსმა უნებურად ჩაილაპარაკა:

– თქვენ ყველაფერი არ იცით... ჩვენ ყველაფერი არ გვითქვამს... – მან დაბნეულად შეხედა ჯეინს.

– მაინც, რა? – მკაცრად ჰკითხა ადვოკატმა, – ახლა ყოყმანის დრო არ არის, მის ტაპენს. მკაფიოდ უნდა ვიცოდეთ, რა გველის.

მაგრამ ამჯერად ტაპენსს თითქოს ენა დაბმოდა.

– რთული სათქმელია... რადგან თუ ვცდები... ეს საშინელება იქნება, – მან შუბლი შეიკრა, ჯეინს გადახედა, რომელმაც არაფერი იცოდა, და იდუმალი ხმით განაგრძო: – ის არასდროს მაპატიებს.

– გინდათ, რომ მე დაგეხმაროთ, არა?

– დიახ, თუ შეიძლება. თქვენ ხომ იცით, ვინ არის მისტერ ბრაუნი, არა?

– დიახ, – სერიოზული სახით წარმოთქვა სერ ჯეიმზმა, – როგორც იქნა, ვიცი!

– როგორც იქნა? – იკითხა გაოცებულმა ტაპენსმა, – მე კი მეგონა... – იგი გაჩუმდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არც შემცდარხართ, მის ტაპენს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის იყო... იმ დღიდან მოყოლებული, რაც მისის ვანდემაიერი გარდაიცვალა.

– აჰ! – აღმოხდა ტაპენსს.

– ვინაიდან ლოგიკურად მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა: მან ან თვითონ მიიღო ქლორალი, რასაც გამოვრიცხავ, ან...

– რა?

– ან ქლორალი ბრენდში შეურიეს, რომელიც მას თქვენ მიეცით. ბრენდთან შეხება სამ ადამიანს ჰქონდა: თქვენ, მის ტაპენს, მე და კიდევ ერთ ადამიანს – მისტერ ჯულიუს ჰერსჰაიმერს.

ჯეინ ფინი შეკრთა, წამოიწია, დივანზე დაჯდა და გაოცებით მიაჩერდა ადვოკატს, რომელიც განაგრძობდა:

– თავდაპირველად ამ საშინელ აზრს ახლოს არ ვიკარებდი. მისტერ ჰერსჰაიმერს, ცნობილი მილიონერის ვაჟს, ამერიკაში კარგად იცნობდნენ. თითქოს შეუძლებელი ჩანდა, რომ იგი, იმავდროულად, მისტერ ბრაუნი ყოფილიყო. მაგრამ ფაქტების ლოგიკას ვერსად გაექცევით. განვითარებული მოვლენები სწორედ ამ დასკვნას მკარნახობდა. გაიხსენეთ მოულოდნელად შეშინებული მისის ვანდემაიერი. აი, კიდევ ერთი მტკიცებულება, თუ ეს საჭიროა... თუ გახსოვთ, როგორც კი ხელსაყრელი შესაძლებლობა მომეცა, სიფრთხილისკენ მოგიწოდეთ. მანჩესტერში მისტერ ჰერსჰაიმერის ზოგიერთი ფრაზის მიხედვით, მივხვდი, რომ ჩემი რჩევა ყურად იღეთ და წინდახედულად იქცეოდით. სწორედ ამ დროს მისტერ ბერესფორდმა დამირეკა და მითხრა, რომ მის ჯეინ ფინის ფოტოსურათი მთელი ამ დროის განმავლობაში, როგორც ვვარაუდობდი, მისტერ ჰერსჰაიმერს ჰქონდა...

სერ ჯეიმზს ჯეინმა გააწყვეტინა: დივნიდან წამოხტა და მრისხანედ შეჰყვირა:

– რას გულისხმობთ? რის დამტკიცებას ცდილობთ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ მისტერ ბრაუნი ჯულიუსია? ჯულიუსი... ჩემი ბიძაშვილი!

– არა, მის ფინ, – მოულოდნელად უთხრა სერ ჯეიმზმა, – თქვენი ბიძაშვილი არა. ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს ჯულიუს ჰერსჰაიმერს უწოდებს, თქვენი ნათესავი არ არის.

თავი ოცდამეექვსე
მისტერ ბრაუნი

სერ ჯეიმზის სიტყვები ბომბის აფეთქებასავით გაისმა. ქალიშვილების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ადვოკატი თავის მაგიდასთან მივიდა, გაზეთის ამონაჭერი აიღო და ჯეინს გაუწოდა. ტაპენსმა მის მხარზე-მოდან ჩახედა და წაიკითხა. მასში ნიუ-იორკის ნავსადგურში გამორიყულ უცნობ დამხრჩვალზე ეწერა.

– როგორც უკვე ვუთხარი მის ტაპენსს, – განაგრძო ადვოკატმა, – უნდა დამემტკიცებინა, რომ შეუძლებელი შესაძლებელია. ჩემს ამოცანას ის ფაქტი ართულებდა, რომ ჯულიუს ჰერსჰაიმერი რეალური პიროვნება იყო. როგორც კი გაზეთში დაბეჭდილ ამ ინფორმაციას გავეცანი, ყველაფერს მივხვდი. ჯულიუს ჰერსჰაიმერმა თავისი მამიდაშვილის მოძებნა გადაწყვიტა. იგი დასავლეთში გაემგზავრა, მის მშობლიურ შტატში ცნობები მოიძია და ქალიშვილის ფოტოსურათიც იშოვა, რათა ძებნა გაადვილებოდა, მაგრამ ნიუ-იორკიდან გამომგზავრების წინ იგი მოკლეს. გვამს მუშის ტანსაცმელი ჩააცვეს და სახე ისე დაუსახიჩრეს, რომ ვერავის ამოეცნო, მისი ადგილი კი მისტერ ბრაუნმა დაიკავა. იგი დაუყოვნებლივ გამოემგზავრა ინგლისში. პორტიდან გამოსვლისას ჰერსჰაიმერის მეგობრებსა და ნაცნობებს ის არ უნახავთ. თუმცა რისკი დიდი არ იყო, რადგან ეს თვითმარქვია თავის როლს შესანიშნავად თამაშობდა. შემდეგ მან მარჯვედ მოახერხა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმ ადამიანების ნდობის მოპოვება, ვინც მის მოძებნას ცდილობდა. ამგვარად, ყოველთვის ყველაფერი იცოდა მათი გეგმების შესახებ. მხოლოდ ერთხელ ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში – მისი საიდუმლო მისის ვანდემაიერმა იცოდა, მან კი ვერ გაითვალისწინა, რომ ქალს ღალატისთვის უზარმაზარ თანხას შესთავაზებდნენ. მის ტაპენსს თავისი განზრახვა რომ არ შეეცვალა, მისის ვანდემაიერი თავის ბინას ჩვენს მისვლამდე დიდი ხნით ადრე დატოვებდა. მისტერ ბრაუნს გამომჟღავნება ემუქრებოდა და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა რადიკალური ნაბიჯი გადადგა. იმედოვნებდა, რომ ამერიკელ მილიონერზე ეჭვს ვერავინ მიიტანდა. მისმა გათვლამ გაამართლა... თითქმის გაამართლა.

– ვერ ვიჯერებ, – ჩაილაპარაკა ჯეინმა, – ის ისეთი შესანიშნავი ადამიანი ჩანდა.

– ნამდვილი ჯულიუს ჰერსჰაიმერი მართლა შესანიშნავი ადამიანი იყო, მისტერ ბრაუნი კი – საუცხოო მსახიობი. ჰკითხეთ მის ტაპენსს, ხომ არ შეეპარა ეჭვი მისტერ ჰერსჰაიმერთან დაკავშირებით.

ჯეინმა უსიტყვოდ შეხედა ტაპენსს, მან თავი დაუქნია.

– ჯეინ, არ მინდოდა ამის თქმა, ვიცოდი, რომ ეს გულს გატკენდა. თანაც, ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი. ახლაც ვერ გამიგია, რატომ გადაგვარჩინა, თუ ის მისტერ ბრაუნია.

– მაშ, გადარჩენაში ჯულიუს ჰერსჰაიმერი დაგეხმარათ?

ტაპენსმა სერ ჯეიმზს საღამოს მომხდარი წარმოუდგენელი მოვლენების შესახებ უამბო და გაიმეორა:

– ვერ გამიგია, რისთვის დასჭირდა ჩვენი გადარჩენა!

– მართლა? მე კი ვხვდები. მგონი, ბერესფორდიც, თუ მისი მოქმედების მიხედვით ვიმსჯელებთ. ეს ბოლო შესაძლებლობა იყო – ჯეინ ფინისთვის გაქცევის შესაძლებლობა უნდა მიეცათ, ოღონდ ისე, რომ ეჭვი არ შეჰპარვოდა. ახლომახლო ბერესფორდის ყოფ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნა მათ არ აშინებდათ, აწყობდათ კიდეც, თუ წერილს გადმოგცემდათ. უეცრად მოვიდა ჯულიუს ჰერსჰაიმერი და გადაგარჩინათ – როგორც რომანში. ირგვლივ ტყვიები წუოდა, მაგრამ, რატომღაც, ყველა უვნებლად გადარჩა. შემდეგ რა უნდა მომხდარიყო? თქვენ პირდაპირ სოჰოში წახვიდოდით, ხელშეკრულებას სამალავიდან ამოიღებდით, მის ფინი კი მას, მეტი საიმედოობისთვის, თავის ბიძაშვილს გადასცემდა. ან, თუ მისტერ ბრაუნი ძებნას საკუთარ თავზე აიღებდა, დოკუმენტი გატაცებული აღმოჩნდებოდა – თქვენ ასე გეტყოდათ. მალე, უბედური შემთხვევის შედეგად, სავარაუდოდ, ორივენი დაიღუპებოდით, რადგან ბევრი იცოდით, ამას კი ვერ შეეგუებოდნენ. ბუნებრივია, ეს ვერსია მაგალითის სახით მოვიყვანე. გამოგიტყდებით, მოულოდნელობის წინაშე აღმოვჩნდი, თუმცა ვიღაც ჩემზე ყოჩაღი და ფხიზელი აღმოჩნდა.

– ტომი, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ტაპენსმა.

– დიახ. როგორც ჩანს, როცა ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, მოახერხა და მათ დაუსხლტა. თუმცა მაინც ვღელავ მის გამო.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჯულიუს ჰერსჰაიმერი – მისტერ ბრაუნია, – ცივად მიუგო სერ ჯეიმზმა, – მისტერ ბრაუნთან გასამკლავებლად კი მხოლოდ ერთი რევოლვერიანი კაცი აშკარად არასაკმარისია...

ტაპენსი გაფითრდა.

– რისი გაკეთება შეგვიძლია?

– არაფრის, სანამ იმ სახლში არ მივალთ, სოჰოში. თუ ბერესფორდი კვლავ ფლობს ინიციატივას, საშიში არაფერია. თუ – არა, ჩვენი მტერი იქ მოვა და ჩვენც იქ დავხვდებით, ოღონდ ამისთვის მომზადებული, – ადვოკატმა მაგიდის უჯრიდან ოფიცრის რევოლვერი ამოიღო და პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო, – ახლა მზად ვართ. მის ტაპენს, როგორც ვხვდები, აზრი არა აქვს გითხრათ, რომ აქ უნდა დარჩეთ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სწორად ხვდებით!

– აი, მის ფინისთვის კი აჯობებს, თუ დარჩება. ის აქ სრულიად უსაფრთხოდ იქნება. ისედაც ძალაგამოცლილია – მან ხომ ამდენი გადაიტანა.

ტაპენსის გასაოცრად, ჯეინმა მტკიცედ გადააქნია თავი.

– არა, მეც წამოვალ. დოკუმენტი მე ჩამაბარეს და ვალდებული ვარ, ბოლომდე მივყვე მას. თანაც, თავს კარგად ვგრძნობ.

სერ ჯეიმზმა ბრძანა, რომ მანქანა მოეყვანათ. ამ ხანმოკლე მგზავრობის დროს ტაპენსს გული გამალებით უძგერდა. ძალიან ღელავდა ტომის გამო, თუმცა, იმავდროულად, აღფრთოვანებასაც გრძნობდა. გამარჯვება მათ უნდა დარჩენოდათ!

მანქანამ მოედანთან, კუთხეში დაამუხრუჭა. ისინი გადმოვიდნენ. სერ ჯეიმზი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ ერთ-ერთ აგენტს მიუახლოვდა, გამოელაპარაკა და ქალიშვილებთან დაბრუნდა.

– სახლში ჯერჯერობით არავინ შესულა. უკანა შესასვლელსაც უთვალთვალებენ, ამიტომ ამაში დარწმუნებულნი არიან. თუკი ვინმე დააპირებს, რომ უკან გამოგვყვეს, მას მაშინვე დააპატიმრებენ. აბა, წავედით?

პოლიციელმა გასაღები ამოიღო. სერ ჯეიმზს აქ ყველა კარგად იცნობდა. მათ ტაპენსის შესახებაც ჰქონდათ მითითება მიღებული, თუმცა მეორე ქალიშვილის შესახებ არ გაეფრთხილებინათ. სადარბაზოში შევიდნენ, კარი მიხურეს და ნელა აუყვნენ ჭრიალა საფეხურებს. ზედა უჯრედის გვერდით დახეული ფარდა კვლავაც ფარავდა ნიშას, სადაც ადრე ტომი იმალებოდა. ტაპენსმა ეს ჯეინისგან შეიტყო, როცა ორივენი დატყვევებულნი იყვნენ, ჯეინს კი ჯერაც „ანეტი“ ერქვა. ამიტომ ცნობისმოყვარეობით შეხედა დახეულ ხავერდს. მოეჩვენა, რომ ფარდა ოდნავ შეირხა, თითქოს ნიშაში ახლაც იმალებოდა ვილაც... ილუზია იმდენად ძლიერი იყო, დამალულის მხრების მოხაზულობაც კი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაარჩია... იქნებ იქ ჯულიუსი ჩასაფრდა... ანუ მისტერ ბრაუნი...

ეს ხომ შეუძლებელია! მაგრამ ტაპენსი კინაღამ იქით გაემართა, რათა ფარდა გადაეწია და დარწმუნებულიყო...

ისინი საპატიმრო ოთახში შევიდნენ. აქ მაინც ვერავინ დაიმალებაო, გაიფიქრა ტაპენსმა და შვებით ამოისუნთქა, თუმცა მყისვე საკუთარ თავზე აღშფოთდა: არა, ყურადღება არ უნდა მიაქციოს სულელურ წარმოსახვას, თითქოს მისტერ ბრაუნი ამ სახლშია... ვაი! რა იყო ეს? ვიღაც კიბეზე მოიპარება? მაშასადამე, სახლში ვიღაც არის? სისულელეა! საცაა, ისტერიკა დაეწყებოდა.

ჯეინი პირდაპირ იმ ნახატისკენ გაემართა, რომელზეც მარგარიტა იყო გამოსახული და კედლიდან ჩამოხსნა. ჩარჩოს მტვრის სქელი ფენა დასდებოდა. კედელზე აბლაბუდის ნარჩენები დარჩა. სერ ჯეიმზმა ქალიშვილს ჯაყვა გაუწოდა და მან ყავისფერი მუყაო ჩარჩოს მოაშორა... იატაკზე ჟურნალის სარეკლამო ფურცელი დავარდა. ჯეინმა აიღო, კიდეები ერთმანეთს დააცილა და ნაწერით სავსე ორი ფურცელი ამოაძვრინა.

ამჯერად თვალის ასახვევად ჩადებული ცარიელი ფურცელი არსად ჩანდა, მხოლოდ – ნამდვილი ხელშეკრულება!

– მივაგენით, – თქვა ტაპენსმა, – როგორც იქნა!

დაძაბულობამ პიკს მიაღწია. ტაპენსს მყისვე გადაავიწყდა ყველაფერი, რაც აქამდე ეჩვენებოდა: რაღაცის ჭრიალი, ვიღაცის ფეხის ხმა... ყველანი იმ დოკუმენტს მისჩერებოდნენ, რომელიც ჯეინს ხელში ეჭირა.

სერ ჯეიმზმა გამოართვა და ყურადღებით შეათვალიერა.

– დიახ, – თქვა აუღელვებლად, – ეს სწორედ ის ავბედითი ხელშეკრულებაა!

– ჩვენ გავიმარჯვეთ, – ჩაილაპარაკა ტაპენსმა და მის ხმაში შიშნარევი გაოცება ჟღერდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩვენ გავიმარჯვეთ, – გაიმეორა სერ ჯეიმზმა, ფურცლები აკურატულად დაკეცა და საფულეში ჩაიდო, შემდეგ უბადრუკ ოთახს თვალი ცნობისმოყვარეობით მოავლო, – მაშ, აქ დაამწყვდიეს ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი, არა? რა პირქუში ოთახია. ფანჯარა არა აქვს, სამაგიეროდ სქელი და მძიმე კარი ჩამოუკიდებიათ. რაც უნდა მოხდეს, ვერავინ გაიგებს.

ტაპენსი შეკრთა. ამ სიტყვებმა მასში კვლავ შეშფოთება გააღვიძა. იქნებ სახლში მართლა იმალებოდა ვინმე? ახლა კარს მიხურავდა და დასაღუპავად გაწირავდა, როგორც ვირთხებს. შემდეგ კვლავ მიხვდა ამ აზრის აბსურდულობას – სახლს გარშემო პოლიცია შემორტყმოდა და თუ გარეთ არ გავიდოდნენ, შენობას გაჩხრეკდნენ და მათ აუცილებლად მიაგნებდნენ. საკუთარ სისულელეზე გაელიმა. უეცრად შეამჩნია, რომ სერ ჯეიმზი დაჟინებით უყურებდა. ადვოკატმა თავი ოდნავ დაუქნია.

– მართალია, მის ტაპენს. თქვენ საფრთხეს გრძნობთ. ისევე, როგორც მე. ისევე, როგორც მის ფინი.

– დიახ, – დაეთანხმა ჯეინი, – ეს სისულელეა, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებ.

სერ ჯეიმზმა კვლავ დაუკრა თავი.

– თქვენ გრძნობთ... ჩვენც ვგრძნობთ... მისტერ ბრაუნის აქ ყოფნას. დიახ, – დაამატა მან, როდესაც ტაპენსი უნებლიეთ შეირხა, – ეჭვგარეშეა... მისტერ ბრაუნი აქაა...

– ამ სახლში?

– ამ ოთახში... ვერ მიხვდით? მისტერ ბრაუნი მე ვარ...

განცვიფრებული ქალიშვილები გაშტერდნენ, ყურებს არ უჯერებდნენ. კაცს სახე შეეცვალა. ახლა მათ წინ სრულიად სხვა ადამიანი იდგა. მან ნელა, მკაცრად გაიღიმა.

– ვერც ერთი თქვენგანი ამ ოთახიდან ცოცხალი ვერ გავა! ახლახან თქვით, რომ გაიმარჯვეთ. თქვენ კი არა, მე გავიმარჯვე! ხელშეკრულება მე მაქვს, –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მან ტაპენსს შეხედა და უფრო ფართოდ გაიღიმა, – გითხრათ, რა მოხდება? ადრე თუ გვიან, აქ პოლიცია შემოიჭრება და მისტერ ბრაუნის სამ მსხვერპლს აღმოაჩენს. დიახ – სამს, და არა ორს, გესმით? მაგრამ, საბედნიეროდ, მესამე მსხვერპლი მხოლოდ დაჭრილი იქნება და შეძლებს, რომ დეტალურად აღწეროს თავდასხმა! ხელშეკრულება? ის მისტერ ბრაუნის ხელშია! ბუნებრივია, თავში აზრადაც არავის მოუვა სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონის ჯიბეების გაჩხრეკა, – იგი ჯეინს მიუბრუნდა: – ვაღიარებ, რომ ეშმაკობაში მაჯობეთ. მაგრამ ამის გამეორებას ველარ შეძლებთ!

მის ზურგს უკან მსუბუქი შრიალი გაისმა, მაგრამ წარმატებით გაბრუებულს იქით არ მიუხედავს.

მან ხელი ჯიბეში ჩაიყო.

– ქიში და შამათი „ახალგაზრდა ავანტიურისტებს“! – თქვა მან და დიდი რევოლვერი ნელა ასწია.

იმავ წამს იგრძნო, რომ ვიღაცამ რკინასავით მტკიცე ხელები შემოაჭდო და რევოლვერი გააგდებინა, ჯულიუს ჰერსჰაიმერმა კი გაწელვით წარმოთქვა:

– როგორც ამბობენ, ნივთიერი სამხილით დაგიჭირეთ.

სახელგანთქმული ადვოკატი წამოჭარხალდა, თუმცა თავი საოცრად ღირსეულად ეჭირა, როცა ჯერ ჯულიუსს შეხედა, შემდეგ კი ტომის მიაჩერდა.

– თქვენ, – ჩაილაპარაკა ჩუმად, – თქვენ! უნდა მივმხვდარიყავი...

როდესაც დაინახეს, რომ იგი წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდა, ყურადღება ოდნავ მოადუნეს. წამსვე მან ელვისებურად ასწია მარცხენა ხელი და თითზე წამოცმული დიდი ბეჭედი ტუჩებთან მიიტანა.

– Ave, Caesar, morituri te salutant[1], – წარმოთქვა ისე, რომ ტომისთვის თვალი არ მოუშორებია.

---

[1] *(ლათ.) დიდება შენდა, კეისარო, სასიკვდილოდ მიმავალნი მოგესალმებით – რომაელი ისტორიკოსის გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსის მიხედვით, ასე მიმართავდნენ არენაზე მიმავალი გლადიატორები იმპერატორ კლავდიუსს.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უეცრად სახე დაელრიჯა, სხეული დაეკრუნჩხა და იატაკზე დაეცა, ჰაერში კი მწარე ნუშის სუნი გავრცელდა.

თავი ოცდამეშვიდე
ვახშამი-წვეულება „სავოიში"

ვახშამი, რომლითაც ჯულიუს ჰერსჰაიმერი 30 რიცხვში თავის ახლო მეგობრებს გაუმასპინძლდა, დიდხანს დარჩება იშვიათი დელიკატესების მომწოდებელთა მეხსიერებაში. ეს ცალკე კაბინეტში მოხდა, მისტერ ჰერსჰაიმერის განკარგულებები სიმოკლითა და მკაფიოობით გამოირჩეოდა. მან მეტრდოტელს სრული კარტბლანში[1] მისცა. და როცა მილიონერი კარტბლანშს იძლევა, ის სასურველ შედეგს აღწევს!

მაგიდაზე არასეზონური დელიკატესები და კერძები ერთმანეთს ცვლიდა. ოფიციანტებს მოკრძალებით შემოჰქონდათ დავარგებული მეფური ღვინით სავსე ბოთლები. ლარნაკებში ჩაწყობილი ყვავილები წელიწადის დროებს არ ემორჩილებოდნენ, გვერდიგვერდ კი ისეთი ხილი იწონებდა თავს, რომლებიც ისევე შორს იდგნენ ერთმანეთისგან, როგორც მაისი და ნოემბერი. სტუმრების მოკლე სიაში მხოლოდ რჩეულნი მოხვდნენ. ამერიკის ელჩი, მისტერ კარტერი, რომელიც, როგორც თვითონ თქვა, გაკადნიერდა და თავისი ძველი მეგობარი სერ უილიამ ბერესფორდი მოიყვანა. იყვნენ, აგრეთვე, არქიდიაკვანი კაული, დოქტორი ჰოლი, ორი „ახალგაზრდა ავანტიურისტი": მის პრუდენს კაული და მისტერ ტომას ბერესფორდი; და ბოლოს, ყველაზე საპატიო სტუმარი – მის ჯეინ ფინი.

ჯულიუსმა ძალისხმევა არ დააკლო, რათა ჯეინი სტუმრების წინაშე წარმატებით წარმდგარიყო. დი-

[1] *კარტბლანში – მოქმედების სრული თავისუფლება.*

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლაადრიანად იმ ოთახის კარზე, რომელშიც ტაპენსი ახალგაზრდა ამერიკელ ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა, იდუმალი კაკუნი გაისმა. ეს ჯულიუსი აღმოჩნდა, ხელში ჩეკი ეჭირა.

– მითხარი, ტაპენს, – დაიწყო მან, – შეგიძლია, კარგი საქმე გააკეთო? აი, ეს აიღე და ჯეინი საღამოსთვის გამოაწყვე. ყველანი ჩემთან ივახშმებთ „სავოიში“. გასაგებია? ფული არ დაგენანოს. მოტვინე?

– მოვტვინე, – მხარი აუბა ტაპენსმა, – ძალიან ვისიამოვნებთ! ჯეინის გამოწყობა ნამდვილი სიამოვნებაა. მასზე ლამაზი ქალიშვილი არასდროს მინახავს.

– აი, ასე! – მგზნებარედ გამოეხმაურა მისტერ ჰერსჰაიმერი.

ამ გულმხურვალებამ ტაპენსის თვალებში ეშმაკური ნაპერწკლები გააჩინა.

– სხვათა შორის, ჯულიუს, – მოჩვენებითი სიმორცხვით უთხრა ტაპენსმა, – მე... შენთვის პასუხი ჯერ არ გამიცია.

– პასუხი? – გაიმეორა ჯულიუსმა და გაფითრდა.

– როდესაც... მითხარი... რომ ჩემზე დაქორწინება გსურდა, – ენის ბორძიკით შეახსენა ტაპენსმა და ადრეული ვიქტორიანული ეპოქის გმირივით დახარა თვალები, – და მთხოვე, დავფიქრებულიყავი. ჰოდა, დავფიქრდი და...

– და რა? – იკითხა ჯულიუსმა და შუბლი ოფლმა დაუცვარა.

მოულოდნელად ტაპენსმა კილო შეცვალა.

– რა იდიოტი ხარ! – თქვა მან, – ვინ დაგაძალა, ეს რომ წამოიწყე? მაშინვე მივხვდი, რომ ჩემ მიმართ არაფერს გრძნობდი!

– სულაც არა. ვგრძნობდი... ახლაც ვგრძნობ... უდიდეს პატივისცემას, სიმპათიას... და აღფრთოვანებას...

– ჰმ! – მიუგო ტაპენსმა, – ყველა ეს გრძნობა მეორეხარისხოვანი ხდება, როცა სხვა გრძნობა მოდის. ასე არაა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვერ ვხვდები, რას გულისხმობ, – უთხრა ჯულიუსმა და საშინლად გაწითლდა.

– ეგ ზღაპარი პატარებს მოუყევი! – დატუქსა ტაპენსმა და სიცილით მიუკეტა კარი ცხვირწინ, შემდეგ კვლავ გამოაღო და ღირსების შეგრძნებით დაამატა: – არასდროს დამავიწყდება, როგორ მომატყუე და მიმატოვე!

– ვინ იყო? – იკითხა ჯეინმა, როცა ტაპენსი ოთახში დაბრუნდა.

– ჯულიუსი.

– რა უნდოდა?

– ვფიქრობ, შენი ნახვა, მაგრამ ამას ვერ დავუშვებდი. არც დავუშვებ საღამომდე, როცა ყველას წინაშე მეფე სოლომონივით დიდებით მოცული წარდგები! ახლა კი მოემზადე! მაღაზიებში გავივლით!

დიდი უმრავლესობისთვის 29 რიცხვმა, ღირსშესანიშნავმა „შრომის დღემ“, ძირითადად, ჩვეულებრივად ჩაიარა. ჰაიდ-პარკსა და ტრაფალგარის მოედანზე სიტყვით გამოვიდნენ. ქუჩებში ხალხი არცთუ მწყობრ კოლონებად, საკმაოდ უმიზნოდ დადიოდა და „წითელ დროშას“ მღეროდა. გაზეთები, რომლებიც საყოველთაო გაფიცვებსა და ტერორის გამეფების დასაწყისზე მიანიშნებდნენ, იძულებულნი გახდნენ, გამზადებული სათაურები შეეცვალათ. ყველაზე თავხედები და მოხერხებულები იმის მტკიცებას შეუდგნენ, რომ მშვიდობა საბჭოეთის წყალობით შენარჩუნდა. საკვირაო გამოცემებში გაჩნდა მოკლე შეტყობინება სახელგანთქმული ადვოკატის - სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონის გარდაცვალების შესახებ. ორშაბათს ქებით აღსავსე ნეკროლოგები დაიბეჭდა. მისი უეცარი სიკვდილის ზუსტი მიზეზი არასდროს გასაჯაროებულა.

ტომიმ მომხდარის შედეგები სწორად ივარაუდა. ეს ერთი ადამიანის შოუ იყო. ხელმძღვანელის გარეშე დარჩენილი ორგანიზაცია ნაწილ-ნაწილ დაიშალა. კრამენინი კვირა დილას ინგლისიდან სასწრაფოდ რუ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სეთში გაემგზავრა. ბანდა პანიკამ მოიცვა და ასტლი-პრაიორსში გაიქცა, სიჩქარეში უამრავი დოკუმენტი დარჩათ, რამაც მათ საბოლოდ გაუტეხა სახელი. მთავრობამ, რომელსაც ხელთ ჰქონდა ეს მტკიცებულებები, აგრეთვე, განსვენებულის ჯიბეში ნაპოვნი დღიური, სადაც მოკლედ იყო აღწერილი შეთქმულების მიზნები და მექანიზმი, მოასწრო და ბოლო წამს კონფერენცია მოაწყო. პროფკავშირების ლიდერებმა აღიარეს, რომ მათ სხვის თამაშში პაიკებად იყენებდნენ. მთავრობა ზოგიერთ დათმობაზე წავიდა, რაც კმაყოფილებით მიიღეს. ყველაფერი ომით კი არა, მშვიდობით დასრულდა.

მინისტრთა კაბინეტმა იცოდა, რა ახლოს იყო კატასტროფა. მისტერ კარტერის მეხსიერებაში კი სამუდამოდ აღიბეჭდა ის, რაც წინადღეს, გვიან საღამოს, სოჰოს ერთ-ერთ სახლში მოხდა.

როდესაც ჭუჭყიან ოთახში შევიდა, მისი ძველი მეგობარი, საკუთარი აღიარებითვე მხილებული სახელგანთქმული ადვოკატი, მკვდარი იწვა. გარდაცვლილის საფულიდან მან ავბედითი ხელშეკრულება ამოიღო და ოთხი მოწმის თანდასწრებით დაწვა... ინგლისი გადარჩა!

ახლა კი, 30-ში საღამოს, ჯულიუს ჰერსჰაიმერი „სავოის“ ცალკე კაბინეტში სტუმრებს იღებდა. ტომის, ტაპენსისა და ჯეინის შემდეგ პირველი მისტერ კარტერი მოვიდა. მას თან ქოლერიკული გარეგნობის ხანდაზმული ჯენტლმენი ახლდა, რომლის დანახვაზეც ტომი თმის ძირებამდე გაწითლდა. იგი წინ გამოვიდა.

– ჰა! – თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა და ტომი ოდნავ გადმოკარკლული თვალებით შეათვალიერა, – მაშასადამე, ჩემი დისშვილი ხარ, არა? არცთუ კარგად გამოიყურები, მაგრამ საქმეს ჩინებულად გამკლავებიხარ. ასე რომ, დედაშენს ცუდად არ გაუზრდიხარ. ეჰ, ღირს კი წარსულის გახსენება? შენ ჩემი მემკვიდრე ხარ. ახლა სარჩოს დაგინიშნავ... შეგიძლია, ჩელმერს-პარკი საკუთარ სახლად იგულო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გმადლობთ, სერ. საოცრად გულკეთილი ხართ.

– სად არის ის ახალგაზრდა ლედი, რომელზე ლაპარაკითაც ყურები გამომიჭედეს?

ტომიმ ტაპენსი წარუდგინა.

– ჰა! – თქვა სერ უილიამმა და ქალიშვილი შეათვალიერა, – ახლანდელი გოგონები ისეთები აღარ არიან, როგორებიც ჩემს ახალგაზრდობაში იყვნენ.

– როგორ არა, – შეეპასუხა ტაპენსი, – შესაძლოა, სხვანაირად იცვამენ, თორემ ისე არაფრით განსხვავდებიან.

– ამაში, ალბათ, დაგეთანხმებით. მაშინაც კეკლუცობდნენ და ახლაც კეკლუცობენ.

– ასეა, – დაეთანხმა ტაპენსი, – კეკლუცობა მეც ძალიან მიყვარს.

– მჯერა, – უთხრა მოხუცმა ჯენტლმენმა, გაიცინა და გულკეთილად მოჰკიდა ხელი ყურის ბიბილოზე. ჩვეულებრივ, ახალგაზრდა ქალიშვილები ძალიან უფრთხოდნენ ამ „ბებერ დათვს“, როგორც მას უწოდებდნენ, და ტაპენსის პირდაპირობამ და საზრიანობამ ამ მოურჯულებელი ქალთმოძულის მოწონება დაიმსახურა.

შემდეგ მორიდებული არქიდიაკვანი მოვიდა. მას ოდნავ აცბუნებდა ის საზოგადოება, რომელშიც აღმოჩნდა. უხაროდა, რომ მისმა ქალიშვილმა, როგორც ამბობდნენ, თავი ისახელა, თუმცა შიგადაშიგ მისკენ შეშფოთებული იყურებოდა. მაგრამ ტაპენსი მშვენივრად იქცეოდა: ერთხელაც არ გადაუდევს ფეხი ფეხზე, საკუთარ მეტყველებას ყურადღებას აქცევდა და მტკიცედ აცხადებდა უარს სიგარეტის მოწევაზე, როცა სთავაზობდნენ.

არქიდიაკვანს დოქტორი ჰოლი მოჰყვა, მას კი – ამერიკის ელჩი.

– ხომ არ დავიწყოთ? – იკითხა ჯულიუსმა, როდესაც ყველა სტუმარი ერთმანეთს წარუდგინეს, – ტაპენს, გთხოვ... – მან ქალიშვილს საპატიო ადგილისკენ მიუთითა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტაპენსმა თავი გადააქნია.

– არა, ეს ჯეინის ადგილია. იგი ისე ბრწყინვალედ იქცეოდა ამ წლების განმავლობაში, რომ ნამდვილად იმსახურებს დღევანდელი ზეიმის დედოფლობას!

ჯულიუსმა მას მადლობის გამომხატველი მზერით უპასუხა, ჯეინი კი დარცხვენით გაემართა შეთავაზებული ადგილისკენ. იგი ყოველთვის კარგი გარეგნობით გამოირჩეოდა, ახლა კი მომაჯადოებლად გამოიყურებოდა. ტაპენსმა შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ დავალებას. ცნობილი კუტურიეს მიერ შეკერილ საღამოს კაბას „ვეფხვის შროშანი“ ერქვა. ის ოქროსფერ, ალისფერ და ყავისფერ ტონებში გადაეწყვიტათ, რაც ძალიან უხდებოდა ქალიშვილის თეთრ ყელსა და ბრინჯაოსფრად მბზინავ ფუმფულა თმას, გვირგვინივით რომ ამშვენებდა კოხტა თავს. ყველანი აღტაცებით შეჰყურებდნენ საპატიო ადგილისკენ მიმავალ ჯეინს.

მალე წვეულება გახურდა და ტომის დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მოსთხოვეს.

– როგორ გეხერხება თავგზის აბნევა, – უსაყვედურა ჯულიუსმა, – მითხარი, რომ არგენტინაში აპირებდი გამგზავრებას, თუმცა მესმის, რომ ამის მიზეზი გქონდა. მაგრამ საშინლად ვხალისობ, როცა მახსენდება - შენ და ტაპენსი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იმ დასკვნამდე მიხვედით, რომ მისტერ ბრაუნი მე ვიყავი!

– ეს აზრი მათ თავისით როდი მოუვიდათ თავში, – სერიოზული კილოთი განაცხადა მისტერ კარტერმა, – მათ ის შეუდარებელმა ოსტატმა შთააგონა, როცა საწამლავის რაოდენობა ზუსტად მოზომა. ეს გეგმა მას ნიუ-იორკის ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულმა წერილმა უკარნახა და სწორედ მისი დახმარებით გააბა ქსელი, რომელშიც კინაღამ გაგაბათ.

– იგი არასდროს მომწონდა, – თქვა ჯულიუსმა, – თავიდანვე ვგრძნობდი, რომ რაღაც ისე არ იყო. ეჭვი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მქონდა, რომ მან დაადუმა მისის ვანდემაიერი გადამწყვეტ მომენტში. მაგრამ იმას, რომ ყველაზე მაღლა იდგა, მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა ტომის მოკვლის ბრძანება კვირას მასთან ჩვენი საუბრის კვალდაკვალ მოვიდა.

– მე კი საერთოდ არაფერს ვეჭვობდი, – მწუხარებით აღნიშნა ტაპენსმა, – საკუთარი თავი ყოველთვის ტომიზე ჭკვიანი მეგონა, მაგრამ მან მე ყველაფერში მაჯობა.

ჯულიუსი დაეთანხმა.

– ცხადია, რომ არა ტომი, არაფერი გამოგვივიდოდა! ასე რომ, ეყოფა განითლება და თევზივით პირში წყლის ჩაგუბება. დაე, ყველაფერი გვიამბოს.

– გთხოვთ! გთხოვთ!

– მოსაყოლი არაფერია, – თქვა ტომიმ და უხერხულად შეიშმუშნა, – ნამდვილი იდიოტი ვიყავი იმ წუთამდე, სანამ ანეტის ფოტოსურათს არ წავაწყდი და არ მოვისაზრე, რომ სწორედ ის იყო ჯეინ ფინი. შემდეგ გამახსენდა, როგორ დაჟინებით იმეორებდა „მარგარიტას“, და ნახატებზე გავიფიქრე... დიახ, აი, ასე. ცხადია, ყველაფერს თავიდან გადავავლე თვალი, რათა გამერკვია, როდის დავუშვი შეცდომა.

– განაგრძეთ, – თქვა მისტერ კარტერმა, როცა შეამჩნია, რომ ტომი კვლავ დადუმებას აპირებდა.

– შევშფოთდი, როდესაც ჯულიუსმა მიამბო, რა შეემთხვა მისის ვანდემაიერს. აშკარად ჩანდა, რომ საწამლავი ან თვითონ გამოიყენა, ან სერ ჯეიმზმა. მაგრამ არ ვიცოდი, ეს რომელმა გააკეთა. უჯრაში იმ ფოტოსურათის პოვნის შემდეგ, რომელიც, ჯულიუსის თქმით, მისგან ინსპექტორმა ბრაუნმა წაიღო, ეჭვი სწორედ მასზე მივიტანე. მაშინვე გამახსენდა, რომ ცრუმაგიერ ჯეინ ფინს სერ ჯეიმზმა მიაგნო. საბოლოო დასკვნის გამოტანა ვერ შევძელი, ამიტომ გადავწყვიტე, ორივეს მიმართ სიფრთხილე გამომეჩინა. იმ შემთხვევისთვის, თუ მისტერ ბრაუნი მაინც ჯულიუსი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყო, მას გამოსამშვიდობებელი ბარათი დავუტოვე, რომელშიც ვწერდი, რომ არგენტინაში მივემგზავრებოდი, სერ ჯეიმზის წერილი კი მაგიდის ქვეშ დავაგდე, რათა დარწმუნებულიყო, რომ არაფერს ვიგონებდი. შემდეგ მისტერ კარტერს მივწერე და სერ ჯეიმზს დავურეკე. მისთვის ჩემი მოსაზრებების შეტყობინება ნებისმიერ შემთხვევაში ყველაზე სწორი ნაბიჯი იყო. ამიტომ ყველაფერი მოვუყევი, მხოლოდ ის დავუმალე, სად იდო ხელშეკრულება. იგი მაშინვე დამეხმარა, რომ ტაპენსისა და ანეტის კვალს დავდგომოდი, და ამით ეჭვები თითქმის გამიფანტა, ოღონდ – ბოლომდე არა. კვლავინდებურად ვყოყმანობდი. ამ დროს ყალბი წერილი მივიღე – ვითომდა ტაპენსისგან – და საბოლოოდ მივხვდი, რომელი მათგანი იყო მისტერ ბრაუნი.

– როგორ?

ტომიმ ჯიბიდან წერილი ამოიღო და მისი დათვალიერების შესაძლებლობა ყველას მიეცა.

– ხელწერა აშკარად მისია. მაგრამ მას არ დაუწერია, რადგან ხელმოწერისას სახელი ტუპენსი არასდროს გამოუყენებია. ამას მხოლოდ ის თუ გააკეთებდა, ვისაც მისი ხელმოწერა არასდროს ენახა. მაგრამ ჯულიუსს ის ნანახი ჰქონდა, – მან მისი ბარათი მაჩვენა, – სერ ჯეიმზს კი – არა! ახლა ყველაფერი მარტივი იყო. ალბერტი სასწრაფოდ მისტერ კარტერთან გავგზავნე, თავი მოვიკატუნე, თითქოს გავემგზავრე, თვითონ კი თვალთვალი დავიწყე. როდესაც ჯულიუსი თავისი „როლს-როისით“ მოვიდა, მივხვდი, რომ ეს მისტერ ბრაუნის გეგმაში არ შედიოდა, და ამას შესაძლოა, პრობლემები წარმოექმნა. თუ სერ ჯეიმზს დანაშაულის ადგილზე ვერ დავიჭერდი, მისტერ კარტერი ჩემს უსაფუძვლო ბრალდებას არ დაიჯერებდა...

– არც დავიჯერე, – დამნაშავე კილოთი ჩაურთო მისტერ კარტერმა.

– აი, რატომ გავგზავნე ქალიშვილები სერ ჯეიმზთან. დარწმუნებული ვიყავი, რომ, ადრე თუ გვიან, იმ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახლში მივიდოდნენ, სოჰოში. ჯულიუსს კი რევოლ-ვერით იმიტომ დავემუქრე, რომ მინდოდა, ტაპენსს ეს სერ ჯეიმზისთვის ეთქვა. მაშინ ის ჩვენ სათვალავ-ში აღარ ჩაგვაგდებდა. როგორც კი გოგონები თვალს მიეფარნენ, ჯულიუსს ვუთხარი, რომ სასწრაფოდ ლონდონში უნდა ჩავსულიყავით, და სწრაფად ეტარე-ბინა მანქანა. გზაში მას ყველაფერი ავუხსენი. სოჰო-ში დროზე ადრე მივედით. სახლთან მისტერ კარტერი დაგვხვდა. მოველაპარაკეთ, მეორე სართულზე ავე-დით და ნიშაში ფარდის უკან დავიმალეთ. პოლიციე-ლებმა ბრძანება მიიღეს, ყველასთვის ეთქვათ, რომ სახლში არავინ შესულა. სულ ეს არის.

ტომიმ ერთბაშად შეწყვიტა მოყოლა. წამით სიჩუმე ჩამოწვა.

– სხვათა შორის, – თქვა მოულოდნელად ჯულიუს-მა, – ჯეინის ფოტოსურათთან დაკავშირებით ყველანი შეცდით. მე ის გამომართვეს, მაგრამ მოგვიანებით მი-ვაგენი.

– სად? – შესძახა ტაპენსმა.

– მისის ვანდემაიერის პატარა სეიფში, მის საწოლ ოთახში.

– ვიცოდი, რომ რაღაც იპოვე, – უსაყვედურა ტა-პენსმა, – სიმართლე გითხრა, სწორედ ამიტომ მივიტა-ნე ეჭვი შენზე. რატომ არ თქვი?

– დარწმუნებული არაფერში ვიყავი. ერთხელ უკ-ვე მომპარეს ფოტოსურათი და გადავწყვიტე, მანამ არ გამეშვა მისთვის ხელი, სანამ ათიოდე ასლს მაინც არ გადავიღებდი!

– ყველანი რაღაცას ვმალავდით, – ჩაფიქრებით თქვა ტაპენსმა, – როგორც ჩანს, საიდუმლო დავალე-ბის შესრულებისას სხვაგვარად შეუძლებელია!

პაუზა ჩამოწვა. მისტერ კარტერმა ჯიბიდან გაცვე-თილი ყავისფერი ბლოკნოტი ამოიღო.

– ბერესფორდმა ახლახან განაცხადა, რომ სერ ჯე-იმზ ფილ ედჯერტონის ბრალეულობას მხოლოდ მა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შინ დავიჯერებდი, თუ მას დანაშაულის ადგილას დაიკავებდნენ. ასეა, მაგრამ ეს, საბოლოოდ, მხოლოდ ამ ჩანაწერების წაკითხვის შემდეგ ვირწმუნე. დღიური სკოტლენდიარდს გადაეცემა, ოღონდ არასდროს გასაჯაროვდება, რადგან კანონთან სერ ჯეიმზის ხანგრძლივი ურთიერთობის გამო, ეს არასასურველია. მაგრამ თქვენ სიმართლე იცით, ამიტომ რამდენიმე ნაწყვეტს წაგიკითხავთ, რომლებიც ნათელს მოჰფენენ არაჩვეულებრივი ადამიანის აზროვნების თავისებურებას.

მან ბლოკნოტი გაშალა და გადაფურცლა.

„...ამ დღიურის შენახვა სიგიჟეა. ვიცი. ის დოკუმენტური სამხილია ჩემ წინააღმდეგ. მაგრამ რისკს არასდროს გავურბოდი. აზრის გამოხატვის მოთხოვნილებას ვგრძნობ... დღიურს მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ წაიღებენ...

...ჯერ კიდევ ბავშვობაში მივხვდი, რომ განსაკუთრებული შესაძლებლობები მქონდა. მხოლოდ სულელი არ აფასებს საკუთარ ნიჭს. ჩემი ინტელექტი საშუალოზე გაცილებით მაღალი იყო. ვიცოდი, რომ ამქვეყნად წარმატებისთვის გავჩნდი. მხოლოდ გარეგნობა არ მიწყობდა ხელს – შეუმჩნეველი, ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ვიყავი...

...პატარაობისას ცნობილი მკვლელის სასამართლო პროცესზე მოვხვდი. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დამცველის ძალამ და მჭევრმეტყველებამ მოახდინა. მაშინ მომივიდა თავში აზრი, რომ ჩემი ნიჭი ამ სფეროში გამომეყენებინა... ბრალდებულს ვაკვირდებოდი. სულელი იყო – წარმოუდგენლად, უპატიებლად სულელი. ენამჭევრი ადვოკატიც კი ვერ გადაარჩენდა. მისდამი ზიზღი ვიგრძენი... გავიფიქრე, რომ დამნაშავეები, ძირითადად, უმნიშვნელო ხალხი იყო: უსაქმურები, წარუმატებლები, საზოგადოების ნაძირალები, რომლებსაც უკანონობის გზისკენ გარემოებებმა უბიძგა... უცნაურია, რომ ჭკვიანი ადამიანები ვერ აც-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნობიერებენ, რამხელა შესაძლებლობებია იქ... ამ იდეაზე ფიქრი დავიწყე... საუცხოო ასპარეზი... წარმოუდგენელი პერსპექტივა! კინაღამ თავბრუ დამეხვა...

...ვკითხულობ გამოკვლევებს დანაშაულისა და დამნაშავეების შესახებ. ყველა მათგანი ჩემს მოსაზრებას ადასტურებს. გადაგვარებულები, ავადმყოფები – არც ერთი შორსმჭვრეტელი ადამიანი, რომელმაც შეგნებულად აირჩია ეს გზა. დავფიქრდი. დავუშვათ, ჩემი ამბიციური ჩანაფიქრი განხორციელდა. ადვოკატი გავხდები, პროფესიის მწვერვალს დავიპყრობ, პოლიტიკაში ჩავერთვები... ინგლისის პრემიერმინისტრობას მივაღწევ. შემდეგ? განა ეს ძალაუფლება იქნება? ყოველ ნაბიჯზე დაბრკოლებას წავაწყდები კოლეგების მხრიდან, დემოკრატიული სისტემა შემზღუდავს, რომლის სათავეშიც სიმბოლურად ვიდგები! არა! მე აბსოლუტურ ძალაუფლებაზე ვოცნებობდი! ავტოკრატი! დიქტატორი! მაგრამ ამის მიღწევა მხოლოდ კანონის გვერდის ავლით შეიძლებოდა. ჯერ ადამიანთა სისუსტე უნდა გამომეყენებინა, შემდეგ კი – ერის: დიდი ორგანიზაცია უნდა შემექმნა და სათავეში ჩავდგომოდი, არსებული წყობილება უნდა დამემხო და მბრძანებელი გავმხდარიყავი! ამ აზრმა გამაბრუა...

...მივხვდი, რომ ორმაგი ცხოვრებით უნდა მეცხოვრა. ჩემნაირი ადამიანი აუცილებლად მიიპყრობდა ყურადღებას. კანონიერ ასპარეზზე წარმატებისთვის უნდა მიმეღწია, რათა ჭეშმარიტი საქმიანობა შემენილბა... საკუთარი სახე უნდა შემექმნა. ნიმუშად ცნობილი ადვოკატები ავირჩიე, მათი საუბრის მანერა, სხვებზე ზემოქმედების უნარი. თეატრი რომ ამერჩია, თანამედროვეობის უდიდესი მსახიობი გავხდებოდი! არავითარი ნიღაბი, არავითარი გრიმი, არავითარი ყალბი წვერი! პიროვნება! მე ის ხელთათმანივით მოვირგე! უიმისოდ ძველ მდგომარეობას ვუბრუნდებოდი და კვლავაც წყნარი, შეუმჩნეველი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული ვიყავი. მისტერ ბრაუნი დავირქვი. ამ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გვარს ასობით ადამიანი ატარებს, ასობით გამოიყურება ჩემსავით...

...ცრუ კარიერაში წარმატებას მივაღწიე. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. ნამდვილშიც წარმატებას მივაღწევ. ჩემნაირი ადამიანი მარცხს ვერ განიცდის...

...ნაპოლეონის ბიოგრაფია წავიკითხე. ერთმანეთს ვგავართ...

...მიმართულებად დამნაშავეთა დაცვა ავირჩიე. შენიანებს უნდა დაეხმარო...

...ერთი-ორჯერ შიშმა შემიპყრო. ერთხელ – იტალიაში, სადილზე, რომელსაც პროფესორი დ. – ცნობილი ფსიქიატრი ესწრებოდა, საუბარი სიგიჟეს შეეხო. მან თქვა: „ბევრი ადამიანია შეშლილი და ეს არავინ იცის. ეს თვითონაც კი არ იციან." ვერ მივხვდი, ამ ფრაზის წარმოთქმისას მე რატომ შემომხედა... უცნაურად... ეს არ მომეწონა.

...ომმა შემაშფოთა... მეგონა, გეგმების განხორციელებაში დამეხმარებოდა. გერმანელები კარგი ორგანიზატორები არიან. თვალთვალის სისტემაც საუცხოო აქვთ. ქუჩები სავსეა ხაკისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭბუჭებით. უტვინო, სულელი ახალგაზრდები... და მაინც... მათ ომი მოიგეს... ეს მაშფოთებს...

...ჩემი გეგმები კარგად მიდის... ერთი გოგონა გამოჩნდა საიდანღაც... არა მგონია, რამე იცოდეს... მაგრამ „ესტონეთს" უნდა დავემშვიდობოთ... ახლა რისკის გაწევა დაუშვებელია...

...ყველაფერი კარგადაა. მეხსიერების დაკარგვა გულდასაწყვეტია. ეს სიმულაცია ვერ იქნება. ჩემს მოტყუებას ვერც ერთი ქალიშვილი ვერ მოახერხებს!

...29 რიცხვი ახლოვდება..."

მისტერ კარტერმა კითხვა შეწყვიტა:

– ჩაფიქრებული გადატრიალების დეტალებს გამოვტოვებ. მაგრამ აქ ორი მოკლე ჩანაწერია, რომლებიც თქვენ სამს გეხებათ. ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს იმის ფონზე, რაც მოგვიანებით მოხდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„...როდესაც ქალიშვილი ვაიძულე, ჩემთან საკუთარი სურვილით მოსულიყო, ამით ის განვაიარაღე. მაგრამ სახიფათო ინტუიციური გამონათება აქვს ხოლმე... თავიდან უნდა მოვიცილო... ამერიკელს ვერაფერი მოვუხერხე: არ მოვწონვარ, ჩემზე რაღაცას ეჭვობს, თუმცა არაფერი იცის. ვფიქრობ, ჩემი ჯავშანი შეუვალია... ზოგჯერ მეშინია, რომ მეორე ბიჭი სათანადოდ არ დავაფასე. ჭკვიანი არ არის, მაგრამ მისთვის თავგზის აბნევა ძნელია...“

მისტერ კარტერმა ბლოკნოტი დახურა.

– არაჩვეულებრივი ადამიანია, – თქვა მან, – ვინმე ხომ არ იტყვის, გენიოსი იყო თუ შეშლილი?

ხმა არავის ამოუღია.

მისტერ კარტერი წამოდგა.

– გთავაზობთ სადღეგრძელოს. ერთობლივ საწარმოს გაუმარჯოს, რომელმაც დამსახურებულად მიაღწია წარმატებას!

სადღეგრძელო აღტაცების გამომხატველი შეძახილების ფონზე შეისვა.

– კიდევ გვსურს რაღაცის მოსმენა, – განაგრძო მისტერ კარტერმა და ამერიკის ელჩს შეხედა, – ვიცი, რომ თქვენი სახელით ვლაპარაკობ. ვთხოვთ მის ჯეინ ფინს, საკუთარი თავგადასავალი გვიამბოს, რომელიც მხოლოდ მის ტაპენსს აქვს მოსმენილი, მაგრამ ჯერ მისი დღეგრძელობისა შევსვათ. გაუმარჯოს ამერიკის ერთერთ ყველაზე მამაც ქალიშვილს, რომლის მიმართაც ორი დიდი ქვეყანა უდიდეს მადლიერებას გამოხატავს!

თავი ოცდამერვე
რა მოხდა შემდეგ

– შესანიშნავი სადღეგრძელო იყო, ჯეინ, – თქვა მისტერ ჰერსჰაიმერმა, როცა თავის მამიდაშვილთან ერთად „როლს-როისით“ „რიცში“ ბრუნდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ერთობლივი საწარმოსი?

– არა, შენი დღეგრძელობის. ამას დედამიწის ზურგზე, შენ გარდა, სხვა ვერავინ გაუძლებდა. გადასარევი ხარ!

ჯეინმა თავი გადააქნია.

– მე კი არ მგონია, რომ გადასარევი ვარ. დავიღალე, მარტოობას ვგრძნობ, ჩემი ქვეყანა მომენატრა.

– სწორედ ამის შესახებ მინდოდა შენთან დალაპარაკება. გავიგონე, როგორ შემოგთავაზა ელჩის ცოლმა, რომ დაუყოვნებლივ გადახვიდე საელჩოში. ეს კარგია, მაგრამ მე სხვა გეგმა მაქვს. ცოლად გამომყევი, ჯეინ! ნუ შეშინდები და ნურც „არას“ მომახლი. ცხადია, ერთ დღეში ვერ შემიყვარებდი. ასე არ ხდება. მაგრამ მე იმ წუთიდან შემიყვარდი, როცა შენი ფოტოსურათი ვნახე, ახლა კი, როცა შეგხვდი, ლამის ჭკუაც დავკარგე! თუ ცოლად გამომყვები, თავს არ მოგაბეზრებ, ყველაფერს თვითონ გადაწყვეტ. თუ ვერ შემიყვარებ, ნუ გეშინია, თავისუფლებას დაგიბრუნებ. მაგრამ ახლა შენზე ზრუნვისა და შენი მოფრთხილების უფლება უნდა მოვიპოვო!

– მე სწორედ ეს მჭირდება, – ჩაფიქრებით თქვა ქალიშვილმა, – ისეთი ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასი ვიქნები. ვერც კი წარმოგიდგენია, როგორ სევდასა და მარტოობას ვგრძნობ!

– მშვენივრად წარმომიდგენია! მაშასადამე, შევთანხმდით და ხვალ არქიეპისკოპოსს შევუვლი სპეციალური ნებართვის მისაღებად.

– ოჰ, ჯულიუს!

– არ მინდა, აგაჩქარო, ჯეინ, მაგრამ ლოდინს რა აზრი აქვს? ნუ გეშინია, მე ხომ არ ველოდები, რომ უცებ შემიყვარებ.

მის ხელისგულში პატარა ხელი გაჩნდა.

– უკვე მიყვარხარ, ჯულიუს, – თქვა ჯეინ ფინმა, – მაშინ შემიყვარდი, ავტომობილში, როცა ტყვიამ ლოყა გაგიკაწრა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხუთი წუთის შემდეგ ჯეინმა ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– ჯულიუს, ლონდონს ცუდად ვიცნობ, მაგრამ ნუთუ „სავოი“ „რიციდან“ ასე შორსაა?

– ეს იმაზეა დამოკიდებული, რა გზას აირჩევ, – აუხსნა ჯულიუსმა ისე, რომ არც გაწითლებულა, – ჩვენ რიჯენტ-პარკის გავლით მივდივართ!

– ოჰ, ჯულიუს... რას იფიქრებს მძღოლი?

– ფული, რომელსაც ვუხდი, მას ზედმეტი ფიქრებისგან ათავისუფლებს. ჯეინ, „სავოიში“ ვახშამი მხოლოდ იმიტომ მოვაწყვე, რომ შინ გამეცილებინე. ვერაფრით მოვახერხე შენთან ერთი ერთზე დარჩენა! შენ და ტაპენსი სიამის ტყუპივით განუყრელნი იყავით. გეფიცები, კიდევ ერთ დღე და მე და ბერესფორდი ნამდვილად გავგიჟდებოდით!

– ოჰ, მაშ, ისიც...

– ცხადია, ისიც. თანაც, ყურებამდე.

– ასეც ვფიქრობდი, – ჩაფიქრებით თქვა ჯეინმა.

– როგორ მიხვდი?

– იმის მიხედვით, რასაც ტაპენსი არ მეუბნებოდა!

– თავგზა ამიბნიე, – უთხრა მისტერ ჰერსჰაიმერმა.

მაგრამ ჯეინმა მხოლოდ გაიცინა.

ამასობაში „ახალგაზრდა ავანტიურისტები“ სარგადაყლაპულებივით, დაძაბულად და დარცხვენით ისხდნენ ტაქსიში, რომელიც, გარემოებათა უცნაური დამთხვევის შედეგად, „რიცისკენ“ რიჯენტ-პარკის გავლით მიემართებოდა.

უცნაური უხერხულობა დაუფლებოდათ. რატომღაც ყველაფერი შეიცვალა და ეს ვერაფრით აეხსნათ. სიტყვის თქმას ვერ ახერხებდნენ, ხელ-ფეხი მოსდუნებოდათ. მათი უწინდელი მეგობრული ბუნებრიობა უკვალოდ გამქრალიყო.

ტაპენსმა არ იცოდა, რა ეთქვა.

არც ტომმი.

ისხდნენ უკიდურესად დაძაბულები და ერთმანეთს თვალს არიდებდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოლოს, ტაპენსმა ძალა მოიკრიბა და თქვა:

– საკმაოდ ვიმხიარულეთ, არა?

– ჰო, საკმაოდ.

კვლავ სიჩუმე ჩამოწვა.

– მომწონს ჯულიუსი, – ჩაილაპარაკა ტაპენსმა.

ტომი გამოცოცხლდა, თითქოს დენმა დაარტყაო.

– ცოლად არ გაჰყვები, ხომ გესმის! – თქვა დიქტატორივით, – გიკრძალავ.

– ოჰ! – თვინიერად მიუგო ტაპენსმა.

– კატეგორიულად! გასაგებია?

– მას არც უნდა ჩემი ცოლად მოყვანა. სინამდვილეში, ხელი მხოლოდ გულკეთილობის გამო მთხოვა.

– რატომღაც არ მჯერა, – დამცინავად თქვა ტომიმ.

– ეს სიმართლეა. ჯეინზეა ყურებამდე შეყვარებული. ვფიქრობ, ახლა მას ხელს სთხოვს.

– ის კი ზუსტად მისი შესაფერისია, – შემწყნარებლურად თქვა ტომიმ.

– განა არ ფიქრობ, რომ ჯეინი დედამიწის ზურგზე ყველაზე მომხიბლავი არსებაა?

– იქნებ ასეცაა.

– მაგრამ შენ, ალბათ, გირვანქა სტერლინგები უფრო გაინტერესებს, – მშვიდად თქვა ტაპენსმა.

– მე... ოჰ, დალახვროს ეშმაკმა, ტაპენს, ვითომ არ იცი!

– მომეწონა ბიძაშენი, ტომი, – სასწრაფოდ გადაუხვია თემას ტაპენსმა, – ჰო, მართლა, რას აპირებ? მისტერ კარტერის წინადადებას მიიღებ და სახელმწიფო მოხელე გახდები თუ ამერიკაში გაემგზავრები ჯულიუსის რანჩოს მმართველად? ის ხომ გვარიან თანხას დაგპირდა.

– ვფიქრობ, ძველ გემზე დავრჩები, თუმცა ჰერსჰაიერმაც მშვენიერი წინადადება შემომთავაზა. მაგრამ ვგრძნობ, რომ შენ ლონდონში ყოფნა გირჩევნია.

– არ მესმის, მე რა შუაში ვარ.

– მე კი მესმის, – მიუგო ტომიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტაპენსმა ალმაცერად გახედა.

– იქაც ფულია, – ჩაილაპარაკა ჩაფიქრებით.

– რომელი ფული?

– თითოეული ჩვენგანი ჩეკს მიიღებს. მისტერ კარ-ტერმა მითხრა.

– თანხა არ გიკითხავს? – სარკასტულად ჰკითხა ტომიმ.

– ვკითხე, – საზეიმო ხმით განაცხადა ტაპენსმა, – მაგრამ არ გეტყვი.

– ტაპენს, ეს მეტისმეტია!

– მაგრამ კარგია, არა, ტომი? ვიმედოვნებ, მეტი თავგადასავალი გვექნება.

– რა გაუმაძღარი ხარ, ტაპენს. ჩემთვის კი, ჯერჯე-რობით, საკმარისია.

– ისე, არც მაღაზიებში საყიდლებზე სიარულია ცუ-დი, – მეოცნებე ხმით თქვა ტაპენსმა, – ძველი ავეჯი, ჭრელი ხალიჩები, ფუტურისტული აბრეშუმის ფარდე-ბი, გაპრიალებული სასადილო მაგიდა, დივანი უამრა-ვი ბალიშით...

– მოიცა, მოიცა, – გააწყვეტინა ტომიმ, – ეს ყველა-ფერი რისთვის?

– შესაძლოა, სახლისთვის... თუმცა, ვფიქრობ, ბი-ნისთვის.

– ვისი ბინისთვის?

– გგონია, ამის თქმას ვერ გავბედავ? გავბედავ! ჩვენი ბინისთვის! აბა, რას იტყვი?

– ძვირფასო! – შესძახა ტომიმ და ტაპენსს გადაეხ-ვია, – საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, რომ ამას გათქ-მევინებდი! სამაგიერო უნდა გადამეხადა იმ დაცინ-ვისთვის, რომლითაც მიმასპინძლდებოდი, როცა ჩემს გრძნობებზე ლაპარაკს ვცდილობდი.

ტაპენსმა სახე მისკენ მიატრიალა, ტაქსი რიჯენტ-პარკის ჩრდილოეთ ნაწილს მიუყვებოდა.

– მაგრამ შენ ჯერ ჩემთვის ხელი არ გითხოვია, – შე-ნიშნა ტაპენსმა, – ისე, როგორც ამას ჩვენი ბებიების

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დროს აკეთებდნენ. თუმცა იმის შემდეგ, რაც ჯულიუსთან გადამხდა თავს, ამას აღარ დავიჟინებ.

– არა, ჩემს ცოლობას თავს ვერ დააღწევ, ამაზე არც იფიქრო!

– მშვენიერია! – მიუგო ტაპენსმა, – რას აღარ უწოდებენ ქორწინებას – სავანეს, თავშესაფარს, ბედნიერების მწვერვალს, მონობას და ვინ იცის, კიდევ რას. მაგრამ იცი, რა არის ის, ჩემი აზრით?

– რა?

– თავგადასავალი!

– თანაც, საოცარი თავგადასავალი, – დაამატა ტომიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სარჩევი

პროლოგი 9

თავი პირველი
შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოების ახალგაზრდა პვანტიურისტები 11

თავი მეორე
მისტერ უიტინგტონის შეთავაზება 22

თავი მესამე
დაბრკოლება 31

თავი მეოთხე
ვინ არის ჯეინ ფინი? 39

თავი მეხუთე
მისტერ ჯულიუს ფ. ჰერსჰაიმერი 50

თავი მეექვსე
ჯამპანიის გეგმა 58

თავი მეშვიდე
სახლი სოჰოში 66

თავი მერვე
ტომის თავგადასავალი 73

თავი მეცხრე
ტაპენსი მოსამსახურედ დგება 84

თავი მეათე
სერ ჯეიმზ ფილ ედჯერტონის გამოჩენა 95

თავი მეთერთმეტე
ჯულიუსის მონათხრობი 104

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთორმეტე
გასაჭირში ჩავარდნილი მეგობარი 115

თავი მეცამეტე
სიფხიზლე 135

თავი მეთოთხმეტე
თათბირი 147

თავი მეთხუთმეტე
ტაპენსს ხელს სთხოვენ 156

თავი მეთექვსმეტე
ტომის შემდგომი თავგადასავალი 165

თავი მეჩვიდმეტე
ანეტი 175

თავი მეთვრამეტე
დეპეშა 193

თავი მეცხრამეტე
ჯეინ ფინი 209

თავი მეოცე
ძალიან გვიანაა 222

თავი ოცდამეერთე
ტომის აღმოჩენა 230

თავი ოცდამეორე
დაუნინგ-სტრიტზე 236

თავი ოცდამესამე
დროის გასასწრებად 243

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეოთხე
ჯულიუსი მოქმედებს 251

თავი ოცდამეხუთე
ჯეინის მონათხრობი 264

თავი ოცდამეექვსე
მისტერ ბრაუნი 281

თავი ოცდამეშვიდე
ვახშამი-წვეულება „სავოიში" 288

თავი ოცდამერვე
რა მოხდა შემდეგ 300

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/